ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

ბიზნესის ადმინისტრირების, მენეჯმენტის და მარკეტინგის დარგობრივი დეპარტამენტი

ნათია ბეჟანიძე

ეროვნული ეკონომიკის განვითარების ტენდენციები და გლობალიზაციის გამოწვევები

ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი

დისერტაცია

სამეცნიერო ხელმძღვანელი:

პროფესორი/ ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი რეზო მანველიძე

ბათუმი

2017

შინაარსი

შესავალი ----------3

თავი I. გლობალიზაციის არსი, ძირითადი მახასიათებლები და მისი გავლენა ქვეყნის ეკონომიკაზე ---------- 10

1.1 გლობალიზაციის არსი და ძირითადი მახასიათებლები ----------10

1.2 გლობალიზაციის პროცესის განვითარების წინაპირობები და მთავარი გამოწვევები ----------29

1.3. გლობალიზაციის გავლენა ქვეყნის კონკურენტუნარიანობაზე ---------- 50

თავი II. ეროვნული ეკონომიკის განვითარების ტენდენციები გლობალიზაციის პირობებში ----------65

2.1. ეროვნული ეკონომიკის განვითარების ტენდენციები ----------65

2.2. გლობალიზაციის პირობებში საინვესტიციო აქტივობა საქართველოში და მისი გავლენა ეკონომიკურ ზრდაზე ----------73

2.3. საქართველოს საგარეო ვაჭრობის განვითარების ტენდენციები და გლობალიზაციის გამოწვევები ----------91

2.4. გლობალიზაცია და საქართველოს ადგილი მსოფლიო ეკონომიკური პროცესების სისტემაში ----------108

თავი III.გლობალიზაცია და ეროვნული ეკონომიკის განვითარების პერსპექტივები ----------115

3.1. საქართველოს სატრანზიტო ფუნქციის განვითარების პერსპექტივები გლობალიზაციის პირობებში ----------115

3.2. ტურიზმის განვითარების ტენდენციები და პერსპექტივები საქართველოში --134

3.3.აგრარული ბიზნესის განვითარების შესაძლებლობები თანამედროვე ეტაპზე- 144

3.4. დარგობრივი ეკონომიკის განვითარების საპროგნოზო მოდელის შემუშავება-153

დასკვნები ----------163

გამოყენებული ლიტერატურა ---------- 168

შესავალი

თემის აქტუალობა: მსოფლიო გლობალიზაციის პირობებში ეროვნული ეკონომიკის განვითარების ტენდენციებისა და კონკურენტუნარიანობის ამაღლების პრობლემები წამოადგენს ეკონომიკური მეცნიერების კვლევის ძირითად მიმართულებებს. აღნიშნულ საკითხებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში, მათ შორის, რა თქმა უნდა, საქართველოში.

ეროვნული ეკონომიკის განვითარების ტენდენციების შესწავლა აუცილებელია თანამედროვე მდგომარეობის ობიექტურად შეფასებისა და მომავალი მიმართულებების განსაზღვრისათვის. საკითხის აქტუალობას ზრდის ისიც, რომ გლობალიზაციის დაჩქარებული და შეუქცევადი პროცესი მოითხოვს არგუმენტირებულ პასუხებს არა ერთ ჩვენთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან გამოწვევაზე.

მიუხედავად გლობალიზაციის წინააღმდეგობრივი ბუნებისა, გლობალური ეკონომიკისგან ქვეყნის იზოლაცია არა ერთი შესაძლებლობისა და უპირატესობის გამოუყენებლობაა, ამიტომაც, თანამედროვე მსოფლიო მეურნეობაში ჩართულობის მაღალი ხარისხი და მრავალმხრივი სასარგებლო ეკონომიკური ურთიერთობები წარმოადგენს წინაპირობას ძლიერი, სტაბილური ეროვნული ეკონომიკის ჩამოყალიბებისათვის.

ეროვნული ეკონომიკის მშენებლობისა და განვითარების საკითხები ქართულ ეკონომიკურ ლიტერატურაში ადრეც ფართოდ განიხილებოდა. ამ საკითხების საფუძვლიან კვლევას აწარმოებდნენ ცნობილი ქართველი მეცნიერები, მათ შორის: ა. გუნია, გ.მელქაძე, გ. მშვილდაძე, დ. ძნელაძე, გ. მალაშხია, თ. ჩიკვაიძე, ი. მესხია და მრავალი სხვა. თუმცა, თანამედროვე ეტაპზე წარმოიშვა რიგი ისეთი საკითხებისა, რომლებიც ეკონომიკურ ლიტერატურაში ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენის პერიოდამდე არ შეიძლებოდა ყოფილიყო სრულად გაშუქებული. აღნიშნული საკითხებისადმი ახლებური მიდგომა განაპირობა ბოლო ათწლეულებში საქართველოს ეკონომიკაში განხორციელებულმა ფუნდამენტურმა ცვლილებებმა.

უპირველესად, შეიცვალა საკუთრების ფორმა, ბიზნესისადმი დამოკიდებულება: თუ წლების წინ ეკონომიკა წარმოდგენილი იყო სახელმწიფო საკუთრების დომინანტური მდგომარეობით, დღეისათვის დომინანტის როლი კერძო საკუთრებასა და კერძო ინიციატივას ეკუთვნის. საგარეო ეკონომიკური ურთიერთობები რეგულირდებოდა და, უფრო მეტიც, ხორციელდებოდა მხოლოდ სახელმწიფო სავაჭრო ორგანიზაციების მეშვეობით, დღეს აღნიშნული პროცესი თავისუფალია, რამაც ძირეულად შეცვალა ინტეგრაციის დონე და მიმართულებები. დღესათვის აღნიშნული საკითხების კვლევით დაინტერესებულნი არიან ქართველი მეცნიერები: პაპავა, აბესაძე, ასათიანი, არჩვაძე, ბარათაშვილი და სხვები.

თემაზე მუშაობის პერიოდში გაირკვა, რომ, როგორც ცალკეულ მკვლევარებს, ასევე სხვადასხვა ბიზნესსტრუქტურების წარმომადგენლებს ჰქონდათ ეკონომიკის გაუმჯობესების მოლოდინი. განსაკუთრებული აქცენტი კეთდებოდა ინვესტიციების გააქტიურებაზე და ექსპორტის შემცველი დარგების განვითარებაზე. ბიზნესის განვითარებაში სრულყოფას მოითხოვს არაერთი გარე და შიდა ეკონომიკური ფაქტორი, რამაც ჩვენი კვლევა უფრო აქტუალური გახადა.

თანამედროვე ეტაპზე წარმოიშვა პრიორიტეტული დარგებისა და საბაზრო ინფრასტრუქტურის განვითარების აუცილებლობა, რაც გრძელვადიან პერსპექტივაში საქართველოს ეკონომიკის განვითარებისთვის ძალზედ მნიშვნელოვანია. გლობალიზაციის გავლენით საწარმოო ძალთა ზრდა მსოფლიო მასშტაბით და ტრანსნაციონალური კორპორაციების საქმიანობის დივერსიფიკაცია, ბუნებრივი რესურსების შეზღუდულობა და მოწინავე ტექნოლოგიების გამოყენებით ბიზნესსტრუქტურებისა და, შესაბამისად, ეკონომიკის ცალკეული დარგების განვითარების საკითხების შესწავლა მნიშვნელოვანია, როგორც ქვეყნის, ასევე რეგიონის დონეზე.

დღეისათვის საქართველოში ეკონომიკის განვითარების დონე სასურველისაგან ძალიან შორსაა. დაბალია საქმიანი აქტიურობა, მაღალია უმუშევრობის დონე, გაზრდილია ინფლაცია, გაუფასურებულია ეროვნული ვალუტა. ინფლაცია და სამომხმარებლო ფასების ზრდა წარმოადგენს მოსახლეობის ცხოვრების დონისა და ხარისხის გაუარესების ძირიად ფაქტორს. მოსახლეობის ერთ სულზე

გაანგარიშებით მშპ საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის 2016* წლის წინასწარი მონაცემებით (მიმდინარე ფასებით) 3852.5 დოლარს შეადგენს, რაც საშუალო მსოფლიო დონის დაახლოებით მესამედია.

საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის წინასწარი მონაცემებით 2016* წელს ქვეყანაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 1 645,4 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. 2015 წლის დაზუსტებულ მონაცემებთან შედარებით იგი 5%-ით გაიზარდა, თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ 2015 წლის მონაცემებით, აღიშნული მაჩვენებელი წინა წელთან შედარებით 11,1 %-ით იყო შემცირებული. ასეთი კლების ტენდენცია განპირობებული იყო 2015 წელს ქვეყანაში ეკონომიკური მდგომარეობის მკვეთრი გაუარესებით.

საქართველოს ეკონომიკის განვითარების ტენდენციების განსაზღვრა და გლობალიზაციის პროცესის გამოწვევების გაანალიზება, ეკონომიკისა და ბიზნესის არსებული მდგომარეობის შეფასებისათვის და სამომავლო პერსპექტივების დასახვისათვის უაღრესად მაღალი აქტუალობით გამოირჩევა, როგორც თეორიული თვალსაზრისით, ასევე წმინდა პრაქტიკული პოზიციებიდან. აღნიშნულმა, ასპექტებმა სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად, განაპირობა ჩვენს მიერ სადისერტაციო კვლევის ობიექტის შერჩევა.

კვლევის ობიექტი: სადისერტაციო ნაშრომის კვლევის ობიექტს წარმოადგენს საქართველოს ეკონომიკის მნიშვნელოვანი სექტორები, ბიზნესგარემოში მიმდინარე ცვლილებები და მათი გამომწვევი მიზეზები გლობალიზაციის პირობებში.

კვლევის საგანი: ეროვნული ეკონომიკის განვითარების ტენდენციები, გლობალიზაციის გამოწვევები, ქვეყნის კონკურენტუნარიანობა გლობალიზაციის პირობებში, ეკონომიკური რეფორმების ანალიზი და შეფასება; პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისა და საგარეო ვაჭრობის ტენდენციების ანალიზი; ქვეყნის სატრანზიტო ფუნქციის პოტენციალი გლობალიზაციის პირობებში, ეკონომიკის განვითარების ტემპების, ჩამოყალიბებული დარგობრივი სტრუქტურის ანალიზი და დინამიკა.

კვლევის მეცნიერული სიახლე: სადისერტაციო ნაშრომი წარმოადგენს ანალიტიკური კვლევის საფუძველზე შესრულებულ შრომას, რომელშიც

კომპლექსურადაა გამოკვლეული საქართველოს ეკონომიკის განვითარების დინამიკა, ეტაპები და ტენდენციები.

ნაშრომის მეცნიერული სიახლე მდგომარეობს შემდგომში:

- გაანალიზებულია ეროვნული ეკონომიკის განვითარების ტენდენციები,
- წარმოდგენილია ეკონომიკური გლობალიზაციის წინაპირობები საქართველოში;
- დადგენილია გლობალიზაციის პირობებში ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ფაქტორების ბუნება, მათი თანაფარდობა და ურთიერთკავშირი;
- განსაზრვრულია ეროვნული ეკონომიკის განვითარების პრიორიტეტები, შეფასებულია საინვესტიციო აქტივობები სექტორულ ჭრილში, გამოვლენილია საინვესტიციო პოლიტიკის ნაკლოვანებები, დასახულია საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესების გზები და ამ მიმართულებებით ბიზნეს-პროექტების ოპტიმალური მართვის ღონისძიებები ცალკეულ დარგებში;
- გაანალიზებულია ეკონომიკური ზრდის შემაფერხებელი ფაქტორები და წარმოდგენილია წინადადებები ეკონომიკის სახელმწიფო მარეგულირებელი ღონისძიებების სრულყოფისათვის;
- ტრადიციული და ინტენსიური დარგების განვითარების შესაძლებლობების გათვალისწინებით, შემუშავებულია ქვეყნის საექსპორტო პოტენციალის რაციონალურად გამოყენების წინადადებები;
- გამოკვეთილია ქვეყნის სატრანზიტო პოტენციალის სრულყოფილად ათვისების უპირატესობები და განსაზღვრულია ტრანსპორტის დარგსა და ეკონომიკურ ზრდას შორის არსებული მრავალმხრივი კავშირები;
- შესწავლილია საქართველოში საზღვაო ლოგისტიკური კლასტერის შექმნის შესაძლებლობები და გაანალიზებულია მათი ფორმირების და ფუნქციონირების უპირატესობები და შეზღუდვები;
- გამოკვეთილია ქვეყნის სავაჭრო, ტურისტული, სასოფლო-სამეურნეო, პოტენციალის სრულყოფილად ათვისების უპირატესობები;
- განსაზღვრულია ინოვაციებისა და ადამიანური კაპიტალის როლი, როგორც ქვეყნის ეკონომიკის განვითარების ძირითადი ფაქტორისა გლობალიზაციის პირობებში;

- ექსპონენციალური რეგრესიული მოდელის საფუძველზე შემუშავებულია გლობალიზაციის პირობებში დარგობრივი ეკონომიკის განვითარების საპროგნოზო მოდელი.

კვლევის მიზანი და ძირითადი ამოცანები: სადისერტაციო ნაშრომის მიზანია ეროვნული ეკონომიკის განვითარების ტენდენციების შესწავლა, ძირითად დარგებში არსებული მდგომარეობის შეფასება, გლობალიზაციის პროცესის გამოწვევების ანალიზი, ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ამაღლების მეთოდოლოგიური საკითხების, პრიორიტეტული დარგების განვითარებისათვის პრაქტიკული რეკომენდაციების შემუშავება.

აღნიშნულიდან გამომდინარე კვლევის ამოცანები შეიძლება ჩამოვაყალიბოთ შემდეგნაირად:

- გლობალიზაციის პროცესის ჩვენეული ხედვის განსაზღვრა. მისი არსის, მახასიათებლების, მექანიზმის და შედეგების სრულყოფილად წარმოჩენა;
- გლობალიზაციის პროცესის განვითარების წინაპირობების შესწავლა, ძირითადი გამოწვევების გაანალიზება და მათი გავლენის განსაზღვრა ქვეყნის კონკურენტუნარიანობაზე;
- გლობალიზაციის პირობებში ეროვნული ეკონომიკის განვითარების ტენდენციების გაანალიზება;
- ქვეყნის კონკურენტუნარიანობის განმსაზღვრელი ფაქტორების შესწავლა;
- საქართველოს ადგილის განსაზღვრა მსოფლიო ეკონომიკური პროცესების სისტემაში;
- ეროვნული ეკონომიკის ფუნქციონირების მაკროეკონომიკური ასპექტების შესწავლა და გაანალიზება:
- გლობალიზაციის პროცესის გავლენით საინვესტიციო აქტივობის ზრდის შეფასება საქართველოში და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გავლენის ხარისხის დადგენა ეკონომიკურ ზრდაზე სექტორულ ჭრილში;
- საქართველოს საგარეო ვაჭრობის დინამიკის გაანალიზება გლობალიზაციის პირობებში;

- ეკონომიკის დარგების ეფექტიანობაზე მოქმედი მაკროეკონომიკური ფაქტორების დახასიათება, საგადასახადო სისტემის, საერთო ეკონომიკური გარემოს, ფულადი ერთეულის სტაბილურობის გავლენის განსაზღვრა;
- ბიზნესის განვითარების წახალისებისათვის რეკომენდაციების ჩამოყალიბება ეკონომიკის არსებული დონის ამაღლების მიზნით;
- გამოიკვეთოს კონკურენტუნარიანი დარგები, რომელთა განვითარებაზეც მომგებიანად აისახება ჩვენი ქვეყნის სპეციფიკა, მისი გეოპოლიტიკური, ბუნებრივ-კლიმატური და რესურსული თავისებურებები;
- ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების სრულყოფილად გამოყენების მნიშვნელობის დასაბუთება;
- გამოიკვეთოს ქვეყნის სატრანზიტო, ტურისტული, სასოფლო-სამეურნეო, პოტენციალის სრულყოფილად გამოყენების უპირატესობები;
- სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარების აუცილებლობის დასაბუთება;
- განისაზღვროს საქართველოში ლოგისტიკური კლასტერის შექმნისა და ფუნქციონირების ძირითადი წინაპირობები და გამოიკვეთოს მათი შექმნით სინერგიულობის ეფექტის მიღების შესაძლებლობა;
- გლობალიზაციის პირობებში დარგობრივი ეკონომიკის განვითარების საპროგნოზო მოდელის შემუშავება.

კვლევის მეთოდოლოგიური და თეორიული საფუძვლები: სადისერტაციო ნაშრომის მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს ეკონომიკის განვითარების მეთოდოლოგიური და თეორიული საკითხები.

ნაშრომში გამოყენებულია მეცნიერული გამოკვლევის ანალიზის და სინთეზის, სისტემური მიდგომის, კორელაციურ-რეგრესული ანალიზის, ექსპონენციალური რეგრესიული მოდელის გამოყენებით პროგნოზირების მეთოდები. აგრეთვე სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების კვლევები, გამოცემები და სხვადასხვა ინტერნეტ რესურსები. საზღვარგარეთელი და ქართველი მეცნიერების მიერ შესრულებული სამეცნიერო გამოკვლევები, მეთოდოლოგიური და თეორული ხასიათის მონოგრაფიები, სამეცნიერო სტატიები ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისა და მისი კონკურენტუნარიანობის ამაღლების პრობლემებთან

დაკავშირებით. ამასთან ერთად, გამოყენებულია საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მასალები.

კვლევის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა: ნაშრომის ძირითადი დებულებები, კვლევის შედეგები, თეორიული და პრაქტიკული რეკომენდაციები შეიძლება გამოყენებული იქნეს:

- ✓ სახელმწიფო და ბიზნეს-სტრუქტურების მიერ ეკონომიკურ განვითარებასთან დაკავშირებული ცალკეული პრობლემების გადასაწყვეტად, აგრეთვე უმაღლესი სასწავლებლების მიერ სასწავლო პროცესში;
- ✓ კვლევის შედეგად მიღებული რეკომენდაციების პრაქტიკული დანერგვა ხელს შეუწყობს ქვეყნის სატრანზიტო, სავაჭრო, ტურისტული, სასოფლო-სამეურნეო პოტენციალის ეფექტურად გამოყენებას. რაც დადებითად აისახება საქართველოს ეკონომიკაზე;
- ✓ კომპანიებმა შესაძლოა ეფექტურად გამოიყენონ არსებული სიმძლავრეები, რესურსული პოტენციალი და მიაღწიონ შესამჩნევ კონკურენტუნარიანობას, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს დამატებული ღირებულებების შექმნას, სამუშაო ადგილების მნიშვნელოვან ზრდას და ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა. სადისერტაციო ნაშრომი „ეროვნული ეკონომიკის განვითარების ტენდენციები და გლობალიზაციის გამოწვევები“ შედგება 190 ნაბეჭდი გვერდისგან, სამი თავისგან, 11 ქვეთავისგან, შესავალისგან, დასკვნებისა და წინადადებისაგან, გამოყენებული ლიტერატურისა და დანართებისაგან.

თავი I. გლობალიზაციის არსი, ძირითადი მახასიათებლები და მისი გავლენა ქვეყნის ეკონომიკაზე

1.1.გლობალიზაციის არსი და ძირითადი მახასიათებლები

მსოფლიო მნიშვნელოვანი ცვლილებების ეპოქაშია, რაც დაკავშირებულია ეკონომიკის ახალი ტიპის - გლობალური ეკონომიკის ჩამოყალიბებასთან. მისი განმასხვავებელი თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ ეკონომიკური საქმიანობის ყველა ძირითადი სახეები: საქონლისა და მომსახურების წარმოება და მოხმარება, ინფორმაციის და ტექნოლოგიების გავრცელება, მართვა, ბაზრების ფუნქციონირება ხორციელდება გლობალური მასშტაბით.[Кастельс М 2000. С. 105.]

მსოფლიო დონეზე გლობალიზაცია ხასიათდება საერთაშორისო ეკონომიკური და საზოგადოებრივი კავშირების ინტენსიურობით, ასევე, კაპიტალის, საქონლისა და მომსახურების, რესურსების, გამოგონებებისა და ტექნოლოგიების აქტიური გადაადგილებით.

ამერიკელი მკვლევარის ფრიდმანის განმარტებით, „გლობალიზაცია - ეს არის ბაზრების, ერებისა და სახელმწიფოების, ტექნოლოგიების ინტეგრაცია, რაც ინდივიდუმებს, კორპორაციებს, ერებსა და სახელმწიფოებს აძლევს მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში წვდომის საშუალებას უფრო სიღრმისეულად და იაფად, ვიდრე წარსულში. გლობალიზაციას აქვს ეკონომიკური წესების საკუთარი ნაკრები, რომლის საფუძველი არის ეროვნული ეკონომიკების გახსნილობა, დერეგულირება და პრივატიზება, მისი კონკურენტუნარიანობის ამაღლებისა და უცხოური კაპიტალის მოზიდვის მიზნით. [Friedman. J. 1989]

გლობალიზაციის პროცესები, ფართო გაგებით, ხასიათდება ეკონომიკური, პოლიტიკური და საზოგადოებრივი ცხოვრების ძირითად სფეროებში ურთიერთკავშირების და ურთიერთდამოკიდებულებების მკვეთრი გაძლიერებითა და გართულებით, რომელიც იძენს პლანეტარულ მასშტაბებს. გლობალიზაცია გამოიხატება მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებს შორის მზარდ ურთიერთდამოკიდებულებებში, რაც განპირობებულია საქონლისა და მომსახურებების მზარდი მოცულობების მოძრაობით და მათი გავრცელების

მასშტაბების მნიშვნელოვანი გაფართოებით, აგრეთვე ყველა სახის ტექნოლოგიების სწრაფი და ფართო გავრცელებით. [Максимова М .2004. № 9. С.13.]

გლობალიზაცია შეიძლება განვსაზღვროთ როგორც საქონლისა და მომსახურებათა ნაკადების, კაპიტალის, ინფორმაციის და ტექნოლოგიების მკვეთრი გაძლიერების პროცესი, რომელიც ჩვეულებრივ არ ექცევა ნაციონალური სამთავრობო რეგულირების საზღვრებში. გლობალიზაციას აქვს ხანგრძლივი მოქმედების ხასიათი, მისი წამყვანი ძალა, უპირველეს ყოვლისა, არის ინფორმაციულ კომუნიკაციური ტექნოლოგიების სფეროში რევოლუციური ცვლილებები, ბაზრების ლიბერალიზაცია და საერთაშორისო კონკურენციის გამწვავება. ჩვენი აზრით, გლობალიზაციის პროცესი შესაძლებელია წარმოდგენილ იქნეს შემდეგი სახით:

სქემა # 1



სქემა: გლობალიზაციის პროცესის ზოგადი დახასიათება

გამოიყოფენ გლობალიზაციის ზოგიერთ ნიშანს:

- **ინტერნაციონალიზაცია,** როცა გლობალიზაციაში გულისხმობენ სახელმწოფოთა შორის კავშირების გააქტიურებას და საზღვრების როლის განუხრელ შემცირებას;
- **ლიბერალიზაცია,** რაც გამოიხატება ღია ინტეგრირებულ ეკონიმიკაში და მოსახლეობის თავისუფალ მიმოსვლაში;
- **უნივერსალიზაცია** ანუ მატერიალური თუ სულიერი ღირებულებების ფართოდ გავრცელება მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში;
- **ვესტერნიზაცია** - დასავლური ცივილიზაციის როლის გაბატონება;
- **დეტერიტორიზაცია** - გეოგრაფიუილი ადგილმდებარეობა, მანძილი და ტერიტორიული საზღვრები თავიანთ პირვანდელ მნიშვნელობას კარგავს. [გლობალური...]

ცნობილი მკვლევარი მ. კასტელსი გლობალიზაციის პროცესს განმარტავს, როგორც „წარმოების კაპიტალისტური წესით განვითარების მუდმივ პროცესს, რომელიც დროისა და სივრცის საზღვრების გადალახვით, ინფორმაციული და კომუნიკაციური ტექნოლოგიებით შექმნილი ახალი ინფრასტრუქტურით, XX საუკუნის ბოლოსთვის გარდაქმნის ახალ ეკონომიკას გლობალურ ეკონომიკად.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის ექსპერტების მიერ გლობალიზაცია განიხილება, როგორც მსოფლიოს ქვეყნებს შორის ინტეგრაციის ხარისხის ზრდა. იგი განპირობებულია, უპირველეს ყოვლისა, სავაჭრო და ფინანსური ნაკადების, ტექნოლოგიებისა და სამუშაო ძალის გადანაცვლებით ეროვნულ საზღვრებზე. [პოტენციალი...2000]

გლობალიზაციის ცნობილი მკვლევარი იან შოლტი გვაძლევს გლობალიზაციის განზოგადებულ განმარტებას და გამოყოფს აღნიშნული პროცესის ხუთ ყველაზე საკვანძო განსაზღვრებას. [Scholte J. A., 2000. – 361 p]

პირველი - გლობალიზაცია განიხილება როგორც ინტერნაციონალიზაცია, რაც გამოიხატება საერთაშორისო სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავებაში და ისეთი ტიპის საზოგადოებრივ ურთიერთობებზე თანდათანობით გადასვლაში, სადაც პრიორიტეტული იქნება გლობალური ინტერესები;

მეორე - გლობალიზაცია განიხილება როგორც ლიბერალიზაცია;

მესამე - გლობალიზაცია განიხილება როგორც პროცესი, რომელიც ახდენს საზოგადოებრივი ეკონომიკური ურთიერთობების უნიფიცირებას, მსოფლიო საინფორმაციო სისტემების გამოყენებით ცოდნისა და გამოცდილების გაზიარებითა და გავრცელებით;

მეოთხე - გლობალიზაცია განიხილება როგორც საზოგადოების მოდერნიზაციის, ლოკალური თვითგამორკვევისა და მოდერნიზმის გავრცელების პროცესი;

მეხუთე - გლობალიზაცია განიხილება, როგორც ერთიანი საზოგადოებრივი სივცის შექმნის მექანიზმი, სადაც არ არსებობს ტერიტორიული შეზღუდვები და განსაზღვრულობა. ეს არის პროცესი რომელიც ახდენს გეოგრაფიის რეკონფიგურირებას, იმგვარად, რომ საზოგადოებრივი სივრცე აღარ აისახება ტერიტორიული სივრცის, მანძილის, საზღვრების ცნებაში.

საინტერესოდ გადმოგვცემს გლობალიზაციის შინაარსს ამერიკელი ეკონომისტი ჯ. სტიგლიცი. ის თვლის, რომ გლობალიზაცია არის „ მსოფლიოს ქვეყნებისა და ერების მჭიდრო ინტეგრაციის პროცესი, რაც განპირობებულია კომუნიკაციებსა და ტრანსპორტირებაზე ფასების მნიშვნელოვანი შემცირებით, ხელოვნური ბარიერების მოხსნით საქონლის, მომსახურებების, კაპიტალის, ცოდნის (ნაკლები ხარისხით) და ადამიანთა ნაკადების საზღვრებზე გადანაცვლებისას. [Стіґліц Дж. 2003. – 252 с]

მეცნიერის აზრით, დავები და კონფლიქტები გამოწვეულია გლობალიზაციის პროცესის უფრო ვიწრო ეკონომიკური ასპექტებით და მასზე პასუხისმგებელი საერთაშორისო ინსტიტუტებია (უპირველესად მსოფლიო სავალუტო ფონდი, მსოფლიო ბანკი, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია), რომლებიც შეიმუშავებენ წესებს, რომლებიც მოიხოვს ისეთ ღონისძიებებს, როგორიცაა კაპიტალის ბაზრის ლიბერალიზაცია (შეზღუდვების გაუქმება, რომლებიც მოქმედებს მრავალ განვითარებად ქვეყანაში, კაპიტალის არამდგრადი, მერყევი ნაკადების სტაბილიზებისთვის, რომელიც გადააგილდება ქვეყნის გარეთ და მის ფარგლებში.

XX საუკუნის 90-იანი წლებიდან გლობალიზაციის თემა ყველაზე აქტიურად განიხილება სამეცნიერო, პოლიტიკურ თუ საქმიან წრეებში, თუმცა აღნიშნული პროცესის სირთულიდან და ყოვლისმომცველი ხასიათიდან გამომდინარე, ადგილი აქვს გლობალიზაციისადმი არაერთგვაროვან დამოკიდებულებას. ასეთი დამოკიდებულება უპირველეს ყოვლისა, თვით ტერმინის „გლობალიზაციის“ განმარტებისას ვლინდება. როგორც უტრეხტის უნივერსიტეტის პროფესორი მ. ველინგი აღნიშნავს ,,რთული აღმოჩნდა გლობალიზაციის განსაზღვრა კონცეპტუალურად და გამოსახვა ემპირულად“. აღნიშნულიდან გამომდინარე, უპრიანი იქნება გლობალიზაციასთან დაკავშირებით ცნობილი მეცნიერების შეხედულებების მოკლე მიმოხილვა. [ემირ ეთერია. 2003]

ტერმინი გლობალიზაცია XX საუკუნის 80-იან წლებში, პირველად ამერიკელმა მეცნიერმა თეოდორ ლევიტმა ცალკეული ბაზრების შერწყმის პროცესის ასახსნელად გამოიყენა. ცნობილია რომ, თუ თავდაპირველად გლობალიზაცია წმინდა ეკონომიკური შინაარსის ტერმინი იყო, სულ რამდენიმე წელიწადში ფართო მნიშვნელობა შეიძინა დასაზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფერო მოიცვა. 1990 წელს ლონდონში გამოცემულ კრებულში - გლობალიზაცია: შემეცნება და საზოგადოება, ეს ტერმინი გამოიყენეს მსოფლიოს ქვეყნებისა და ერების, სხვადასახვა ცივილიზაციებისა და კულტურების ერთიანობის გამოსახატავად. ამავე წელს, ფართო გაგებით, `გლობალიზაცია~ გამოიყენა იაპონელმა მეცნიერმა კ. ომემ. დღეს გლობალიზაციაში იგულისხმება მსოფლიოს ქვეყნებსა და რეგიონებში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური, კულტურული, მეცნიერულ-ტექნოლოგიური და ა.შ. პროცესების უნიფიკაცია (ერთიან სისტემაში მოქცევა) აშშ-ისა და ჩრდილოატლანტიკური ბლოკის სხვა უმსხვილესი ქვეყნების მიერ შემუშავებული მოთხოვნების (ნორმების, ფასეულობების, კრიტერიუმებისა და ა.შ.) შესაბამისად. [როზერა ასათიანი 2010 გვ 8]

ცნობილი ინგლისელი სოციოლოგის ენტონი გიდენსის მიხედვით, გლობალიზაცია შეიძლება განისაზღვროს, როგორც მსოფლიო სოციალური ურთიერთობების ისეთი ინტენსიფიკაცია, რომელიც დაშორებულ ადგილებს

ერთმანეთთან ისეთნაირად აკავშირებს, რომ ადგილობრივი მოვლენები ყალიბდება ათასობით მილის დაშორებით მომხდარი მოვლენების გავლენით და პირიქით.

გლობალიზაციის ერთ-ერთი ცნობილი განმარტება მარტინ ელბროუს ეკუთვნის, რომლის აზრით, გლობალიზაცია მოიცავს ყველა იმ პროცესს, რომელიც მსოფლიო ერებს ერთ მსოფლიო, გლობალურ საზოგადოებად გადააქცევს.

გერმანელი მეცნიერი ემანუელ რიხტერი თვლის, რომ გლობალიზაცია ეს არის გლობალური ქსელი, რომელმაც ადრე იზოლირებული და გაფანტული საზოგადოებები ერთი სამყაროს ურთიერთდამოკიდებულ ერთობად „შეადუღა“.

ამერიკელი პოლიტოლოგის რობერტ კოქსის განმარტებით, გლობალიზაცია გულისხმობს პროდუქციის ინტერნაციონალიზაციას, შრომის ახალ საერთაშორისო დანაწილებას, ახალ მიგრაციულ მოძრაობას სამხრეთიდან ჩრდილოეთით, ახალ დაპირისპირებულ გარემოს, რომელიც აჩქარებს ყველა ამ პროცესს და ბოლოს, სახელმწიფოს ინტერნაციონალიზაციას, რაც მათ გლობალური სამყაროს უბრალო აგენტებად აქცევს. [ზურაბ დავითაშვილი 2003, გვ 186]

გერმანელი სოციოლოგი, მიუნჰენის უნივერსიტეტისა და ლონდონის ეკონომიკსის სკოლის პროფესორი, ულრიხ ბეკი თავის წიგნში, სახელწოდებით ,,რა არის გლობალიზაცია”, წერს: ,,გლობალიზაციაზე ლიტერატურა გაჟღენთილია კონტრვერსიებით. კითხვაზე: რა ამოძრავებს გლობალიზაციას წინ? არსებობს ორი ურთიერთსაწინააღმდეგო პასუხი, რომლებიც, თავის მხრივ, იყოფა მრავალ ვარიანტად. ავტორების პირველი ჯგუფი ხაზს უსვამს დომინირებული ,,ლოგიკის” არსებობას, ხოლო მეორე ჯგუფი - მუშაობს თეორიებზე, რომლებშიც ვლინდება „რთული, მრავალი მიზეზით განპირობებული გლობალიზაციის ლოგიკა”. მხოლოდ გაკვრით შეიძლება ითქვას, რომ ეს ცენტრალური თეორიული დაპირისპირება ,,აფეთქებს” სიტყვა ,,გლობალიზაციის” აზრობრივ შინაარსს, რადგან მას ხშირად აძლევენ ურთიერთსაწინააღმდეგო მნიშვნელობებს. გაზვიადებულ ეკონომიკურ ასპექტებსა და თეორიულ პლურალიზმს შორის მაქს ვებერის ისტორიული წინააღმდეგობა მეორდება ერთდროულად ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ საწყისებზე გლობალიზაციის სოციოლოგიის თემატიკაში. მცდელობა, რომ ცენტრში დააყენონ ერთი ლოგიკა, ააშკარავებს გლობალიზაციის ცენტრალურ

გაგებას. ხოლო ურთიერთგამომრიცხავი ლოგიკის ურთიერთშედარებას მივყავართ პოზიციამდე, სადაც სხვადასხვა კერძო ლოგიკა ერთმანეთს უწევენ კონკურენციას".

ამავე ნაშრომში, იგი თავდაპირველად განიხილავს იმ საფუძვლებს, რის მიხედვითაც გლობალიზაციის ერთი კონკრეტული ლოგიკა მიჩნეულია ცენტრალურად. აქ იგი ასახელებს წამყვან ავტორებს: ესენია: ბლეიქსლი უოლერსტაინი, ჯეიმს როზენაუ, რობერტ გილპინი, დევიდ ჰელდი, როლანდ რობერტსონი და ა.შ. ბლეიქსლი უოლერსტაინი ერთ-ერთი პირველია, რომელიც 70-იან წლებში შეეჭიდა სოციალური მეცნიერებისა და გლობალიზაციის საკითხების დაპირისპირებას. ამასთან გამოყენებაში შემოიტანა ,,მსოფლიო სისტემის" ცნება. იგი მიიჩნევს, რომ კაპიტალიზმი წარმოადგენს გლობალიზაციის მამოძრავებელ ძალას. ამ უკანასკნელისაგან განსხვავებით, ჯეიმს როზენაუ, რობერტ გილპინი და დევიდ ჰელდი დაკავებულნი იყვნენ საერთაშორისო პოლიტიკის პრობლემებით. ისინი ეჭვის ქვეშ აყენებდნენ ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ორთოდოქსულ პოლიტიკას, მიუთითებდნენ რა, ერთი მხრივ, ტექნოლოგიური გლობალიზაციის მნიშვნელობაზე (ინფორმაციისა და ცოდნის საზოგადოება), მეორე მხრივ, აქცენტებს აკეთებდნენ სამხედრო-პოლიტიკურ ფაქტორებსა და თვალსაზრისზე (ძალის პოლიტიკა).

უ. ბეკი აღნიშნავს, რომ უდავოდ, ეროვნული სახელმწიფოს ჩარჩოებში აზროვნება განსაკუთრებულად ძლიერად და დიდი ხნით შეარყია ეკონომიკურმა კრიზისმა, ხოლო 1992 წლის რიო დე ჟანეიროს კონფერენციის შემდეგ კი - მისი იმ შედეგების აღიარებამ, რამაც მსოფლიო საზოგადოება თავისი მდგომარეობის შეფასების აუცილებლობამდე მიიყვანა. [У Бек., , 2001, ст. 60]

გერმანელი მკვლევარები ჰ. მარტინი და ხ. შუმანი, რუსი მეცნიერი მ. დელიაგინი გლობალიზაციის პროცესის განხილვისას ყურადღებას ამახვილებს საერთაშორისო ორგანიზაციების და ტრანსეროვნული კორპორაციების (ტეკ), ტრანსეროვნული ბანკების (ტებ), ასევე რეგიონების მზარდ როლზე, მასობრივი ცნობიერების ფორმირებისათვის ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებაზე, მათ ზეგავლენაზე, ასევე ეროვნული სახელმწიფოს როლის შესუსტებაზე და ა.შ. აღნიშნული მკვლევარები გლობალიზაციაში ხშირად ამერიკის პოლიტიკურ-ეკონომიკურ ექსპანსიას მოიაზრებენ. [გლობალიზაცი - ა ...]

ჯ. ბეილისი და ს. სმიტი გლობალიზაციის ხუთ სხვადასხვა შინაარსობრივ დატვირთვას განასხვავებენ (Baylis and Smith, 2001). პირველ რიგში ესაა ინტერნაციონალიზაცია, როცა გლობალიზაციაში გულისხმობენ სახელმწიფოთა შორის კავშირების გააქტიურებას და საზღვრების როლის განუხრელ შემცირებას; მეორეა ლიბერალიზაცია, რაც გამოიხატება სახელმწიფოებრივი შეზღუდვების მოხსნასა და შემცირებაში სახელმწიფოთაშორის მოძრაობასა და გადაადგილებაში ანუ ღია და ინტეგრირებულ ეკონომიკასა და მოსახლეობის თავისუფალ მიმოსვლაში; მესამე მნიშვნელობით გლობალიზაცია არის უნივერსალიზაცია ანუ მატერიალური თუ სულიერი ღირებულებების ფართოდ გავრცელება მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში; მეოთხე მნიშვნელობით (როგორც ეს ხშირად აღიქმება განვითარებად ქვეყნებში და განსაკუთრებულ გაღიზიანებას იწვევს) გლობალიზაცია არის ვესტერნიზაცია და პირველ რიგში მისი ამერიკული ფორმა; და ბოლოს, გლობალიზაცია, დეტერიტორიზაციის მნიშვნელობით, როცა გეოგრაფიული ადგილმდებარეობა, მანძილი და ტერიტორიული საზღვრები თავიანთ პირვანდელ მნიშვნელობას კარგავს.

ამერიკელი თეორეტიკოსის ნ. გლეიზერის აზრით, გლობალიზაცია არის მსოფლიო მასშტაბით დასავლეთის მიერ რეგულირებადი იმ ინფორმაციის და გართობის საშუალებების „გავრცელება, რომლებიც შესაბამის ეფექტს ახდენს ფასეულობებზე იმ ადგილებისა, სადაც ეს ინფორმაცია აღწევს.“[გლობალიზაცია-ბ...]

ეკონომიკურ ლექსიკონში გლობალიზაცია განმარტებულია როგორც ,,მსოფლიოს ყველა ქვეყნის ეკონომიკის ურთიერთდამოკიდებულების ზრდა, რომლის საფუძველს წარმოების და კაპიტალის ინტერნაციონალიზაციის გაღრმავება წარმოადგენს. გლობალიზაციის შედეგად თანაბრდება მეურნეობრიობის პირობები, ერთმანეთს უახლოვდება ფასები, საქონლის, მომსახურების, ფასიანი ქაღალდების რეალიზაციისას, სხვადასხვა ქვეყნის ფინანსური და საფონდო ბაზრების საქმიანობაში იხსნება ბარიერები. [ემირ ეთერია, 2003 № 2 (8)]

ცნობილი ქართველი მეცნიერის ემირ ეთერიას აზრით მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაცია არის საქონლის, მომსახურების, წარმოების მობილური ფაქტორების თავისუფალი გადადგილებისათვის სახელმწიფო საზღვრების გამჭვირვალობით

ეროვნული ეკონომიკების ურთიერთდამოკიდებულება-ურთიერთშეღწევადობის ზრდისა და შერეული ეკონომიკის, ღია ეკონომიკის, პოლიტიკური დემოკრატიისა და პოსტინდუსტრიული საზოგადოების პრინციპების მსოფლიო მასშტაბით დამკვიდრების საფუძველზე ერთიანი, გლობალური ეკონომიკური სისტემის ფორმირების პროგრესული, ისტორიულ-ლოგიკური პროცესი, რომელიც სამეცნიერო-ტექნიკური მიღწევებითა და ზოგადსაკაცობრიო, გლობალური პრობლემების არსებობით აფიქსირებს პლანეტარული ცივილიზაციის ერთიანობას.

პროფესორ ნ. ჭითანავას აზრით ,,გლობალიზაცია არის ისტორიული პროცესი მისთვის დამახასიათებელი ეტაპებით, თავისებურებებით, ტენდენციებით, კანონზომიერებებით.. იგი ადეკვეტურად ასახავს შრომის დანაწილების მრავალმხრივ პროცესს, სცილდება ეკონომიკურ ჩარჩოს, მოიცავს საზოგადოებრივი ურთიერთობების ყველა მხარეს (პოლიტიკას, იდეოლოგიას, კულტურას, რელიგიას) ერთმანეთთან უშუალო კავშირში აერთიანებს ინტეგრაციისა და ავტონომიზაციის პროცესებს, დამოუკიდებლობას, ერთი მხრივ, მეორე მხრივ კი, ალიანსების შექმნისაკენ მისწრაფებას.

პროფესორი ელგუჯა მექვაბიშვილი გლობალიზაციას განმარტავს, როგორც რთულ და მრავალწახნაგოვან კატეგორიას, რომელიც „ზემოქმედებას ახდენს საზოგადოებრივი ცხოვრების თითქმის ყველა სფეროზე: პოლიტიკაზე, ეკონომიკაზე, კულტურაზე, იდეოლოგიაზე, რელიგიაზე. ეკონომიკური გლობალიზაცია არის ზოგადი გლობალიზაციის შემადგენელი ნაწილი, საფუძველი და მთავარი განმსაზღვრელი მომენტი“ [შოთა ქისტაური, 2009 №10]

შვედი მეცნიერი სტეფანე გარელი გამოყოფს გლობალიზაციის სამ ტალღას და მათზე დაყრდნობით ხსნის გლობალურ კონკურენციულ გარემოში მიმდინარე ცვლილებებს თითოეული ტალღის მსვლელობისას. ავტორის აზრით, გლობალიზაცია და კონკურენტუნარიანობა ქმნის გარკვეულ ტალღებს, რომელთა თანმიმდევრობას აქვს თავისი ლოგიკა და თავისი მოქმედების წესი. დასასრულს თითოეული ტალღა მომდევნოს უთმობს ადგილს. გლობალური სტრატეგია არის სამოქმედო გეგმის ცენტრალური იდეის ევოლუცია მუდმივად ცვალებადი წრებრუნვის მეშვეობით. ტალღა ამ ცვლილებების განჭვრეტის შესაძლებლობას

იძლევა. შესაძლებელია, მსოფლიო ბაზრის მოთამაშეები იგივენი დარჩნენ, მაგრამ სხვა როლებში. [ლეკაშვილი...]

გლობალიზაციის I ტალღა. საბჭოთა კავშირის დაშლამდე მსოფლიო ეკონომიკა მოიცავდა აშშ-ს, ევროპის და იაპონიის 580 მილიონ ადამიანს. 1990-იანი წლებიდან რკინის ფარდის რღვევამ ეკონომიკური საქმიანობის გაფართოვება გამოიწვია და მსოფლიოს მნიშვნელოვანი ნაწილი მოიცვა. დღეისთვის მხოლოდ რამდენიმე ქვეყანა არის იზოლირებული. მსოფლიო მოსახლეობა ბოლო 20 წლის განმავლობაში მრავალჯერადად გაიზარდა. უახლესი მაჩვენებელი, კერძოდ 2016 წლის იანვრის მონაცემებით - 7,3 მილიარდი ადამიანი შეადგინა. ეს იმას ნიშნავს, რომ მსოფლიო მოსახლეობის რიცხოვნობა ბოლო 12 წლის განმავლობაში 1 მლრდ-ით გაიზარდა.

შემოსავლებს შორის უდიდესი დისპროპორციის არსებობა განაპირობებდა საფასე უპირატესობას, რომელიც ინვესტიციების მოზიდვის მიზნით შეთავსებული იყო ლოკალურ პოლიტიკასთან და გლობალურ კომპანიებს უბიძგებდა მასიურად გამოეყენებინათ შესაძლებლობები. პირველი ტალღის მსვლელობისას დასავლური კომპანიები ფოკუსირებულნი იყვნენ იაფი სამუშაო ძალის, ნედლეულის, ლოჯისტიკის ხელმისაწვდომობაზე, დაშვებაზე. აღნიშნული სტრატეგიის შედეგად გლობალური წარმოების უმრავლეს საქონელზე ფასები შემცირდა. პროცესებს თუ განვიხილავთ ახალი პროდუქტის სასიცოცხლო ციკლის თეორიის (რ. ვერნონი) საფუძველზე, ახლადშექმნილი პროდუქტის წარმოებისათვის საჭიროა მოწინავე მოწყობილობა და კვალიფიციური სამუშაო ძალა, ამიტომაც მომგებიანია ეს საქონელი იმ ქვეყანაში გამოვუშვათ, სადაც პირველად გაჩნდა მოხმარებაში. ჩვეულებრივ ეს მაღალი შემოსავლების მქონე ქვეყნებია, რადგანაც ახალი პროდუქტები ეკონომიკური თვალსაზრისით, ფუფუნების საგნებია. მაგრამ, რაღაც დროის შემდეგ პროდუქტის წარმოება სტანდარტული ხდება და წარმოება გადადის სხვა ქვეყნებში, სადაც ხელმისაწვდომია იაფი წარმოების ფაქტორები.

ახალი პროდუქტის სასიცოცხლო ციკლის სამართლიანობას ამტკიცებენ ფაქტები, კერძოდ, კომპიუტერები, მობილური ტელეფონები, ელექტრონული მოწყობილობები და მანქანები დღეს უფრო იაფია, ვიდე 15 წლის წინ, რადგან მათი

წარმოებები გადატანილია განვითარებად ბაზრებში. ამასთან, გლობალიზაციის I ტალღის ბოლო პერიოდმა გამოავლინა ახალი ელემენტი, რომელიც კონმპანიების გლობალურ სტრატეგიებში გაჩნდა: კომპანიები გადაადგილდებიან არამარტო იაფი სამუშაო ძალის და რესურსების ძიების გამო, არამედ იაფი ,,მოაზროვნე გონების" ხელმისაწვდომობის ინტერესიდან გამომდინარე. არგენტინის, ბრაზილიის, ჩინეთის, რუსეთის, ინდოეთის, ინდონეზიის, საუდის არაბეთის და სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის უნივერსიტეტების კურსდამთავრებულთა რაოდენობა *2020 წლისათვის 40 %-ით გადააჭარბებს OECD (*განვითარებული ქვეყნების, რომლებიც ცნობენ წამომადგენლობითი დემოკრატიისა და თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის პრინციპებს, საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზაცია. დღეისათვის მისი წევრი ქვეყნებია: ავსტრალია, ავსტრია, ახალი ზელანდია, აშშ, ბელგია, გერმანია, დანია, გაერთიანებული სამეფო, ესპანეთი, იაპონია, ირლანდია, ისლანდია, იტალია, კანადა, ლუქსემბურგი, ნიდერლანდები, ნორვეგია, პორტუგალია, საბერძნეთი, საფრანგეთი, ფინეთი, შვეცია, შვეიცარია, ჩილე, ჩეხეთი, ესტონეთი, უნგრეთი, ისრაელი, კორეა, მექსიკა, პოლონეთი, სლოვაკეთი, სლოვენია, თურქეთი) ქვეყნების (25-დან 35 წლამდე ასაკის) კურსდამთავრებულებს მთლიანად. [მეტი...2012].ეს ახალგაზრდა პროფესიონალები კვალიფიციურნი, იაფი და მაღალმოტივირებულნი არიან. მათზე გლობალური კომპანიების მხრიდან ძალიან მაღალი მოთხოვნაა. აღნიშნულიდან გამომდინარე, დეფლაცია - სამომხმარებლო ფასების დონის მუდმივი შემცირება, გლობალიზაციის I ტალღის მთავარი მახასიათებელი გახდა, განსაკუთრებით მოწინავე ეკონომიკის ქვეყნებში.

გლობალიზაციის II ტალღა ამჟამად მთელი ძალით მიმდინარეობს. გლობალურ სტრატეგიაში პრიორიტეტი უკვე არა იაფი მიწოდების წყაროების ხელმისაწვდომობაა, არამედ განვითარებად ბაზრებზე დაშვება.

გაეროს უახლესი მონაცემებით, აზიის მოსახლეობა 2015 წლის მონაცემით 4 393 მილიონიდან 2050 წლისათვის 5 267 მილიონამდე გაიზრდება, აფრიკის მოსახელობა კი 1 186 მილიონიდან 2 478 მილიონამდე იმავე პერიოდისთვის. შესაბამისად, თუ მარტო მოსახლეობის რიცხოვნობას შევხედავთ, არ შეიმჩნევა რამდენადმე მკვეთრად გამოხატული ფუნდამენტური სტრუქტურული ცვლილება,

რასაც შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს კომპანიების კონკურენტუნარიანობაზე. [მსოფლიო...2015]

ცხრილი № 1

მსოფლიო მოსახლეობის რიცხოვნობა და დაახლოებითი პროგნოზი 2015, 2030, 2050, 2100

	მოსახლეობის რიცხოვნობა (მილიონი)			
	2015 წ	2030 წ	2050 წ	2100 წ
მსოფლიო	7 349	8501	9 725	11 213
აფრიკა	1 186	1 679	2 478	4 387
აზია	4 393	4 923	5 267	4 889
ევროპა	738	734	707	646
ლათინური ამერიკა და კარიბის ზვის რეგიონი	634	721	784	721
ჩრდილოეთ ამერიკა	358	396	433	500
ოკეანეთი	39	47	57	71

წყარო: *Source:* United Nations, Department of Economic and Social Affairs, Population Division (2015).

მნიშვნელოვანი ცვლილება, რომელიც ახლავს მიმდინარე პერიოდს უკავშირდება საშუალო ფენის წარმოშობას აზიაში, რუსეთში, ცენტრალურ ევროპასა და ლათინური ამერიკის, აგრეთვე სპარსეთის ყურეში. 2000 წლიდან დღემდე 600 მილიონმა ადამიანმა მიიღო საშუალო ფენის სტატუსი. მათი დანახარჯები წელიწადში დაახლოვებით 4 მილიარდ დოლარს შეადგენს. [გარელი -ა...2008]

ინდოეთში, დღეისათვის 50 მილიონი ადამიანი მოიაზრება საშუალო ფენაში, რომლის რიცხვიც 2030 წლისთვის 580 მილიონს მიაღწევს. ენგელის კანონის თანახმად, პირადი შემოსავლის ზრდისას მოსახლეობის მოთხოვნა სხვადასხვა საქონელზე და მომსახურებაზე არათანაბრად იზრდება. ფასების და დემოგრაფიული მდგომარეობის (ოჯახის შემადგენლობა და ზომა) უცვლელობის პირობებში, შემოსავლის ზრდას მოსდევს სურსათზე სამომხმარებლო გასავლების წილის შემცირება. სურსათზე მოთხოვნა იზრდება, მაგრამ არა იმ ზომით, როგორც შემოსავალი. შემოსავლის ზრდას მივყავართ ფუფუნების საგნებზე ფასების ზრდისკენ, შესაბამისად ,,აყვავდებიან" ის ქვეყნები, რომლებიც სპეციალიზებულნი არიან ფუფუნების საგნების წარმოებაზე. ენგელის კანონს არასასიამოვნო დასკვნა გამოაქვს სურსათის მწარმოებელთათვის. თუ ეკონომიკის ყველა სექტორში

მწარმოებლურობა ერთნაირი ტემპით იზრდება, ამის შედეგად იზრდება შემოსავალი და მცირდება სურსათზე მოთხოვნა. შესაბამისად, მსოფლიო ბაზარზე სურსათზე ფასები დაეცემა ფუფუნების საგნების ფასებთან მიმართებაში.

ახალი საშუალო კლასის წარმომადგენლები - XX საუკუნის ევროპისა და აშშ-ს საშუალო კლასის მსგავსად – უფრო ინტენსიურად მოიხმარენ ფუფუნების საგნებს, როგორებიცაა ელექტრონიკა, მანქანები, სახლები, უკეთესი სამედიცინო მომსახურება, დასვენება და ა.შ. შესაბამისად, კერძო მოხმარების წილი მშპ-ში იზრდება: ამჟამად ჩინეთში აღნიშნული მაჩვენებელი 40%-ია, მაშინ როცა უმრავლეს ინდუსტრიულ ეკონომიკებში 60%-ია. კომპანიებმა სწორად უნდა შეარჩიონ ის საქონელი და მომსახურება, რომელზეც მოთხოვნა იქნება ახალგაჩენილი საშუალო კლასის მხრიდან. ენგელის კანონი გარკვეულ უიმედობას ბადებს განვითარებადი და დაბალშემოსავლიანი ქვეყნებისთვის, მაგრამ ჩვენი აზრით, ენგელის კანონი სამართლიანია მსოფლიო ეკონომიკის ზრდის პირობებში. მსოფლიო ეკონომიკის კრიზისის-დაცემის პირობებში მოთხოვნა ფუფუნების საგნებზე მცირდება, ადამიანები უფრო მომჭირნენი ხდებიან და იზრდება მოთხოვნა და ფასები სურსათზე. აღნიშნულს ადასტურებს მიმდინარე მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის ტენდენციები.

ამრიგად, ახალი საშუალო ფენის წარმომადგენლები მსოფლიო ეკონომიკური ზრდის მამოძრავებელ ძალას წარმოადგენენ. ისინი პოლიტიკურ სტაბილურობასაც განაპირობებენ, რადგან არ არიან მიდრეკილნი რევოლუციების მოწყობისკენ. საშუალო ფენა ასევე ასოცირდება ქალაქების განვითარებასთან. 1800 წელს მსოფლიო მოსახლეობის მხოლოდ 2% ცხოვრობდა ქალაქად.

ხოლო 2011 წლისათის კი ეს მაჩვენებელი 3,6 მილიარდს შეადგენდა, ანუ მსოფლიო მოსახლეობის 52%. 2050 წლისათვის კი ქალაქის მოსახლეობა 6,3 მილიარდამდე გაიზრდება, ანუ სავარაუდოდ, მსოფლიო მოსახლეობის 67%-ს იქნება. [შერბაკოვა...2012]

დიაგრამა 1

მოსახლეობის რიცხოვნობა მსოფლიოს ქალაქებში და სოფლად 1950-2050წ (მლრდ ადამიანი)



წყარო: United Nations, Department of Economic and Social Affairs, Population Division (2012). World Urbanization Prospects: The 2011 Revision, CD-ROM Edition. POP/DB/WUP/Rev.2011/1/F3-F4

მსოფლიო ,,ურბანული ცივილიზაციის“ და ,,ურბანული ეკონომიკის˜ დაბადების მომსწრეა. ორივეს სპეციფიკური საჭიროებები ახასიათებთ, როგორებიცაა უკეთესი ტრანსპორტი, კომუნიკაციები, გართობა და ზრუნვა ეკოლოგიაზე. საშუალო კლასის ზრდის პარალელურად, მსოფლიო ეკონომიკის ბუმი დაიწყო და 110 ქვეყნის ზრდის მაჩვენებელმა 2007 წლისთვის 5%-ზე მაღალ ნიშნულს მიაღწია, რამაც უნდა გამოიწვიოს აბსოლუტური სიღარიბის თანდათანობითი შემცირება. 1970 წელს მსოფლიო მოსახლეობის 15.4 % ცხოვრობდა 1 დოლარად დღეში. [გარელი-ბ...2008] სიღარიბე ახასიათებს აფრიკას, ლათინურ ამერიკას და ა.შ. თუმცა სიღარიბის შემცირების ტენდენციას ადგილი აქვს აზიაში. ,,ახალი მომხმარებლების” ამ მასიურ ნაკადს მსოფლიო ეკონომიკაზე თვალსაჩინო გავლენა აქვს. მაგალითად, მათ არ შეუძლიათ შეიძინონ იგივე პროდუქტები და ბრენდები, რაც ხელმისაწვდომია საშუალო ფენისთვის. კომპანიებს სჭირდებათ განავითარონ ახალი ბიზნეს მოდელი, რომელიც მიმართულია ღარიბების გადარჩენისკენ. ასეთი პროდუქტები უკვე არსებობს: პერსონალური კომპიუტერები 100 აშშ დოლარად, მანქანები 2 500 დოლარად (ინდური წარმოების) და მიკროკრედიტები. ეს ბაზარი დაიკავებს უზარმაზარ ადგილს მომავალში, რადგან მსოფლიო ეკონომიკა აგრძელებს სწრაფად გაფართოებას.

ამრიგად, გლობალიზაციის მეორე ტალღის შედეგად სწრაფად მზარდი საშუალო კლასის გამოჩენა ხელს უწყობს ლოკალური ბაზრების გადარჩენას – კერძო მოხმარების ,,აფეთქება" მსოფლიო მასშტაბით დაიწყო და ნედლეულზე და სურსათზე ფასებიც იზრდება. ნავთობზე ფასები მიმდინარე პერიოდში კვლავ ზრდის ტენდენციით ხასიათდება, მაგრამ ყველა ბუნებრივ რესურსზე იყო მყარი მოთხოვნა გლობალიზაციის მეორე ტალღის დასაწყისიდან. იზრდება ჩინეთის უზარმაზარი მოთხოვნა ძირითად პროდუქციაზე. დღეისათვის, ჩინეთზე მოდის ალუმინის მოხმარების 19 %, ფოლადის 27 %, ქვანახშირის და ცემენტის 47 %. შედეგად, ფასები იზრდება და აღწევს რეკორდულ დონეებს. მოსალოდნელია, რომ ნავთობის მოხმარება, რომელიც 2008 წელს უდრიდა 86 მილიონ ბარელს დღეში, გაიზრდება 130 მილიონ ბარელამდე 2030 წლისთვის. [გარელი-გ...2008] 45 %-იანი ზრდა განპირობებული იქნება ჩინეთისა და ინდოეთის მოთხოვნის ზრდით აღნიშნულ პროდუქციაზე.

გლობალიზაციის III ტალღა. გლობალიზაციის III ტალღის პირობებში შესაძლებელია, რომ გამოჩნდნენ ახალი კონკურენტები სამთავრობო კეთილდღეობის ფონდების, ლოკალური კომპანიების და ბრენდების სახით, რომლებიც ეცდებიან გლობალურ კომპანიებად გადაქცევას. მსოფლიო შეაბიჯებს ,,კონკურენციისა და დაძაბულობის " ეპოქაში. განვითარებადი ერების მთავრობები მოიპოვებენ უპრეცენდენტო ეკონომიკური ძალაუფლების ბერკეტებს. ეს ერები გამოიმუშავებენ უზარმაზარ უცხოურ სავალუტო რეზერვებს: პირველ ნომრად იქნება ჩინეთი – 1 647 მილიარდი აშშ დოლარით, მას მოჰყვება იაპონია – 1 008 მლრდ-ით, რუსეთი – 502 მლრდ-ით, ტაივანი – 278 და კორეა – 252 მლრდ. აშშ დოლარით. ჩინეთი ახლა ფლობს 450 მლრდ. აშშ დოლარზე მეტი ღირებულების აშშ -ს სახაზინო ობლიგაციებს და მეორე უდიდესი კრედიტორია აშშ-სთვის იაპონიის შემდეგ.

სამთავრობო ფონდები მართავენ ფულის ძირითად ნაწილს, რომელიც დღეს 3 300 მილიარდს შეადგენს. მათი მიზანია ფინანსური მონაწილეობა მიიღონ ფართო სამრეწველო და საფინანსო ინსტიტუტებში, შეიძინონ მცირე სამრეწველო, ან ენერგეტიკული საწარმოები და საკუთარი აქტივების ნაწილი ჩადონ ეროვნულ

პროექტებში, როგორიცაა საკუთარი საპენსიო სისტემის დაფინანსების გაუმჯობესება (მაგალითად რუსეთი).

ახალი კომპანიები და ლოკალური ბრენდები ხდებიან მსოფლიოს უპრეცენდენტო შემადგენელი ნაწილები. ბევრი მაგალითი არსებობს, რომ ისინი სარგებლობენ დიდ კომპანიებთან თანამშრომლობით, ხოლო ეს უკანასკნელნი იღებენ ტექნოლოგიებს და მენეჯმენტის ტექნიკას მათი ლოკალური პარტნიორებიდან. დღევანდელი ლოკალური პარტნიორები ხდებიან გლობალური კონკურენტები. Wells Global 2000-ში ჩინეთს - 91, კორეას - 61, ინდოეთს კი 47 კომპანია წარმოადგენს. ყაზახეთიც კი მისი წევრი გახდა. ამ სიაში ასევე დიდ ადგილს იკავებენ კორპორაციები არაბული ქვეყნებიდან: ქუვეითი, საუდის არაბეთი, არაბთა გაერთიანებული საემიროები. 2009 წლის მონაცემებთან შედარებით, 2010 წელს ჩინეთში შიდა პროდუქციის ზრდა მოსალოდნელი იყო 8.3%-ით, აშშ-ში – 1.7%-ით, საფრანგეთში – 0.1%-ით. აღსანიშნავია, რომ საშუალო კლასი ასევე წარმოშობს მეწარმეებს, განსაკუთრებით იმ ქვეყნებში, სადაც ვაჭრობა და ბიზნესი ერის კულტურის შემადგენელი ნაწილია. ძალიან სწრაფად ამ ახალი კომპანიების სია საფონდო ბაზარზე იცვლება და აყალიბებს დიდ უფსკრულს ღირებულებებში. შედეგად, გამდიდრებული ინდივიდების რიცხვი იზრდება, განსაკუთრებით განვითარებად ერებში.

ყოველივე ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენი აზრით, მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაცია არის საქონლის, მომსახურების, წარმოების მობილური ფაქტორების თავისუფალი გადადგილებისათვის სახელმწიფო საზღვრების გამჭვირვალობით ეროვნული ეკონომიკების ურთიერთდამოკიდებულება; ურთიერთშეღწევადობის ზრდისა და შერეული ეკონომიკის, ღია ეკონომიკის, პრინციპების მსოფლიო მასშტაბით დამკვიდრების საფუძველზე ერთიანი, გლობალური ეკონომიკური სისტემის ფორმირების პროგრესული, ისტორიულ-ლოგიკური პროცესი, რომელიც სამეცნიერო-ტექნიკური მიღწევებითა და ზოგადსაკაცობრიო, გლობალური პრობლემების არსებობით აფიქსირებს მსოფლიო ცივილიზაციის ერთიანობას. (გლობალიზაციის პროცესთან დაკავშირებით ჩვენი კვლევის შედეგები წარმოადგენილია დანართი 1-ში).

გლობალიზაციის პროცესის შედეგად ფორმირებული გლობალური ეკონომიკა გულისხმობს არა მარტო ერთიანი ეკონომიკური სისტემის ფორმირებას, არამედ სახელმწიფოთა შიგნით და სახელმწიფოთაშორის პოლიტიკურ-ეკონომიკური ურთიერთობების ერთიანი პრინციპის - პოლიტიკურ-ეკონომიკური დემოკრატიის, საბოლოო ანგარიშით კი, სამოქალაქო საზოგადოების, როგორც ადამიანთა უფლებების დაცვის და საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველყოფის საუკეთესო ფორმის მსოფლიოს ყველა ქვეყანაში დამკვიდრებას. სამოქალაქო საზოგადოება საზოგადოების განვითარების უმაღლესი ფორმაა, რომელიც თავისთავად გულისხმობს ღია საზოგადოების არსებობას. თუმცა, მსოფლიო მასშტაბით სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბება არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს მსოფლიო მთავრობის აღიარებას. სამოქალაქო საზოგადოება და სახელმწიფო ურთიერთშემავსებელ ინსტიტუტებს წარმოადგენენ. სამოქალაქო საზოგადოება წარმოუდგენელია დემოკრატიული სახელმწიფოს გარეშე და პირიქით.

გლობალიზაციის პროცესი ზემოქმედებას ახდენს არა მარტო ეკონომიკურ აგენტთა შორის ურთიერთობებზე, არამედ მოიცავს ადამიანისეული საქმიანობის ყველა სფეროს: პოლიტიკურ, სამართლებრივ, სოციალურ, კულტურულ ურთიერთობებს, განაპირობებს აღნიშნულ სფეროებს შორის ურთიერთდამოკიდებულების ზრდას. თუმცა, გლობალიზაციის პირობებში აღნიშნულ სფეროებს შორის ურთიერთდამოკიდებულების ზრდა არ ნიშნავს მსოფლიო მასშტაბით ადამიანისეული საქმიანობის ყველა მიმართულების უნიფიკაციას. ცალკეულ სახელმწიფოს (ეროვნულ ეკონომიკას) ზოგადსაკაცობრიო ფასეულობების აღიარებისა და დამკვიდრების საფუძველზე, საკუთარი ეროვნული ინტერესების შესაბამისად განვითარების შესაძლებლობა აქვს, ანუ გლობალიზაციის პირობებში ადგილი აქვს განვითარების საფუძვლების უნიფიკაციას, რომელიც ობიექტური აუცილებლობით არ განაპირობებს მათი შემდგომი განვითარების ერთგვაროვნებას.

გლობალიზაციის პროცესის მრავალ სახეობას შორის ყველაზე სწრაფი ტემპით ფინანსური (ეკონომიკური) გლობალიზაცია ვითარდება, რომლის ობიექტურ

საფუძველს წარმოების და ვაჭრობის ინტერნაციონალიზაცია წარმოადგენს. ეკონომიკური გლობალიზაციის პროცესი ეროვნული ეკონომიკების განვითარების პროპორციებს, ურთიერთქმედების მექანიზმს, ფუნქციონირების ნორმებსა და სტანდარტებს განსაზღვრავს. გლობალიზაციის პროცესების შედეგად ფორმირებადი გლობალური ეკონომიკური სისტემის ფუნქციონირების მექანიზმი მსოფლიო დონეზე ეკონომიკური სუბიექტების ურთიერთობების, ეკონომიკური პროცესების რეგულირების ფორმებისა და მეთოდების განმსაზღვრელ სისტემას წარმოადგენს, რომელიც ემყარება მსოფლიო თანამეგობრობის მიერ აღიარებულ სამართლებრივ ნორმებს და გლობალური კვლავწარმოებითი პროცესის, გლობალური ეკონომიკის განვითარების მიმართულებებს და დინამიზმს განსაზღვრავს.

ამრიგად, გლობალიზაციის ისტორიულმა პროცესმა განსაზღვრულობა და გამოკვეთილი სახე კაცობრიობის განვითარების თანამედროვე ეტაპზე მიიღო. მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაცია აღიქმება როგორც:

- საქონლის, მომსახურების და რესურსების ერთიანი ბაზრის შექმნა
- ქვეყნებს შორის ურთიერთდამოკიდებულების გაძლიერება
- საქონლის, მომსახურების და რესურსების ბაზრებზე ხელმისაწვდომობის, დაშვების დაჩქარება
- ტერიტორიული დაგეგმარების საფუძველზე რეგიონალური უპირატესობების ინტეგრაცია

აღნიშნული პროცესების წარმატებულად რეალიზების მაგალითებს წარმოადგენს მსოფლიოს უმნიშვნელოვანესი ინტეგრაციული გაერთიანებების (EU, NAFTA) არსებობა.

გლობალიზაციის მოყვანილი განმარტებები სხვადასხვა მხრიდან ხსნის ობიექტური პროცესის შინაარსს, თუმცა ასეთი ახსნა არაა საკმარისი მისი ზუსტი განსაზღვრისათვის. საერთო ჯამში ისინი გვაძლევენ აღნიშნული პროცესის შინაარსის მიახლოვებით შესაძლებლობას. თავისი სტრუქტურით, გლობალიზაციის პროცესი არის რთული, მრავალწახნაგიანი და წინააღმდეგობრივი პროცესი. ასეთ პირობებში რთულია მისთვის მხოლოდ ერთადერთი, ყველა შემთხვევისთვის მისადაგებელი და მისაღები, განმარტების მინიჭება.

სქემა 2. მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის მრავალფაქტორული მოდელი

გლობალიზაციის პროცესის პრობლემატიკის შესწავლისადმი მიძღვნილი უცხოური და ქართული ლიტერატურის ფართოდ მიმოხილვის საფუძველზე, წარმოგიდგენთ მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის პროცესის განზოგადოებულ სქემას. (იხ. სქემა # 2) [პროხორენკო ვ.ს. რეგიონული ეკონომიკა გვ. 77].

ამდენად, თანამედროვე პირობებში ყველა ქვეყნის წინაშე დგას ერთი პრობლემა - თუ როგორ გამოიყენოს მაქსიმალურად გლობალიზაციის უპირატესობები და, ამავდროულად, მინიმუმამდე დაიყვანოს დანაკარგები და რისკები. საქართველო დაიმკვიდრებს ღირსეულ ადგილს მსოფლიოში, თუ ის შეინარჩუნებს ეროვნულ თვითმყოფადობას და, თავის ტრადიციებზე დაყრდნობით, შექმნის თანამედროვე ტექნოლოგიებსა და მიღწევებზე დაფუძნებულ ეკონომიკას.

1.2.გლობალიზაციის პროცესის განვითარების წინაპირობები და გამოწვევები

მრავალი მეცნიერი და პრაქტიკოსი ეკონომისტი ყურადღებას აქცევს და შეისწავლის გლობალიზაციის პროცესის განვითარებით გამოწვეულ ცვლილებებს, მის დადებით და უარყოფით მხარეებს, ტენდენციებს, გამოწვევებს. ბუნებრივია არსებობს აზრთა სხვადასხვაობები

მსოფლიოში მიმდინარე გლობალიზაციის პროცესზე მსჯელობისას, აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ იგი არ წარმოქმნილა უსაფუძვლოდ, მის განვითარებას გააჩნია არსებითი წინაპირობები, რომლის გარეშე იგი ვერ შედგებოდა როგორც განსაკუთრებული ფენომენი. გლობალიზაციის მიმდინარე პროცესების ანალიზის სხვადასხვა შეხედულებებისა და არაერთ ქვეყანაში ამ კუთხით არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით ჩვენ გამოვყოფთ შემდეგ ძირითად წინაპირობებს:

1. საწარმოო, მეცნიერულ - ტექნიკური და ტექნოლოგიური წინაპირობები. აქ ვგულისხმობთ შემდეგს:

- წარმოების მასშტაბის მკვეთრ ზრდას, წარმოების გადასვლას მაღალ, მეცნიერებატევად ტექნოლოგიებზე. ახალი ტექნოლოგიების სწრაფმა და ფართომაშტაბიანმა გავრცელებამ, თავის მხრივ ხელი შეუწყო საქონლის,

მომსახურებისა და კაპიტალის საერთაშორისო საზღვრებზე შეუფერხებელ გადანაცვლებას;

- სატრანსპორტო საშუალებების და კავშირგაბმულობის ხარისხობრივად ახალი თაობის გამოყენებას და მათ უნიფიცირებას, რაც, თავის მხრივ, უზრუნველყოფს საქონლისა და მომსახურებების, რესურსებისა და იდეების გავრცელებას მათთვის საუკეთესო პირობებში. თანამედროვე პირობებში ინფორმაციის გადაცემა ხორციელდება მყისიერად. ეკონომიკური შესაძლებლობებისა და გარიგებების პირობები ხელმისაწვდომია მთელი მსოფლიოს მასშტაბით. საქონლისა და ზოგიერთი სახის მომსახურებას ერთი ადგილიდან მეორე ადგილზე გადანაცვლებას ჯერ კიდევ ესაჭიროება რამდენიმე დღე, ზოგჯერ კვირაც კი, მაშინ როცა ინფორმაცია გადაიცემა იმავდროულად. მაგალითად, როდესაც მსოფლიოს რომელიმე ქვეყნის ბაზარზე მიმდინარეობს მნიშვნელოვანი ცვლილებები, ამის შესახებ ცნობილი ხდება დანარჩენი მსოფლიოსთვის. ეს განსაკუთრებით ახასიათებს საფონდო ბირჟებზე, სავალუტო და სასაქონლო ბაზრებზე მიმდინარე მოვლენებს, აგრეთვე სამეცნიერო აღმოჩენებსა და მათ გამოყენებას. მაშასადამე, პარტნიორების ერთმანეთთან ტერიტორიული დაშორება არ წარმოადგენს მათ სამეწარმეო თანამშომლობისათვის შემაფერხებელ გარემოებას;
- ცოდნის სწრაფი გავრცელება, სამეცნიერო და სხვა სახის ინტელექტუალური ურთიერთგაცვლის შედეგად;
- დანახარჯების მკვეთრი შემცირება უახლესი სატრანსპორტო და სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით, ინფორმაციის დამუშავებაზე, შენახვაზე და გამოყენებაზე დანახარჯების შემცირება ამარტივებს ნაციონალური ბაზრების გლობალურ ინტეგრაციას. შედარებისთის საკმარისია შემდეგი მაგალითი: „სამ წუთიანი საუბრის ღირებულება ლონდონსა და აშშ-ს შორის შემცირდა (რეალურ გამოსახულებაში) 300 დოლარიდან (1930 წელს) – 1$-მდე (1998 წლისათვის). ინფორმაციის ერთეულის კომპიუტერული დამუშავების ღირებულება ბოლო 20 წლის განმავლობაში (1975 -1995 წწ) მცირდებოდა ყოველწლიურად (რეალურ გამოსახულებაში) დაახლოებით 30%-ით.

2 ორგანიზაციული წინაპირობები:

- საწარმოო-სამეურნეო საქმიანობის განხორციელების საერთაშორისო ფორმები, მაგალითად ტრანსნაციონალური კორპორაციები, რომელთა საქმიანობის ორგანიზაციული ფორმა სცდება ეროვნულ საზღვრებს, იძენს საერთაშორისო ხასიათს და ხელს უწყობს ერთიანი საბაზრო სივრცის ფორმირებას;
- არასამთთავრობო ორგანიზაციების გასვლა მრავალეროვნულ ან მსოფლიო დონეზე. ახალ გლობალურ როლს თამაშობენ ისეთი საერთაშორისო ორგანიზაციები როგორებიცაა გაერო, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია და ა.შ.;
- მრავალეროვნული კომპანიებისა და სხვა, როგორც კერძო, ასევე სახელმწიფო ორგანიზაციების გარდაქმნა გლობალური ეკონომიკის მთავარ მოქმედ პირებად.

3 ეკონომიკური წინაპირობები:

- საქონლისა და მომსახურებებით ვაჭრობის ლიბერალიზაციამ, კაპიტალის ბაზრისა და ეკონომიკური ლიბერალიზაციის სხვა ფორმებმა გამოიწვია პროტექციონიზმის პოლიტიკის შემცირება და გახადა მსოფლიო ვაჭრობა გაცილებით უფრო თავისუფალი. (თუ 1947 წელს საიმპორტო სატარიფო განაკვეთი საშუალოდ შეადგენდა 50-60%-ს, ოთხმოცდაათიანი წლების დასაწყისისათვის ის შემცირდა 9,6%-მდე. ხოლო სამომვლოდ მსოფლიო ვაჭრობის ორგანიზაცია ვარაუდობს მის შემცირებას 3%-მდე);
- კაპიტალის არნახული კონცენტრაცია და ცენტრალიზაცია, საწარმოო საფინანსო-ეკონომიკური ინსტრუმენტების დინამიური ზრდა, სავალუტო გარიგებების განხორციელების დროის მკვეთრი შემცირება;
- საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზაციების მიერ მაკროეკონომიკური პოლიტიკის ერთიანი კრიტერიუმების, აგრეთვე საგადასახადო, რეგიონული აგრარული, ანტიმონოპოლიური და დასაქმების სფეროს პოლიტიკისადმი და ა. შ. უნიფიცირებული მოთხოვნების დანერგვა.
- სტანდარტიზაციისა და უნიფიკაციის ტენდენციების გაძლიერება - ტექნოლოგიებში, ეკოლოგიის სფეროში, საფინანსო ორგანიზაციების საქმიანობაში, საბუღალტრო და სტატისტიკური აღრიცხვისათვის სულ უფრო ფართოდ გამოიყენება ერთიანი სტანდარტები.

4 ინფორმაციული წინაპირობები:

- საქმიანი ურთიერთობის სხვადასხვა საშუალებების რადიკალური ცვლილებები, საწარმოო, სამეცნიერო-ტექნიკური, ეკონომიკური, საფინანსო ინფორმაციის მიმოცვლა; ინფორმაციის მიღების, დამუშავებისა და გადაცემის პრინციპულად ახალი სისტემების შექმნამ და განვითარებამ საშუალება მისცა გლობალური ქსელების წარმოქმნას, რომლებიც აერთიანებენ საფინანსო და სასაქონლო ბაზრებს, ნოუ-ჰაუსა და პროფესიონალურ მომსახურებებს; ინფორმაციული მომსახურება უშუალო კავშირშია წარმატებებთან ელექტრონიკაში - ელექტრონული ფოსტის, ინტერნეტის შექმნა და ა.შ.
- ისეთი სისტემების ფორმირება, რომლებიც უზრუნველყოფენ სხვადასხვა ქვეყანაში განთავსებული საწარმოების ერთიანი ცენტრიდან მართვას, ქმნიან შესაძლებლობას საწარმოო სამეცნიერო-ტექნიკური, კომერციული ამოცანების ოპერატიულად და ეფექტურად გადაწყვეტისათვის, არც იმაზე ნაკლებად ვიდრე ცალკეული ქვეყნის შიგნით. რეალურ დროში ინფორმაციის გაცვლა მოასწავებს ნამდვილ რევოლუციას მენეჯმენტში და მარკეტინგში, საფინანსო და საინვესტიციო ნაკადების მართვაში, ვითარდება პროდუქციის რეალიზაციის ახალი ფორმები (მაგალითად: ელექტრონული ვაჭრობა); კომპიუტერიზაცია, პლასტიკური ბარათებისა და ელექტრონული ანგარიშგის სისტემები, სატელიტური და ოპტიკურ-ბოჭკოვანი კავშირების დამყარება საშუალებას იძლევა პრაქტიკულად მყისიერად მოხდეს საფინანსო ინფორმაციის გადაცემა, გარიგებების დადება, ერთი ანგარიშიდან თანხების სხვა ანგარიშებზე გადარიცხვა, სახელმწიფო საზღვრებისა და ტერიტორიული დაშორების მოუხედავად.

5 პოლიტიკური წინაპირობები:

- სახელმწიფო საზღვრებზე მოქალაქეთა, საქონელის მომსახურების და კაპიტალის თავისუფალი გადაადგილება;
- ცივი ომის დასასრული, პოლიტიკური უთანხმოების გადალახვა

6 სოციალურ - კულტურული წინაპირობები:

- ტრადიციების და წეს-ჩვეულებების როლის შესუსტება, ნაციონალური შეზღუდულობის დაძლევა, ამაღლებს ადამიანთა მობილობას ტერიტორიულ, სულიერ და ფსიქოლოგიურ ურთიეთობებში, განაპირობებს საერთაშორისო მიგრაციას;
- საბაზრო ეკონომიკის შეფასებისადმი და თავისუფალი სავაჭრო სისტემისადმი ერთიანი გლობალური აზრეობის ჩამოყალიბება;
- გლობალიზებული მსოფლიო საინფორმაციო საშუალებების, მასობრივი მედიების ფორმირების ტენდენციების გამოვლინება; ამასთან, ინგლისური ენის საერთაშორისო ენად გადაქცევამ გაამარტივა კულტურათაშორისი ურთიერთობები, სწავლება და ურთიერთგაგება.
- განათლების სფეროში საზღვრების გადალახვა, დისტანციური სწავლების განვითარების საფუძველზე.

ჩვენ შევეცდებით ზოგადი სახით გლობალიზაციის პროცესის განვითარების წინაპირობების ქრონოლოგია უფრო დაწვრილებით წარმოვადგინოთ ქვემოთ მოყვანილ სქემაში.

სქემა #3

გლობალიზაციის პროცესის განვითარების წინაპირობები (ქრონოლოგია)

ეკონომიკური წინაპირობები	
1940	❖ ბრუტონ ვუდსის ახალი საერთაშორისო სავალუტო სისტემის დაარსება; ❖ GATT -ის დაარსება (1947); ❖ ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს დაარსება საბჭოთა კავშირის მიერ კომუნისტურ ქვეყნებს შორის ეკონომიკური თანამშრომლობისთვის
1950	❖ ევროპული გაერთანების დაარსება რომის ხელშეკრულებით (1957 წ) ❖ თავისუგალი ვაჭრობის ევროპული ასოციაციის დაარსება ❖ მთავარი ვალუტები ხდება კონვერტირებადი (1958 – 1964 წწ)
1960	❖ ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების (OPEC)დაარსება (1960) ❖ ევროდოლარის ბაზრის წარმოშობა ლონდონში ❖ GATT -ის კენედის მეექსვსე რაუნდი (1964- 1969 წწ) ❖ ავტომობილებისა და მაგისტრალების სწრაფი ზრდის შედეგად საწვავის მოხმარება იზრდება; ❖ აზიის ქვეყნების მიერ ექსპორტზე ორიენტირებული პოლიტიკისთვის უპირატესობის

	მინიჭება იმპორტის ჩანაცვლების პოლიტიკასთან შედარებით;
1970	❖ ამერიკული დოლარის ოქროს სტანდარტიდან გასვლა (1971) ❖ GATT -ის ტოკიოს რაუნდი (1973 – 1979) ❖ ჩინეთის ეკონომიკური რეფორმა (1978)
1980	❖ მექსიკის მიერ საბაზრო რეფორმის დაწყება და GATT -თან შეერთება ❖ აშშ-ს ინფლაციის დაძლევა
1990	ჩრდილოეთ ამერიკის თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების გაფორმება (1994) ❖ აზიის ფინანსური კრიზისი (1997) ❖ აზიის ფინანსური კრიზისი (1997) ❖ WTO დაარსება (1995) ❖
2000	ჩინეთი უერთდება WTO - (2001)

პოლიტიკური წინაპირობები	
1940	გაეროს დაფუძნება (1945) ❖ მარშალის გეგმის განხორციელება (1948 – 1957) ❖ ევროპის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის დაარსება (1948) ❖ დეკოლონიზაცია (1948 – 1962წწ) ❖ ჩინეთი ხდება სოციალისტური რესპუბლიკა (1949)
1950	❖ კორეის ომი (1950 – 1953 წწ) ❖ დეკოლონიზაცია აფრიკაში (1958 – 1962 წწ)
1960	ბერლინის კედლის აღმართა და კუბის კრიზისი (1962 წ)
1970	EU-ის გაფართება ცხრა წევრამდე (1973)
1980	EU-ის გაფართება თორმეტ წევრამდე ბერლინის კედლის დანგრევა (1989)
1990	საბჭოთა კავშირის დაშლა (1991)
2000	EU-ის გაფართება ოცდაშვიდ წევრამდე

ტექნოლოგიური წინაპირობები	
1940	❖ პლასმასისა და ბოჭკოვანი პროდუქციის წარმოების გაფართოვება (მაგალითად, პირველი ნეილონის კოლგოტები ქალებისთვის 1940) ❖ ნავთობის საბადოების აღმოჩენა ახლო აღმოსავლეთში. განსაკუთრებით საუდის არაბეთში (1948)
1950	❖ ახლო აღმოსავლეთიდან შემოტანილი ნავთობის მოხმარების ზრდა ევროპასა და იაპონიაში „ზუსტად დროში („just intime “) წარმოების კონცეფციის დანერგვა ტოიოტას მიერ
1960	პირველი ადამიანი კოსმოსში (1961) და მთვარეზე (1969) ❖ მწვანე რევოლუცია - აგროკულტურული წარმოების გარდაქმნა განვითარებად ქვეყნებში (1960 წლებიდან) ❖ ჩქაროსნული მატარებლის პირველი ხაზის გახსნა იაპონიაში (1964)
1970	გამოუშვეს პირველი მიკროპროცესორი ერთი მიკრო სქემით (1971)
1980	IBM - შემოაქვს პირველი პერსონალური კომპიუტერი (1981) მაიკროსოფტს შემოაქვს პირველი ვინდოუსი (1985)
1990	❖ ევრო გვირაბის გახსნა, რომელმაც დიდი ბრიტანეთი კონტინენტთან დააკავშირა ❖ მობილური ტელეფონების რაოდენობრვი ზრდა, რომელიც გამოიწვია მეორე თაობის ინტერნეტის ზრდამ ❖ მსოფლიო მასშტაბის ქსელის (www)შექმნა (1989)- პირველი ვებ-გვერდის ონლაინზე გამოჩნდა 1991 წელს ❖ ინტენეტის მომხმარებლების რაოდენობა გაიზარდა 300 -მლნ-მდე
2000	საზღვაო გადაზიდვების 70% -ზე მეტი ხორციელდება კონტეინერებით; ინტერნეტის მომხმარებლების რაოდენობა გაიზარდა 800 მლნ-მდე (2005წ)

წყარო: https://www.wto.org/english/res_e/booksp_e/anrep_e/wtr08-2b_e.pdf

სქემა #4

გლობალიზაციის პროცესის განვითარების წინაპირობები საქართველოში

(ქრონოლოგია)

1992	საქართველო გაწევრიანდა საერთაშორისო სავალუტო ფონდში
1992	საქართველო გაწევრიანდა შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციაში
1992	საქართველო გაწევრიანდა მსოფლიო ბანკში
1992	საქართველო გაწევრიანდა გაეროში
1992	ევროგაერთიანებამ ოფიციალურად აღიარა საქართველოს დამოუკიდებლობა
1995	საქართველო, ევროკავშირის სავაჭრო პრეფერენციათა განზოგადებული სისტემით (Generalized Scheme of Preferences, (GSP)) სარგებლობს.
1996	საქართველომ ხელი მოაწერა ევროკავშირთან თანამშრომლობისა და პარტნიორობის შეთანხმებას.
1997	მონაწილეობას იღებს ევრო-ატლანტიკურ თანამშრომლობაში, მჭიდროდ თანამშრომლობს ნატოსთან.
1997	საქართველოს პარლამენტის დადგენილების საფუძველზე, საქართველომ დაიწყო საკუთარი კანონმდებლობის ჰარმონიზაცია ევროკავშირის კანონმდებლობასთან
1999	მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის გენერალურმა საბჭომ ხელი მოაწერა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის დამფუძნებელ, მარაკეშის შეთანხმებასთან, საქართველოს მიერთების ოქმს.
2000	საქართველო მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის 137-ე სრულუფლებიანი წევრი გახდა.
2012	საქართველოსა და ევროკავშირს შორის ოფიციალური მოლაპარაკებების დაწყება „ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების"(DCFTA) დადების თაობაზე.
2012	საქართველოსა და ევროკავშირს შორის უვიზო მიმოსვლის შესახებ დიალოგის დაწყება.
2013	ქ. ვილნიუსში „აღმოსავლეთ პარტნიორობის" რიგით მესამე სამიტი გაიმართა, რომლის ფარგლებში, ასოცირების შეთანხმებისა და მისი კომპონენტის, ღრმა და ყოვლისმომცველი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების პარაფირება მოხდა და ასევე, საქართველოს ევროკავშირის კრიზისების მართვის ოპერაციებში ჩართვის შესახებ შეთანხმება გაფორმდა.
2014	2014 წლის 27 ივნისს, ქალაქ ბრიუსელში, საქართველოს პრემიერ-მინისტრის მიერ ხელი მოეწერა ასოცირების შეთანხმებას. ხოლო შეთანხმების

	რატიფიცირება საქართველოს პარლამენტმა მოახდინა ამავე წლის 18 ივლისს.
2015	საქართველომ სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის მეორე ფაზის ოთხივე ბლოკით განსაზღვრული ყველა მოთხოვნა შეასრულა და ვიზა ლიბერალიზაციის ტექნიკური პროცესი წარმატებით დაასრულა.
2015	დასრულდა ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების მიერ საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმების რატიფიცირების პროცესი.
2016	2016 წლის 27 ივნისს ხელი მოეწერა საქართველოსა და ევროპი თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციას (EFTA) შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებას. მიმდინარეობს მისი ძალაში შესვლის პროცედურები
2017	2017 წლის 13 მაისს ქ. პეკინში, ხელი მოეწერა „თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებას საქართველოს მთავრობასა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას შორის“. შეთანხმება ამოქმედდება (ძალაში შევა) ორივე მხარის მიერ შესაბამისი შიდასახელმწიფოებრივი პროცედურების დასრულების შემდეგ.
2017	საქართველოს მიერ სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის (VLAP) იმპლემენტაცია

წყარო: შემუშავებულია ავტორის მიერ სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით

გლობალიზაცის ძირითადი გამოწვევები. მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაცია წარმოადგენს ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკის განვითარების ერთ-ერთ ახალ და განსაკუთრებით აქტუალურ ტენდენცას. მრავალი მეცნიერი შეისწავლის აღნიშნული პროცესის განვითარებით გამოწვეულ ცვლილებებს, მის დადებით და უარყოფით მხარეებს, ტენდენციებს, გამოწვევებს, აზრთა სხვადასხვაობებს.

გამოწვევები, რომელთა წინაშე დღეს საქართველო დგას, თვისობრივად არ განსხვავდება იმ გამოწვევებისგან, რომლებიც გააჩნდათ ბევრ განვითარებად და ნაკლებად განვითარებულ ქვეყანას. განსხვავებით ბევრი სხვა ქვეყნისაგან, რომლებმაც წარმატებით (ან წარუმატებლად) გაიარეს ის ეტაპი, რომელზეც დღეს საქართველოა ჩვენ გვაქვს შესაძლებლობა გავითვალისწინოთ ამ ქვეყნების გამოცდილება, გამოვიტანოთ შესაბამისი დასკვნები და ჩვენი გრძელვადიანი განვითარების სტრატეგია სწორად ამ გამოცდილების, ამ ქვეყნების წარმატებისა თუ

მათ მიერ დაშვებული შეცდომების გათვალისწინებით იქნეს შედგენილი. როგორც სხვა ქვეყნების გამოცდილება, ისე მეცნიერული კვლევების შედეგები გვიჩვენებს, რომ, ეკონომიკური, პოლიტიკური თუ სამოქალაქო თავისუფლება, მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში.

გამართული ინსტიტუტები უზრუნველყოფენ განვითარების მდგრადობას, ამცირებენ ბიზნეს-ციკლების მერყეობას, განაპირობებენ ეკონომიკური ზრდის უწყვეტობას საარჩევნო ციკლებს შორის და გარკვეულწილად ქმნიან ავტოკორექციის უნარის მქონე ეკონომიკურ სისტემას.[ეკონომიკა...2015]. აზრების და იდეების თავისუფალი გაცვლა აუცილებელია კრეატიულობის, ინოვაციის, განათლებისა და კულტურული წინსვლის უზრუნველსაყოფად, ეს ყველაფერი კი ხელს შეუწყობს ენდოგენურ, ცოდნაზე დაფუძნებულ ზრდას, რომელიც აუცილებელია ჩვენი წინსვლისთვის.

გლობალიზაციის პროცესის აქტუალობა გამოიხატება იმაში, რომ ის მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მსოფლიო საზოგადოების არა მხოლოდ სოციალურ-ეკონომიკურ, არამედ ტექნოლოგიურ და ეკოლოგიურ განვითარებაზე. მათ გათვალისწინებას აქვს როგორც პრაქტიკული, ასევე უდიდესი მეთოდოლოგიური მნიშვნელობა, რამდენადაც, იძლევა ადამიანური პროგრესის ყველაზე გავრცელებული საკითხების გამოყოფის, გლობალიზაციის ძირითადი გამოწვევების განსაზრვრის საშუალებას ქვეყნებისათვის. [ნუცა ნიკოლაიშვილი. 2004 №2(16) თებერვალი].

მსოფლიო ეკონომიკის გლობალური სისტემის აღწარმოების წინააღმდეგობები მდგომარეობს იმაში, რომ ხშირად იგი ექვემდებარება არა იმდენად მსოფლიო საზოგადოებრივ ინტერესებს, რამდენადაც ბიზნეს-ელიტის ინტერსებს. იგი მიმდინარეობს ბუნებრივ-კლიმატური და შრომითი რესურსების, სიმდიდრის, პოლიტიკაზე ეკონომიკის დამოკიდებულების არათანაბარი მდგომარეობის პირობებში. თუმცა ეს არ გულისხმობს, იმას, რომ მსოფლიო ეკონომიკის გლობალურ კვლავწარმოებას არა აქვს არანაირი კავშირი წარსულთან: შენარჩუნდება საზოგადოების ყველა ფენის, სოციალურ-ეკონომიკური ინსტიტუტების მთლიანი სისტემის დაინტერესება მოგების მაქსიმიზებაში, ამავდროულად, წარმოიქნება

ახალი მიზნები და ამოცანები, შეირჩევა სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის ახალი პრინციპები.

თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკაში ნამდვილად მიმდინარეობს შესამჩნევი ტენდენციები ცვლილებებისკენ - ჩამოყალიბდა სრულიად ახალი კონკურენტული ვითარება ყველა სახის რესურსის მოპოვებისთვის, გამკაცრდა კონკურენტული ბრძოლის მეთოდები, იმატა სოციალური და პოლიტიკური ხასიათის სანქციებმა, კონფლიქტებმა საცხოვრებელი და სამუშაო ადგილების დაკარგვის გამო, ბრძოლამ უკეთესი მომავლისათვის და ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებისთვის.

მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაცია გულისხმობს საზოგადოებრივი კვლავწარმოების ყველა სფეროს: საერთაშორისო ვაჭრობის, ფულად-საკრედიტო და საბანკო სისტემის, შრომის ბაზრის, ინოვაციების, სამეცნიერო მოღვაწეობის, და ბოლოს, სოციალური, ეკონომიკური და ინსტიტუციონალური ურთიერთობების გლობალიზაციას.

დღეისათვის მსოფლიო მოსახლეობის უმეტესი ნაწილი სულ უფრო მეტ უპირატეაობას ანიჭებს თანამედროვე სამეცნიერო მიღწევების, ინოვაციების გამოყენებასა და დინამიურ განვითარებას. ადამიანებს აღარ სურთ მხოლოდ ნაციონალური საზღვრების ფარგლებში არსებობა, მათი სურვილია პლანეტის საკუთარ სახლად გადაქცევა.

გლობალიზაციის პროცესის განვითარებასთან ერთად, შესამჩნევი ცვლილებები მიმდინრეობს ჩვენს ქვეყანაშიც. საქართველო უფრო ღია, დემოკრატიული, მსოფლიო პროცესებში ინტეგრირებული გახდა. ჩვენი მოქალაქეებისათვის გაიხსნა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის საზღვრები, შესაძლებელი გახდა უცხო ქვეყნის მოქალაქეებთან საქმიანი ურთიერთობების, პოლიტიკური, სამართლებრივი და კულტურული კავშირების დამყარება. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ აღნიშნულ გზაზე მსოფლიო საზოგადოება საკმაოდ ბევრი სირთულეების წინაშე დადგა - ქვეყნების ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა, სიღარიბე, დაავადებები, ეკოლოგიური საფრთხეები, დასაქმების პრობლემები და მრავალი სხვა, რაც არც ჩვენი ქვეყნისთვის არის უცხო. ასეთი პრობლემები ნაკარნახევია მსოფლიო რესურსების დიდი ნაწილის დაპყრობის ინტერესით,

ქვეყნებისა და რეგიონების, დარგებისა და ოჯახების განვითარების უთანასწორობით, მათი კულტურული და სამართლებრივი მდგომარეობის დიფერენცირებით, მოტივების განუსაზღვრელობითა და მრავალი სხვა წინააღმდეგობებით. მეთოდური თვალსაზრისით, სამართლიანი იქნებოდა ამ კითხვებზე პასუხის გაცემა არა რაიმე იდეების დონეზე, არამედ ფასეული და პრაქტიკასთან გონივრული კავშირის საფუძველზე, უპირველესად, გამოწვევებზე პასუხით, რომელსაც მთელ მსოფლიოს უგზავნის გლობალიზაციის პროცესი. მხოლოდ ამგვარად არის შესაძლებელი გლობალურ ეკონომიკაში შეღწევა, მისი მიღწევების გამოყენება ქვეყნის სასიკეთოდ და არასასურველი, ზოგჯერ კი სახიფათო შედეგების თავიდან აცილება.

უპირველესად, გლობალიზაციის მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს ეროვნული ეკონომიკის სტაბილური ზრდის, სოციალური განვითარებისა და ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესების აუცილებლობა. მასთან არის დაკავშირებული ადამიანის ცხოვრების ისეთი ფუნდამენტური საკითხები, როგორებიცაა გაფართოებული კვლავწარმოება და წარმოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფა, ადამინთა ცხოვრებისა და შრომის პირობების გაუმჯობესება, სიმდიდრის დაგროვება, ჯანსაღი ეკოლოგიური გარემოს ფორმირება, მართვის ხარისხის გაუმჯობესება, როგორც ბიზნესის, ასევე სახელმწიფო და სამოქალაქო სერქტორში.

გლობალური ეკონომიკის პირობებში ეკონომიკური ზრდის შეფერხება, პერიოდულად, ეკონომიკური კრიზისებით არის გამოწვეული. 2015 წელს მსოფლიოში არასახარბიელოდ გამოიყურებოდა ეკონომიკის ზრდის ტემპი, რაც მსხვილი ქვეყნების უკუსვლით იყო განპირობებული. მაგალითად, ევროპასა და ცენტრალურ აზიაში ეკონომიკური ზრდა 2015 წელს 2,1 %-მდე შემცირდა, თუმცა ანალოგიური მაჩვენებელი სახარბიელო არც 2014 წელს ყოფილა და ის 2,3 %-ს შეადგენდა. ძირითად მიზეზებად ნავთობის ფასის მკვეთრი შემცირება, უკრაინის კრიზისი და ამ კრიზისის გამო რუსეთისთვის დაწესებული ეკონომიკური სანქციები სახელდებოდა. მსოფლიო ბანკის ექსპერტების ვარაუდით, გლობალური ეკონომიკის ზრდის მიმართულებით 2016 წელს მხოლოდ მცირედი წინსვლაა მოსალოდნელი. [მსოფლიოს...]

აღსანიშნავია, რომ 2015 წელი არასახარბიელო გამოდგა ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური ზრდის თვალსაზრისითაც. 2014 წლის 4,6 %-იანი ზრდის შემდეგ, 2015 წელს აღნიშნული მაჩვენებელი მნიშვნელოვანი ვარდნის ტენდენციით გამოირჩეოდა და 2,8 % შეადგენდა. ამის მთავარი მიზეზი ლარის დევალვაცია იყო. საერთაშორისო დონეზე დოლარის გამყარებამაც იქონია უარყოფითი გავლენა ჩვენი ქვეყნის ეკონომიკაზე. აქ ვგულისხმობთ იმას, რომ იურიდიული პირების ნაწილს დოლარში ჰქონდა ვალდებულებები და მათ გაუძვირდათ ამ ვალდებულებების მომსახურება. ბუნებრივია, ასეთმა მდგომარეობამ მათ ბიზნესს ზიანი მიაყენა და თუკი ბიზნესს ზიანი მიადგება, ეს, საერთო ჯამში, უარყოფითად აისახება ქვეყნის ეკონომიკაზე. მიუხედავად დაბალი ეკონომიკური ზრდისა და სხვა ნეგატიური პროცესებისა, რომელიც აღინიშნებოდა ქვეყნის ეკონომიკაში, რომ არა ლარის მნიშვნელოვანი გაუფასურება, მისი შედეგები არ იქნებოდა ასე საგრძნობი.

გლობალიზაციის პირობებში ჩვენი ქვეყნისთვის მთავარ გამოწვევად რჩება უმუშევრობისა და მასთან დაკავშირებული სიღარიბის და სოციალური უთანასწორობის პრობლემა. სამუშაო ადგილების შექმნისთვის უდიდესი როლი ენიჭება მთავრობის მხრიდან ბიზნესის განვითარების წახალისებას, რაც თავის მხრივ გულისხმობს სხვადასხვა დარგების და ინფრასტრუქტურის განვითარებას.

უმუშევრობა ნებისმიერი ქვეყნის მოსახლეობას მძიმე ტვირთად აწვება და ეკონომიკური, ფსიქოლოგიური თუ სოციალური ხარჯების ზრდაში გამოიხატება. უმუშევარი ადამიანი - ეს არის სამუშაო ძალა, რომლის რაციონალურად გამოყენების შემთხვევაში შესაძლებელი იქნებოდა დამატებითი პროდუქციის წარმოება. განვითარებულ ქვეყნებში სახელმწიფოს უწევს უმუშევრებისთვის კომპენსაციის გადახდა, რაც მას კიდევ უფრო მძიმე ტვირთად აწვება. ჩვენს ქვეყანაში - ეს ასე არ არის. უმუშევრები არანაირ კომპენსაციას სახელმწიფოსგან არ იღებენ. ამიტომაც უმუშევრობის ტვირთი მხოლოდ უმუშევრებს აწვებათ. დროთა განმავლობაში ხდება უმუშევრების კომპეტენციის, უნარ-ჩვევების და გამოცდილების დაქვეითება, რაც, თავის მხრივ, მათ სამუშაოსადმი მოტივაციას უკარგავს, ამას კი უმუშევრობის ფსიქოლოგიური ხარჯების ზრდისკენ მივყავართ. აქ იგულისხმება იმ სტრესულ სიტუაციაში ყოფნა, რომელსაც უმუშევარი ადამიანები და მათი ოჯახები

ეკონომიკური კრიზისის დროს მწვავედ განიცდიან. სწორედ რომ მოსახლეობის სტრესული მდგომარეობა განაპირობებს ეკონომიკური კრიზისის პირობებში სხვადასხვა სახის დანაშაულისა და სოციალური პრობლემების ზრდას ქვეყანაში. ეს პრობლემები კი ისევ სახელმწიფოს აწვება მძიმე ტვირთად, ვინაიდან აღნიშნულ პრობლემებთან გამკლავება კვლავ დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული.

საქართველოში ამერიკის ნაციონალური დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) მიერ სოციოლოგიური კვლევის ფარგლებში ჩატარებული გამოკითხვის შედეგად გაირკვა, რომ რესპონდენტთა დიდი ნაწილი „ყველაზე მნიშვნელოვან ეროვნულ საკითხებად“ სამუშაო ადგილებს, ინფლაციასა და სიღარიბეს მიიჩნევს. ის, რომ სამუშაო ადგილები ყველაზე მნიშვნელოვანი ეროვნული საკითხია საქართველოში, გამოკითხულთა 66 % -მა დაასახელა, ფასების ზრდა/ინფლაცია 43 % –მა, სიღარიბე კი 39% –მა. ტერიტორიული მთლიანობის საკითხი მეოთხე ადგილზე აღმოჩნდა 27 % მაჩვენებლით. პენსიები მნიშვნელოვანია გამოკითხულთა 21% –თვის, ხელფასები - 17%–თვის, ხელმისაწვდომი ჯანდაცვა – 17 %-თვის, რუსეთთან ურთიერთობა კი - 12%–თვის. ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც ტერიტორიული მთლიანობა ეროვნული საკითხების ჩამონათვალში პირველ სამეულში არ მოხვდა. [სამუშაო...]

უმუშევრობის დონის შემცირებისათვის და ეკონომიკის სტიმულირებისათვის, სახელმწიფომ დასაქმებაზე ორიენტირებული პროექტები უნდა განახორციელოს, სამუშაო ადგილების შექმნისთვის უდიდესი როლი ენიჭება მთავრობის მხრიდან ბიზნესის განვითარების წახალისებას, რაც თავის მხრივ გულისხმობს სხვადასხვა დარგების და ინფრასტრუქტურის განვითარებას. ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებით გაუმჯობესდება ბიზნესგარემოც და შეიქმნება დამატებითი სამუშაო ადგილები. ასევე, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, სახელმწიფო სახრსების ეკონომიკაში ინვესტირებით, მოხდება ბაზარზე მოთხოვნის სტიმულირება, რაც ბუნებრივად გააჩენს ახალ ბიზნეს-შესაძლებლობებს და შემქნის დამატებითი კერძო ინვესტიციების მოზიდვის შესაძლებლობას.

გლობალიზაციის გამოწვევაა, აგრეთვე, სახელმწიფოთა შორის საგარეო ეკონომიკური კავშირების გაფართოება. საქართველოსათვის მნიშვნელოვანია

რეგიონის ქვეყნებთან ურთიერთობების განვითარება და განმტკიცება, რაც ხელს შეუწყობს რეგიონში ურთიერთდაინტერესებაზე დამყარებული პოლიტიკური თანამშრომლობის გაუმჯობესებას, უსაფრთხოებისა და სტაბილურობის გამყარებას, ასევე სატრანსპორტო, ენერგეტიკულ და სავაჭრო-ეკონომიკურ სფეროებში ურთიერთობების გაღრმავებას. ასეთ ურთიერთობებს ეფექტიანობის საკმაოდ დიდი პოტენციალი გააჩნია. მაგალითად, ექსპორტისა და იმპორტის წილის ზრდას მშპ-ში მოჰყვება ქვეყნის ეკონომიკის ეფექტიანობის ამაღლება. აღნიშნული მაჩვენებელის მიხედვით ქვეყნები ერთმანეთისაგან მნიშვნელოვნად განსხვავდებიან.

საერთაშორისო ეკონომიკური კავშირები XXI საუკუნეში წარმოადგენს მრავალდონიან ურთიერთობათა სისტემას, რომელსაც საფუძვლად უდევს საერთაშორისო მოლაპარაკებები და შეთანხმებები. ქვეყნებსა და რეგიონებს შორის საერთაშორისო ეკონომიკური კავშირების არარსებობა მიუთითებს მათი ეკონომიკების არაკონკურენტუნარიანობაზე და პირიქით. ამ მიმართულებით საქართველომ გადადგა ძალიან მნიშვნელოვანი ნაბიჯები. ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება (DCFTA), რომელიც ამოქმედდა 2014 წლიდან, საქართველოს გაუხსნის გზას ევროკავშირის შიდა ბაზარზე და ხელს შეუწყობს ქვეყანაში ხელსაყრელი ბიზნესგარემოს შექმნას და ინვესტორთა დაინტერესებას. აღნიშნული შეთანხმება წარმოადგენს ევროკავშირთან ეკონომიკური ინტეგრაციის რეალურ შესაძლებლობას.

საგარეო ვაჭრობის მოცულობის გაზრდა და უარყოფითი სავაჭრო ბალანსის შემცირება იყო და ისევ რჩება საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთ უმთავრეს გამოწვევად. ამ გამოწვევაზე საპასუხოდ საქართველოს მთავრობამ განახორციელა სატარიფო პოლიტიკისა და ტექნიკური რეგულირების სფეროს რეფორმა, რის შედეგადაც დღეისათვის ჩვენს ქვეყანას გააჩნია მსოფლიოში ერთ-ერთი ლიბერალური საგარეო სავაჭრო პოლიტიკა, მაგრამ, მიუხედავად გადადგმული ნაბიჯებისა, საქართველოს საგარეო-სავაჭრო ურთიერთობები მთელი რიგი პრობლემებით ხასიათდება. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით 2015 წელს საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვამ 9 933 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის მაჩვენებელზე 13 %-ით ნაკლებია. ექსპორტი

შემცირდა 23 %-ით და 2 204 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც 2011 წლის შემდეგ ყველაზე დაბალ მაჩვენებელს წარმოადგენს. იმპორტი შემცირდა 10 %-ით და 7 729 მლნ. აშშ დოლარით განისაზღვრა. უარყოფითმა სავაჭრო ბალანსმა შეადგინა -5 525 მლნ. აშშ დოლარი და სავაჭრო ბრუნვის 56%. ამ დინამიკის ძირითადი განმსაზღვრელი ფაქტორი ლარის კურსზე წლის განმავლობაში დაფიქსირებული ზეწოლა იყო. მიმდინარე წელს, საგადამხდელო ბალანსის თითქმის ყველა მუხლში კლების ტენდენცია დაფიქსირდა. ფულადი გზავნილები, რომელიც ქვეყანაში ვალუტის ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს, 29%-ით შემცირდა. ამდენად, იმპორტის შემცირებაზე ლარის კურსის გაუფასურებამ უაღრესად დიდი გავლენა იქონია, რამაც უცხოური პროდუქცია ჩვენი მოსახლეობისთვის გააძვირა და იმპორტზე მოთხოვნაც მნიშვნელოვნად შეამცირა.

მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება ასევე აგრარული ბიზნესის განვითარება. ამ სექტორში დასაქმებულია ქვეყნის შრომისუნარიანი მოსახლეობის ნახევარზე მეტი. თუმცა, შექმნილი დამატებული ღირებულება, პროდუქტიულობა და მომგებიანობის დაბალი დონე ხელს უშლის დარგის კონკურენტუნარიანობის ზრდას, როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო ბაზრებზე. სოფლის მეურნეობის განვითარების დაბალი დონე სოფლად სიღარიბის მასშტაბებსა და სიმწვავეში აისახება. შესაბამისად, სოფლის მეურნეობის განვითარების პრიორიტეტულობა სოციალური პრობლემების აღმოფხვრასთან ერთად ხელს შეუწყობს ეკონომიკის განვითარებას, რაც ასევე აისახება მომიჯნავე დარგების კონკურენტუნარიანობაზე.

ასევე მნიშვნელოვანი გამოწვევაა ლოგისტიკური ინფრაქტრუქტურის განვითარება, რაც საქართველოს პერსპექტიული დარგების: სოფლის მეურნეობის, ვაჭრობისა და ტურიზმის აღორძინებისთვის უმთავრესი პირობაა. საქართველო მისი ხელსაყრელი გეოგრაფიული ადგილმდებარეობით, წარმოადგენს კავკასიისა და ცენტრალური აზიის ბუნებრივ ლოგისტიკურ ჰაბს. თუმცა განუვითარებელი ინფრასტრუქტურა და სატრანსპორტო სისტემის დაბალი კონკურენტუნარიანობა მას არ აძლევს საშუალებას გამოიყენოს აღნიშნული პოტენციალი სრულყოფილად. არსებული სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ერთ-ერთი მთავარი პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ მას არ გააჩნია ქსელური ეფექტი. ტრანსპორტის სხვადასხვა

სახეობების დამაკავშირებელი ინფრასტრუქტურის დეფიციტის გამო არ ხდება სინერგიების ათვისება სატრანსპორტო გადაზიდვებსა და ლოგისტიკაში. საჭიროა სატრანსპორტო და ლოგისტიკური ინფრასტრუქტურის სისტემური განვითარება, რაც კონკურენტუნარიანს გახდის საქართველოზე გამავალ სატრანსპორტო კორიდორს და შესძენს ქვეყანას ეფექტური სატრანსპორტო დერეფნის იმიჯს. [დობორჯგინიძე...]

გლობალიზაციის პროცესის მნიშვნელოვანი გამოწვეაა სპეციალიზაციის გაღრმავება და ქვეყნის ეკონომიკის დივერსიფიციკაცია. დივერსიფიცირებული ეკონომიკა საქონლისა და მომსახურების ასორტიმენტის გამრავალფეროვნების, დარგობრივი სტრუქტურების კრიზისის დაძლევის საშუალებას იძლევა. ერთ-ერთი მიზეზი, რომელიც აფერხებს რეალური წარმოების და მომსახურების სფეროს დივერსიფიკაციას, არის ქვეყნის რეგიონებისა და დარგების განვითარების სტრატეგიების არასრულყოფილება. ქვეყნის ეკონომიკური ინტერესები უნდა გაერთიანდეს ეკონომიკის დივერსიფიკაციისა და იმპორტის ჩანაცვლების პრობლემების და შრომის საერთაშორისო დანაწილების პროგრამების გამოყენების ირგვლივ.

გლობალიზაციის მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს ინვესტიციების მოცულობის ზრდა, როგორც ადამიანური რესურსების განვითარებაში, ასევე ძირითადი კაპიტალის, სოციალური ინფრასტრუქტურის სფეროში და მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის ამაღლებაში.

ბოლო ათწლეულში საქართველოს ეკონომიკის ზრდა ძირითადად განპირობებული იყო პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობის ზრდით, გაზრდილი საგარეო ვალებით და მიგრანტების გზავნილების დიდი მოცულობებით. აღნიშნულ ფაქტორებს ემატებოდა საბანკო დაკრედიტების მკვეთრი ზრდა, ამ ყოველივეს შედეგად კი ქვეყანაში ადგილი ქონდა შიდა მოთხოვნის ზრდას რაც მეტწილად იმპორტის გაზრდის შედეგად კმაყოფილდებოდა. მოცემულ პერიოდში ადგილი ქონდა ეკონომიკის არაადეკვატურ ზრდას. არ მოხდა ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების თანმდევი ახალი

და მაღალტექნოლოგიური დარგების განვითარება, რამაც მნიშვნელოვან წილად შეაფერხა ქვეყნის ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ამაღლება.

საქართველოსთვის მიზანშეწონილია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დაბანდება ისეთ დარგებში, რომლებიც საექსპორტო პროდუქციის ფართომასშტაბიან წარმოებაზე იქნება ორიენტირებული და შესაძლებელი იქნება ქვეყნის ფარგლებს გარეთ მისი მომგებიანი რეალიზაცია. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დაბანდება პრიორიტეტულ დარგებში ხელს შეუწყობს ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ამაღლებას და ეკონომიკურ ზრდას.

ეკონომიკის ეფექტიანობა მნიშვნელოვნადაა დამოკიდებულია კაპიტალის ეფექტურ დაბანდებასთან მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებაში. ამ მიმართულებით გაწეული ეკონომია გულისხმობს საზოგადოების ეფექტიანობის საგრძნობლად დაქვეითებას და მსოფლიო ეკონომიკაში ინტეგრაციის გართულებას.

არანაკლებ რთულ პრობლემას ბიზნესისათვის გლობალურ ეკონომიკაში წარმოადგენს ძირითად კაპიტალში ინვესტიციების ზრდისა და მისი გამოყენების ეფექტიანობის საკითხები. ინოვაციური ტენოლოგიების დანერგვა ყოველთვის აისახება წარმოებული პროდუქციის ხარისხობრივ პარამეტრებზე, რაც ზრდის მის კონკურენტუნარიანობას. ამდენად, ინცესტიციების გარეშე, განსაკუთრებით ახალ, ინოვაციური ტიპის ძირითად კაპიტალში, წარმოუდგენელია საზოგადოებრივი კვლავწარმოების საკითხის წარმატებით გადაწყვეტა. ეკონომიკაში საჭიროა ისეთი ინსტიტუციონალური ურთიერთობების დამყარება, რაც ხელს შეუწყობს არა მხოლოდ უცხოური, არამედ ადგილობრივი კაპიტალის მოზიდვასაც.

თანამედროვე პირობებში ინოვაციური ტიპის განვითარებაზე უარის თქმა და ამ მხრივ ჩამორჩენა, საფრთხის მომტანია ეროვნული ეკონომიკისთვის. ინოვაციური განვითარების, მენციერების ინტეგრირების, წარმოებისა და მომსახურების ხარისხის მხრივ, ჩვენ საკმაოდ ჩამოვრჩებით განვითარებულ ქვეყნებს თანამედროვე ტექნოლოგიების, მენეჯმენტის ხარისხის და თანამშრომელთა მოტივირებულობის დონით. ამ მიმართულებით პროგრესი გულისხმობს მნიშვნელოვან წინსვლას სოციალურ-ეკონომიკური მეცნიერებისა და ინსტიტუციონალურ დონეზე, მათი მიღწევების პრაქტიკაში გამოყენებას, საზოგადოების განვითარების ოპტიმალური

სოციალურ-ეკონომიკური მოდელების ფორმირებისთვის. ჩვენი აზრით, ისინი უნდა ემყარებოდნენ საღ აზროვნებას, რეალურ სინამდვილეს, რეალურ მიზნებსა და ამოცანებს, გამოკვლევებსა და გადაწყვეტილებებს, რომლებიც აისახება როგორც სამოქალაქო საზოგადოებისა და ბიზნესის, ისე ცალკეული ადამიანისა და მსოფლიოს ინტერესებში. გლობალიზაციის აღნიშნული გამოწვევები მნიშვნელოვანია ქვეყნის დონეზე, თუმცა შესაძლებელია კიდევ რამდენიმე მათგანის გამოყოფა.

სქემა № 5

მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის ძირითადი გამოწვევები ქვეყნის დონეზე

მსოფლიოს ეკონომიკის გლობალიზაციის ძირითადი გამოწვევები ქვეყნის დონეზე	ეკონომიკური და სოციალური ზრდის, გარემოს დაცვითი ღონისძიებების გაუჯობესებისა და ცხოვრების ხარისხის ამაღლების, ბუნებრივ დონემდე მოსახლეობის დასაქმების ზრდის აუცილებლობას.
	ეკონომიკის ყველა სუბიექტს უწევს რესურსებისთვის, მომხმარებლებისთვის, ინოვაციებისთვის, მაღალკვალიფიციური მენეჯერების მოზიდვისთვის გლობალური კონკურენციის პირობებში მოქმედება.
	მოითხოვს შრომის საერთაშორისო დანაწილების მსხვილმასშტაბიან გამოყენებას. ეკონომიკის დივერსიფიკაციას, უსაფრთხოების ყველა სახის უზრუნველყოფას.
	მოითხოვს ყველა სახის რესურსების კვლავწარმოების პირობების გაუმჯობესებას, განსაკუთრებით მეჯენმენტის ხარისხის ამაღლებას, თანამშრომლების, მენეჯერების და მფლობელების სტიმულირებისა და მოტივაციის ეფექტური ფორმების საფუძველზე.
	მოითხოვს კაპიტალის ინვესტირების აქტიური ფორმების გამოყენებას, ინოვაციურ პროგრესს, მეცნიერების, განათლებისა და წარმოების ინტეგრირების საფუძველზე.
	მოითხოვს პროდუქციისა და მომსახურების ხარისხის ნორმების, ადამიანური რესურსების, ტექნოლოგიებისა და წარმოების პირობების გლობალური სტანდარტების გამოყენებას.
	მოითხოვს ეკონომიკის ყველა დონის და ფაქტორების საინვესტიციო-საინოვაციო მიმზიდველობის ფორმირებას, მაკრო ეკონომიკის ოპტიმიზების საფუძველზე.
	საჭიროებს ყველა ფორმის სოციალურ-ეკონომიკური სირთულეების (მონოპოლიზმი, კორუფცია, ბიუროკრატიზმი ფორმალიზმი) გადალახვას, რომელიც აფერხებს ეკონომიკის განვითარებას.

წყარო“ შედგენილია ავტორის მიერ

გლობალიზაციის მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს გლობალური კონკურენციის, აგრეთვე, ქვეყნის, დარგის, საქონლისა თუ წარმოების ფაქტორების

კონკურენტუნარიანობის ფორმირება. მსოფლიო ბაზრის შესწავლა და მოთხოვნის განსაზღვრა, (მათ შორის პერსპექტიულის) და საკუთარი კონკურენტული უპირატესობების ფორმირება - წარმოდგენს უმთავრეს პირობას აღნიშნულ გამოწვევაზე საპასუხოდ.

მრავალი გამოკვლევის შედეგი ცხადყოფს, რომ საქართველოს ეკონომიკის კონკურენტული უპირატესობების ფორმირებისათვის მნიშვნელოვანია უახლესი ტექნოლოგიბის გამოყენებაზე გადასვლა, ძლიერი მატერიალური და მორალური მოტივაციის შექმნა, ყველა დარგში კონკურენტუნარიანობის ამაღლებისათვის გამოცდილების დაგროვება. ამ მიზნების მიღწევის სირთულე ხშირად გამოწვეულია მათი გადაწყვეტისათვის ჩვენეული მენეჯმენტის არასაკმარისი დონით, წარმოების მეცნიერებასთან სუსტი კავშირით, არაოპტიმალური ინვესტიციებით ადამიანურ რესურსებში, განსაკუთრებით - კომპეტენციების ამაღლებაში, უახლეს ტექნოლოგიების დანერგვაში, ინფრასტრუქტურის განვითარებაში.

ინფრასტრუქტურის განვითარება საქართველოს ეკონომიკისათვის წარმოადგენს ერთ-ერთ მთავარ ამოცანას, რომელზეც უნდა დაფუძნდეს ყველა სხვა ეკონომიკური ღონისძიებებიდან მიღწეული წარმატებები. ინფრასტრუქტურა წარმოადგენს ბაზისს, რომელიც გამოიწვევს ქვეყნის ეკონომიკური მიმზიდველობის ამაღლებას, საქართველოს უკეთეს შიდა, რეგიონულ და საერთაშორისო ინტეგრაციას, საცხოვრებელი და საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებას. თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი ინფრასტრუქტურა ქვეყნის პრიორიტეტული დარგების - ტურიზმი, ტრანსპორტი, სოფლის მეურნეობა, ვაჭრობა, მრეწველობა, ენერგეტიკა - განვითარებისა და კონკურენტუნარიანობის ზრდის საშუალებაა. [საქართველოს...]

მიუხედავად აღნიშნული გამოწვევებისა, გლობალიზაციას აქვს პოტენცილი ქვეყნის ეკონომიკას მოუტანოს სარგებელი. მთავარია ეფექტურად გამოვიყენოთ ის უპირატესობები, რაც საქართელოს ბუნებისგან აქვს ბოძებული: კარგი ბუნებრივ-კლიმატური პირობები, უნიკალურ გეოპოლიტიკურ და გეოგრაფიულ პოტენციალი. საქართველოს ტრანზიტული, ენერგეტიკული, ტურისტული, სასოფლო სამეურნეო პოტენციალის სრულფასოვნად ათვისება განაპირობებს ახალი სამუშაო ადგილების

შექმნას, დოვლათის ზრდას, მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებას და მდგრად ეკონომიკურ განვითარებას.

ამდენად, გლობალიზაციის პირობებში ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისათვის და ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობისათვის საჭიროა ისეთი ღონისძიებების განხორციელება, როგორებიცაა:

- ქვეყნის გეოპოლიტიკური, გეოგრაფიული, ბუნებრივ-კლიმატური და რესურსული პოტენციალის ეფექტურად გამოყენება, რამდენადაც ისინი წამოადგენენ ეროვნული ეკონომიკის შემდგომი განვითაების საყრდენს;
- ეკონომიკური ინტეგრაციის შესაძლევლობების გამოყენება და მსოფლიო ბაზარზე პოზიციების გაფართოება, მარკეტინგული ანალიზის გათვალისწინებით;
- პრიორიტეტული დარგების განვითარება, რაც შესაძლებლობას მისცემს ქვეყანას მოიპოვოს კონკურენტუნარიანი უპირატესობა შრომის საერთაშორისო ბაზარზე;
- ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში ინოვაციურობის მდგენელის გაძლიერება;
- მეცნიერებატევად პროდუქციაზე მოთხოვნის შესწავლა და მისი წარმოების გამართვა;
- სახელმწიფოს (როგორც ბაზრის სუბიექტი) მხრიდან ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების გამაძლიერებელი პოლიტიკის აქტივიზება.

მაკროეკონომიკური სტაბილურობა წარმოადგენს ეკონომიკური განვითარების საფუძველს. გონივრული ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა უნდა იყოს მიმართული სტაბილური მაკროეკონომიკური გარემოს შენარჩუნებაზე, რაც უზრუნველყოფს ქვეყნის ეკონომიკის მიმართ ნდობის ამაღლებას. აღნიშნული აისახება მოკლევადიან და გრძელვადიან ბიზნეს-გადაწყვეტილებებში, საბოლოოდ კი - დასაქმებასა და ეკონომიკურ ზრდაში.

მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის მომავალს ვხედავთ საზოგადოების ცხოვრების ყველა სფეროს გლობალიზაციაში, ყველა ფაქტორის, საზოგადოების ყველა ფენის, საქმიანობის შედეგების, კვლავწარმოების პროპორციების, საინოვაციო

და საინვესტიციო პროცესების და ინტელექტუალური კაპიტალის განვითარებაში, ადამიანთა ქცევისა და ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებაში. ამავდროულად, ვლინდება გლობალური ეკონომიკის ახალი დამახასიათებელი ნიშნები და მისი ახალი გამოწვევები საზოგადოებრივი კვლავწარმოების სხვადსხვა დონეზე (ქვეყნის, დარგის, ცალკეული ფირმისა თუ ადამიანის). შეიძლება ითქვას, რომ მსოფლიოში მიმდინარეობს არა მხოლოდ ეკონომიკური ზრდის გლობალიზაციის პროცესები, არამედ, ეკონომიკური კრიზისებისაც. აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ქვეყანას აუცილებლად უნდა გააჩნდეს ეკონომიკური განვითარების დაჩქარებისათვის გლობალური ეკონომიკური, სოციალური და ინტიტუციონალური ზემოქმედების მექანიზმები.

1.3. გლობალიზაციის გავლენა ქვეყნის კონკურენტუნარიანობაზე

ცალკეული ქვეყნის კონკურენტუნარიანობაზე გლობალიზაციის გავლენა ხასიათდება მისი ეკონომიკის ურთიერთდაკავშირებით მსოფლიო ეკონომიკასთან. სხვადასხვა ქვეყნის ეკონომიკის გლობალურ ეკონომიკაში ინტეგრირების ხარისხი განისაზღვრება რამდენიმე მნიშვნელოვანი მაჩვენებლით, რომელთა შორისაა: საგარეო სავაჭრო ბრუნვისა და მშპ-ის თანაფარდობა; პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა, რომლებიც მიემართება ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნიდან, პორტფელური ინვესტიციები; ტექნოლოგიების გადაცემასთან დაკავშირებული როიალტის გადახდების ნაკადები ქვეყანაში და ა.შ.

თანამედროვე საქართველოს წინაშე მდგომ პრობლემებს შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანია ქვეყნის გლობალური კონკურენტუნარიანობა, რადგანაც მის გარეშე შეუძლებელია გლობალიზაციის პროცესებში აქტიური მონაწილეობა. [უშანგი სამადაშვილი. 2010. #13.]

კონკურენტუნარიანობის თვალსაზრისით, გლობალიზაციის პროცესში მონაწილეობით ყველაზე მეტად მოგებულნი არიან მრეწველურად განვითარებული

ქვეყნები. წარმოების დანახარჯების შემცირების საფუძველზე, ისინი მთელ ძალისხმევას მიმართავენ უფრო შემოსავლიან, მაღალი დამატებული ღირებულების და მეცნიერებატევადი პროდუქციის წარმოებაზე, ხოლო შრომატევადი და ტექნოლოგიურად ბინძური წარმოება გადააქვთ განვითარებად ქვეყნებში. თუმცა, მრეწველურად განვითარებული ქვეყნებიც შეიძლება დაზარალდნენ გლობალიზაცის პროცესებისგან - იმ შემთხვევაში, თუ ისინი ვერ დაძლევენ გლობალიზაციის გამოწვევებს, შესაძლოა გაიზარდოს უმუშევრობის დონე და საფინანსო ბაზრის არასტაბილურობა და ა.შ.

აღსანიშნავია, რომ გლობალიზაციის პროცესით განპირობებული კონკურენტული უპირატესობების არათანაბრად გადანაწილება შეიმჩნევა არა მხოლოდ ქვეყნების, არამედ, ცალკეული დარგების ჭრილშიც. დარგები, რომლებიც იღებენ სარგებელს საგარეო ვაჭრობისგან, განიცდიან კაპიტალისა და კვალიფიციური სამუშაო ძალის მოზღვავებას და გაცილებით უფრო მეტად არიან მოგებულნი გლობალიზაციის პროცესისგან, ვიდრე დანარჩენი დარგები, რომლებიც არასახარბიელო მდგომარეოაში აღმოჩნდნენ და თანდათანობით კარგავენ თავიანთ კონკურენტუნარიანობას ბაზრის გახსნილობის პირობებში. ასეთი დარგები იძულებულნი არიან გასწიონ დამატებითი ძალისხმევა, მათთვის არასახარბიელო სამეურნეო პირობებთან შეგუებისთვის. აქ შეიმჩნევა როგორც კაპიტალის, ისე კვალიფიციური სამუშაო ძალის გადინება.

კონკურენტუნარიან ეკონომიკას ძალუძს მსოფლიო ეკონომიკაში მაქსიმალურად ეფექტურად ინტეგრირება, გარე გარემოს დინამიურად ცვალებად ფაქტორებზე უფრო აქტიურად რეაგირება, შიდა გარემოს ადაპტირება მსოფლიო მეურნეობრიობის სტანდარტებთან, ეკოლოგიურად სუფთა და კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოება, რომელზეც არსებობს მოთხოვნა მსოფლიო ბაზარზე და რომელიც გავლენას ახდენს მომხმარებელთა გემოვნებაზე.

ამდენად, „კონკურენტუნარიანობა წარმოადგენს ქვეყნის შესაძლებლობას, აწარმოოს საერთაშორისო ბაზრების მოთხოვნის შესაბამისი საქონელი და მომსახურება, და, ამავე დროს სტაბილურად გაზარდოს მოსახლეობის რეალური შემოსავალი გრძელვადიან პერიოდში“. [ნამჩავაძე...2014]

ქვეყნის კონკურენტუნარიანობის გამყარება გლობალიზაციის პირობებში საჭიროებს მსოფლიო ეკონომიკაში მისი ინტეგრირების ხარისხობრივი მაჩვენებლების საკითხის სიღრმისეულად შესწავლას, რაც, თავის მხრივ, განისაზღვრება გლობალიზაციის პროცესის გავლენით ეროვნული ეკონომიკის ყველა სფეროზე.

გლობალიზაციას აქვს პოტენცილი ქვეყნის ეკონომიკას მოუტანოს სარგებელიც. მთავარია ეფექტურად გამოვიყენოთ ის უპირატესობები, რაც გაგვაჩნია. საქართველო მცირე ტერიტორიის ქვეყანაა, კარგი ბუნებრივ-კლიმატური პირობებით. ჩვენი ქვეყნის ულევი რესურსი მის უნიკალურ გეოპოლიტიკურ და გეოგრაფიულ პოტენციალშია. ტრანზიტული, ენერგეტიკული, ტურისტული, სასოფლო სამეურნეო პოტენციალის სრულფასოვნად ათვისება განაპირობებს ახალი სამუშაო ადგილების შექმნას, დოვლათის ზრდას, მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებას და მდგრად ეკონომიკურ განვითარებას.

საქართველოს თანამედროვე საგარეო ეკონომიკური მდგომარეობა იყო, არის და დარჩება კიდევაც მრავალი დისკუსიისა და მწვავე პოლემიკის საკითხი, როგორც სამთავრობო დონეზე, ასევე ყოველდღიურ ცხოვრებაში. ეს არცაა გასაკვირი, რადგან იგი არ კარგავს თავის აქტუალობას. ჩვენ ვცხოვრობთ დინამიურ, საბაზრო ეკონომიკის განვითარებისკენ მსწაფველ გარემოში, სადაც ფულად-სასაქონლო სუბიექტის წარმატება განისაზღვრება მისი კონკურენტუნარიანობით, მიუხედავად იმისა, ქვეყნის ეკონომიკა იქნება ის, ეკონომიკის ცალკეული დარგი თუ ბიზნეს ერთეული.

გლობალიზაციის სწრაფად განვითარებადი პროცესი გვკარნახობს თავის ხისტ პირობებს სიცოცხლიუნარიანობის შენარჩუნებისთვის, არსებობისათვის და დომინირებისათვის, რაც, თავის მხრივ, ცვლის კონკურენტული ბრძოლის მეთოდებსა და ფორმებს, აგრეთვე, ცალკეული საწარმოების, დარგების, ქვეყნებისა თუ რეგიონების კონკურენტუნარიანობის დონესაც.

ქვეყნის კონკურენტუნარიანობა დამოკიდებულია, უწინარეს ყოვლისა, იმაზე, თუ რამდენად ნაყოფიერად იყენებს იგი ეროვნულ ბუნებრივ, შრომით, მატერიალურ და ფინანსურ რესურსებს. [ევგენი ბარათაშვილი..., ბადრი გეჩბაია, ვლადიმერ ღლონტი. 2012. გვ 18].

დღეისათვის სხვადასხვა ლიტერატურაში ეროვნული ეკონომიკის

კონკურენტუნარიანობის ქვეშ, როგორც წესი იგულისხმება: [მ. პორტერი. 1998.]

1. ქვეყნის ეკონომიკური ზრდის მაღალი, საშუალოვადიან პერიოდში სტაბილური ტემპების მიღწევის უნარი;

2. წარმოების ფაქტორთა მწარმოებლურობა;

3. ქვეყანაში წარმოებული საქონლის და, შესაბამისად, მწარმოებლების უნარი კონკურენცია გაუწიონ სხვა ქვეყნებში წარმოებულ ანალოგებს მსოფლიოს სხვადასხვა (მ.შ. შიდა) ბაზრებზე.

ეროვნული ეკონომიკის კონკურენტუნარიანობა ეკონომიკური განვითარებისა და პოლიტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი „საყრდენია“, რამეთუ იგი გარდა წმინდა ეკონომიკური გადაწყვეტილებებისა, მოიცავს არაეკონომიკურ ფაქტორებსაც, რომლებიც უზარმაზარ გავლენას ახდენენ ეროვნული ეკონომიკის განვითარებაზე.

ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის არაეკონომიკურ ფაქტორებს შესაძლოა მივაკუთვნოთ: პოლიტიკური პროცესები; საზოგადოების ჩართულობა სახელმწიფოს მართვის მნიშვნელოვან საკითხებში; განათლების დონე; სამეცნიერო ბაზა; კანონის უზენაესობა; კულტურა; ინფორმაციის წვდომადობა; შესაბამისი ინფრასტრუქტურის არსებობა; შესაძლოა გარკვეული დათქმებით დავასკვნათ, რომ ეროვნული ეკონომიკის კონკურენტუნარიანობა სხვა არაფერია, თუ არა სახელმწიფოს მხრიდან ბიზნესისათვის ისეთი გარემოს შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს ქვეყანაში ფუნქციონირებადი ფირმების მიერ კონკურენტუნარიანი საქონლის წარმოება.

ქვეყნის კონკურენტუნარიანობა - ეს არის შემაჯამებელი შეფარდებითი მაჩვენებელი, რომელიც ასახავს წარმოების, საქონლისა და მომსახურების განაწილების და რეალიზების ეფექტიანობის დონეს, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ, საკუთარი ეკონომიკური პოტენციალის და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონის ამაღლების მიზნით. წარმოდგენილი განმარტებიდან გამომდინარეობს, რომ ქვეყნის კონკურენტუნქარიანობის შინაარსში იგულისხმება ქვეყნის ეკონომიკის ცალკეული დარგების, კომპანიების და მათ მიერ წარმოებული პროდუქციის კონკურენტუნარიანობის განსაზღვრული დონე.

კონკურენტული უპირატესობების „მწარმოებლები“ არიან ქვეყნის ცალკეულ დარგებში მოქმედი კომპანიები, ამიტომაც მხოლოდ ამ უკანასკნელებს შეუძლიათ

მათი რეალიზება. სახელმწიფოს უშუალოდ არ შეუძლია თავად შეინარჩუნოს და განავითაროს შექმნილი კონკურენტული უპირატესობები, ვინაიდან ეს არის თვით კომპანიების საქმიანობის სფერო, მაგრამ სახელმწიფო გვევლინება კონკურენტული უპირატესობების „მატარებლად“, იმ თვალსაზრისით, რომ იგი ქმნის ხელსაყრელ, ბიზნესგარემოს კონკურენტული უპირატესობების ფორმირებისა და შენარჩუნებისათვის (მაკროდონე).

განზოგადებულ მაჩვენებელს, რომელიც აერთიანებს საქონლის, საქონელმწარმოებლის, დარგობრივ კონკურენტუნარიანობას და ახასიათებს ქვეყნის მდგომარეობას მსოფლიო ბაზარზე, წარმოადგენს „ქვეყნის კონკურენტუნარიანობის“ მაჩვენებელი. ზოგადი სახით, მისი განსაზღვრა შესაძლებელია, როგორც ქვეყნის უნარი, თავისუფალი კონკურენციის პირობებში აწარმოოს მსოფლიო ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი საქონელი და მომსახურება, რომელთა რეალიზება ზრდის ქვეყნის და მისი ცალკეული მოქალაქის კეთილდღეობას.

ეკონომიკის გლობალიზაციის პირობებში არსებითად იცვლება ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ფაქტორების ბუნება, მათი თანაფარდობა და ურთიერთკავშირი. აშკარაა, რომ ეკონომიკის შიდა სტრუქტურული ცვლილება აუცილებლად უნდა მიმდინარეობდეს არა ექსტენსიური ზრდის, არამედ, უპირველეს ყოვლისა, ხარისხობრივი (ინტენსიური) ცვლილებებით და ინოვაციური განვითარების საფუძველზე. გარკვეულწილად იგი დამოკიდებულია კაპიტალდაბანდებების მოცულობაზე, მათ ინოვაციურობაზე და ადამიანური კაპიტალის ხარისხზე, ინსტიტუციონალურ გარემოზე და ქვეყნის პოლიტიკაზე. ეს კონკურენტუნარიანობის ეგრეთწოდებული სტრუქტურული ფაქტორებია. ივარაუდება, რომ ეს ფაქტორები განსაზღვრავენ იმას, თუ რამდენად წარმატებულად უწევს ქვეყანა კონკურირენციას სხვა ქვეყნებს მსოფლიო ბაზარზე თავისი საბაზრო წილის მოსაპოვებლად ან ინვესტიციების მოსაზიდათ. ამ მიზნით, ეკონომიკურ კვლევებში ფართოდ გამოიყენებენ ქვეყნებსშორისი ძირითადი მაკროეკონომიკური ინდიკატორების შედარებითი ანალიზის ტექნოლოგიას, კერძოდ „competitiveness bench-marking” და “policy bench-marking”.

საერთასორისო პრაქტიკაში შემუშავებულია და მუდმივად იხვეწება

კონკურენტუნარიანობის მაჩვენებლებისა და რეიტინგების გაანგარიშების სხვადასხვა მეთოდები. ასეთი მეთოდიკები, როგორც წესი, მიმართულია კონკურენტუნარიანობის ფაქტორების (რომლებიც ფასდება სხვადასხვა მაჩვენებლებით) გამოყოფაზე და სისტემატიზებაზე. მსოფლიო მეურნეობრიობის სისტემაში ეროვნული ეკონომიკების კონკურენტუნარიანობის გაანალიზების ყველაზე ამომწურავი ყოველწლიური მაჩვენებელი წარმოდგენილია მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის (WEF) და მენეჯმენტის განვითარების საერთაშორისო ინსტიტუტის (IMD) მეთოდიკებში.

მეორე ორგანიზაცია - მენეჯმენტის განვითარების საერთაშორისო ინსტიტუტი (IMD), რომელიც აქვეყნებს „მსოფლიო კონკურენტუნარიანობის ანგარიშს“ (The World Competitiveness Yearbook), კონკურენტუნარიანობას განიხილავს, როგორც ქვეყნების უნარს შექმნან და შეინარჩუნონ ისეთი ბიზნესგარემო, რომელიც უზრუნველყოფს კომპანიების მიერ დამატებული ღირებულებების შექმნას, ქვეყნის მდგრად ეკონომიკურ განვითარებას და მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლებას. ამგვარად, ქვეყნები ერთმანეთს კონკურენციას უწევენ საუკეთესო პირობების შეთავაზებით ბიზნესის წარმოებისა და ცხოვრებისათვის. მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის რეიტინგისგან განსხვავებით, აღნიშნული რეიტინგი კონკურენტუნარიანობის განსაზღვრისას უფრო მეტად ეყრდნობა სტატისტიკურ მონაცემებს, რომლებიც ახასიათებენ ეკონომიკის მდგომარეობის სხვადასხვა ასპექტს, ვიდრე გამოკითხვის შედეგებს.

კონკურენტუნარიანობის ყოველი წარმოდგენილი ინდექსი თავის მხრივ, წარმოადგენს ერთგვარ მოდელს, რომელიც ითვალისწინებს სპეციფიური ფაქტორების ერთობლიობას, რომლებიც განსაზღვრავენ ეროვნული ეკონომიკის კონკურენტუნარიანობას. მაგრამ თუ მენეჯმენტის განვითარების საერთაშორისო ინსტიტუტის (IMD) მიერ გაანგარიშებული ინდექსი ავტორების მიერ განიხილება მხოლოდ და მხოლოდ ქვეყნის კონკურენტუნარიანობის კრებსითი ინდიკატორის სახით, მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის (WEF) ინდექსის პოზიციონირება ხდება სხვაგვარად. იგი განიხილება როგორც კონკურენტუნარიანობის მოდელი, რომლის დახმარებით შესაძლებელია საკვანძო ფაქტორების გამოვლენა, რომლებიც გავლენას

ახდენენ მწარმოებლურობაზე და ეკონომიკის განვითარების დინამიკაზე.

უდავოა, რომ ქვეყნის კონკურენტუნარიანობის მდგრადი განვითარების უზრუნველყოფის პროცესი და განსაზვრული მიზნებისა და სტატუსის მიღწევა საერთაშორისო ასპარეზზე, მისი შენარჩუნება და შემდგომი განვითარების პოტენციალის უზრუნველყოფა მოითხოვს დიდ კაპიტალდაბანდებებს და ძალისხმევას.

ჩვენი ქვეყნის საწარმოო ძალები არ გამოირჩევა მაღალტექნოლოგიურობით და როგორც შედეგი, სამრეწველო პროდუქცია არ ხასიათდება კონკურენტუნარიანობით. პერსპექტიული დარგების საექსპორტო პოტენციალი არ არის რეალიზებული, უპირატესობას ანიჭებენ ნედლეულის ექსპორტს, რაც წარმოადგენს ეკონომიკის ექსტენსიური განვითარების ფორმას, ეს არაეფექტურია. რაც შეეხება ბიზნესს, მიუხედავად სახელმწიფოს მხრიდან ბოლო პერიოდში ამ მიმართულებით მზარდ ყურადღებას და ხელშეწყობას, არსებულ სიტუაციაზე რეალური ზემოქმედების თვალსაზრისით, ეფექტი მაინც არასაკმარისია.

ასეთ სიტუაციაში დაუშვებელია ჩვენი მოკრძალებული ძალების და ქვეყნის რესურსების გაფანტვა საეჭვო პერსპექტივების მქონე მიმართულებებზე. საჭიროა ყურადღების გამახვილება პრიორიტეტულ დარგებზე, ანუ უნდა გამოკვეთოს კონკურენტუნარიანი დარგები და უფრო ეფექტურად იქნეს გამოყენებული ქვეყნის სატრანზიტო, ტურისტული, ენერგეტიკული, სასოფლო-სამეურნეო, სამრეწველო პოტენციალი, უფრო სრულყოფილად გამოვიყენოთ ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება.

ეროვნული ეკონომიკის კონკურენტუნარიანი დარგების შერჩევისას უნდა გავითვალისწინოთ ის გარემოება, რომ აღნიშნული დარგები გამოიყენებენ ადგილობრივ რესურსებს. ხოლო ლოკალური რესურსების ეფექტური გამოყენება კი გაზრდის არა მარტო მზა პროდუქციის წილს ექსპორტის მოცულობაში და უზრუნველყოფს ადგილობრივ ბაზარს საქონლითა და მომსახურებით, არამედ შექმნის დამატებით სამუშაო ადგილებს, გაზრდის შემოსავლებს და გააუმჯობესებს ქვეყნის საგადასახადო ბალანსის მდგომარეობას.

ვაჭრობა, ტრანსპორტი და ლოგისტიკა, ტურიზმი, სოფლის მეურნეობა, - ეს ის

დარგებია, რომელთა განვითარებაზეც მომგებიანად აისახება ქვეყნის სპეციფიკა, მისი გეოპოლიტიკური, გეოგრაფიული, ბუნებრივ-კლიმატური და რესურსული თავისებურებები.

შეუძლებელია ეკონომიკის განვითარება მხოლოდ რომელიმე ერთ დარგზე ორიენტირებით. ჩვენი აზრით, საჭიროა ამ საკითხისადმი კომპლექსური მიდგომა და იმ დარგების განვითარების ხელშეწყობა, რომლებიც, თავიანთი სპეციფიური თავისებურებებიდან გამომდინარე, პოტენციურად უზრუნველყოფენ საკუთარ კონკურენტუნარიანობას, რაც დადებითად აისახება ქვეყნის ეკონომიკაზე. კერძოდ:

- ტრანსპორტი - საქართველო იმ უძველეს სატრანსპორტო გზაჯვარედინზე მდებარეობს, რომელიც აკავშირებდა და აკავშირებს ჩრდილოეთისა და სამხრეთის, დასავლეთისა და აღმოასვლეთის ქვეყნებს. საქართელოზე გადიოდა ევროპა-აზიის დამაკავშირებელი სატრანსპორტო მაგისტრალი - ძველი აბრეშუმის გზა. [საქართველო...2012]

საქართველოს ხელსაყრელი გეოპოლიტიკური და გეოგრაფიული მდებარეობა - არსებითი კონკურენტული უპირატესობაა რაც, თავის მხრივ, გვკარნახობს თანამედროვე ინფრასტრუქტურის განვითარების აუცილებლობას, სატრანსპორტო არტერიების გასწვრივ სასაწყობე და ლოჯისტიკური კომპანიების ხელშეწყობას, საზღვაო - ლოჯისტიკური კლასტერების შექმნის შესაძლებლობას და სხვა;

- ლოგისტიკა საქართველოს ეკონომიკის განვითარებისთვის უმნიშვნელოვანეს ასპექტს წარმოადგენს. მისი წილი ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის 12 პროცენტს შეადგენს. ლოგისტიკის სექტორის განვითარება განაპირობებს საქართველოს ინტეგრაციას გლობალურ ლოგისტიკურ ქსელში და მის ეფექტურ დაკავშირებას მსოფლიოს წამყვან ბაზრებთან. განვითარებული ლოგისტიკა განაპირობებს მაღალი ხარისხის სერვისს, იაფ და ეფექტურ მიწოდების ქსელს, რაც კონკურენტუნარიანობის ამაღლების აუცილებელი პირობაა, როგორც მთლიანად საქართველოსთვის, ასევე ქვეყანაში მოქმედი წარმოებებისთვის. საქართველოს გეოპოლიტიკური ადგილმდებარეობიდან გამომდინარე გააჩნია რეალური შანსი გაატაროს და გადაამუშაოს დამატებითი ტვირთების ნაკადი, რაც განაპირობებს შემოსავლების ზრდას და გაუმჯობესებულ პირობებს წარმოებისა და ვაჭრობის განვითარებისთვის.

ლოგისტიკური ინფრაქტრუქტურის განვითარება, უმნიშვნელოვანესია საქართველოს ყველაზე პერსპექტიული დარგების აღორძინებისთვის, როგორიცაა სოფლის მეურნეობა, წარმოება, ვაჭრობა და ტურიზმი. მაგალითად, საქართველოში წარმოებული სოფლის მეურნეობის პროდუქტის დაახლოებით 50 პროცენტი ლპობას განიცდის, რაც განპირობებულია შესაბამისი სასაწყობო ინფრასტრუქტურის არ არსებობითა და ამ მიმართულებით ტექნოლოგიური ჩამორჩენით. თანამედროვე სოფლის მეურნეობის მიწოდების ჯაჭვის ფასწარმოქმნის 70-80% ლოგისტიკა წარმოადგენს. მისი ეფექტური მართვა განაპირობებს სოფლის მეურნეობის პროდუქციის ხარისხის ერთ-ერთი უმთავრეს განმსაზღვრელი ნიშანს საერთაშორისო ბაზარზე. [დობორჯგინიძე-ბ...2014]

ტურიზმი - ჩვენი ქვეყანა გამოიჩევა თავისი ბუნებრივ - კლიმატური პირობებით, მდიდარია უძველესი ისტორიულ-ეთნოგრაფიული ძეგლებით, ნაკრძალებით და მრავალი საინტერესო დესტინაციით, რომელიც იზიდავს ტურისტს. ტურიზმი დანარჩენ დარგებთან შედარებით, გამოირჩევა განვითარების მაღალი ტემპებით და გრძლვადიან პერსპექტივაში მისი ნამატი შესაძლებელია იყოს შთამბეჭდავი. ანუ ქვეყანას რეალურად გააჩნია მნიშვნელოვანი ტურისტული პოტენციალი და ფლობს გარკვეულ კონკურენტულ უპირატესობებს ამ კუთხით;

ამდენად, მიგვჩნია, რომ ეს არის ის საბაზისო დარგებია, რომლთა განვითარების საფუძველზე უნდა განვითარდეს სხვა დანარჩენი დარგები, კერძოდ: ვაჭრობა, სოფლის მეურნეობა, მრეწველობა და ა.შ.

ყოველი ქვეყნის კონკურენტუნარიანობის სტრუქტურა ძლიერ განსხვავებულია სხვა ქვეყნისაგან, რამდენადაც ვერც ერთი ქვეყანა ვერ იქნება კონკურენტუნარიანი ყველა დარგში. საბოლოო ჯამში ქვეყნები აღწევენ უპირატესობებს განსაზღვრულ დარგებში, სადაც შიდა პირობები გამოირჩევა დინამიურობითა და პერსპექტივებით.

ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ძირითად ხარისხობრივ მახასიათებლებს წარმოადგენს შიდა და გარე კონკურენტუნარიანობა. შიდა კონკურენტუნარიანობა აღიქმება, როგორც ეკონომიკის ეფექტურად ფუნქციონირების უზრუნველყოფა და

დამატებული ღირებულებების წარმოება, ხოლო გარე კონკურენტუნარიანობა აღიქმება, როგორც ინოვაციური პროდუქციის წარმოების შესაძლებლობა.

რესურსული უპირატესობების თეორიის თვალსაზრისით, ქვეყნის კონკურენტუნარიანობას განსაზღვრავს მისი რესურსების ყველა სახეობის სიდიდე და მათი გამოყენების ეფექტიანობა, მდგრადი კონკურენტული უპირატესობების ფორმირებისა და გამოყენებით, დინამიურად ცვალებად საბაზრო გარემოში. კონკურენტუნარიანობის ამგვარი გაორებული ბუნება საშუალებას გვაძევს გამოვყოთი მისი ორი სახე:

- შიდა კონკურეენტუნარიანობა, რომელიც გამოხატავს ქვეყნის რესურსული პოტენციალის ფორმირების, გამოყენების და კვლავწარმოების დონეს;

- გარე კონკურენტუნარიანობა, რომელიც გამოხატავს ქვეყნის ეკონომიკის უნარს გამოიყენოს რესურსული პოტენციალი, მისი სუბიექტების კომპეტენცია და უნარები, წინმსწრები კონკურენტული უპირატესობის შექნისათვის პერსპექტიულ ბაზრებზე;

ქვეყნის კონკურენტუნარიანობის, როგორც მეცნიერული კატეგორიის, მართვის ძირითადი არსი ვლინდება ისეთი შიდა ურთიერთკავშირების რეალიზებაში, როგორებიცაა:

1) ქვეყნის კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფის შესაბამისი მიმართულებების გამოყოფა, როგორებიცაა გარე და შიდა კონკურენტუნარიანობა;
2) კონკურენტუნარიანობის დონეების გამოყოფა (მიმდინარე, საშუალოვადიანი და გრძელვადიანი).

მიმდინარე დონეზე კონკურენტუნარიანობის მართვა ხორციალდება ქვეყნის ეკონომიკაში წარმოქმნილი გაუთვალისწინებელი დისპროპორციების აღმოსაფხვრელად. მის ძირითად ინსტრუმენტს წარმოადგენს მაკროეკონომიკური მაჩვენებლების პროგნოზირება, კერძოდ: მშპ, ინფლაციის ტემპი, საექსპორტო შემოსულობები, დასაქმების დონე და სხვა. უნდა შეიქმნას ქვეყნის განვითარების ეროვნული სტრატეგია, რომელსაც ექნება წლიურ ბიუჯეტში ასახული საშუალოვადიან დანახარჯებთან დაკავშირებული ზუსტი სტრატეგიული პრიორიტეტები.

საშუალოვადიან პერიოდში კონკურენტუნარიანობის მართვა მიმართულია კონკურენტუნარიანობის უზრუნველმყოფი ტაქტიკის შემუშავებაზე - კონკურენციული ბრძოლის სახეების, ხერხების და მეთოდების ერთობლიობის სახით, რომელთა გამოყენება პრაქტიკულად შესაძლებელია ეკონომიკის სუბიექტების მიერ საგარეო ბაზარზე.

გლობალიზაციის პირობებში კონკურენტუნარიანობის სტრატეგიულ დონეზე მართვა ორიენტირებულია ქვეყნის განვითარების გრძელვადინ პერსპექტივებზე. კონკურენტული უპირატესობების ფორმირება, მათი მხარდაჭერა და განვითარება შეესაბამება მართვის თითოეულ დონეს.

ქვეყნის კონკურენტული უპირატესობა ჩაითვლება მდგრად უპირატესობად, თუ მას აქვს გლობალური ხასიათი: გამოიყენება ქვეყნის მიერ მსოფლიოს სხვადასხვა ბაზრებზე, უზრუნველყოფს დამატებულ ღირებულებას ეკონომიკის საბაზო დარგებში, ყალიბდება ინოვაციური პოტენციალისა და ადამიანური კაპიტალის ხარჯზე.

დინამიური კონკურენტული უპირატესობა გულისხმობს ქვეყნის კონკურენტუნარიანობას რეგიონალურ დონეზე, თუმცა მისი გამოყენება შესაძლებელია მსოფლიო ეკონომიკაში ინტეგრირებისთვის (მაგალითად ქვეყნის გეოგრაფიული განლაგება).

დროებითი კონკურენტული უპირატესობა, როგორც წესი, მიიღწევა ქვეყნის ეკონომიკის ცალკეული დარგების კონკურებტუნარიანობით.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ ქვეყნის კონკურენტუნაიანობის მართვის კონტექსტში უდავოდ მაღალი მნიშვნელობა აქვს სტარტეგიულ დონეს, მაგრამ მის მისაღწევად აუცილებელი წინაპირობაა მიმდინარე და ტაქტიკურ დონეზე კონკურენტუნარიანობის მიღწევა. საკუთარი კონკურენტუნარიანობის სტრატეგიის შემუშავებისთვის და შესაძლებლობების ეფექტურად გამოყენებისთვის საჭიროა გატარდეს ღონისძიებათა კომპლექსი მთავრობისა და ბიზნეს სექტორის ხელშეწყობით. ამით კიდევ ერთხელ გვინდა ხაზი გავუსვათ ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში კომპლექსური მიდგომის აუცილებლობის მნიშვნელობას. (იხ. დანართი 2)

საკუთრივ, კონკურენტუნარიანობის თეორიების პოპულარობის ცვლილება დროის სხვადასხვა პერიოდებში დაკავშირებული იყო სწორედ რომ, აქცენტების გადანაცვლებით ქვეყნის მდგრადი კონკურენტული უპირატესობების ახალი წყაროების ფორმირებისკენ (ეკონომიკის ინდუსტრიული სტრუქტურიდან პოსტინდუსტრიულისკენ, პოსტინდუსტრიულიდან კი - ცოდნის ეკონომიკისკენ).

ამგვარად, დარგობრივი კონკურენციის თეორიაში ასეთ წყაროდ გვევლინება ეკონომიკის დარგების სტრუქტურა, აგრეთვე დაბალ დანახარჯებზე დამყარებული უპირატესობები (მაგალითად, სამუშაო ძალის ღირებულება). რესურსულ თეორიაში მდგრადი კონკურენტული უპირატესობების ძიებაში ძირითადი აქცენტის გადატანა ხდება ქვეყნის შიგნით, ანუ მისი რესურული პოტენციალის კვლევა.

ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ძირითადი ფაქტორების, კონკურნტული უპირატესობების წყაროების შესწავლის შედეგად, ჩვენ შევიმუშავეთ გლობალიზაციის პირობებში ქვეყნის კონკურენტუნარიანობის განვითარების ინსტიტუციონალურ-ეკონომიკური უზრუნველყოფის კონცეპტუალური სქემა #).



სქემა 6. ქვეყნის კონკურენტუნარიანობის განვითარების ინსტიტუციონალურ - ეკონომიკური უზრუნველყოფა
წყარო: შემუშავებულია ავტორის მიერ

მეცნიერული იდეის არსი მდგომარეობს იმაში, რომ ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ამაღლების საკითხი ჩვენს მიერ განიხილება იმ შედარებითი უპირატესობების მქონე დარგების როლის გაძლიერებაში, რომლებსაც აქვთ უცხოური ინვესტიციების მოზიდვის, ექსპორტში მზა პროდუქციის წილის ზრდის, ადგილობრივი, ლოკალური რესურსული პოტენციალის ეფექტურად გამოყენების და დასაქმების დონის ამაღლების პოტენციალი, რასაც შეუძლია დადებითი ზეგავლენა მოახდინოს ქვეყნის ეკონომიკაზე გლობალურ გარემოში. მნიშვნელოვან ასპექტს ამ დროს წარმოადგენს სინერგიულობის ეფექტის მიღების შესაძლებლობა ეკონომიკის განვითარების დარგთაშორისი სტრატეგიის შემუშავებით, რომელიც უზრუნველყოფს რესურსების კომპლემენტარულ გამოყენებას და ამგვარად მაღალი დამატებული ღირებულების საქონლისა და მომსახურების წარმოებას.

ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ამაღლება ნებისმიერი სახელმწიფოს უმთავრესი ამოცანაა. ეს ამოცანა უპირატეს მნიშვნელობას იძენს გლობალიზაციის პირობებში.

გლობალიზაციის პირობებში ქვეყნის ადგილის განსაზღვრისას შედარებით უკანა პლანზე გადადის ნედლეულის მარაგების და იაფი მუშახელის ფაქტორები, ხოლო ადამიანისეული კაპიტალის ხარისხი და მაღალი ტექნოლოგიების გამოყენების დონე განსაკუთრებულ მნიშნელობას იძენს. დღეისათვის გლობალიზაცია, როგორც თვისობრივად ახალი, მსოფლიო ეკონომიკური მოვლენა, მასშტაბურ გავლენას ახდენს ეკონომიკური ურთერთობების მთელ კომპლექსზე და ხელს უწყობს გლობალური კონკურენციის ჩამოყალიბებას. ვაჭრობაზე შეზღუდვების მოხსნამ და კონკურენციის გამძაფრებამ ცალკეული ქვეყნები და კომპანიები იძულებული გახადა გლობალურად დაეგეგმათ და გლობალურად ემოქმედათ. ახალი ტექნოლოგიები, რომლებიც გლობალიზაციის მამოძრავებელ ძალას წარმოადგენენ, მეტად სწრაფად ვრცელდება და ის ქვეყნები, რომლებიც ამ ტექნოლოგიების გამოყენებით აწარმოებენ ახალ საქონელს და მომსახურებას ბაზარზე არსებულ კონკურენციაში იმარჯვებენ და ლიდერებიც ხდებიან.

ამდენად, დასკვნის სახით შეიძლება აღვნიშნოთ, რომ ეკონომიკის განვითარება ახლო მომავალში უნდა ემყარებოდეს ქვეყნის მაკროეკონომიკურ სტაბილურობას, ქვეყანაში ინვესტიციების მაქსიმალურად მოზიდვას და მათ წარმართვას პრიორიტეტულ დარგებში, საუკეთესო შედეგების მისაღწევად, სოციალური პრობლემების მოგვარებისა და ცხოვრების დონის გასაუმჯობესებლად. ამ მიზნის მისაღწევად ძალიან მნიშვნელოვანია მეცნიერებისა და ინოვაციების, განათლებისა და კვალიფიკაციის დონის ამაღლება, ამავდროულად, თანამედროვე ინფრასტრუქტურის უზრუნველყოფა.

თავი II. ეროვნული ეკონომიკის განვითარების ტენდენციები გლობალიზაციის პირობებში

2.1. ეროვნული ეკონომიკის განვითარების ტენდენციები

გასული საუკუნის ოციან წლებში, ჯონ კეინსმა გამოთქვა აზრი, რომ ქვეყნის მთავრობები ვალდებულნი არიან, ეძებონ საკუთარი ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მოდელი, მუდმივად სრულყონ ეკონომიკის გაძღოლის არსებული სისტემა. მისი აზრით, ეკონომიკური პოლიტიკის საზრისს ქვეყნის განვითარების შესაბამისი მოდელის ძიება განაპირობებს. [იაკობიძე-ა...2013]

კეინსის ამ ფუნდამენტალური მნიშვნელობის დებულებას ადასტურებს კონდრატიევის და ჟიუგლერის გრძელვადიანი ციკლების თეორიაც. კონდრატიევის ციკლების მიხედვით, მსოფლიო ამჟამად იმყოფება (მეოთხე ციკლის) დაცემის (ვარდნის) ფაზაში, ეკონომიკის აღმავლობა (მეხუთე ციკლი) დაიწყება 2018 წლიდან და საჭიროა ახლავე დავიწყოთ მზადება ამ პერიოდისათვის. აღმავლობისათვის მზადების ერთადერთი გზა კი არის ტექნოლოგიური ინოვაციები და მათი სამეურნეო პრაქტიკაში განხორციელება. ამგვარად, ეროვნული ეკონომიკის განვითარება ექცევა ქვეყნის რესურსული პოტენციალის, აქ არსებული ტექნოლოგიებისა და მსოფლიო ბაზრის მოთხოვნათა პირობებში. ამ პირობების ზემოქმედება ეკონომიკაზე მეტად მაღალია. რაც წარმოების ფაქტორთა შეერთების სპეციფიურ, მსოფლიო ბაზრის მიერ ნაკარნახევი კრიტერიალური სისტემიდან მომდინარეობს და განპირობებულია გლობალური კონკურენტული გარემოს ზემოქმედებებით. [იაკობიძე-ბ...]

ქართველი მეცნიერი ვლადიმერ პაპავა საქართველოში პოსტკომუნისტური რეფორმების რამდენიმე ეტაპს გამოყოფს: 1.პირველი ეტაპი დაიწყო საბჭოთა კავშირის დაშლით, საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის მოპოვებით და ქვეყანაში ეკონომიკური სტრატეგიების შესახებ პირველი დისკუსიებით. 2. უმოძრაობის, ანუ სტაგნაციის ეტაპი - ამ ეტაპის დასაწყისად მიჩნეულია 1990 წლის შემოდგომაზე

უმაღლესი საბჭოს არჩევა, რასაც მოჰყვა რამდენიმე წარუმატებელი რეფორმისტული ეკონომიკური კანონის მიღება. 3. რეფორმის პოპულისტური ეტაპი ანუ შოკური თერაპია 1991-1992 წლების გადატრიალების შემდგომ, საქართველოს მთავრობამ დაიწყო რამდენიმე რედისტრიბუციული რეფორმის გატარება, რამაც მოულოდნელი ნეგატიური შედეგები მოიტანა: მიწისა და ბინების მოსახლეობისთვის უფასოდ გადაცემამ ზიანი მოუტანა სოფლის მეურნეობისა და მშენებლობის სექტორებს. სწორედ ამ დროს, 1992 წლის თებერვალში დაიწყო საქართველოს მთავრობამ შოკური თერაპიის განხორციელება: 1. მოხდა საშინაო ფასების მსოფლიო ფასებთან გათანაბრება გარკვეული საქონლის ფასების ლიბერალიზაციით. ზოგიერთი საქონლის ფასის კონტროლი კი გაიზარდა. თუკი 1991-ში სამომხმარებლო ფასების ინდექსი 1.8-ს შეადგენდა, 1992-ში მან უკვე 2.5-ს მიაღწია. რეგულირებადი სამომხმარებლო ფასები 1991-თან შედარებით 1992-ში 68-ჯერ გაიზარდა, პურის ფასი კი – 100-ჯერ. 2. 1991-ში მოხდა მინიმალური ხელფასისა და სოციალურად დაუცველთა დახმარების მსოფლიო ეკონომიკის ცვლილებების მიხედვით რეგულირება. 1992-ში ინდექსაცია განხორციელდა ექვსჯერ, რადგანაც ფასები უკვე ლიბერალიზირებული იყო. 1990 წელთან შედარებით, 1991-ში მინიმალური ხელფასი და საშუალო ხელფასი 1.85 და 1.26-ჯერ გაიზარდა. 1992-ში კი, 1991 წელთან შედარებით, 13.4 და 17.94-ჯერ.[თამარ ბურდული. 2015 გვ 35]. 3. 1991 წელთან შედარებით, 1992-ში დეპოზიტების წლიური საპროცენტო განაკვეთი 2%-დან 5%- მდე გაიზარდა, ათწლიან დეპოზიტებზე კი – 9%-დან 80%-მდე, რაც რეალურ წლიურ ინფლაციას ვერ ასახავდა. 1992-ში იყო პირადი დანაზოგების სტიმულირების მცდელობა: ფულადი დეპოზიტების გაზრდა, ჩამოფასებული დეპოზიტების გაორმაგება (თანხის გატანა შესაძლებელი იყო გაორმაგებიდან ორ წელიწადში) და მათთვის გადავადებულის სტატუსის მინიჭება. ამას მოსახლეობისგან მოჰყვა საბანკო დეპოზიტების ზრდა. 5. 1992-ში სახელმწიფომ არ შეამცირა საბიუჯეტო დანახარჯი სამთავრობო ინვესტიციების შემცირებით და 20-25%-იან ზღვარში დარჩა. 6. 1992-ში გამოიცა სახელმწიფო ბონდები ყოფილი საბჭოთა კავშირის ბონდების ახალ ქართულ ბონდებად გადაქცევის მიზნით, თუმცა რამდენიმე

წლის განმავლობაში არ მოხდა მათი საშუალებით სამთავრობო დეფიციტის დაფინანსება. 7. 1991 წელს დაიწყო საქართველოს ახალი საგადასახადო კოდექსის რეფორმა და ინტეგრაცია. 8. ეროვნული ვალუტის ერთიანი გაცვლითი კურსის და კონვერტულობის დაწესება შეუძლებელი იყო, ვინაიდან საქართველოს არ გააჩნდა ეროვნული ვალუტა. 9. 1992 წელს საქართველომ დააწესა საბაჟო ტარიფები: 2% იმპორტზე და 8% ექსპორტზე, რაც იმპორტის შეზღუდვისა და ექსპორტის სტიმულირების საპირისპიროა. 10. საქართველოში ხელფასის ინდექსაცია 1991 წლიდან ხდებოდა. თუმცა, ყველა შემოსავალი ერთნაირი პროპორციით რეგულირდებოდა, შესაბამისად, ღარიბთა შემოსავალი მაღალანაზღაურებულთა შემოსავალზე ნაკლებად იზრდებოდა, და, ვინაიდან ფასების ზრდა განსაკუთრებით ეხებოდა ისეთ ძირითად საქონელს, როგორიცაა პური, ღარიბები ბევრად უფრო დაზარალდნენ. 11. 1992 წელს იყო მონოპოლიური საქმიანობის წყვეტისა და კონკურენტუნარიანობის წაქეზების პირველი მცდელობა სამართლებრივი სახელმწიფო განკარგულებებისა და რეზოლუციების საფუძველზე. თუმცა, სახელმწიფო კვლავ აგრძელებდა საწარმოთა საქმიანობაში ჩარევას. [თამარ ბურდული. 2015 გვ 35].

1995 წლიდან საქართველოს ეკონომიკა იწყებს კრიზისული მდგომარეობიდან გამოსვლას, რასაც ხელი შეუწყო ინსტიტუციურმა გარდაქმნებმა. ეკონომიკის ზრდის პიკი იყო 1997 წელი და მშპს ზრდის ტემპმა 10.7% შეადგინა. შემდგომ ზრდის ტემპი მკვეთრად დაეცა და 1998 წელს რუსეთის საფინანსო კრიზისმა მნიშვნელოვნად შეაფერხა ეკონომიკის განვითარება. უკვე ამ პერიოდიდან ჯერ კატასტროფულმა ინფლაციამ გამოიწვია უცხოური ვალუტის, კერძოდ, დოლარის მნიშვნელობის ზრდა საქართველოში, ხოლო შემდგომ კი ჩრდილოვანი ეკონომიკის ზრდის კვალობაზე მისმა ხვედრითმა წილმა (დოლარიზაციის კოეფიციენტმა) 2003 წლის ბოლოს მიაღწია მაქსიმალურ ნიშნულს – 86%-ს. საქართველოში, ფაქტობრივად, ჩამოყალიბდა ორვალუტიანი ზონა: ეროვნული ვალუტა ემსახურებოდა მიმდინარე გადასახდელებს, მცირე სამეწარმეო გარიგებებსა და სამომხმარებლო ხარჯებს, ხოლო დოლარი–მსხვილ სამეწარმეო გარიგებებსა და სამომხმარებლო ხარჯებს, აგრეთვე საინვესტიციო მიზნებს.

რეალურად ახლად ჩამოყალიბებული სახელმწიფო ვერ ახერხებდა, უზრუნველეყო სახელმწიფო ფინანსების ქმედითობა და ამოეღო გადასახადები. სახელმწიფო ბიუჯეტის ხვედრითი წილი მთლიან შიდა პროდუქტში უმნიშვნელო იყო. მან 1995 წელს მთლიანი შიდა პროდუქტის 5% შეადგინა, შემდგომ პერიოდში გაიზარდა, თუმცა 12%-ს ვერ გადააჭარბა. [საქართველოს-გ...2013]

1994 -1998 წლებში გატარდა რიგი რეფორმები ეკონომიკის სტაბილიზაციისა და ლიბერალიზაციის მიმართულებით. შესაბამისად, ცვლილებები განიცადა საბანკო სისტემამ, შემოღებული იქნა ეროვნული ვალუტა – ლარი, დაიწყო მცირე და საშუალო საწარმოების პრივატიზება, განხორციელდა ვაჭრობის ლიბერალიზაცია. ეს იყო ეკონომიკური სტაბილიზაციისა და სტრუქტურული ცვლილებების რეფორმა, რომლის მიზანი იყო ჰიპერინფლაციის შეჩერება, ქვეყნის ეკონომიკის დაბალანსება და საბაზრო ეკონომიკის ფორმირებისათვის ინსტიტუციონალური პირობების შექმნა. ამ რეფორმების შემდეგ, სწრაფად გაიზარდა ეროვნული შემოსავალი, რაც ქვეყნის შიგნით რეფორმების გატარებასთან ერთად, განპირობებული იყო 1996 - 1998 წლებში ბაქო - სუფსის და 2003 - 2005 წლებში ბაქო - ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობით. მიუხედავად ამისა, საქართველოს განვითარების დონე არასაკმარისი აღმოჩნდა სოციალური პრობლემების გადასაჭრელად და მსოფლიო ბანკის მონაცემებით, იმ ადამიანების რაოდენობა, რომელთა დღიური შემოსავალი 1.25 აშშ დოლარზე ნაკლები იყო, 1997 - 2001 წლებში 5.3%-დან მხოლოდ 6.0%-მდე გაიზარდა. [საქართველოს-დ...2013]

1990 - 1994 წლების ძლიერი დაცემის შემდეგ 1995 - 1998 წლებში აღმავლობა ხანმოკლე იყო. ამ პერიოდში შედარებით გაიზარდა მოსახლეობის შემოსავლები, ხელფასები, პენსიები, თანდათანობით ამუშავდა მცირე და საშუალო ბიზნესი, შემცირდა უმუშევართა რაოდენობა.1998-1999 წლებში, გლობალური სავალუტო კრიზისის ფონზე, ზრდის ტემპები ისევ დაეცა და 2004 წლამდე საქართველო ვითარდებოდა დაბალი ტემპით. თუმცა, თუ საქართველოს ეკონომიკამ 1994 წელს შეადგინა 1990 წლის დონის 18.7%, 2003 წელს იგივე მაჩვენებელი დაახლოებით 73% ია.

საქართველო არ აღმოჩნდა სიცოცხლისუნარიანი საგარეო შოკების მიმართ და ვერ აიცილა თავიდან მეზობელი ქვეყნების – რუსეთისა და თურქეთის სავალუტო კრიზისების ზემოქმედება.

ჰიპერინფლაცია. 1993 წლის დასასრულისათვის საქართველოში ჰიპერინფლაცია ფაქტად იქცა. ეროვნულმა ბანკმა ენერგიულ ზომებს მიმართა რეფინანსირების მიზნით კომერციული ბანკების ემისიური დაკრედიტების შესაჩერებლად და ნაღდი ფულის ბრუნვის მოსაწესრიგებლად, მაგრამ ბიუჯეტის სწრაფად მზარდი დეფიციტის ემისიური დაკრედიტების მასშტაბის შემცირება ვერ მოხერხდა.[ხადური...] ამის გამო 1993 წლის აგვისტოდან 1994 წლის სექტემბრამდე ფართო ფულის მასის აგრეგატი (M2) თითქმის 40-ჯერ გაიზარდა, ხოლო ნაღდი ფული (M0) მიმოქცევაში – თითქმის 38-ჯერ. წარმოიშვა უზარმაზარი დავალიანება სოციალური გადახდების კუთხით. ხელისუფლების ზეწოლით ეროვნული ბანკი იძულებული გახდა აღედგინა ბიუჯეტის დეფიციტის ემისიური დაკრედიტება. საბიუჯეტო არხებით ლიკვიდურობის ყოველი ინექცია კუპონის გაცვლითი კურსის მორიგ ვარდნას იწვევდა. საშუალო თვიურმა ინფლაციამ 1994 წლის პირველ სამ კვარტალში 60%-ს გადააჭარბა.

კუპონის გამყარებამ და შემდგომში მისი კურსის სტაბილურობამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ჰიპერინფლაციის გადალახვაში: 1994 - 1995 წლებში ფასების საშუალო თვიური ზრდა 2%-მდე შემცირდა. ინფლაციაზე კონტროლის დაწესებას ბევრად შეუწყო ხელი გაცვლითი კურსის უნიფიკაციამაც. ოფიციალურ და საბაზრო კურსს შორის სხვაობა მნიშვნელოვნად შემცირდა, მაგრამ ამან კუპონისადმი ნდობა მაინც ვერ გაზარდა. ცხადი გახდა, რომ კუპონი ამუხრუჭებდა ეკონომიკის შემდგომ განვითარებას, დადგა სრულფასოვანი ეროვნული ვალუტის შემოღების დრო.[როზეტა ასათიანი. 2012. გვ 74]

ლარის შემოღება. საქართველოში ფულის რეფორმისათვის მზადება არაორდინარულ პირობებში მიმდინარეობდა: ერთადერთი კანონიერი საგადამხდელო საშუალება – კუპონი თავის ფუნქციას ფაქტობრივად მხოლოდ ბაზრის შეზღუდულ სეგმენტში ასრულებდა, რომლის ფარგლებს გარეთაც, ძირითადად, რუსული რუბლი და

ნაწილობრივ აშშ დოლარი ბრუნავდა. რუბლისგან, და, მით უმეტეს, კუპონისგან განსხვავებით, დოლარი რეალურად დაგროვების საშუალების ფუნქციას ასრულებდა. საქართველოს ეროვნულმა ბანკმა მიიღო ფულის რეფორმის პრაქტიკაში უპრეცენდენტო გადაწყვეტილება - ახალი ფულის ერთეულის არა მხოლოდ კუპონზე, არამედ რუბლსა და დოლარზე გაცვლის შესახებ. საქართველოს ეროვნულმა ბანკმა, სამ წამყვან კომერციულ ბანკთან ერთად, მოწოდებით მიმართა დანარჩენ ბანკებს, შეუფერხებლად გაეცვალათ ლარი დოლარსა და რუბლზე ოფიციალური კურსზე მინიმალური მარჟის დამატებით. ქვეყნის მოსახლეობა ნდობით მოეკიდა ახალ ფულად ერთეულს. [როზეტა ასათიანი. 2012. გვ 75].

1998 წლის ფინანსური კრიზისი. 1998 წლის აგვისტოში კრიზისმა იფეთქა რუსეთში და "დომინოს ეფექტით" ირიბი ზემოქმედება მოახდინა როგორც საქართველოს, ისე სხვა პოსტსაბჭოთა და ყოფილი სოციალისტური ქვეყნების ეკონომიკაზე. [გ. ბაქრაძე., 2014: 23] ამ პერიოდში რუსეთი იყო საქართველოს ყველაზე მსხვილი სავაჭრო პარტნიორი. მასზე მოდიოდა საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვის 15.2%, იმპორტის – 11.4% და ექსპორტის – 34.1%. ეკონომიკური კრიზისის შედეგად გაუარესდა საქართველოს სავაჭრო ბალანსი, გაიზარდა ფასები იმ პროდუქტებზე, რომლებიც ტრადიციულად იმპორტის გზით შემოდიოდა.

კრიზისის კულმინაციის პერიოდში ლარის კურსი თითქმის 100 პუნქტით დაეცა, საიმპორტო საქონელზე დოლარის კურსის გაძვირებასთან დაკავშირებით ფასები გაიზარდა 1.5 ჯერ. ლარის ყველაზე დაბალი გაცვლითი კურსი დაფიქსირდა 1999 წელს.

ეკონომიკურმა აგენტებმა, თავიანთი შემოსავლების დაცვის მიზნით, ნაცად ხერხს მიმართეს და სავალუტო ბაზარზე ზეწოლის გზით კიდევ უფრო გაამძაფრეს კრიზისი. ამით შეიზღუდა სავალუტო ბაზარი, გაიზარდა მოთხოვნა დოლარზე. ბაზრის შეზღუდვამ, აგენტების პესიმისტურმა მოლოდინმა და რისკის ფაქტორით გამოწვეულმა შიშმა კიდევ უფრო გააღრმავა ლარისადმი უნდობლობა და მისი კურსი კიდევ უფრო დაეცა. [საქართველოს -ე...2013]

ეროვნული ვალუტის შემდგომი კატასტროფული ვარდნის თავიდან ასაცილებლად ეროვნულმა ბანკმა დეკემბრის თვეში დაიწყო აქტიური სავალუტო ინტერვენცია, რასაც სებ-ის სავალუტო რეზერვებიდან 110 მილიონ აშშ დოლარზე მეტი დანახარჯი მოჰყვა. 1998 წლის დეკემბერში ეროვნულმა ბანკმა უარი განაცხადა ფიქსირებული სავალუტო კურსის შენარჩუნებაზე და გადავიდა თავისუფალი მცურავი კურსის რეჟიმზე. ამ ღონისძიებამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა სავალუტო ბაზრის კრიზისის დაძლევაში. [ბიზნესი...2008]

ვაჭრობის ლიბერალიზაცია. 1990 -იანი წლებიდან საქართველოში ნელ-ნელა თანმიმდევრულად ხორციელდებოდა ლიბერალური სავაჭრო რეჟიმებისათვის წინაპირობების შექმნა. აღნიშნულ საკითხებს უფრო დაწვრულებით შევეხებით 2.3 თავში. [საქართველოს-ვ...2013]

რეფორმების მეორე ტალღა. საგადასახადო რეფორმები. 1997 - 2004 წლებში მოქმედ საგადასახადო კოდექსში მრავალი ცვლილება განხორციელდა, ხოლო 2005 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა სრულიად ახალი საგადასახადო კოდექსი. ახალი საგადასახადო კოდექსით შეიცვალა საშემოსავლო გადასახადის განაკვეთი, რომელიც 2005 წლის 1 იანვრამდე იყო პროგრესული შემოსავალთან მიმართებაში – 12%, 15%, 17% და 20%, ხოლო დივიდენდებისთვის და პროცენტებისთვის შეადგენდა 10%-ს, შემოვიდა ერთი პროპორციული განაკვეთი – 12%. დივიდენდის და პროცენტის სახით მიღებულ შემოსავლებზე განაკვეთი უცვლელი დარჩა. არ შეცვლილა არც მოგების გადასახადის განაკვეთი – 20%, დამატებული ღირებულების გადასახადი კი 20%დან 18%მდე შემცირდა. ხოლო 2010 წელს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული ახალი საგადასახადო კოდექსით დადგენილ იქნა 6 გადასახადი, რომელთაგან 5 საერთო-სახელმწიფოებრივია – საშემოსავლო გადასახადი, მოგების გადასახადი, დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ), აქციზი, იმპორტის გადასახადი და ერთი ადგილობრივი – ქონების გადასახადი.[საქართველოს-ზ...2013]

პრივატიზაცია. 2004 წლიდან განსაკუთრებული ინტენსივობით წარიმართა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზაციის პროცესი.

პრივატიზაციის პროცესში არ არსებობდა რაიმე ტიპის შეზღუდვები ე.წ. "სტრატეგიული" ობიექტების გასხვისებასთან მიმართებაში. ასევე, არ იზღუდებოდა ოფშორული კომპანიების და სხვა სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული კომპანიებისთვის საკუთრების გადაცემა. 2003-2010 წლებში 4 280 ობიექტის პრივატიზაცია მოხდა, პრივატიზაციიდან მიღებულმა შემოსავალმა კი 1.6 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა. საგარეო ვაჭრობის ლიბერალიზაცია. ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წინაშე აღებული ვალდებულებების შესაბამისად, საქართველოში განხორციელდა რეფორმები, რომლებიც მიზნად ისახავდა რეორგანიზაციას, ლიბერალიზაციასა და სავაჭრო რეგულირების გამარტივებას. გამარტივდა ექსპორტ-იმპორტის პროცედურები, შემცირდა გადასახადის განაკვეთი და სახეები, გამარტივდა სატარიფო და არასატარიფო რეგულირება, განხორციელდა სავაჭრო ურთიერთობების დივერსიფიცირება თავისუფალი სავაჭრო ხელშეკრულებების დადებით რეგიონულ და მთავარ სავაჭრო პარტნიორებთან, გაუმჯობესდა საინვესტიციო გარემო, შემცირდა თავისუფალი კონკურენციის ბარიერები საბაჟოს, ლიცენზირების და ნებართვების, საკუთრების რეგისტრაციის გამარტივებით, შეიცვალა შრომის რეგულირება, გაუმჯობესდა კრედიტებზე ხელმისაწვდომობა. [საქართველოს-თ...2013] საქართველოში თავისუფალი სავაჭრო რეჟიმის ფორმირებამ გავლენა მოახდინა ადგილობრივი საწარმოების კონკურენტუნარიანობაზეც. შეიქმნა გარკვეული სტიმული მათი რესტრუქტურიზაციისათვის. თუმცა, თავისუფალი სავაჭრო რეჟიმი თანაბრად სარგებლიანი ვერ აღმოჩნდა ადგილობრივი საწარმოებისათვის. ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთ მთავარ ფაქტორს სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ინვესტიციები წარმოადგენდა, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი მიმართული იყო ინფრასტრუქტურულ პროექტებზე. ამასთან, სამუშაო ძალის წილი ეკონომიკის განვითარებაში უარყოფითი იყო და ხასიათდებოდა საშუალოდ 1.6%-იანი კლების ტენდენციით. ფაქტორების მთლიანი მწარმოებლურობის (ეკონომიკური ზრდის ნაწილი, რომელიც შრომის ან კაპიტალის ზრდას არ უკავშირდება) საშუალო წლიური ზრდის ტემპი კი, 2.8%-ს შეადგენდა.[საქართველოს-თ...2013]

არსებობდა მოლოდინი, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ხელს შეუწყობდა ახალი ცოდნის და ტექნოლოგიების შემოდინებას, რაც ექსპორტის ზრდის და დივერსიფიცირების, ახალი სამუშაო ადგილების შექმნის წინაპირობაა. თუმცა, ეს არ განხორციელდა იმ მასშტაბით, რომ ხელი შეეწყო უფრო გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდისთვის. კერძოდ, ინვესტიციების დიდი ნაწილი მიმართული იყო კაპიტალტევად დარგებში, სადაც დასაქმების მოცულობა მცირეა.

ზემოთ მოყვანილი ფაქტების გათვალისწინებით, უახლესი წარსულის ეკონომიკური პოლიტიკის ანალიზი ორი ძირითადი დასკვნის გაკეთების საშუალებას იძლევა: გასული ათწლეულის ეკონომიკური პოლიტიკა წარმატებული იყო ინვესტიციების და შესაბამისად, ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობის თვალსაზრისით, მაგრამ მან ვერ მოახდინა დასაქმების ხელშეწყობა და საქართველოს ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ამაღლება; ეკონომიკური ზრდის შედეგებმა ვერ მიაღწია საქართველოს მოსახლეობის დიდ ნაწილამდე და სიღარიბის მაჩვენებლები კვლავ მაღალია. [საქართველოს -ი...2013]

2.2. გლობალიზაციის პირობებში საინვესტიციო აქტივობა საქართველოში და მისი გავლენა ეკონომიკურ ზრდაზე

გლობალიზაციის პროცესის გავლენით, განვითარებადი ქვეყნები სულ უფრო მეტად ინტეგრირდებიან მსოფლიო ეკონომიკაში. ამის ერთ-ერთი მიზეზია უცხოური ინვესტიციების მკვეთრი ზრდა. გლობალური კომპანიების წარმატებაც სულ უფრო მეტად განისაზღვრება მათი საქმიანობით განვითარებად ბაზრებზე. ამის დასტურია ის ფაქტი, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა მარტო 1985-2002 წლებში 15 მლრდ $-დან 162 მლრდ-მდე გაიზარდა. განვითარებადი ქვეყნებიც უფრო

გახსნილები ხდებიან უცხოური ინვესტიციების მიმართ, შესაბამისად, პუი-ბის მოცულობაც იზრდება. [თემურ კუპრავა. 2008 3 (12)].

საინვესტიციო აქტივობის ზრდას ენიჭება მნიშვნელოვანი როლი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში, მას დადებითი გავლენა აქვს ეკონომიკის ზრდის ტემპზე, ხელს უწყობს დარგების განვითარებას, რესურსების გამოყენებას, რომლებიც სხვა შემთხვევაში დარჩებოდნენ გამოუყენებელნი და აუთვისებელნი. ინვესტიციების განხორციელების პროცესს ახასიათებს მულტიპლიკატორის ეფექტი. ანუ, რომელიმე ერთ დარგში მიზანმიმართულ ინვესტირებას მოჰყვება მომიჯნავე დარგების განვითარებაც. [ინვესტიციების-ა...]

ქვეყანაში საინვესტიციო აქტივობის ზრდა განპირობებულია რამდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტორით, კერძოდ:

- ეკონომიკური გარემოთი - ეკონომიკის, ინფრასტრუქტურისა და კომუნიკაციების განვითარების დონე, ექსპორტ-იმპორტის დონე, რესურსების საერთო ღირებულება და ხარისხი, მიზნობრივი ბაზრის გაფართოების და განკარგვადი შემოსავლის გაზრდის შესაძლებლობები, საგადასახადო შეღავათები, ეკონომიკაში გრძელვადიანი ცვლილებების მოლოდინი. (უცხოელ ინვესტორებს დამაკმაყოფილებლად მიაჩნიათ ეკონომიკური ზრდა 3-დან 5 პროცენტის დიაპაზონში);
- სოციალური გარემოთი - შრომის ბაზარზე არსებული სიტუაცია, სამუშაო ძალის კვალიფიკაცია, შრომითი კანონმდებლობა;
- პოლიტიკური გარემოთი - პოლიტიკური სტაბილურობა, უცხოური ინვესტიციებისადმი სახელმწიფო მხარდაჭერა. შიდა ბაზარი ყოველთვის იმყოფება პოლიტიკური მოვლენებისა და გადაწყვეტილებების გავლენის ქვეშ. ანალოგიურად, საერთაშორისო კონპანიების საქმიანობის ეფექტიანობა ყოველთვის არის დამოკიდებული სტაბილურ პოლიტიკუ გარემოზე. დაძაბული პოლიტიკური სიტუაცია და ინვესტიციების დაზღვევის დაბალი დონე ზრდის გაურკვევლობასა საზღვარგარეთელი ინვესტორებისათვის. პირდაპირი უცხოური

ინვესტიციების ფორმით უცხოური კაპიტალის შემოსვლა ქვეყანაში ითვლება ყველაზე უსაფრთხო და სასარგებლო ფორმად. იგი დაკავშირებულია სტაბილურობის შენარჩუნებასთან გრძელვადიან პერსპექტივაში;

მსოფლიო პრაქტიკაში მიღებულია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის სხვადასხვა ხერხები, მათგან ყველაზე გავრცელებული მექანიზმია - სტიმულები. (იხ. ცხრილი # 2) .

ცხრილი # 2

ინვესტიციების მოზიდვის პოპულარული ინსტრუმენტი - სტიმულები: განხილულია 103 ქვეყანა	
საგადასახადო არდადეგები	65
საიმპორტო მოსაკრებლების გაუქმება	61
მოსაკრებლების უკან დაბრუნება	48
ძირითადი საშუალების დაჩქარებული ცვეთა	46
განსაკუთრებული უფლებები ინვესტორებისთვის	25

ჯ. დანინგი თავის ნაშრომში „ინვესტიციების მოზიდვის თეორია“ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოტივაციის რამდენიმე ელემენტს ითვალისწინებს, კერძოდ: რესურსების მაძიებლები, ეფექტიანობის მაძიებლები, ბაზრის მაძიებელი და სტრატეგიული აქტივების მაძიებელი. [დანინგი ჯ. 1980]

რესურსების მაძიებელი ინვესტიციები – ხასიათდებიან კაპიტალ დაბანდებებით დაბალტექნოლოგიურ და საშუალოდ დაბალტექნოლოგიურ, აგრეთვე, ტრადიციულად საექსპორტოდ ორიენტირებულ დარგებში.

ეფექტიანობის მაძიებელი ინვესტიციები – ხასიათდება დაინტერესებით მაღალტექნოლოგიურ და საშუალოდ მაღალტექნოლოგიურ დარგებში, აგრეთვე უცხოურ ბაზრებზე გასვლას ექსპორტის გზით. ხოლო ბაზრის მაძიებელი ინვესტიციები – ადგილობრივი ბაზრის ათვისებაზეა ორიენტირებული.

საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებით, ბოლო წლების განმავლობაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების იმპორტიორები,

ძირითადად, საშინაო ბაზრის ათვისებით იყვნენ დაინტერესებულნი (მთლიანი პუი-ს 81%), მეორე ადგილზეა ეფექტიანობის მაძიებელი ინვესტიციები (16%), ხოლო მესამეზე - რესურსების მაძიებელი ინვესტიციები (3 %). [თემურ კუპრავა. 2008 გვ 8].

პუის მოზიდვის თვალსაზრისით, ეროვნული ეკონომიკის მიმზიდველობის ამაღლების მიზნით საქართველოს მთავრობის მიერ განხორციელებულ იქნა რიგი რეფორმები: ანტიკორუფციული რეფორმა, რეფორმები სამართალდამცავ სისტემაში, სახელმწიფო სექტორში, საბაჟო რეფორმა, ბიზნესის დაწყებისა და ლიცენზირების სფეროში განხორციელებული რეფორმები, საგადასახადო კოდექსში შეტანილი ცვლილებები და ა.შ. გაფორმდა რიგი საერთასორისო ხელშეკრულებები, რამაც საერთო ჯამში დადებითად იმოქმედა პუი-ის მოზიდვაზე.

პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს შეუძლიათ გადაწყვიტონ საინვესტიციო რესურსების დეფიციტის პრობლემა ქვეყანაში, ისინი ხელს უწყობენ კონკურენციის დონის ზრდას, ასტიმულირებენ ადგილობრივ ფირმებს მოიძიონ საკუთარი კონკურენტუნარიანობის ამაღლების გზები, რაც ასევე მომგებიანია მომხმარებლისთვის.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გავლენით ყველაზე მნიშვნელოვანი შედეგი ქვეყნისათვის შესაძლებელია იყოს მოწინავე ტექნოლოგიებისა და ბიზნეს-პრაქტიკის შემოტანა, რაც გულისხმობს არა მარტო ეკონომიკის ტექნოლოგიურ მოდერნიზებას და ბიზნეს-პროცესების ორგანიზების მექანიზმის სრულყოფას, არამედ შესაბამისი „ხარისხიანი“ მაღალანაზღაურებადი სამუშაო ადგილების შექმნას, რაც ხელს შეუწყობს ქვეყანაში პოზიტიურ ცვლილებებს შრომის ბაზარზე. გარდა ამისა, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ასტიმულირებენ ეროვნულ ეკონომიკაში ინფრასტრუქტურული ინსტიტუტების მოზიდვას. ასეთი კომპანიები ქმნიან თავიანთ ფილიალებს ქვეყანაში და ახორციელებენ პირდაპირ ინვესტიციებს ეკონომიკაში.

შეიძლება ითქვას, რომ მხოლოდ სახელმწიფოს მიზანმიმართულ პოლიტიკას შეუძლია სტიმული მისცეს საინვესტიციო აქტივობას და მოგების გადანაწილებას

საინვესტიციო პროექტების დაფინანსებაზე. ასეთ სტიმულებს შეუძლიათ საქართველოში დააბრუნონ ის ფულადი სახსრები, რომელთაც დატოვეს ქვეყნის ტერიტორია და ფუნქციონირებას განაგრძობენ სხვადასხვა დასავლურ საბანკო ანგარიშებზე, ან ჩართულნი არიან სხვა ქვეყნების ეკონომიკაში. [ინვესტიციების-ბ ...]

უცხოური ინვესტიციების დინამიკა და მათი სტრუქტურა ქვეყნის განვითარების მნიშვნელოანი ინდიკატორია, განსაკუთრებით საქართველოს პირობებში, სადაც ეკონომიკის განვითარებისთვის შიდა რესურსები არ არის საკმარისი, კერძოდ, ბიუჯეტის რესურსები შეზღუდულია, ეკონომიკური სუბიექტების დანაზოგები ინვესტირებისათვის - ძალიან მცირეა. ასეთ პირობებში სახელმწიფოს მხრიდან ინვესტორების გონივრულად მოზიდვა და ინვესტიციების განხორციელება პირდაპირ უკავშირდება ეკონომიკური სექტორის ამოძრავებას, მიძინებული დარგების გაღვიძებას, განათლებას, დასაქმების პრობლემის მოგვარებას და საქართველოს მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

ქვეყანაში განხორციელებული საინვესტიციო აქტიურობა მნიშვნელოვანია გაანალიზებულ იქნეს: ა) ეკონომიკის სექტორების მიხედვით; ბ) ქვეყნების მიხედვით, გ) ინვესტიციების პროცენტული წილის მიხედვით მშპ-ში. მაღალი საინვესტიციო აქტიურობის სექტორების გამოვლენა უნდა მოხდეს არა მხოლოდ სტატიკური, არამედ დინამიკური შეფასების თვალსაზრისით, რაც იძლევა სწრაფად მზარდი საინვესტიციო სექტორების გამოკვეთის საშუალებას.

განვიხილოთ ინვესტიციების დარგობრივი მიმართულებები. ჩვენი დაკვირვებით და საქსტატის დაზუსტებული მონაცემების გაანალიზებით, ინვესტორთა დაინტერესება 2015 წელს გადანაწილდა შემდეგ სექტორებზე: სამი უმსხვილესი სექტორის წილმა (განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიხედვით) 2015 წელს 58 პროცენტი შეადგინა. ყველაზე მეტი პირდაპირი უცხოური ინვესტიცია ტრანსპორტის დარგში განხორციელდა და 585 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც მთლიანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 37,4 პროცენტია. მეორე ადგილზე საფინანსო სექტორია 179 მლნ. აშშ დოლარით და 11,4 პროცენტით პირდაპირი უცხოური ინვესტიციების საერთო

მოცულობაში, შემდეგ მოდის სასტუმროები და რესტორნები 139 მლნ. აშშ დოლარით და 8,8 პროცენტით პირდაპირი უცხოური ინვესტიციების საერთო მოცულობაში.

დარგების მიხედვით კლების ტენდენცია იყო ინვესტიციების განაწილების მხრივ ენერგეტიკაში. მაგალითად, 2015 წელს პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა აღნიშნულ დარგში 124 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა, მაშინ როდესაც 2013 წელს ეს მაჩვენებელი 244,7 მილიონი იყო. ხოლო 2014 წელს - 189,9 მილიონი აშშ დოლარი. ანუ ენერგეტიკის დარგში 2014 წელს 2013 წელთან შედარებით ადგილი ჰქონდა ინვესტიციების 2,,2 %-იან, ხოლო 2015 წელს 2014 წელთან შედარებით - 35% -იან კლებას, საქართველოს ენერგეტიკა წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე მიმზიდველ და საინტერესო, დიდი შესაძლებლობისა და პოტენციალის მქონე დარგს. ასეთი შემცირების მიზეზი ისაა, რომ რამდენიმე პროექტი ამ სფეროში სხვადასხვა გარემოებების გამო გასულ წლებში შეჩერებული იყო. 2015 წელს კლების ტენდენცია შეიმჩნეოდა სხვა დარგებშიც: დამამუშავებელი მრეწველობა, უძრავი ქონება, მშენებლობა. თუმცა, უნდა აღვნიშნოთ, რომ სამთომომპოვებით მრეწველობაში ინვესტიციების მოცულობა 2014 წელთან შედარებით 2-ჯერ გაიზარდა.

ქვემოთ მოყვანილ ცხრილში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განაწილებას ეკონომიკის სექტორების მიხედვით ვაანალიზებთ მხოლოდ 2010-2015 წლების დაზუსტებული მონაცემების მიხედვით. რაც შეეხება 2016* წლის (წინასწარ} მონაცემებზე დაყრდნობით, შეიძლება ვთქვათ, რომ ტრანსპორტის დარგში ადგილი აქვს ინვესტიციების 10% -იან ზრდას, სოფლის მეუნეობაში შეინიშნება 32%-იანი კლება, დამამუშავებელ მრეწველობაში კი 79 %-იანი ზრდა, რაც მეტყველებს იმაზე, რომ აღნიშნულ სექტორში ინვესტორების დაინტერესება მნიშვნელოვნად გაიზარდა. მიგვაჩნია, რომ ჩვენი ქვეყნის ეკონომიკაში ინვესტიციები, უპირველესად მიმართული უნდა იყოს ეკონომიკური ზრდის უზრუნველსაყოფად.[საინვესტიციო...] ამ ამოცანის განსახორციელებლად. სასურველია პუი-ბის მიმართვა ექსპორტზე ორიენტირებულ საწარმოებში, იმპორტჩამნაცვლებელი დარგებისა და ადამიანური რესურსების განვითარებაში, ინოვაციების დანერგვაში და ინფრასტრუქტურის განვითარებაში.

ცხრილი # 3

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ეკონომიკის სექტორების მიხედვით **2010-2015** წწ. დაზუსტებული მონაცემები. (მლნ. აშშ $)

პირდაპირი უცხოუ რი ინვესტიციები ეკონომიკის სექტორების მიხედვით	**2010**	**2011**	**2012**	**2013**	**2014**	**2015**	**2014 2010 წ-თან, %**	**2014 – 2012 წ-თან, %**	**2014 2013 წ-თან, %**	**2015 2014 წ-თან %**
სულ:	814	1 117	912	942	1758,4	**1564**	216	192,8	**186,6**	**88,9**
მათ შორის:										
ტრანსპორტი	215,1	126,5	72,8	140,1	433,7	**585**	201,6	6-ჯერ	309,5	134,4
მშენებლობა	4,7	48,1	41,8	49,8	316,6	**111**	67ჯერ	7,5ჯერ	635,7	35
სამთომომპოვებითი მრეწველობა		40	5	44	43	**88**	-	8 ჯერ	97,7	204,6
დამამუშავებელი მრეწველობა	175,3	120,3	167,9	99,8	205,4	**67**	117,1	122,3	205,8	32,6
ენერგეტიკა	21,8	204,0	179,4	244,7	189,9	**124**	8-ჯერ	105,8	77,6	65,2
უძრავი ქონება	74,7	89,2	40,1	42,3	138,7	**90**	185,6	345,8	327,8	64,8
სასტუმროები და რესტოერნები	17,2	22,7	17,7	-13,4	124,9	**139**	7-ჯერ	7-ჯერ	111,5	111,2
სოფლის მეურნეობა	8,6	15	16	12	12	**15**	139	75	100	125
საფინანსო სექტორი	107,2	167,7	162,6	166,4	115,3	**179**	107,5	70,9	69,2	155.2
დანარჩენი სექტორი	90,3	266,8	190,8	212,1	222,0	**166**	259,1	122,6	110,3	74.7

წყარო: ცხრილი შედგენილია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით.

ქვეყნების მიხედვით განხორციელებული ინვესტიციების მოცულობის გაანალიზება შესაძლებელია ქვემოთ მოცემული ცხრილის მიხედვით, რომელიც ასახავს საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დინამიკას 2010-2015 წლებში. ნიდერლანდებმა და ჩინეთმა 2014 წელს 2013 წელთან შედარებით თავიანთი ინვესტიციები ორჯერ გაზარდეს (შესაბამისად, 144,2 და 142,1 %-ით), აზერბაიჯანმა და აშშ კი ოთხჯერ (316,3 და 304,2 %-ით შესაბამისად). 2014 წელს ქვეყანაში განხორციელებული ინვესტიციებიდან ევროკაშირის ქვეყნებზე მოდიოდა 47%, დსთ-ის ქვეყნებზე - 26%, დანარჩენ ქვეყნებზე - 34%, საერთაშორისო ორგანიზაციებზე კი - 6%. თურქეთმა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა საქართველოში 2014 წელს გაზარდა 46,7 %-ით, მაშინ როცა 2010-2012 წლებში კლება შეადგენდა შესაბამისად 31 და 22 %-ს. თუმცა 2015 წელს 2014 წელთან შედარებით, თურქეთის წილი მთლიან პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებში ისევ შემცირდა 27,1 %-ით. საინტერესოა ის გარემოებაც, რომ 2015 წელს აზერბაიჯანისა და გაერთიანებული სამეფოს გარდა ყველა ქვეყნიდან შემცირდა პირდაპირ უცხოურ ინვესტიციების მოცულობ.ა

2015 წელს რეგიონში არსებული კრიზისის კვალდაკვალ გაუფასურდა ეროვნული ვალუტა, რამაც უარყოფითი გავლენა იქონია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობაზე და საერთო ჯამში კლებამ 11,1 %. შეადგინა. აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ რეინვესტირების წილი მთლიან პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებში 2013 წლიდან მცირდებოდა და 2015 წლისათვის აღნიშნული მაჩვენებელი მხოლოდ 9%-ს შეადგენდა.

2016* წლის წინასწარი მონაცემების მიხედვით სხვადასხვა ქვეყნებიდან საქართველოში განხორცილებულმა პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა შეადგინა 1 645 368,6 მლნ.დოლარი, რაც წინა წლის მონაცემებთან შედარებით 5%-ით მეტია.

ცხრილი #4

ძირითადი პირდაპირი ინვესტორი ქვეყნები საქართველოში 2015 წლის მონაცემების მიხედვით (მლნ. აშშ $)

უმსხვილესი ინვესტორი ქვეყნები	**2010**	**2011**	**2012**	**2013**	**2014**	**2015**	**2014 - 2010 წ-თან,%**	**2014 2012 წ-თან, %**	**2014 2013 წ-თან, %**	**2015 – 2014 წ-თან %**
სულ:	814	1 117	912	942	**1 758,4**	**1 564,5**	216	192,8	**186,6**	**88,9**
მათ შორის:										
ნიდერლანდები	73	242	35	153	**373.7**	**155**	5-ჯერ	10-ჯერ	244,2	**41,7**
აზერბაიჯანი	58	138	59	82	**341.4**	**550**	5-ჯერ	5-ჯერ	416,3	**161,1**
ჩინეთი	-8	10	36	90	**217.9**	**67**	209,9	6-ჯერ	242,1	**30,7**
აშშ	136	28	20	45	**181.9**	**18**	133,7	9-ჯერ	404,2	**9,8**
ლუქსემბურგი	7	43	42	143	**109.6**	**106**	15-ჯერ	260,9	76,6	**96,7**
გაერთიანებული სამეფო	59	55	94	55	**107.6**	**386**	182,3	114,4	195,6	**358,7**
რუსეთი	48	55	20	2,0	**82.2**	**46**	171,2	4-ჯერ	41-ჯერ	**55,9**
პანამა	-	-	-	25,8	**70,7**	**10**	-	-	274,0	**14,1**
თურქეთი	92	76	81	43	**63,1**	**46**	68,58	77,9	146,7	**72,9**
სხვა ქვეყნები	350	470	524	303,8	**210,2**	**180,5**	60,05	40,1	69,1	**85,8**

წყარო: ცხრილი შედგენილია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით.

როგორც ცნობილია, უცხოელი ინვესტორი კაპიტალს აბანდებს სტაბილური ეკონომიკის მქონე ქვეყნებში, რომლებიც თავის მხრივ ადგილობრივი ინვესტორის ნდობითაც ხასიათდებიან. აქედან გამომდინარე, შეიძლება დანამდვილებით ითქვას, რომ როდესაც საუბარია საქართველოში უცხოური კაპიტალის მოზიდვაზე, უნდა გვახსოვდეს, რომ მისი შემოსვლა ქვეყანაში ბევრადაა დამოკიდებული შესაბამისი ხელსაყრელი საინვესტიციო კლიმატის შექმნაზე. [საინვესტიციო-ა...]

მიუხედავად მრავალი პოზიტიური ცვლილებებისა (მაგალითად, საქართველოს ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი 2015 წელს 2008 წელთან შედარებით, 32-ე ადგილიდან 22-ზე გადმოინაცვლა, ბიზნესის კეთების სიადვილის მიხედვით საქართველოს რეიტინგი 2015 წელს არის მე-15 ადგილი 189 ქვეყანას შორის, გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსით 2014-2015 წლებში საქართველო 69-ე ადგილზე იმყოფება, მისი სარეიტინგო ქულა 4,22 შეადგენს (ზომიერი მაჩვენებელი) და ქვეყანამ პოზიცია 3 საფეხურით გაიუმჯობესა), ჩვენი ბიზნესგარემო ჯერ კიდევ საჭიროებს სრულყოფას.

პუი-ს დინამიკის განხილვასთან ერთად საინტერესოა ისეთი მაჩვენებლის გაანალიზება, როგორიცაა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების პროცენტული წილის ზრდა მშპ-ში.

ქვემოთ წარმოდგენილი დიაგრამიდან ნათლად ჩანს, რომ საქართველოში საინვესტიციო ნაკადების ზრდის ტენდენცია 2005 წლიდან შეინიშნებოდა 2007 წელს ეს მაჩვენებელი ყველაზე მაღალი იყო საქართველოს დამოუკიდებლობის პერიოდში და შეადგინა 2,014 მილიონი აშშ დოლარი. ამავე პერიოდში მნიშვნელოვნად გაიზარდა პუი-ს წილი მშპ-ში და საანალიზო პერიოდში ყველაზე მაღალ ნიშნულს 19.8% მიაღწია. 2005 წელთან შედარებით იგი 182%-ით გაიზარდა. ამ ტენდენციას ძირითადად განაპირობებდა შედარებითი ფისკალური სტაბილურობა, ლიბერალური ეკონომიკური კურსი და ქვეყნის ხელისუფლების მიერ საერთაშოროსო დონეზე განხორციელებული მასობრივი პიარ-კამპანიები. 2008 წელს კი, ცნობილი მიზეზების გავლენით, აღნიშნულმა მაჩვენებელმა მხოლოდ 12.2 % შეადგინა, ანუ შემცირდა 38%-ით.

საინვესტიციო აქტივობის თვალსაზრისით, სიტუაცია გარკვეულწილად უარყოფითად იცვლება 2008 წლიდან, მსოფლიო ფინანსური კრიზისისა და 2008 წლის აგვისტოს ომის უარყოფითი ზეგავლენის გამო. მიუხედავად ამისა, 2008 წელს ინვესტიციების წლიურმა მოცულობამ მაინც სოლიდურ ნიშნულს მიაღწია და შეადგინა 1,565 მილიონი აშშ დოლარი. 2009-2010 წლებში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა მნიშვნელოვანად შემცირდა, წინა წლებთან შედარებით და, შესაბამისად, 658 და 814 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა. ხოლო ზრდა დაფიქსირდა 2011 წელს, როდესაც ქვეყანაში პუი-ს მოცულობამ 1117 მლნ აშშ დოლარს მიაღწია, ანუ 2009 წელთან შედარებით 2011 წელს იგი 69,7 %-ით გაიზარდა. 2012 წელს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა 912 მლნ აშშ დოლარი იყო, რაც 18 პროცენტით ნაკლებია წინა, 2011 წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე.

დიაგრამა #2



წყარო: დიაგრამა აგებულია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ყოველწლიურ მონაცემებზე დაყრდნობით

2015 წელს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ, დაზუსტებული მონაცემებით, 1 564 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც მთლიანი შიდა პროდუქტის 9.7% - წარმოადგენს. ამდენად, 2014 წელთან შედარებით, 2015 წელს ქვეყანაში პუი-ბი შემცირდა -11 %-ით. მაგრამ აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ 2014 წლის მაჩვენებელი 2007

წლის შემდგომ პერიოდში ყველაზე მაღალი იყო, ხოლო 2015 წელს კლების ტენდენცია განპირობებული იყო ეკონომიკური მდგომარეობის მკვეთრი გაუარესებით. ისიც უნდა დავამატოთ, რომ გასული 2015 წელი არასახარბიელო გამოდგა ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური ზრდის თვალსაზრისითაც, რაზეც მეყტველებს შემდეგი ცხრილის მონაცემები.

ცხრილში #3 წარმოდგენილია მშპ-ს დინამიკა როგორც მიმდინარე, ასევე მუდმივ ფასებში. მშპ-ს დინამიკის სრულყოფილი ანალიზისთვის მიზანშეწონილად მიგვაჩნია მუდმივი ფასების გამოყენება, რამდენადაც ეს მაჩვენებელი უფრო ზუსტად აღწერს რეალურ სურათს ეკონომიკაში. გარდა ამისა, ცხრილში წარმოდგენილია მშპ-ს ზრდის ტემპი პროცენტულად წლების მიხედვით, დინამიკა ერთ სულ მოსახლეზე და მისი ზრდის ტემპი, აგრეთვე მშპ-ს დეფლატორი (%), რომელიც გვიჩვენებს ფასების ზრდით გამოწვეულ ზრდას .

აღნიშნული მაჩვენებლების ანალიზი სრულფასოვან წარმოდგენას იძლევა მთლიანი შიდა პროდუქტის დინამიკაზე საანალიზო წლებში (2005-2015 წ/წ).

როგორც ცხრილიდან ჩანს, საკვლევ პერიოდში, მთლიანი შიდა პროდუქტი იზრდება ყოველწლიურად, გარდა 2009 წლისა - 2008 წელთან შედარებით (-3,78%). ბუნებრივია, ეს განპირობებული იყო 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შედეგებით, ხოლო 2007 წელს მშპ უფრო მეტი იყო, ვიდრე ნებისმიერ სხვა წელს. რაც შეეხება მშპ-ს ზრდის ტემპებს - რყევები შეინიშნებოდა საკვლევი პერიოდის საწყისს წლებში. მაგალითად, 2006 წელს, წინა წელთან შედარებით, ზრდის ტემპი შემცირდა -2,25 %-ით. 2008 წელს 2007 წელთან შედარებით -81, 25% -ით. შემცირების ტენდენცია იყო, აგრეთვე, 2009, 2010, 2012, 2013 და 2015 წლებშიც. ეს მეტყველებს იმაზე, რომ მშპ-ს ზრდის ტემპი წლების მიხედვით იყო არათანაბარზომიერი, რაც განპირობებული იყო როგორც შიდა, ასევე საგარეო ფაქტორებით, ამავე პერიოდში ინვესტიციების მასშტაბების რყევებით, 2008 წლის მსოფლიო ეკონომიკური კრიზით და 2015 წლის გლობალური ფინანსური კრიზისით.

ცხრილი # 5

მშპ-ს დინამიკა ღირებულებითი ფორმით და პროცენტულად 2005-2015 წლებში (ლარი)

წლები	მშპ მიმდინარე ფასებში (2015)	ცვლი-ლება, %	მშპ მუდმივ ფასებში (2015)	ცვლი-ლება,%	მშპ-ს წლიური პროცენტული ზრდა	ცვლი ლება,%	მშპ ერთ სულ მოსახლეზე მუდმივ ფასებში (2015)	ცვლი ლება,%	მშპ-ს დეფლა ტორი (2015)	ცვლი ლება,%
2015	31 691 650 000	8,72 %	10 718 332 400	2,77%	2,8	-39,98%	2 913	4,12%	5,8	52,94%
2014	29 150 481 300	8,58%	10 428 936 900	4,62%	4,6	36,50%	2 798	6,00%	3,8	-595,94%
2013	26 847 354 300	2,60%	9 968 079 500	3,39%	3,4	-46,66	2 640	4,73%	-0,8	-171,16%
2012	26 167 283 500	7,49%	9 641 517 100	6,35%	6,4	-12,06%	2 521	7,74%	1,1	88,67%
2011	24 343 986 600	17,36%	9 065 795 400	7,22%	7,2	15,49%	2 340	8,63%	9,5	10,65%
2010	20 743 364 300	15,33%	8 455 201 100	6,25%	6,3	-265,61%	2 154	7,66%	8,5	-525,35%
2009	17 985 954 600	-5,71%	7 957 609 500	-3,78%	-3,8	-263,17%	2 000	-2,52%	-2,0	-120,69%
2008	19 074 852 300	12,25%	8 269 860 800	2,31%	2,3	-81,25%	2 052	3,63%	9,7	0,15%
2007	16 993 778 800	23,23%	8 082 820 500	12,34%	12,3	31,55%	1 980	13,83%	9,7	14,24%
2006	132 789 921 200	18,66%	7 194 706 000	9,38%	9,4	-2,25%	1 740	10,81%	8,5	7,03%
2005	11 620 952 500	18,29%	6 577 519 200	9,60%	9,6	63,89%	1 570	11,04%	7,9	-5,26%

ცხრილი შედგენილია ავტორის მიერ World Data Atlas , 2015 წყაროზე დაყრდნობით

2015 წელს რეგიონში არსებული კრიზისის კვალდაკვალ გაუფასურდა ეროვნული ვალუტა, რამაც პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემცირება გამოიწვია. ლარის გაუფასურებამ და საერთაშორისო დონეზე დოლარის გამყარებამაც იქონია უარყოფითი გავლენა ჩვენი ქვეყნის ეკონომიკაზე.

საანალიზოდ ჩვენთვის ასევე საინტერესოა, მშპ-ს დინამიკა ერთ სულ მოსახლეზე. იგი ყოველწლიურად იზრდება, გარდა 2009 წლისა 2008 წელთან შედარებით, როცა ცნობილი მიზეზების გამო, აღნიშნული მაჩვენებელი შემცირდა -2,52%-ით, მოცემულ წელს მშპ შემცირდა მიმდინარე ფასებითაც კი, კერძოდ 5,71%-ით.

2010 წელს მთლიანი შიდა პროდუქტი 2005 წელთან შედარებით გაიზარდა 28,5% -ით, ხოლო 2015 წელს 2010 წელთან შედარებით 26,7 % - ით, რაც იმაზე მეტყველებს, რომ 2005-2010 წლებში ეკონომიკური ზრდა უმნიშვნელოდ სჭარბობდა 2010-2015 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს. თუმცა ამის ძირითადი მიზეზი იყო ის, რომ 2005 წლის საწყისი მონაცემები იყო შედარებით დაბალი.

მიუხედავად იმისა, რომ მშპ-ს დინამიკის ანალიზი კეთდება მუდმივი ფასებით, მეტად საინტერესიოა მშპ-ს დეფლატორის განხილვა, რადგან მკვეთრი ინფლაციური პროცესები გავლენას ახდენენ ბიზნესპროცესებზე და ეკონომიკის სტაბილურობაზე, თუმცა, როგორც ცნობილია, დეფლატორი ასახავს მთლიანი შიდა პროდუქტის ფასების ზრდით გამოწვეულ ზრდას, ანუ ცრუ, არარეალურ ზრდას.

როგორც ცხრილიდან ჩანს, მშპ-ს დეფლატორი უარყოფითი იყო 2009 და 2013 წლებში, ხოლო მისი ტემპების ყოველწლიური მაჩვენებელი მეტყველებს ეკონომიკაში აშკარა რყევების არსებობაზე.

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, უცხოელ ინვესტორებს დამაკმაყოფილებლად მიაჩნიათ ეკონომიკური ზრდა 3-დან 5%-ის დიაპაზონში. ამდენად ინვესტიციების შემცირება, გარკვეულწილად, ამ ფაქტსაც უკავშირდება. გარდა ამისა. საინვესტიციო აქტივობის შემცირება, ისევე, როგორც ფულადი გზავნილებისა, ერთ-ერთი მიზეზია სავალუტო პრობლემებისა, რომელიც ქვეყანაში სწორედ რომ 2015 წლის I კვარტლიდან დაიწყო.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გავლენა მიმღები ქვეყნის შრომის ბაზარზე კიდევ რამდენიმე მნიშვნელოვანი ასპექტით განისაზღვრება, კერძოდ: რაოდენობრივი ასპექტი (დასაქმების მაჩვენებლის ცვლილება); ხარისხობრივი ასპექტი (შრომის მწარმოებლურობაზე გავლენა, შრომითი რესურსების გადამზადება) და ლოკალიზაციის ასპექტი.

სქემა # 7

გავლენის არე	*პირდაპირი ეფექტი*		*ირიბი ეფექტი*	
	დადებითი	*უარყოფითი*	*დადებითი*	*უარყოფითი*
სამუშაო ადგილების რაოდენობა	პუი წარმოადგენს მზარდ სექტორებში ახალი სამუშაო ადგილების შექმნის მნიშვნელოვან ფაქტორს	უცხოურ ინვესტიციებს, რომელთა შემოდინება უკავშირდება ადგილობრივი კომპანიების შეძენა, შესაძლოა თან მოჰყვეს სამუშაო ადგილების შემცირება	პუი ხელს უწყობს ახალი სამუშაო ადგილების შექმნას ადგილობრივ კომპა ნიებთან ერთობ ლივი კავშირების გამოყენების საფუძველზე,ხოლო მის შედეგს წარმოადგენს მულ ტიპლიკატორის ეფექტი მიმღებ ქვეყანაში	უცხოური ინვესტიციები ხელს უწყობს სამუშაო ადგილების შეკვეცას ან გუქმებას და არსებული ეროვნული კომპანიების ბაზრიდან გასვლას
ხარისხი	საზღვარგარეთული კომპანიები გამოირჩევიან უფრო მაღალი მწარმოებლურობით და ხელფასებით	უცხოელი ინვესტორის მიერ შესაძლოა გამოყენებულ იქნეს არაკეთილსასურვე ლი, (დასაქმების თვალსაზრისით) მოქმედებები	ადგილობრივი კომპანიების მართვის და ორგანიზების ეფექტური მეთოდების გავრცელება	შრომის ანაზღაურების ზრდის ტემპის შენელება საზღვარგარეთუ ლი კომპანიების მხრიდან კონკურენციის შედეგად
ადგილმდებ არეობა	უცხოური ინვესტიციები ხელს უწყობს ახალი და უფრო ეფექტური სამუშაო ადგილების შექმნას, განსაკუთრე ბით იმ რეგიონებში, სადაც უმუშევრობის დონე მაღალია	პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს ზოგჯერ მოჰყვება ქალაქის რაიონებში სიმჭიდროვის ზრდა	უცხოური ინვესტიციები ვრცელება რაიონებში, რომლებიც ხასიათდებიან სამუშაო ძალის მაღალი მიწოდებით	უცხოური ინვესტიციები ხელს უწყობენ ადგილობლივი მწარმოებლების განდევნას, რასაც მოჰყვება უმუშევრობის ზრდა

სქემა. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების პირდაპირი და ირიბი ეფექტები ადაპტირებულია ავტორის მიერ

ზოგადად, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ხელს უწყობენ დასაქმების ზრდას შიდა ბაზარზე, განსაკუთრებით იმ ქვეყნებში, სადაც მაღალია უმუშევრობის დონე. მათი შემოდინება ამაღლებს შრომის მწარმოებლურობას და ზოგჯერ ანაზღაურებასაც. ხშირად ორთავე ეს ეფექტი წარმოიქმნება ერთდროულად. თუმცა ზოგიერთი ავტორი მიუთითებს მათ უარყოფით ეფექტებზეც.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გავლენა შრომის ბაზარზე და მიმღები ქვეყნისათვის შესაძლო ეფექტი წარმოადგენილია ზემოთ მოყვანილი სქემის სახით .

უცხოური კომპანიები ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტორად, რომელიც მათ საინვესტიციო გადაწყვეტილებაზე მოქმედებს, ინფრასტრუქტურის განვითარების დონეს მიიჩნევენ. ამიტომ, ქვეყნის მთავრობა სწორედ ამ საკითხით უნდა დაკავდეს. ინფრასტრუქტურის განვითარების დონე მნიშვნელოვნად განსაზღვრავს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზემოქმედების ხარისხს. ინფრასტრუქტურის განვითარება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ კომპანიებისთვის, რომლებიც განვითარებად ბაზრებზე გადიან, რათა გაზარდონ საოპერაციო ეფექტიანობა; ინფრასტრუქტურის არსებობაზეა დამოკიდებული, მიაღწევს თუ არა ინვესტორი თავის მიზანს.

საზღვარგარეთული კომპანიები არსებით გავლენას ახდენენ ასევე ადგილობრივი კომპანიების საქმიანობაზე. ეს უკანასკნელები იძულებულნი არიან განახორციელონ შესაბამისი ქმედებები, რათა დაეწიონ უცხოურ კონკურენტებს, ფეხდაფეხ მიჰყვნენ სიახლეებს მეცნიერებისა და ტექნიკის სფეროში, რომლებზეც დამოკიდებულია მათი საქმიანობის ეფექტიანობა. ამის შედეგს კი წარმოადგენს ტექნიკური პროგრესი, ცოდნის დონის ამაღლება, მმართველობითი პროცესების სრულყოფა.

პუი მიმღები ქვეყნისათვის დადებით ეფქტებს ქმნის მაშინ, როდესაც ისინი ემსახურება უახლესი ტექნოლოგიების დანერგვას, რაც ზრდის ეროვნული საწარმოების ეფექტიანობას. უნდა მოვერიდოთ უცხოელი ინვესტორებისთვის იმ საწარმოების მიყიდვას, სადაც ადგილობრივი მეწარმეები ეფექტურად მუშაობენ.

ინვესტიციების მოზიდვისა და ხელშეწყობისათვის აუცილებელია ქვეყნისათვის სტრატეგიული სექტორების განვითარება და ამ სექტორებში სამეცნიერო კვლევების ჩატარება, მათ საფუძველზე კონკრეტული საინვესტიციო წინადადებებისა და პროექტების მომზადება; ინვესტორების მოზიდვის, ექსპორტის მოცულობის გაზრდისა და ახალი ბაზრების ათვისების მიზნით, სასურველია ბაზრის კვლევა, ქართული პროდუქციის პოპულარიზაციის მიზნით საერთაშორისო მედია საშუალებების მეშვეობით მიზნობრივი საიმიჯო სარეკლამო კამპანიების განხორციელება, საერთაშორისო გამოფენებში, ტრეიდშოუებსა და პროდუქციის წარმოსაჩენ ღონისძიებებში მონაწილეობა; ქვეყნის ცნობადობის ასამაღლებლად ბიზნესფორუმების ჩატარება, პროდუქციის გამოფენებისა და ბიზნეს-შეხვედრების ორგანიზება, საერთაშორისო კონფერენციებსა და სავაჭრო გამოფენებში მონაწილეობა; პროდუქციის ექსპორტზე ორიენტირებული ქართული კომპანიების ხელშეწყობის მიზნით ექსპორტის საინფორმაციო ცენტრის შექმნა და მცირე ბიზნესის განვითარების ცენტრების დაარსება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, მათი ბიზნეს საქმიანობის გაფართოებისა და ეფექტიანად წარმართვისათვის საინფორმაციო უზრუნველყოფა და კონსულტირება ბიზნესის განვითარებასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

უნდა აღინიშნოს, რომ ინვესტიციების იმპორტი ქვეყნის სავაჭრო ბალანსზე მოკლევადიან პერიოდში მოქმედებს უარყოფითად, რადგან უცხოური ინვესტიციებით შექმნილი საწარმო აუცილებელი მასალების დიდი ნაწილის იმპორტს ეწევა. ამასთან, ხელს უწყობს რა სასაქონლო ექსპორტის ზრდას ან იმპორტირებული პროდუქციის ჩანაცვლებას, ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ის ხელს უწყობს სავაჭრო ბალანსის გაუმჯობესებას.

1995 წლიდან საქართველოს მთავრობა აქტიურად ცდილობდა წაეხალისებინა უცხოური ინვესტიციები სხვადასხვა ღონისძიებების ერთობლიობით (საპრივატიზაციო პროგრამები, ახალი პროექტები, ერთობლივი საწარმოები და ა.შ). ამ მიზნით მიიღო პროგრესული კანონების მთელი პაკეტი, რომელიც შეესაბამებოდა ლიბერალური, საბაზრო ეკონომიის პრინციპებს, თუმცა წლების განმავლობაში საქართველოსთვის

მთავარი ამოცანა იყო არა ის, თუ როგორ გაეზარდა უცხოური ინვესტიციებისგან მისაღები შედეგები, არამედის, ის თუ როგორ მოეზიდა რაც შეიძლება მეტი ოდენობით ინვესტიციები. [რ. შენგელია. ეკონომიკა. №3-4 გვ.19]

უცხოური ინვესტიციების გავლენა ქვეყნის საგადამხდელო ბალანსზე და მის სტრუქტურაზე სხვადასხვაა. მაგალითად, კაპიტალის იმპორტი აისახება ბალანსის აქტივში და შეიძლება ამ უკანასკნელის გაუმჯობესებას შეუწყოს ხელი. ამასთან, ინვესტიციებს თან სდევს მიღებული მოგების გატანა, რაც აისახება ბალანსის გასავალ ნაწილში. გარდა ამისა, უცხოური ინვესტიციების დაბანდებას თან სდევს მოწყობილობის, პატენტების, ლიცენზიების იმპორტი, რაც იწვევს სახსრების ქვეყნიდან გადინებას. უცხოელ ინვესტორებს დიდი თანხები შეაქვთ დაბეგვრის, საბაჟო გადასახადის და სხვა მოსაკრებლების სახით, რაც ხელს უწყობს საგადამხდელო ბალანსის გაუმჯობესებას. ინვესტიციების მიმღები ქვეყნის მთავრობა, ქმნის რა უცხოური ინვესტიციებისათვის ხელსაყრელ პირობებს, ქმნის მოგების რეინვესტირების შესაძლებლობებს, ამცირებს ქვეყნიდან კაპიტალის გადინებას. [ინვესტიციების-ა...]

პირდაპირი უცხოური ინვესტიციებიდან ეკონომიკისათვის მაქსიმალური ეფექტის მისაღწევად ხელისუფლებამ უნდა გაამყაროს ეროვნული ეკონომიკის საფუძვლები, უზრუნველყოს მაკროეკონომიკური სტაბილურობა, განავითაროს კონკურენცია, თანაბრად გამოიყენოს მარეგულირებელი ნორმები, შექმნას ინფრასტრუქტურა და სამართლებრივი მექანიზმები.

დასკვნის სახით გვსურს აღვნიშნოთ, რომ საქართველოსთვის მიზანშეწონილია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დაბანდება ისეთ დარგებში, რომლებიც საექსპორტო პროდუქციის ფართომასშტაბიან წარმოებაზეა ორიენტირებული და შესაძლებელია ქვეყნის ფარგლებს გარეთ მისი მომგებიანი რეალიზაცია. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დაბანდება პრიორიტეტულ დარგებში ხელს შეუწყობს ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ამაღლებას და ეკონომიკურ ზრდას.

აუცილებელია, სახელმწიფომ შექმნას ისეთი სამართლებრივი გარემო, რომელიც უზრუნველყოფს ყველა ეკონომიკური სუბიექტის ზრდის თანაბარ შესაძლებლობებს და

შემოსავლების სამართლიან გადანაწილებას. ინვესტიციების მოზიდვისა და ხელშეწყობისათვის სასურველია წინა წლებში შემოსული ინვესტორებისათვის რეინვესტიციის განსახორციელებლად შესაბამისი გარემოებების შექმნა და ხელის შეწყობა; საჭიროა მიზანმიმართული სახელმწიფო პოლიტიკის გატარება, რაც უზრუნველყოფს ქვეყნის გრძელვადიანი სოციალურ-ეკონომიკური მიზნებისა და ამოცანების გადაწყვეტას და შეუფერხებელ ეკონომიკურ ზრდას.

2.3. საქართველოს საგარეო ვაჭრობის განვითარების ტენდენციები და გლობალიზაციის გამოწვევები

ეკონომიკის გლობალიზაციის პირობებში გადამწყვეტი როლი ენიჭება ქვეყნის საგარეო ვაჭრობის განვითარების მიმართულებებს და ტენდენციებს. ისინი გავლენას ახდენენ, როგორც ცალკეული ქვეყნის, ასევე მსოფლიო ეკონომიკისა და ბიზნესის განვითარებაზე.

თანამედროვე ეტაპზე ქვეყნებსშორისი ურთიერთდამოკიდებულება იზრდება ინტეგრაციული პროცესების განვითარების საფუძველზე. სწორედ ინტეგრაციული პროცესები წარმოადგენენ ქვეყნების ურთიერთდამოკიდებულების ზრდის საფუძველს. ქვეყნებს შორის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების ყველა მიმართულებით თანამშრომლობის გაღრმავება წარმოადგენს მათი ეკონომიკური განვითარების ამაღლების ერთ-ერთ უმთავრეს გზას. [რ. ფუტკარაძე. 2012]. ბუნებრივია, რომ სახელმწიფოთშორისი ეკონომიკური თანამშრომლობის გაღრმავებით, საერთაშორისო ვაჭრობის ლიბერალიზაციით, უპირველეს ყოვლისა, დაინტერესებულნი და შესაბამისად მოგებულნი არიან განვითარებული ქვეყნები, მაგრამ სავაჭრო კავშირების გაღრმავება, ექსპორტის გაზრდა თუ დივერსიფიკაცია შედის ასევე განვითარებადი ქვეყნების ინტერესებშიც.

1990-იანი წლებიდან საქართველოში ნელა, მაგრამ თანდათანობით ხდებოდა ლიბერალური სავაჭრო რეჟიმებისათვის წინაპირობების შექმნა. ლიბერალური სავაჭრო პოლიტიკის განვითარების ინსტიტუციური პირობა შექმნა საქართველოს ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში (ვმო) გაწევრიანებამ. ვმო-ში გაწევრიანების პროცესში განხორციელდა მრავალი საკანონმდებლო ცვლილებები: გაუქმდა ექსპორტ-იმპორტის კვოტირება. იგივე შეეხო ლიცენზირებას, გაუქმდა საგარეო სავაჭრო კონტრაქტების რეგისტრაციის მოთხოვნა, შემცირდა აქციზური საქონლის ჩამონათვალი და სააქციზო განაკვეთები, ექსპორტის ხელშეწყობის მიზნით, საქართველოში გაუქმდა საბაჟო გადასახადი ექსპორტზე. დაწესდა რიგი შეღავათები საწარმოო დანიშნულების საქონლის იმპორტზე. ამგვარმა ლიბერალურმა სისტემამ წინაპირობები შექმნა საქართველოს ვმო-ში გასაწევრიანებლად და 2000 წელს საქართველო ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის სრულუფლებიანი წევრი გახდა.

გლობალიზაციის პირობებში საგარეო ვაჭრობა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნის მდგრადი ეკონომიკური განვითარების უზრუნველსაყოფად. საგარეო ვაჭრობის მოცულობის გაზრდა და უარყოფითი სავაჭრო ბალანსის შემცირება იყო და ისევ რჩება საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთ უმთავრეს გამოწვევად. ამიტომ საქართველოს მთავრობის მიერ განხორციელებულ იქნა, როგორც სატარიფო პოლიტიკის, ასევე ტექნიკური რეგულირების სფეროს რეფორმა, რის შედეგადაც საქართველოს დღეისათვის გააჩნია მსოფლიოში ერთ-ერთი ლიბერალური საგარეო სავაჭრო პოლიტიკა,რაც გულისხმობს გამარტივებულ საგარეო ვაჭრობის რეჟიმსა და საბაჟო პროცედურებს, დაბალ საიმპორტო ტარიფებსა და მინიმალურ არასატარიფო რეგულირებას. საქართველოში დღეს მოქმედებს შემდეგი სავაჭრო რეჟიმები:

- უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმი (Most-Favored-Nation). [უპირატესი...] საქართველოს სავაჭრო პარტნიორების უმეტესობა არის ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის (ვმო) წევრი და შესაბამისად, ვმო-ს წევრ ქვეყნებთან (158 ქვეყანა) სავაჭრო ურთიერთობები ხორციელდება "უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის" (MFN) საფუძველზე;

- პრეფერენციათა განზოგადებული სისტემა (Generalized System of Preferences - GSP).[პრეფერენციათა...] პრეფერენციების განზოგადებული სისტემის (GSP) ძირითადი არსია ბენეფიციარი ქვეყნებიდან იმპორტირებულ საქონელზე საბაზო საიმპორტო ტარიფის შემცირებული განაკვეთების დაწესება, რაც აადვილებს განვითარებადი ქვეყნების საქონლის შეღწევას განვითარებული ქვეყნების ბაზარზე. საქართველო არის შემდეგი ქვეყნების პრეფერენციათა განზოგადებული სისტემის რეჟიმის ბენეფიციარი:ევროკავშირი, აშშ, იაპონია, კანადა, შვეიცარია და ნორვეგია.
- თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი. თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი გულისხმობს შეთანხმების მონაწილე მხარეებს შორის ვაჭრობის გათავისუფლებას საბაჟო-საიმპორტო გადასახადისაგან, გარდა ურთიერთშეთანხმებული გამონაკლისებისა. დღეისათვის საქართველოს თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი აქვს დსთ-ს ყველა ქვეყანასთან და თურქეთთან.

მაგრამ, მიუხედავად გადადგმული ნაბიჯებისა, საქართველოს საგარეო-სავაჭრო ურთიერთობები მთელი რიგი პრობლემებით ხასიათდება. ქვემოთ მოყვანილი ცხრილების მონაცემები ცხადყოფენ, რომ საქართველოს წლების განმავლობაში ჰქონდა უარყოფითი სავაჭრო სალდო, რაც ქვეყნის იმპორტზე მაღალი დამოკიდებულების მიზეზით არის გამოწვეული.

წლების განმავლობაში იმპორტის ზრდა დაკავშირებული იყო ქვეყანაში ფართო მოხმარების საქონელზე მოთხოვნის ზრდასთან, რაც მოსახლეობის შემოსავლების ზრდაზე მიუთითებს. ამასთან, უარყოფითი სავაჭრო სალდო ყოველთვის კომპენსირდებოდა როგორც მომსახურების ექსპორტიდან (ტურიზმი, საერთაშორისო გადაზიდვები) მიღებული შემოსავლებით, ისე საზღვარგარეთიდან ფულადი გზავნილებითა და უცხოური ინვესტიციების შემოდინებით, რაც ვალუტის კურსის სტაბილურობას უწყობდა ხელს.

ცხრილი № 6

საგარეო სავაჭრო ბრუნვის დინამიკა 1995-2015 წლებში (მლნ აშშ დოლარი)

წლები	1995	1996	1997	1998	1999	2000	2001	2002	2003	2004	2005
ბრუნვა	643,9	954,2	1,239,5	1,073,8	927,6	1,033,4	1,069,2	1,140,4	1,600,3	2,491,2	3,353
ზრდის ტემპი %	-	48,1	29,8	-13,3	-13,6	11,4	3,4	6,7	40,3	55,6	-86,54
ექსპორტი	155,2	203,0	244,2	191,3	238,0	323,9	317,2	345,7	461,3	646,9	865,5
ზრდის ტემპი %	-	30,7	20,2	-21,6	24,4	36,0	-2,0	8,9	33,4	40,2	33,7
იმპორტი	488,7	751,2	995,3	882,5	689,6	709,5	752,0	794,7	1,139,0	1,844,3	2,487,5
ზრდის ტემპი %	-	53,7	32,4	-11,3	-21,8	2,8	5,9	5,6	43,3	61,9	34,8
სალდო	-333,5	-548,2	-751,1	-691,2	-451,6	-385,6	-434,8	-449	-677,7	-1197,4	-1,622

ცხრილის გაგრძელება

წლები	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015
ბრუნვა	4,611,2	6,444,3	7 797	5 634	6 935	9225	10 413	10 921	11 457	9 933
ზრდის ტემპი %	272 %	39,75%	21%	-28%	23%	33%	13%	5%	5%	-13%
ექსპორტი	936,4	1,232,1	1 495	1 134	1 677	2 187	2 376	2 910	2 861	2 204
ზრდის ტემპი %	8,1%	31,5%	21%	-24%	48%	31%	8%	22%	-17%	-23%
იმპორტი	3,674,8	5,212,2	6 302	4 500	5 257	7 038	8 037	8 012	8 593	7 729
ზრდის ტემპი %	47,7	41,8	21%	-29%	17%	34%	14%	-0,2%	7%	-10%
სალდო	2,738,4	-3,9801	-4 806	-3 367	-3 580	-4 852	-5 661	-5 102	-5 733	-5 525

წყარო: შედგენილია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით.

სახელმწიფო ყოველთვის დაინტერესებულია იმით, რომ ექსპორტი ჭარბობდეს იმპორტს და, მაშასადამე, სალდო იყოს დადებითი. თუ, სალდო იქნება უარყოფითი, მაშინ სახელმწიფო იძულებულია დახარჯოს საერთაშორისო სავალუტო რეზერვები, რაც განაპირობებს ბალანსის დარღვევას ადგილობრივ ვალუტასა და უცხოურ ვალუტას შორის. ეს კი იწვევს ადგილობრივი ვალუტის გაუფასურებას.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით 2015 წელს საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვამ 9 933 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის მაჩვენებელზე 13%-ით ნაკლებია. ექსპორტი შემცირდა 23%-ით და 2 204 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც 2011 წლის შემდეგ ყველაზე დაბალ მაჩვენებელს წარმოადგენს. იმპორტი შემცირდა 10%-ით და 7 729 მლნ. აშშ დოლარით განისაზღვრა. უარყოფითმა სავაჭრო ბალანსმა შეადგინა -5 525 მლნ. აშშ დოლარი და სავაჭრო ბრუნვის 56%. ამ დინამიკის ძირითადი განმსაზღვრელი ფაქტორი ლარის კურსზე წლის განმავლობაში დაფიქსირებული ზეწოლა იყო. მიმდინარე წელს, საგადამხდელო ბალანსის თითქმის ყველა მუხლში კლების ტენდენცია დაფიქსირდა. ფულადი გზავნილები, რომელიც ქვეყანაში ვალუტის ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს 29%-ით შემცირდა. ამდენად, იმპორტის შემცირებაზე ლარის კურსის გაუფასურებამ უაღრესად დიდი გავლენა იქონია, რამაც უცხოური პროდუქცია ჩვენი მოსახლეობისთვის გააძვირა და იმპორტზე მოთხოვნაც მნიშვნელოვნად შეამცირა.

მიუხედავად ვაჭრობის მოცულობის ზოგადი შემცირებისა, დადებითი ტენდენციები შენარჩუნდა ევროკავშირთან ვაჭრობაში. ექსპორტი ევროკავშირში 2015 წელს 3.6%–ით გაიზარდა და 646.4 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ პრაქტიკულად ყველა სხვა მსხვილ სავაჭრო პარტნიორ ქვეყანასა თუ რეგიონში 2015 წელს ექსპორტი საქართველოდან მნიშვნელოვნად შემცირდა – 42.7%–ით დსთ–ში (აქედან 40.7%–ით რუსეთში და 55.8%–ით აზერბაიჯანში, რომლებიც ამ რეგიონში საქართველოს ორი ყველაზე მსხვილი პარტნიორია), 49.8%– ით – აშშ–ში და 21.9%–ით – თურქეთში. აშშ–ში ექსპორტის კლება განსაკუთრებით საყურადღებოა,

რადგანაც ლარის აშშ დოლარის მიმართ გაუფასურებას დადებითი გავლენა უნდა მოეხდინა ამ სავაჭრო მაჩვენებელზე.

საქართველოს სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების რიცხვი 137 ქვეყნით განისაზღვრა, საიდანაც დადებითი სავაჭრო ბალანსი დაფიქსირდა 35 ქვეყანასთან. 2015 წელს 1 638 მლნ. აშშ დოლარის წმინდა ექსპორტი (რეექსპორტის გარეშე) განხორციელდა, რაც 12%-ით და 235 მლნ. აშშ დოლარით ნაკლებია წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით.

რეექსპორტის შემცირება ძირითადად მსუბუქი ავტომობილების (-65% და - 338 მლნ. აშშ დოლარი), სატვირთო ავტომობილების (- 54% და - 15 მლნ. აშშ დოლარი) და ხორბლის (- 80% და - 12 მლნ. აშშ დოლარი) ხარჯზე განხორციელდა. ამასთან, ექსპორტის შემცირების მაღალი მაჩვენებელი ძირითადად განაპირობა საქართველოს ექსპორტის სტრუქტურამ. კერძოდ, მსოფლიოში მიმდინარე სავალუტო რყევებისა და მისგან გამოწვეული ეკონომიკური მდგომარეობის შედეგად მოთხოვნა განსაკუთრებით შემცირდა არაპირველადი მოთხოვნის სასაქონლო პოზიციებზე.

ცხრილი #7

საქართველოს ექსპორტი 2014-2015 წლები				
	მნლ.$	მნლ.$	ზრდა (%)	სხვაობა
ექსპორტი სულ	2861	2 204	-23%	657
მ.შ. წმინდა ექსპორტი	1873	1 638	-12%	79
რეექსპორტი	988	566	-43%	578

2013-2014-2015 წლებში მნიშვნელოვნად შეიცვალა საქართველოს საერთაშორისო ბაზრების წილობრივი სტრუქტურა რეგიონალურ ჭრილში. [საქართველოს-ლ...]

2013 წლის მონაცემებით ევროკავშირს საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვის 26% ეკავა, ხოლო დსთ-ს ქვეყნებს 35%. 2015 წლის მონაცემებით ევროკავშირის წილმა 6 პროცენტული პუნქტით მოიმატა და 32% შეადგინა, ხოლო დსთ-ს წილი 7

პროცენტული პუნქტით შემცირდა და 28% შეადგინა. ამჟამად ევროკავშირის წილი სავაჭრო ბრუნვაში 4 პროცენტული პუნქტით უსწრებს დსთ-ს ქვეყნების წილს.

დიაგრამა #3



წყარო:http://www.economy.ge/uploads/files/sagareo_vachroba/Trade_turnover_2015_final_1.pdf

ამავე პერიოდში ევროკავშირში საქართველოს ექსპორტის წილი 21%-დან 29%-მდე გაიზარდა (ზრდა 8 პროცენტული პუნქტით), ხოლო დსთ-ს წილი 56%-დან 38%-მდე შემცირდა (კლება 18 პროცენტული პუნქტით).

დიაგრამა#4



წყარო:http://www.economy.ge/uploads/files/sagareo_vachroba/Trade_turnover_2015_final_1.pdf

დიაგრამა # 5



წყარო:http://www.economy.ge/uploads/files/sagareo_vachroba/Trade_turnover_2015_final_1.pdf

2015 წლის მანძილზე საქართველოს მთავარ საექსპორტო პოზიციას – მთლიანი ექსპორტის 12.28% – სპილენძის მადნები და კონცენტრატები წარმოადგენდა. შედარებით მნიშვნელოვანი იყო მსუბუქი ავტომობილების რეექსპორტიც, თუმცა მისი წილი მთლიან ექსპორტში მნიშვნელოვნად შემცირდა გასულ წლებთან შედარებით. აღსანიშნავია, რომ მეოთხე ადგილს საქართველოს ექსპორტში იკავებს თხილი, რომელიც, ღვინის ექსპორტის თითქმის განახევრების გამო, დღეისათვის წარმოადგენს საქართველოს მთავარ სასოფლო–სამეურნეო ექსპორტს.

დიაგრამა # 6



წყარო:http://www.economy.ge/uploads/files/sagareo_vachroba/Trade_turnover_2015_final_1.pdf

საქართველოს ყველაზე მსხვილ საიმპორტო პარტნიორად კვლავ თურქეთი გვევლინება, თუმცა მისი წილი მნიშვნელოვნად დაეცა 2014 წელთან შედარებით (22.3%–იდან 17.2%–მდე). თითქმის 2 პროცენტული პუნქტით გაიზარდა ევროკავშირის წილი მთლიან იმპორტში და მან 32.6% შეადგინა. სხვა ქვეყნებიდან, აღსანიშნავია ირლანდიის წილის მნიშვნელოვანი ზრდა – თუ 2014 წელს იმპორტი ირლანდიიდან მთლიანი იმპორტის მხოლოდ 0.1%–ს შეადგენა, 2015 წელს ეს მაჩვენებელი 5.9%–ს გაუტოლდა. ამ ზრდის მიზეზი ირლანდიიდან შემოსული ჰეპატიტ ც–ს მედიკამენტებია.

დიაგრამა # 7



წყარო: შედგენილია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით

საქართველოს ექსპორტის სტრუქტურაში ჭარბობს ნედლეული და მასალები (შავი და ფერადი ლითონების ჯართი, ძვირფასი ლითონების მადნები და კონცენტრატები და ა.შ.), ხოლო იმპორტის სტრუქტურაში უმნიშვნელო ხვედრითი წილითაა წარმოდგენილი ტექნოლოგიები და მანქანა-მოწყობილობები. სამწუხაროდ,

საქართველოში შემოდის ბევრი ისეთი პროდუქცია, რომელთა წარმოება საქართველოსაც შეუძლია.

წამყვან საიმპორტო პოზიციებში დაწინაურდა სამკურნალო საშუალებები, ძირითადად ჰეპატიტ ც–ს საწინააღმდეგო მედიკამენტების იმპორტის ხარჯზე, თუმცა, იმის გამო, რომ აღნიშნული მედიკამენტების შეძენა სპეციალური გრანტის ხარჯზე მოხდა, მთლიანობაში იმპორტის ამ შემადგენელ ნაწილს მიმდინარე ანგარიშის დეფიციტზე გავლენა არ მოუხდენია. მსოფლიო ბაზრებზე ნავთობის ფასების მკვეთრი დაცემის შედეგად შემცირდა ნავთობისა და ნავთობპროდუქტების წილი იმპორტში (11.9%–დან 2013 წელს 8.5%–მდე 2015–ში). ასევე, შემცირდა მსუბუქი ავტომობილების წილი, სავარაუდოდ რეექსპორტის ბაზრის შემცირების გამო.

იმპორტის მთავარი სასაქონლო ჯგუფები

იმპორტის სასაქონლო სტრუქტურა უფრო მეტად უნდა იყოს ორიენტირებული ქვეყნის საწარმოო ძალთა განვითარებაზე, რაც საექსპორტო ბაზრის განვითარების საფუძველია. ამისათვის, ადგილობრივი წარმოების განვითარება უპირველეს პრიორიტეტად უნდა განისაზღვროს, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმ დარგებს, რომლებსაც სერიოზული საექსპორტო შემოსავლების მოტანა შეუძლია ჩვენი ქვეყნისათვის. ამ მიზნით საქართვლოს მთავრობამ, კერძოდ: საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ გადადგა შემდეგი ქმედითი ნაბიჯები: იწყება "ექსპორტის წახალისების" პროგრამის განხორციელება, რაც მისასალმებელია.

ექსპორტის ხელშეწყობის სააგენტოს მიზანია ხელი შეუწყოს ექსპორტიორს სხვადასხვა ფინანსური მექანიზმების გამოყენებით. მათ შორის განიხილება:

1. ექსპორტის საკრედიტო დაზღვევა;

2. ფინანსური გარანტიების გაცემა ექსპორტიორ კომპანიებზე;

3. საკრედიტო დავალიანების მართვა და მსოფლიო პრაქტიკაში აპრობირებული სხვა მეთოდები.

საპარტნიორო ფონდი ექსპორტის ხელშემწყობი სააგენტოს ფორმირებაზე მეწარმეობის განვითარების სააგენტოსთან ერთად მუშაობს. ექსპორტის ხელშემწყობი სააგენტო საპარტნიორო ფონდის ბაზაზე ჩამოყალიბდება.[დაზღვევა...2017]

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მეწარმეებზე, დაბალპროცენტიანი კრედიტების გაცემა ასი ათასიდან 2,5 მილიონ ლარამდე. პროგრამის საერთო ბიუჯეტი 25 მლნ. ლარია. მსგავს მეთოდებს იყენებს მრავალი ქვეყანა. საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს ექსპორტის ხელშეწყობის სამსახურის მიერ შემუშავებულ იქნა ახალი ვებ-გვერდი.[ვაჭრობა...] ახალ სავაჭრო ვებ-გვერდზე განთავსებულია ქართველ ექსპორტიორთა ონლაინ მონაცემთა ბაზა და პროდუქციის კატალოგი, რომლის საძიებო სისტემაც აბსოლუტურად მორგებულია უცხოელ ტრეიდერებზე და საშუალებას აძლევს, მოიძიონ ქართული პროდუქტი, როგორც დასახელების, ისე HS კოდების მიხედვით. ვებ-გვერდზე უკვე დარეგისტრირებულია 248 ქართული პროდუქტი. ეს პორტალი კომპანიებს შესაძლებლობას აძლევს, ინდივიდუალურად განათავსონ ინფორმაცია ყოველი წარმოებული პროდუქციის შესახებ, ასევე ატვირთონ ლოგოები და ფოტომასალა. ამ ეტაპზე ვებ-გვერდი საცდელ რეჟიმში ფუნქციონირებს, თუმცა, იგი უკვე 8000-ზე მეტმა უცხოელმა ვიზიტორმა მოინახულა, დიდი ინტერესი დაფიქსირდა აშშ-ს მხრიდან. ყველაზე აქტუალური და დათვალიერებადი გვერდები არის: პროდუქტების კატალოგი და სავაჭრო რეჟიმები, ასევე საექსპორტო პროცედურები. საინვესტიციო სააგენტოს ექსპორტის ხელშეწყობის სამსახური აქტიურად მუშაობს ქართული ექსპორტიორი კომპანიების ინფორმაციით უზრუნველყოფის მიმართულებით და მათ საერთაშორისო მასშტაბით ბიზნესკონტაქტების დამყარებაში ეხმარება. წელს სამსახურის პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს ქართული ალკოჰოლური და არაალკოჰოლური სასმელების პოპულარიზაცია.

გარდა ამისა, სიახლეს წარმოადგენს ასევე ახალი პროექტი, რომელსაც საფუძველი ჩაეყარა სახელწოდებით „ აწარმოე საქართველოში“. აღნიშნული პროგრამის მიზანია: წარმოებაზე ორიენტირებული ინდუსტრიის განვითარების ხელშეწყობა. პროგრამის

მიმართულებებია: სასოფლო სამეურნეო პროდუქციის წარმოება, გადამუშავება. პროგრამის ბიუჯეტი სულ: 46 მლნ.ლარია, მათ შორის: სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება-გადამუშავება - 30 მლნ.ლარი.[აწარმოე...]

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ექსპორტის ზრდის მაჩვენებლები შთამბეჭდავი იყო და 2000 წლის შემდეგ, წელიწადში საშუალოდ 10 პროცენტს აღემატებოდა. თუმცა ბაზარზე დარჩენა, რაც კრიტიკული მნიშვნელობისაა სავაჭრო ურთიერთობების გასაღრმავებლად და კონკურენტუნარიანობის მდგრადი გაუმჯობესების ხელშესაწყობად, კვლავ გამოწვევად რჩება.

როგორც ვიცით, აქტიური საექსპორტო პროდუქტის საშუალო სიცოცხლისუნარიანობა 2.15 წელია მაშინ როცა ეს მაჩვენებელი, მაგალითად, ლიტვაში 2.84-ს, სლოვაკეთში 3.35-ს, ხოლო ჩეხეთის რესპუბლიკაში 3.5-ს შეადგენს ერთი და იმავე პროდუქტისთვის. ექსპორტის სიცოცხლისუნარიანობის წინაშე არსებული ძირითადი პრობლემების შესწავლა გადამწყვეტია დარგობრივი პოლიტიკის თვალსაზრისით, თუ კი ქვეყნის მიზანია ექსპორტის ზრდა და ამ ზრდის შენარჩუნება. ექსპორტის მდგრადი ზრდა ტიპურად უკავშირდება ახალი პროდუქტების შექმნას ახალ ბაზრებზე (ექსტენსიური მარჟა), არსებული საექსპორტო ურთიერთობების გაფართოებას (ინტენსიური მარჟა), და, ამ ურთიერთობების შენარჩუნებას დროში (მდგრადობის მარჟა).

ექსპორტი სარისკო საქმიანობაა, რომელიც ხასიათდება გაურკვევლობის მაღალი ხარისხით, რასაც შედეგად მოსდევს მოკლევადიანი ნაკადები. სიცოცხლისუნარიანობის დაბალ მაჩვენებლებს, შედეგად, შეიძლება მოჰყვეს ზარალი, ზოგადად ეკონომიკისთვის, როდესაც ბაზარზე შესვლის და ბაზრიდან გასვლის არაანაზღაურებადი ხარჯები მაღალია. მნიშვნელოვანი განსხვავება წარმატებულ და ნაკლებად წარმატებულ ექსპორტიორებს შორის არის პირველის უნარი, შეინარჩუნოს საექსპორტო ურთიერთობები ხანგრძლივი პერიოდით, რაც იძლევა შესაძლებლობას, ჩამოყალიბდეს უფრო ღრმა სავაჭრო ურთიერთობები, გაიზარდოს ექსპორტი და შეიქმნას სამუშაო ადგილები. მაგალითად, მსოფლიო ბანკის კვლევების შედეგად,

შედარებულ იქნა ფირმის დონეზე არსებული დეტალური მონაცემები ექსპორტის ოპერაციების მონაცემებთან 2006–2012 წლების პერიოდისთვის, ექსპორტის დინამიკის სიღრმისეული შესწავლის მიზნით. აღნიშნული მონაცემების ნაკრები ექსპორტის დინამიკის დეტალურად შეფასების საშუალებას იძლევა.

ცხრილი# 8

ექსპორტის ბაზარზე ფირმების შესვლის და ბაზრის დატოვების მაჩვენებელი საქართველოში 2006-2012 წწ						
წელი	ფირმები	ექსპორტიორი ფირმები	საექსპორტო ბაზრიდან გასვლა	ახალი ექსპორტი ორები	სულ ექსპორტი რებული პროდუქტები	სულ ექსპორტის დანიშნულების ადგილები
2006	2,117	234 (11,1)	45	...	265	50
2007	1,581	166 (10,5)	29	30	286	55
2008	1,606	168 (10,5)	25	29	317	51
2009	2,415	237 (9,8)	46	28	397	70
2010	2,220	211 (9,5)	34	37	479	69
2011	1,848	292 (15,8)	46	36	665	76
2012	2,029	255 (12,6)	-	42	588	71

წყარო: შემუშავებულია მსოფლიო ბანკის ანგარიშის მონაცემების საფუძველზე, 2012

ცხრილის მონაცემები გვიჩვენებს ბაზარზე შესვლის და ბაზრის დატოვების დინამიკას იმ ფირმებზე დაკვირვებით, რომლებიც ექსპორტს აწარმოებდნენ წინა წელს და შეწყვიტეს მომდევნო წელს ან პირიქით. [ქვეყნის...]

პროდუქტიულობა და პროდუქციის დივერსიფიკაცია, თანამშრომლობა უცხოურ ფირმებთან და სავაჭრო ქსელებთან, მნიშვნელოვანია ექსპორტის სიცოცხლის უნარიანობისთვის. ფირმებს, რომლებიც შედარებით მეტად არიან დივერსიფიცირებულნი პროდუქციის დონეზე, ბაზარზე დარჩენის მეტი შესაძლებლობა აქვთ, ვიდრე იმ ფირმებს, რომლებიც კონცენტრირებული საექსპორტო პროდუქციით გამოირჩევიან. თუმცა, ფირმებს, რომლებიც უფრო მეტად არიან

დივერსიფიცირებულნი დანიშნულების ადგილის დონეზე, სიცოცხლისუნარიანობის უფრო დაბალი მაჩვენებელი აქვთ, ვიდრე იმ ფირმებს, რომელთა საექსპორტო პროდუქცია კონცენტრირებულია შედარებით უფრო ნაკლებ დანიშნულების ადგილზე. ექსპორტის სიცოცხლისუნარიანობის შანსს უფრო წარმოების ეფექტიანობა ზრდის, ვიდრე მისი მოცულობა.

როგორც წესი, ახალი საექსპორტო პროდუქტების 75 პროცენტი და მთელი საექსპორტო პროდუქტების 70 პროცენტი ვერ ახერხებს ბაზარზე დარჩენას პირველი წლის შემდეგ. აქტიური საექსპორტო პროდუქტის სიცოცხლის ხანგრძლივობა შედარებით ხანმოკლეა, თუმცა ერთ წელზე დიდი ხნის განმავლობაში ბაზარზე დარჩენა მნიშვნელოვნად ზრდის ექსპორტის მდგრადობის ალბათობას. რამდენადაც უმთავრესი განსხვავება წარმატებულ და წარუმატებელ ექსპორტიორებს შორის არის პირველთა უნარი ხანგრძლივი პერიოდით შეინარჩუნონ საექსპორტო ურთიერთობები (რაც შესაძლებელს ხდის ვაჭრობისა და ექსპორტის ზრდას და სამუშაო ადგილების შექმნას), იმდენად მნიშვნელოვანია საქართველოში ექსპორტის მდგრადობის ძირითადი განმაპირობებელი ფაქტორების გულდასმით შესწავლა. თუ წარმოება, რომელიც მაღალპროდუქტიულობასთან არის ასოცირებული მეტად კაპიტალტევადია, იზრდება ექსპორტის მდგრადობის ალბათობა. ფირმებს, სადაც არსებობს უცხოური კაპიტალის მონაწილეობა, სავარაუდოდ, ბაზარზე დარჩენის მეტი შესაძლებლობა აქვთ, უკეთესი მენეჯმენტის, მოწინავე ტექნოლოგიების, საერთაშორისო ბაზრების უკეთ ცოდნის და ფინანსურ რესურსებსა და საბაზრო კვლევებზე წვდომის გამო. ასევე მნიშვნელოვანია ქსელური ეფექტი. რაც უფრო მეტი ფირმა აწარმოებს ერთი პროდუქტის ექსპორტს ან ექსპორტს დანიშნულების ერთი ადგილის მიმართულებით, მით მეტი ინფორმაციაა ხელმისაწვდომი საექსპორტო ბაზრის თავისებურებებზე. ამ ინფორმაციით ასევე შეიძლება ისარგებლონ ბაზრის ახალმა მონაწილეებმა ან დივერსიფიცირებულმა ფირმებმა. ეს კი მათთვის შესაძლოა ღირებული აღმოჩნდეს, რადგან ამცირებს სრულიად ახალ ბაზარზე შესვლის რისკს. მეორე, ასეთი ინფორმაცია შეიძლება გამოიყენოს ფინანსურმა სექტორმაც, რომელმაც შესაძლოა მიიჩნიოს, რომ

ნაკლებად სარისკოა დივერსიფიცირების მოსურნე ფირმების ინოვაციური საქმიანობის დაფინანსება.

ქართული ფირმები, უმთავრესად, დამოკიდებულნი არიან ერთი და იმავე პროდუქტის მზარდ ექსპორტზე ან ექსპორტზე დანიშნულების ერთი ადგილის მიმართულებით. ექსპორტის მდგრადი ზრდა ჩვეულებრივ დაკავშირებულია ახალი პროდუქტების შექმნასთან, ახალ ბაზრებზე გასვლასთან (ექსტენსიური მარჟა) და არსებული საექსპორტო ურთიერთობების გაფართოებასთან (ინტენსიური მარჟა).

როგორც ზოგადად მთელ მსოფლიოში, საქართველოშიც ექსპორტიორი ფირმები შედარებით უფრო ძლიერი საწარმოები არიან, ვიდრე მათი, ადგილობრივ ბაზარზე ორიენტირებული პარტნიორები. ისინი უფრო პროდუქტიულები არიან და ამიტომ უფრო სწრაფად იზრდებიან დასაქმების და წარმოებული პროდუქციის თვალსაზრისით, ვიდრე არაექსპორტიორი ფირმები. მიუხედავად იმისა, რომ ტარდება ექსპერიმენტები ახალი პროდუქტებით, ინოვაციები ამ მიმართულებით მცირემასშტაბიანია.

საქართველოს ექსპორტის ზრდა, ძირითადად, პირველად სექტორებში აღინიშნა, რაც ასახავს შრომითი ბაზრის სტრუქტურას და ექსპორტის არასათანადო განვითარებას. ექსპორტის ზრდა, უმთავრესად, მოდიოდა ქიმიურ პროდუქტებზე, შავ ლითონებზე, სურსათსა და ბოსტნეულზე. ეს ასახავს როგორც შრომითი ბაზრის ტიპს საქართველოში, ისე პროგრესის ნაკლებობას ექსპორტთან დაკავშირებული უნარ-ჩვევების თვალსაზრისით. ეს უკანასკნელი ექსპორტის განვითარების საზომია და გამოხატავს ექსპორტის კალათის შრომით პროფილს.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს შრომით რესურსებში საშუალო განათლების მქონე პირების წილი ახლა გაცილებით მაღალია, ვიდრე ათი წლის წინ, შრომის ბაზარზე, უმეტესწილად, ხელფასები კვლავ დაბალია. ისევ დაბალია პირველადი სექტორის კვალიფიკაცია, რომელშიც დასაქმებულია შრომითი რესურსების 57 პროცენტი. მცირეოდენ გაუმჯობესდა კვალიფიკაციის დონე და დამატებითი ღირებულების მქონე პროდუქციის ექსპორტი, თუმცა ამ ექსპორტის

უმეტესი ნაწილი მოდის ისეთ პროდუქციაზე, რომელიც განკუთვნილია ევროკავშირის არაწევრი (რუსეთის გარდა) და ცენტრალური აზიის (ECA* ევროპა და აზია) 3 ქვეყნებისთვის, ვიდრე ევროკავშირის წევრი 27 ქვეყნისთვის, სადაც ხარისხზე მოთხოვნების გამო შესაძლოა უფრო რთულია დამატებითი ღირებულების მქონე საქონლის შეტანა.

საქართველოში საექსპორტო უნარ-ჩვევები უფრო ნაკლები დინამიურობით ხასიათდება, ვიდრე რეგიონის წამყვან ქვეყნებში, მაგალითად, პოლონეთში ან ესტონეთში; ამ ქვეყნებმა წარმატებას მაღალი დამატებითი ღირებულების მქონე საწარმოო საქონლის ექსპორტით მიაღწიეს.

რეალურად, 2000 წლის შემდეგ საქართველოში ექსპორტის სფეროში საშუალო ხელფასი, დამატებითი ღირებულება და უნარ-ჩვევები მხოლოდ უმნიშვნელოდ შეიცვალა.

თუ ჩვენ გვსურს, სრული სარგებელი მივიღოთ ვაჭრობიდან აუცილებელია შრომითი ბაზრის შედეგების გაუმჯობესება, და ამ თვალსაზრისით, აუცილებელი იქნება სტრატეგიული ნაბიჯების გადადგმა, რომ ხელი შეეწყოს რესურსების გადანაცვლებას უფრო მაღალპროდუქტიული და დამატებითი ღირებულების მქონე დარგებისკენ. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების და კაპიტალური ინვესტიციების მოზიდვა საექსპორტო დარგებში დაეხმარება საქართველოს, ღირებულებათა ჯაჭვის მეტ კომპონენტში მონაწილეობის მისაღებად. ამან შესაძლოა მეტი დინამიკა შესძინოს ექსპორტის სფეროს და დადებითი გავლენა იქონიოს დასაქმებასა და ხელფასებზე.

ევროკავშირთან გაუმჯობესებული ეკონომიკური ურთიერთობებიდან და თურქეთთან და სხვა ქვეყნებთან თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებებიდან სარგებლის მისაღებად, საჭიროა რესურსების სწრაფად და შედარებით ნაკლები დანახარჯებით გადადგილება მეტად პროდუქტიულ და ექსპორტზე ორიენტირებულ სექტორებისკენ.

საწარმოო სექტორში შესვლასთან დაკავშირებული მობილობის ხარჯები ძალიან მაღალია. ეს იმაზე მეტყველებს, რომ გარდამავალ პერიოდში, მოსალოდნელზე

ნაკლები ეფექტი ექნება სამრეწველო სექტორში სამუშაო ადგილების ზრდას, მთავრობის მხრიდან წამახალისებელი ღონისძიებების არ არსებობის შემთხვევაში.

საქართველოში გამოცდილი მუშახელის ნაკლებობა „მუდმივ“ პრობლემად მიიჩნევა, განსაკუთრებით თანამედროვე და საერთაშორისო ფირმების მიერ. ამიტომ აუცილებელია შრომის ბაზარი იყოს მზად ისეთი საქონლის საწარმოებლად, რომლებსაც შეეძლებათ კონკურენციის გაწევა მსოფლიოს სხვა ქვეყნების მიერ შექმნილ პროდუქციაზე.

უკანასკნელი პერიოდის საქართველოში განსაკუთრებით მწვავედ დგას მთელი რიგი ეკონომიკური პრობლემები, რაც ქვეყანაში მძიმე სოციალურ ფონს ქმნის. ესენია: ინფლაცია, ფასების ზრდა, ლარის კურსის ვარდნა და ა.შ. ამ და სხვა პრობლემების მოგვარების გზების საძიებლად საჭიროა გავაანალიზოთ, რა ახდენდა გავლენას საქართველოში დოლარის კურსის მოცულობაზე. რა თქმა უნდა, დოლარზე პირველ რიგში გავლენას ახდენს ექსპორტ-იმპორტის ბალანსი (რაც უფრო მატულობს ექსპორტი, მით უფრო მეტი ვალუტა შემოდის ქვეყანაში) და, პირიქით, რაც უფრო მეტია იმპორტი - ქვეყანაში ნაკლები ვალუტა რჩება.

ბოლო წლების განმავლობაში საქართველოს ექსპორტ-იმპორტის სხვაობა (სავაჭრო დეფიციტი) საგრძნობლად გაიზარდა, რაც უარყოფითად აისახა ლარის კურსზე და ზოგადად, ქვეყნის ყოველდღიურობაში. ამდენად, საქართველოს საექსპორტო პოტენციალის სათანადოდ გამოყენება ხელს შეუწყობს ქვეყანაში არსებული მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის გამოწორებას.

2.4. გლობალიზაცია და საქართველოს ადგილი მსოფლიო ეკონომიკური პროცესების სისტემაში

სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციები რეგულარულად ატარებენ საერთაშორისო კვლევებს და აფასებენ ქვეყნებში არსებულ სოციალურ, ეკონომიკურ თუ პოლიტიკურ გარემოს. საქართველომ ზოგიერთი ეკონომიკური თუ პოლიტიკური მიმართულებით მნიშვნელოვანი პროგრესი განიცადა ბოლო ათწლეულში და ამას კარგად აჩვენებს საქართველოს წამყვანი რეიტინგი სხვადასხვა კვლევებში. [საქართველო...] უფრო კარგად რომ დავინახოთ საერთაშორისო რეიტინგებში საქართველოს წინსვლა, მიმოვიხილოთ სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გამოქვეყნებული კვლევების შედეგები. ასეთ კვლევებში ინტენსიურად გამოიყენებენ სხვადასხვა ინდექსებს.

ინდექსი სპეციალურად შექმნილი რაოდენობრივი მაჩვენებელია, რომელიც კავშირს, ინდიკატორების კომბინაციას აღნიშნავს და ამავე დროს განსაზღვრული ჰიპოთეზის შემოწმებისა და დასაბუთების საშუალებას იძლევა. ინდექსის მეშვეობით დგინდება დასაკვირვებელი ერთეულის მდგომარეობა სკალაზე. იგი რაღაც რიცხვია და არ შეიცავს საკვლევი ობიექტის თვისებრივ განსაზღვრებებს. ინდექსი მხოლოდ გარკვეულწილად იძლევიან თვისებრივი მახასიათებლის რაოდენობრივ განსაზღვრულობაზე დაყვანის საშუალებას. გლობალურ ინდექსებს ქმნიან მკვლევარები და საკვლევი ცენტრები, რათა ერთმანეთს შეადარონ მსოფლიოს ქვეყები განსაზღვრული ნიშნების: ეკონომიკის განვითარების ხარისხის, კონკურენტუნარიანობის დონის, კეთილდღეობის მიხედვით და სხვ. [ბლიაძე...]

თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკაში მიმდინარეობს ღრმა თვისებრივი ცვლილებები, რომელიც დაკავშირებულია გლობალიზაციასთან, ქვეყნებს, რეგიონებსა და ფირმებს შორის საბაზრო კონკურენციის გაძლიერებასთან. [კახაბერ გელაშვილი. 2011] ამ პირობებში, როდესაც ბაზარი აღიარებულია საზოგადოებრივი განვითარების მთავარ მამოძრავებელ მექანიზმად, სახელმწიფოს ეკონომიკური სიძლიერე დამოკიდებულია მის გლობალურ კონკურენტუნარიანობაზე,. მის უნარზე მიაღწიოს

უპირატესობას ეკონომიკურ საქმიანობაში და გაიკაფოს გზა მსოფლიო ბაზარზე. (ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ამაღლების საკვანძო საკითხი ჩვენს მიერ განხილულია ნაშრომის პირველ თავში).

თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში, ავტონომიურ, ჩაკეტილ რეჟიმში ბიზნეს - საქმიანობა პრაქტიკულად შეუძლებელია, რის გამოც სახელმწიფოები ცდილობენ ეკონომიკური საზღვრების გახსნას, სავაჭრო ეკონომიკური კავშირების გაღრმავებას, ბიზნესის კეთების ლიბერალიზაციას, რასაც საბოლოო ჯამში თან სდევს ბრძოლა საერთაშორისო ბაზარზე უპირატესობების მოპოვებისაკენ, სადაც მოგებული რჩება ის, ვინც უფრო კონკურენტუნარიანი და წარმატებულია.

გლობალური სამყაროს გასაზომი გლობალური ინდექსები სხვადასხვაგვარია. განვიხილოთ ზოგიერთი მათგანი:

ციურიხის ტექნოლოგიური უნივერსიტეტი ყოველწლიურად აქვეყნებს გლობალიზაციის ინდექსს, რომელიც 191 ქვეყანას მოიცავს. გლობალიზაციის KOF ინდექსი ამა თუ იმ ქვეყნის მსოფლიო სივრცეში ინტეგრირების ხარისხის შესაფასებლად გამოიყენება. ეს აგრეგირებული მაჩვენებელია და მოიცავს სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ ასპექტებს, ხოლო ამ სამი ინდექსის შეწონის შედეგად ერთიანი გლობალიზაციის ინდექსს ანგარიშობენ. ერთიან KOF ინდექსში ეკონომიკური გლობალიზაციის ინდექსს აქვს 36%-ი , სოციალური გლობალიზაციისას – 37%-ი, ხოლო პოლიტიკური გლობალიზაციის ინდექსს - 26%-ი. [ბლიაძე...] ეკონომიკური გლობალიზაციის დონე საერთაშორისო ვაჭრობისა და უცხოური კაპიტალის მოძრაობის კრიტერიუმებით განისაზღვრება. სოციალური გლობალიზაციის კრიტერიუმებად შერჩეულია უცხოელებთან კონტაქტის სხვადასხვა მაჩვენებელით (მაგალითად, ტურისტების რაოდენობა, საერთაშორისო სატელეფონო ზარები, უცხო ქვეყნის მოქალაქეების წილი მოსახლეობაში, ინტერნეტის მომხმარებელთა რაოდენობა და სხვა. პოლიტიკური გლობალიზაციის დონის განმსაზღვრელი კრიტერიუმებია: საელჩოების რაოდენობა ქვეყანაში, საერთაშორისო ორგანიზაციების წევრობა, გაეროს უშიშროების საბჭოს მისიებში მონაწილეობა და საერთაშორისო ხელშეკრულებები. [ნამჩავიძე...2015]

ქვეყნის გლობალიზაციის დონე გვიჩვენებს, რამდენად არის ქვეყანა ინტეგრირებული მსოფლიოში ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური კუთხით. გლობალიზაციის მაღალი დონე ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების ხელშემწყობ ფაქტორად მიიჩნევა.

ცხრილი #9

გლობალიზაციის KOF ინდექსის რეიტინგი 2015 წელი			**გლობალიზაციის KOF ინდექსის რეიტინგი 2016 წელი**		
ქვეყანა	**ადგილი**	**ქულა**	**ქვეყანა**	**ადგილი**	**ქულა**
საქართველო	**63**	**63.8**	**საქართველო**	**64**	**64,27**
ეკონომიკური გლობალიზაციის რეიტინგი 2015 წელი			**ეკონომიკური გლობალიზაციის რეიტინგი 2016 წელი**		
ქვეყანა	**ადგილი**	**ქულა**	**ქვეყანა**	**ადგილი**	**ქულა**
საქართველო	**19**	**81.0**	**საქართველო**	**16**	**82.56**

წყარო: ცხრილი ავტორის მიერ შემუშავებული

http://globalization.kof.ethz.ch/media/filer_public/2016/03/03/rankings_2016.pdf წყაროზე დაყრდნობით

განხილული მაჩვენებლებიდან ჩანს, რომ საქართველო უკვე საერთაშორისო პროცესებში ინტეგრირების საკმაოდ მაღალ საფეხურზე იმყოფება, რაც, ძირითადად, ეკონომიკური ინტეგრირებით არის გამოწვეული. გლობალიზაცია მომგებიანია მცირე ქვეყნებისთვისაც. ამისათვის საჭიროა ქვეყნების მიერ თავიანთი შესაძლებლობების მაქსიმალურ ეფექტიანად გამოყენება ქვეყნის ინტერესებისათვის. ერთი მხრივ, ეს პროცესი ხელს უწყობს ქვეყანაში არსებული რესურსების მობილიზებას და ეფექტიანად გამოყენებას, მეორე მხრივ, კი, ქვეყანას უფრო მეტად დამოკიდებულს ხდის გარე ძალებსა და საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებზე. [ლეკაშვილი...]

მეორე ინდექსი, რომელზე გავამახვილებთ ყურადღებას არის გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი. აღნიშნულ საკითხის შესწავლაზე მუშაობს

შვეიცარიული ორგანიზაცია – მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი (WEF). ეს ორგანიზაცია 1979 წლიდან აქვეყნებს წლიურ ანგარიშს, სადაც გაანალიზებულია მსოფლიოს ქვეყნების კონკურენტუნარიანობა და ბიზნესგარემო. ყოველ წელს დგება რეიტინგი, რომელიც ასახავს ქვეყნების კონკურენტუნარიანობის პოზიციებს მსოფლიოში. [გლობალური-ა...]

კონკურენტუნარიანობა არის ქვეყნის შესაძლებლობა, აწარმოოს საერთაშორისო ბაზრების მოთხოვნის შესაბამისი საქონელი და მომსახურება, და ამავე დროს სტაბილურად გაზარდოს მოსახლეობის რეალური შემოსავალი გრძელვადიან პერიოდში.

მსოფლიო კონკურენტუნარიანობის ინდექსი (GCI), ზომავს მაკროეკონომიკური გარემოს ხარისხს, ქვეყნის საჯარო ინსტიტუტების მდგომარეობას და ტექნოლოგიური მზაობის დონეს. რეიტინგი ეყრდნობა საჯაროდ ხელმისაწვდომ (სტატისტიკურ) მონაცემებსა (WB; UNESCO; World Health Organization, IMF და სხვა) და მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის მიერ ჩატარებული კვლევების შედეგებს, განიხილავს ქვეყნის ძლიერ და სუსტ მხარეებს, ახდენს პრიორიტეტების იდენტიფიცირებას პოლიტიკური რეფორმების განხორციელების ხელშეწყობისათვის. GCI მოიცავს ქვეყნის განვითარების სამ ძირითად საფეხურს (ფაქტორ-მამოძრავებელი; ეფექტიანობის მამოძრავებელი; ინოვაციის მამოძრავებელი), რომელიც აერთიანებს 12 კომპონენტს. სამ ფაქტორთა ჯგუფში შემავალი 12 კომპონენტი, თავის მხრივ, მოიცავს 113 ქვე-კომპონენტს.

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის 2016 წლის „გლობალური კონკურენტუნარიანობის მოხსენების“ („The Global Competitiveness Report“) მიხედვით, საქართველოს რეიტინგი 3 ადგილით გაუმჯობესდა და 69-ე ადგილიდან 66-ზე (4,22-იანი ქულით) გადმოინაცვლა 140 ქვეყანას შორის.

გლობალური კონკურენტუნარიანობის რეიტინგში საქართველო წინ უსწრებს ისეთ ქვეყნებს, როგორიცაა - სლოვაკეთი (67-ე ადგილი), მონტენეგრო (70-ე ადგილი), ხორვატია (77-ე ადგილი), უკრაინა (79-ე ადგილი), საბერძნეთი (81-ე ადგილი), სომხეთი (82-ე ადგილი), მოლდოვა (84-ე ადგილი), ალბანეთი (93-ე ადგილი), სერბეთი (94-ე ადგილი). საქართველოს პოზიციები გაუმჯობესებული აქვს ინდექსის 3 ფაქტორიდან 1

ფაქტორში, 12 კომპონენტიდან 7 კომპონენტში, ხოლო 114 ქვეკომპონენტიდან - 58 ქვეკომპონენტში. ეფექტიანობის მასტიმულირებელი ფაქტორები (Efficiency Enhancers) – გაუმჯობესდა 2 პოზიციით და 77-ე ადგილზე გადმოინაცვლა (ქულა 4.0). განვითარების შეფასების მიხედვით, საქართველოს კვლავ ეფექტიანობით მამოძრავებელი (Efficiency Driven) ქვეყნის სტატუსი აქვს.

ინოვაციების მნიშვნელობა თანამედროვე ბიზნესში უფრო და უფრო იზრდება. ინოვაცია კომპანიას საშუალებას აძლევს მოიპოვოს კონკურენტული უპირატესობა, ჩამოიშოროს კონკურენტები, შექმნას ბაზარზე შესვლის ბარიერები და სწრაფად დაიკავოს მოწინავე პოზიციები. მნიშვნელოვანი ინოვაციის წყალობით, კომპანიამ შესაძლოა მოიპოვოს მონოპოლიური ძალაუფლებაც კი. სწორედ ამიტომ, თანამედროვე მოწინავე კომპანიები არ იშურებენ დროსა და ფინანსებს, კვლევის და განვითარების კომპონენტის გაძლიერებისთვის. თუმცა ინოვაციები მნიშვნელოვანია არამხოლოდ კომპანიებისთვის, რათა გაზარდონ საკუთარი მოგება, არამედ საზოგადოებისთვისაც. ინოვაციების არსებობით საზოგადოება ვითარდება და აღწევს ცხოვრების უფრო მაღალ დონეს. ინოვაცია მნიშვნელოვანია ქვეყნის ეკონომიკისთვისაც, რადგან მეტი ინოვაცია ხელს უწყობს ეკონომიკურ ზრდას.[დუშუაშვილი...2017].

მესამე ინდექსი რომელსაც მიმოვიხილავთ არის, გლობალური ინოვაციის ინდექსი. რეიტინგს ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაცია, კორნელის უნივერსიტეტი და ბიზნეს სკოლა INSEAD 2007 წლიდან აქვეყნებს. აღნიშნული ინდექსი პროფესიონალებისთვის, პოლიტიკოსებისთვის და სხვა პირებისთვის წამყვან ინსტრუმენტს წარმოადგენს მსოფლიო ბაზარზე ინოვაციების განვითარების ხარისხის იდენტიფიცირებისთვის. მთლიანობაში ინდექსის მიხედვით ფასდება ეკონომიკური რეფორმები, ინსტიტუციური რეფორმები, ინფრასტრუქტურაში განხორციელებული ინვესტიციები, ასევე კვლევების და განვითარების ხარისხი, თუ რამდენად ინტენსიურად ხდება კვლევების კომერციალიზაცია და რამდენად დიდი ინვესტიცია იდება კვლევებსა და განვითარებაში. გლობალური ინოვაციის ინდექსი შვიდი კომპონენტისგან შედგება: ინსტიტუტები; ადამიანური კაპიტალი და კვლევები;

ინფრასტრუქტურა; ბაზრის დახვეწილობა; ბიზნეს დახვეწილობა. ორი გამომავალი კომპონენტი მოიცავს ინოვაციური შედეგების ფაქტობრივ მტკიცებულებებს: ცოდნისა და ტექნოლოგიების შედეგები; კრეატიული შედეგები.

2016 წლის გლობალური ინოვაციური ინდექსის მიხედვით საქართველო 100 ბალიანი შეფასების კრიტერიუმით 33.86 ქულით ფასდება და 64-ე ადგილს იკავებს. შესაბამისი მაჩვენებლით მას მსოფლიოში საშუალო გლობალური ინოვაციური ინდექსი გააჩნია. კვლევა მსოფლიოს 128 ქვეყანას მოიცავს. აღსანიშნავია, რომ 2015 წლის გლობალური ინოვაციური ინდექსის მიხედვით საქართველო 73-ე ადგილს იკავებდა. შესაბამისად, საქართველოს პოზიცია ამ თვალსაზრისით 9 პოზიციით გაუმჯობესდა და 64-ე ადგილი დაიკავა. [გლობალური -ბ...2016]

საქართველოს მთავრობამ შექმნა სპეციალური ორგანო საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს სახით, რომელიც ხელს უწყობს საქართველოში ინოვაციების და ტექნოლოგიების განვითარებას. ბოლო ორი წლის განმავლობაში სახელმწიფოს მხრიდან მოხდა ინოვაციების ხელშემწყობი ინფრასტრუქტურის განვითარება. მათ შორის გაიხსნა საქართველოში პირველი ტექნოლოგიური პარკი, რომელიც ერთი ფანჯრის პრიციპით უწევს მომსახურებას ინოვატორებს და სტარტაპებს. ასევე შეიქმნა საქართველოს მასშტაბით სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორიები, გამოგონებების და ტესტირებისვის. ინოვაციების სააგენტოს ავტორობით შემუშავდა ინოვაციების შესახებ საქართველოში პირველი საკანონმდებლო ჩარჩო დოკუმენტი. კანონი განამტკიცებს ინტელექტუალური საკუთრების უფლების დაცვას და ერთმნიშვნელოვნად განსაზღვრავს სახელმწიფოს ჩაურევლობას საპატენტო უფლებებში. გარდა ამისა, კანონი შესაძლებელს ხდის გაიცეს ინოვაციების სააგენტოს მიერ სახელმწიფო გრანტები მეწარმე სუბიექტებზე ინოვაციური საქმიანობის განსახორციელებლად. .

თუმცა, ჩვენ ვფიქრობთ, რომ მთავარ სისუსტეებად რჩება ხელისუფლების და კერძო სექტორის მიერ განათლებისა და კვლევითი მიმართულებების მხარდაჭერის ნაკლებობა და ბიზნესის მიერ ინოვაციების შეზღუდული გამოყენება.

მსოფლიო ბანკი ყოველწლიურად გამოსცემს ანგარიშს ბიზნესის კეთების სიმარტივის შესახებ. ეს ანგარიში ზომავს და ადარებს ადგილობრივი ბიზნესის რეგულირების ხარისხსა და ეფექტურობას მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში. [საქართველო...2015]

ანგარიში იკვლევს იმ რეგულირებებს, რომელიც აძლიერებს ან აფერხებს ბიზნეს-საქმიანობას. 2016 წელს გამოქვეყნებული ანგარიში მოიცავს 189 ქვეყნის ეკონომიკის 10 მაჩვენებელს. 2016 წელს საქართველო იმყოფება - 24-ე ადგილზე 189 ქვეყანას შორის – 77.45 ქულით. საქართველო პირველ ათეულშია შემდეგი კომპონენტების მიხედვით: ქონების რეგისტრაცია – მე-3 პოზიცია; ბიზნესის დაწყება – მე-6 პოზიცია ; კრედიტის აღება – მე-7 პოზიცია.

დიაგრამა #8



წყარო:http://www.economy.ge/uploads/ek_ciprebshi/reitingebi/reitingebi_geo/Doing_Business_2016_-_GEO.pdf

საერთაშორისო ინდექსები ქვეყნის მთავრობებს ეხმარება პრობლემების დანახვაში, რომელიც კონკრეტული მომენტისათვის აქვს ქვეყანას. მას შეუძლია გადადგას ქმედითი ნაბიჯები და გამოასწოროს არსებული ხარვეზები.

თავი III. გლობალიზაცია და ეროვნული ეკონომიკის განვითარების პერსპექტივები

3.1.საქართველოს სატრანზიტო ფუნქციის განვითარების პერსპექტივები გლობალიზაციის პირობებში

ამ ქვეთავში ჩვენი მიზანია გავაანალიზოთ გლობალიზაციის პირობებში საქართველოს სატრანზიტო პოტენციალის ეფექტურად გამოყენების მნიშვნელობა ქვეყნის ეკონომიკის მდგრადი განვითარებისთვის და შევაფასოთ სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის როლი ტრანსპორტის დარგის განვითარებაში.

საქართველოს ეკონომიკური განვითარება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ქვეყნის სატრანზიტო პოტენციალის ეფექტურ გამოყენებაზე. ჩვენი ქვეყანა არ გამოირჩევა სტრატეგიული ბუნებრივი რესურსების მრავალფეროვნებით, მაგრამ აქვს ხელსაყრელი სატრანსპორტო გეოგრაფიული მდებარეობა, რაც მას სტრატეგიული მნიშვნელობის სატრანზიტო ფუნქციას ანიჭებს. [გეგეშიძე...] სატრანზიტო პოტენციალის გაზრდა - ქვეყნის სტრატეგიული განვითარების ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა, რაც ხელს შუწყობს ტრანსეკონომიკურ აქტივობებს მომავალში.

საქართველოს, როგორც ევროპა-კავკასია-აზიის სატრანსპორტო დერეფნის ნაწილის ფუნქცია მნიშვნელოვნად გაიზარდა მეოცე საუკუნის 90-იანი წლებიდან. აღმოსავლეთ-დასავლეთს შორის სატრანზიტო როლის გაზრდა გულისხმობს, როგორც ტრადიციული სახეობების სატრანსპორტო გადაზიდვებს, ასევე ენერგეტიკული რესურსების გადატანასაც. ამგვარი საერთაშორისო ფუნქცია აძლიერებს დასავლეთსა და აღმოსავლეთის სახელმწიფოების ინტერესს საქართველოს, როგორც სატრანსპორტო ღერძზე მდებარე ქვეყნის სტაბილური განვითარების მიმართ. სატრანზიტო ფუნქციის შესრულება საჭიროებს მჭიდრო ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებას მეზობელ სახელმწიფოებთან და რეგიონული თანამშრომლობის გაღრმავებას. [ფონდი „ღია საზოგადოება საქართველო“ 2014. გვ 7].

რეგიონული ინტეგრაცია - დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის შეუფერხებელი სავაჭრო ურთიერთობების აუცილებელი პირობაა. ცალკეული ქვეყნის უუნარობა მხარი დაუჭიროს ძლიერ ეკონომიკის შექმნას და გლობალურ ბიზნესში პარტნიორისა და სრულფასოვანი კონკურენტის უფლებით შეღწევას, ნიშნავს იმას, რომ იგი დარჩება ეკონომიკურად სუსტ ქვეყნად და ვერ შეძლებს დინამიურად განვითარებას. სატრანზიტო დერეფნის როლი კი დღეს საქართველოს საერთაშორისო მნიშვნელობის ფუნქციას ანიჭებს და გაცილებით უფრო მეტ შესაძლებლობებს სთავაზობს მდგრადი განვითარებისათვის. ამიტომაცაა აუცილებელი ამ პრივილეგიის მაქსიმალურად გამოყენება. საქართველოს რეგიონალურ და გლობალურ ეკონომიკურ ინტეგრაციასთან დაკავშირებული სპეციფიური სექტორული გამოწვევები არის შემდეგი:

- აუცილებელია საქართველოს სტრატეგიული მდებარეობის გამოყენება სატრანზიტო კორიდორის სახით ცენტრალურ აზიასა და ევროპას შორის, ეკონომიკაში დამატებული ღირებულების შესაქმნელად;
- ლოჯისტიკის სექტორის განვითარება, დასავლური სტანდარტების შესაბამისად;
- აუცილებელია კერძო სექტორის მონაწილეობის ხელშეწყობა სატრანსპორტო ინფრასტრუქტურაში, ეფექტურობის, მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების, დაშორებული ზონების წვდომის, კომუნიკაციების და გრძელვადიანი ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფის მიზნით, მარეგულირებელი სფეროს რეფორმირებასთან ერთად.

სატრანზიტო ფუნქციის განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება სარკინიგზო გადაზიდვებს. თურქმენული ნავთობის რკინიგზით გადაზიდვის პოტენციალის სრულყოფილად ათვისება ძალიან მნიშვნელოვანია საქართველოსთვის კონკურენტუნარიანობის ამაღლების თვალსაზრსით. შუა აზიაში წიაღისეული სიმდიდრეების ათვისება და რეგიონში ეკონომიკური ინტეგრაციის ზრდის პროცესი, სამომავლოდ უფრო გაზრდის შუა აზიისა და ამიერკავკასიის ქვეყნებში ტვირთბრუნვის მთლიან მოცულობას, შესაბამისად, გაიზრდება საქართველოს გავლით გადასაზიდი ტვირთების რაოდენობა. ხოლო დამატებითი მოცულობის ტვირთების მოზიდვისთვის

ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს, წარმოადგენს მოქნილი სატარიფო პოლიტიკა. რამდენადაც მწვავე კონკურენციის პირობებში რთული არ არის ტრანსპორტირების ალტერნატიული მარშრუტების მოძიება, სასურველია, რომ საქართველომ შეთავაზოს ზემოაღნიშნულ ქვეყნებს ტვირთების გადაზიდვისთვის კონკურენტუნარიანი ტარიფები, გაზრდილი სიჩქარე, საიმედოობის მაღალი დონე და სატრანსპორტო მომსახურების სიმარტივე, რაც უნდა უზრუნველყოს საქართველოს სარკინიგზო, საავტომობილო და საზღვაო ტრანსპორტმა კომპლექსურად.

სარკინიგზო გადაზიდვების სტატისტკური მონაცემების გაანალიზების შედეგად გაირკვა, რომ ტვირთგადაზიდვის საერთო მოცულობაში სატრანზიტო ტვირთების ხვედრითი წილი (38% თხევადი და 18,2 % მშრალი ტვირთები), მნიშვნელოვნად აღემატება ადგილობრივი ტვირთების ანალოგიურ მაჩვენებელს (2,2% თხევადი და 14,7% მშრალი ტვირთები).

ცხრილი #10

	მილიონი ტონა					%				
	2015	2014	2013	2012	2011	2015	2014	2013	2012	2011
თხევადი ტვირთი	**6.7**	**7.5**	**9.1**	**9.5**	**10.5**	**47.7%**	**45.1%**	**50.0%**	**47.2%**	**52.0%**
ტრანზიტი	**5.4**	**6.3**	**7.9**	**8.2**	**9.2**	**38.0%**	**37.7%**	**43.5%**	**41.1%**	**45.5%**
ექსპორტი	0.0	0.0	0.1	0.0	0.0	0.2%	0.3%	0.3%	0.2%	0.2%
იმპორტი	1.0	1.0	0.9	0.9	0.9	7.3%	5.7%	4.9%	4.4%	4.4%
ადგილობრივი	0.3	0.2	0.2	0.3	0.4	2.2%	1.4%	1.3%	1.5%	1.8%
მშრალი ტვირთი	**7.4**	**9.2**	**9.1**	**10.6**	**9.7**	**52.3%**	**54.9%**	**50.0%**	**52.8%**	**48.0%**
ტრანზიტი	**2.6**	**3.2**	**3.3**	**3.9**	**3.4**	**18.2%**	**19.3%**	**18.0%**	**19.3%**	**17.0%**
ექსპორტი	1.1	1.6	1.7	1.7	1.5	7.6%	9.5%	9.2%	8.3%	7.7%
იმპორტი	1.7	2.0	1.9	2.4	2.0	11.8%	12.1%	10.2%	11.9%	10.2%
ადგილობრივი	2.1	2.3	2.3	2.7	2.6	14.7%	14.0%	12.6%	13.3%	13.1%
სულ	**14.1**	**16.7**	**18.2**	**20.1**	**20.1**	**100%**	**100%**	**100%**	**100%**	**100%**

წყარო: http://www.railway.ge/files/q12012/annual_report_2015.pdf

მიუხედავად იმისა, რომ 2015-2011 წლებში სარკინიგზო გადაზიდვების მთლიანი მოცულობა კლების ტენდენციით ხასიათდებოდა (თითქმის-30%), ტვირთგადაზიდვის საერთო მოცულობის 56% ტრანზიტულ ტვირთებზე მოდის. ასეთი მაჩვენებელი მეტყველებს სარკინიგზო გადაზიდვების მნიშვნელობაზე სატრანზიტო ფუნქციის განვითარებისათვის.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ სს „საქართველოს რკინიგზა“ წარმოადგენს ერთ-ერთ მსხვილ კორპორაციულ დამსაქმებელს ქვეყანაში, სადაც დღეისათვის 12,966 თანამშრომელია დასაქმებული, რომელთა ყოველთვიური საშუალო ხელფასი შეადგენს 955 ლარს, ამასთან ხელფასი ძირითადად ფიქსირებულია და არ არის დამოკიდებული გადაზიდვების მოცულობაზე.

ქვემოთ მოყვანილი დიაგრამა ასახავს 2012-2016 წლების I-X თვის შესაბამის პერიოდებში ქვეყანაში სატრანსპორტო დარგების მიერ გადაზიდული ტვირთების დინამიკას. (დაზუსტებული წლიური მონაცემები არ მოიძებნა).

დიაგრამა #9



წყარო: http://www.economy.ge/ge/economic-data/transport

აშკარაა, რომ დარგში არსებული სიტუაცია სასურველისგან ძალიან შორსაა. წლების განმავლობაში ტვირთბრუნვის მაჩვენებელი სახმელეთო ტრანსპორტის მიხედვით გარკვეულწილად მცირდებოდა. მიგვაჩნია, რომ შემცირებული გადაზიდვების

კომპენსირება შესაძლებელი იქნება საქართველოს სატრანზიტო შესაძლებლობების გაზრდით, კერძოდ, კასპიის ზღვის რეგიონიდან ტვირთნაკადების განვითარებით თურქეთისა და ევროპის მიმართულებით.

გამომდინარე იქედან, რომ საქართველო დიდ მნიშვნელობას ანიჭებს სატრანზიტო ფუნქციის გაძლიერებას, განვითარებული სატრანსპორტო სისტემა და განვითარებული სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების აუცილებელი წინაპირობაა.

ტრანსპორტის დარგსა და ეკონომიკურ ზრდას შორის ურთიერთკავშირი და ურთიერთდამოკიდებულება კი ძალზედ მჭიდროა. ეს საკითხი აქტიურად შეისწავლება უცხოელი ავტორების მიერ, თუმცა ჩვენთან ამ საკითხის შესწავლას ნაკლები ყურადღება ეთმობა. სატრანსპორტო ინფრასტრუქტურაში ინვესტირების ეფექტი, თანმდევი ეკონომიკური ზრდით, ჩვენი ქვეყნის გეოპოლიტიკური მდებარეობიდან გამომდინარე, საკმაოდ საინტერესოა კვლევისათვის.

არსებობს გარკვეული განსხვავებული მიდგომები იმასთან დაკავშირებით, თუ რა არის პირველადი: ეკონომიკა (მოცემული სამეურნეო სისტემის სტრუქტურითა და პროპორციებით), რომელიც გავლენას ახდენს ტრანსპორტის დარგზე, თუ ტრანსპორტის დარგი, რომელიც ასტიმულირებს ეკონომიკას. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ტრანსპორტის დარგში ინვესტირება იწვევს ეკონომიკურ ზრდას თუ ეკონომიკური ზრდა განაპირობებს კაპიტალური დაბანდებების ზრდას სატრანსპორტო ინფრასტრუქტურაში? ზოგიერთი ავტორი ყურადღებას ამახვილებს დასაქმებულთა რიცხოვნობაზე ინვესტიციების დაბანდებისას ცალკეული რეგიონების ინფრასტრუქტურაში, სხვა ავტორებისთვის კი უფრო საინტერესოა ტრანსპორტის დარგის განვითარებით მიღებული სარგებელი. ნებისმიერ შემთხვევაში გასაგებია, რომ კარგად განვითარებული ეკონომიკა მოითხოვს შესაბამისად კარგად განვითარებულ სატრანსპორტო სისტემას.

ქვემოთ მოყვანილ სქემაზე ასახულია ტრანსპორტსა და ეკონომიკურ ზრდას შორის არსებული მრავალმხრივი კავშირი. სატრანსპორტო ქსელების განვითარება ხელს

შეუწყობს თანმდევი დადებითი ეფექტების გენერირებას. მაგალითად, სატრანსპორტო უზრუნველყოფის გაუმჯობესება ერთი მხრივ ხელს უწყობს ინფრასტუქტურული კაპიტალის აქტივების ზრდას, კომპანიების შესვლა/გაამოსვლას უფრო ტევად ბაზრებზე, სამუშაო ძალის უფრო ეფექტურად გამოყენებას, რაც თავის მხრივ დადებითად აისახება რეალური მშპ-ს მოცულობაზე, მოსახლეობის დასაქმების ზრდზე, პროდუქციის წარმოებისა და განაწილების ღირებულების შემცირებაზე და ა.შ.

სქემა # 8



წყარო: ადაპტირებულია ავტორის მიერ [Ю. А. Щербанин 2011]

სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარება ასევე განაპირობებს ვაჭრობის გაფართოვებას და ქვეყნებისა და ეკონომიკური რეგიონების კონკურენტუნარიანობის ინტენსიფიკაციას. ასეთი განვითარება მიმდინარეობს ეკონომიკის ზრდის

პარალელურად, ხოლო სატრანსპორტო სექტორის ზრდა ზემოქმედებს დასაქმებულთა რიცხოვნობისა და მათი შემოსავლების ზრდაზე.

სატრანსპორტო ინფრასტრუქტურაში ინვესტიციების როლი და ადგილი შეიძლება წარმოვადგინოთ ფრანგი მცნიერ-ეკონომისტის ბერეშმანის სქემის სახით. მოცემული სქემა გვიჩვენებს ტრანსპორტის დარგის პირდაპირ და უშუალო სარგებელს. მაგალითად, ტრანსპორტირების დროის შემცირებასთან ერთად ფიზიკური პირების მგზავრობაზე დანახარჯების შემცირება და სხვა. აგრეთვე, ინფრასტრუქტურაში განხორციელებული ინვესტიციების ურთიერთკავშირს და გავლენას ეკონომიკურ ზრდაზე, იმ ძირითად მიმართულებებს, რომლებიც უზრუნველყოფენ შრომის რეალური ღირებულების შემცირებას და ა.შ.. ყოველივე ამას მივყავართ ინვესტიციების გადიდებამდე, რაც ხელს უწყობს ტრანსპორტის დარგის სრულყოფას, და, შესაბამისად, დადებით გავლენას ახდენს ეკონომიკურ ზრდაზე.

სქემა # 9



წყარო: ადაპტირებულია ავტორის მიერ [Ю. А. Щербанин 2011]

ინვესტიციები სატრანსპორტო ინფრასტრუქტურაში პრაქტიკულად ყოველთვის აღიქმება ეკონომიკური ზრდის წიმნსწრებად, მოთხოვნის ფორმირების სტიმულად, რასაც შეაქვს თავისი წვლილი ეკონომიკური განვითარების საქმეში. სლ 42 ინვესტიციები იწვევენ საქონლის საბოლოო ფასის შემცირებას სატრანსპორტო მდგენელებზე დანახარჯების შემცირების გზით და თამაშობენ მნიშვნელოვან როლს რეგიონებს შორის ეკონომიკური დისპროპორცების დონის შემცირებაში, ამაღლებენ ახალ ბაზრებთან წვდომის კონკურენტუნარიანობას, გავლენას ახდენენ სამუშაო ძალის მიგრაციაზე, სპეციალიზაციასა და კოოპერაციაზე, ქვეყნის შიდა და გარე ლოგისტიკურ სისტემებში ტვირთების გატარების ღირებულების შემცირებაზე. ყოველივე ეს იწვევს შრომის მწარმოაებლურობის ზრდას, ახალი კონკურენტული უპირატესობების შექმნას, ხოლო შედეგი შეიძლება გამოხატულ იქნეს შემდეგ უპირატესობებში:

ა) ხარისხობრივი მახასიათებლების გაუმჯობესებაში, ჩქაროსნული ავტომაგისტრალების, აეროპორტების, ჩქაროსნული მატარებლებისათვის თანამედროვე რკინიგზის მშენებლობაში ინვესტირებით;

ბ) სიმძლავრეების ეფექტურად გამოყენების ხელშეწყობაში;

გ) ინტეელქტუალური სისტემების გამოყენებით, სატრანსპორტო პროცესის ოპტიმიზებაში. ამგვარი ცვლილებები სერიოზულად მოქმედებენ შემოთავაზებული სატრანსპორტო მომსახურებების საერთო დონეზე, რაც საბოლოო ჯამში, დადებითად აისახება ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე.

საინვესტიციო თეორიაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მულტიპლიკატორის კონცეფციას. საინვესტიციო მულტიპლიკატორის არსი მდგომარეობს იმაში, რომ ინვესტიციების ზემოქმედების შედეგად გაზრდილი შემოსავლები იწვევენ მოთხოვნის ზრდას. მულტიპლიკატორის პრინციპი განსაკუთრებით კარგად ჩანს ახალი საინვესტიციო პროექტების ამოქმედების დროს, როდესაც სამუშაოების დაწყება ხდება ახალი სამუშაო ძალის დაქირავებით. სამუშაო ძალას უჩნდება შემოსავალი და შედეგად ის სახსრები, რომელიც აუცილებელია მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად. იზრდება მოთხოვნა, რაც თავის მხრივ იწვევს დამატებითი შრომითი რესურსების ჩართვას იმ

დარგებში, რომლებიც სპეციალიზდებიან მოთხოვნილი საქონლისა თუ მომსახურების გამოშვებაზე. თავის მხრივ, ამ ჯგუფის შრომითი ძალის შემოსავლების ზრდა იწვევს მოხმარების საგნების წარმოების გაფართოებას მომიჯნავე დარგებში და ა.შ.

ქვეყნის ადგილმდებარეობა და ხელსაყრელი საინვესტიციო კლიმატი უნდა გახდეს საფუძველი ქვეყნის სტრატეგიული სატრანზიტო დერეფნიდან რეგიონულ ლოჯისტიკურ პლატფორმად გარდაქმნისათვის. ამისათვის აუცილებელია სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, ლოგისტიკურ საშუალებებსა და მრეწველობაში ინვესტირება, რაც ქვეყნის გავლით გადაზიდულ საქონელს დამატებით ღირებულებას შემატებს.

ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) ამოქმედებით, საქართველოში წარმოებულ საქონელსა და მომსახურებას, გარკვეული პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში, გაეხსნება მსოფლიოს უმსხვილესი ბაზარი, რომელიც ამ ეტაპზე აერთიანებს 28 ქვეყანას და 500 მილიონზე მეტ მომხმარებელს. საქონლისა და მომსახურების თავისუფალი გადაადგილება ხელს შეუწყობს საქართველოს საექსპორტო პოტენციალის ზრდას. საქართველო გახდება მიმზიდველი ქვეყანა ინვესტორებისათვის, რაც გამოიწვევს ქვეყანაში საინვესტიციო ნაკადების ზრდას და ახალი სამუშაო ადგილების შექმნას. გარდა ამისა, DCFTA-ის ამოქმედება ხელს შეუწყობს ახალი საწარმოებისა და საექსპორტო პროდუქციის გაჩენას, ქართველი მომხმარებლისთვის უსაფრთხო და უვნებელი პროდუქტის მიწოდებას, სახელმწიფო ადმინისტრირების ორგანოების განვითარებას ევროპული საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად. აღნიშნული, საბოლოო ჯამში პოზიტიურად აისახება ქვეყნის ეკონომიკურ ზრდასა და განვითარებაზე. [ევროკავშირთან...]

საქართველოს სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა წარმოუდგენელია საზღვაო პორტების განვითარების გარეშე. ბათუმისა და ფოთის საზღვაო პორტებს, დიდი როლი ენიჭებათ საზღვაო ტვირთების დამუშავების თვალსაზრისით. შავ ზღვაზე გასვლის შესაძლებლობა საქათველოს საზღვაო პორტებს აძლევს საშუალებას გახდეს რეგიონული

სატრანზიტო ცენტრი და გაზარდოს საკუთარი წილი სატრანზიტო ტვირთებში. ეს ქვეყნის ერთ-ერთი უპირატესობაა კონკურენტუნარიანობის თვალსაზრისით, თუმცა ასეთ ძლიერ მხარეს ეფექტურად ვერ ვიყენებთ, რაზეც მეტყველებს ტვირთების გადაზიდვის დინამიკა საზღვაო პორტებში.

დიაგრამა #10

საზღვაო ნავსადგურებში და ტერმინალებში გადამუშავებული ტვირთების რაოდენობა



წყარო: http://www.economy.ge/ge/economic-data/transport

როგორც ვხედავთ, საზღვაო ნავსადგურებში და ტერმინალებში გადამუშავებული ტვირთების რაოდენობა კლების ტენდენციით ხასიათდება. მაგალითად, 2016 წლის I-X თვის მონაცემებით ბათუმის საზღვაო ნავსადგურში გადამუშავებული ტვირთების მოცულობა 2013 წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით შემცირდა 33%-ით. დღეისათვის ბათუმის საზღვაო პორტი ისევ განიცდის ტვირთების ნაკლებობას. აღნიშნულის მიზეზი - ქვეყნისათვის სტრატეგიულად მნიშვნელოვანი საწარმოს შეცვლილი და არაეფექტური მენეჯმენტია. ხოლო რაც შეეხება საკონტეინერო ტვირთებს, ფოთის საზღვაო ნავსადგური ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში ლიდერობდა საკონტეინერო ტვირთების დამუშავებაში. (ვინაიდან უახლესი მონაცემები

ვერ მოიძებნა, წარმოგიდგენთ 2014 წლის მონაცემებს, რომელიც ჩვენს მიერ იყო გამოყენებული სამეცნიერო სტატიაში).

დიაგრამა #11

წყარო: http://www.economy.ge/ge/economic-data/transport

როგორც ვხედავთ, 2014 წელს ფოთის ნავსადგურში გადამუშავებულ იქნა 83%-ით მეტი კონტეინერი, ვიდრე 2010 წელს და 16%-ით მეტი ვიდრე 2013 წელს. ხოლო ბათუმის საზღვაო ნავსადგურში კი ზრდის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა 2012 წელს, თუმცა, 2014 წელს 2013 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, იგი ისევ შემცირდა 14%-ით და შეადგინა 61,980 TEU.

სასურველია, რომ პორტების განვითარება პროპორციულად შეესაბამებოდეს საქართველოს სხვა სატრანსპორტო ინფრასტრუქტურას. დღეისათვის მიმდინარეობს ინტენსიური სამუშაოები საქართველოს საავტომობილო გზის აღმოსავლეთ-დასავლეთ მაგისტრალზე გამტარუნარიანობის ამაღლების მიზნით, იგივე შეიძლება ითქვას საქართველოს რკინიგზაზეც. აქედან გამომდინარე აუცილებელი ხდება საქართველოს საზღვაო ინფრასტრუქტურის განვითარების მეცნიერულად დასაბუთებული პროგრამის შემუშავება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენ შევეცადეთ საქართველოში სამომავლოდ საზღვაო ლოგისტიკური კლასტერების შექმნის შესაძლებლობების შესწავლა, მათი ფორმირებისა და ფუნქციონირების უპირატესობების და შეზღუდვების გაანალიზება.

საზღვაო ლოჯისტიკური კლასტერები და საპორტო მომსახურების სისტემა ეკონომიკის ერთ-ერთი ყველაზე შეუსწავლელი სფეროა საქართველოში, რამდენადაც დაკავშირებულია ამ სახის სამუშაოთა სპეციფიკასთან და სირთულესთან, ამდენად მოცემული საკითხის შესწავლა აქტუალურია.

ლოგისტიკური კლასტერი წარმოადგენს ხარჯების ოპტიმიზაციისა და კონკურენტიანობის გაზრდის ეფექტურ ინსტრუმენტს და ის განიხილება, როგორც კონკურენტუნარიანი კომპანიებისა და საწარმოების ერთობლიობა (სამრეწველო, სარტანსპორტო, ლოგისტიკური, კომერციული,), რომლებიც ერთმანეთთან გეოგრაფიულად არიან დაკავშირებულნი და თანამშრომლობენ ნებაყოფლობითი ურთიერთობების საფუძველზე, მატერიალურ-ტექნიკური მომსახურების ეფექტიანობის ამაღლების მიზნით. კლასტერები წარმოადგენენ საწარმოო სისტემის ერთ-ერთ ყველაზე ეფექტურ ფორმას გლობალიზაციის ეპოქაში და ცოდნის ეკონომიკაში.

გამომდინარე იქედან, რომ საქართველო დიდ მნიშვნელობას ანიჭებს სატრანზიტო და ენერგეტიკული დერეფნის ფუნქციის გაძლიერებას, პორტების როლი, როგორც ლოგისტიკური ცენტრების უმნიშვნელოვანესი რგოლისა, კიდევ უფრო იზრდება. ეს აიხსნება მათი სპეციალიზაციით ნავთობპროდუქტების გადატვირთვის საქმეში. საზღვაო პორტი გვევლინება ტვირთნაკადების კონცენტრატორად. იგი აკავშირებს მიწოდების სატრანსპორტო-ლოგისტიკური ჯაჭვის შემადგენელ რგოლებს ერთმანეთთან. ამით იგი წარმოადგენს კლასტერს, რომლის ბირთვი - თვით პორტია. საპორტო კლასტერის შექმნის მიზანია სატრანსპორტო კვანძის კონკურენტუნარიანობის ამაღლება. მას გააჩნია მასშტაბის ეფექტი და იგი იძლევა ჩატვირთვა-გადმოტვირთვის ტექნოლოგიური ოპერაციების ინოვაციებისათვის უფრო მეტ საშუალებას. თავისუფალი ეკონომიკური ზონის სტატუსის მინიჭება პორტებისათვის და მისი მიმდებარე ტერიტორიებისათვის წარმოადგენს საპორტო კლასტერების ჩამოყალიბების

კატალიზატორს. პორტის მიზნებად ყალიბდება ლოგისტიკის ძირითადი მიზნები (გამტარუნარიანობის ოპტიმალური გამოყენება, მაღალი მობილობა სამეწარმეო საქმიანობაში, კლიენტების მოთხოვნებზე სწრაფი რეაგირება, მომსახურების გაწევისადმი მყისიერი მზადყოფნა, მომსახურების გაწევის საიმედოობა, დანახარჯების შემცირება, კლიენტების მოთხოვნილების და საჭიროების გათვალისწინება). ამ მიზნების რეალიზაცია ზრდის პორტების კონკურენტუნარიანობას და ამასთან ერთად ნაწილობრივ იცვლება პორტის ინფრასტრუქტურაც (ფორმირდება სატრანსპორტო-ლოგისტიკური ცენტრები პორტის ტერიტორიაზე, პორტის ირგვლივ ფართოვდება სამრეწველო-ლოგისტიკური ცენტრები). სატრანსპორტო და ლოგისტიკური კლასტერების ჩამოყალიბებისა და ფუქციონირების შესახებ ლიტერატურის მიმოხილვამ დაგვეხმარა მათი შექმნით მიღებული სინერგიულობის ეფექტის განსაზღვრაში.

სქემა # 10

წყარო: სინერგიულობის ეფექტი ლოგისტიკურ კლასტერში. ადაპტირებულია წყაროდან http://www.rusnauka.com/36_PVMN_2013/Economics/11_152118.doc.htm)

საქართველოზე გამავალი სატრანზიტო გზების გაფართოება მსოფლიო გლობალური ეკონომიკის მოთხოვნაა, რაც განპირობებულია კასპიის ზღვის აუზში ნახშირბადოვანი ნედლეულის დიდი მარაგებით. ცალკეული საექსპერტო შეფასებების მიხედვით აზერბეიჯანის ტერიტორიაზე მოძიებული ნავთობის მარაგი 25 -დან 40 მლრდ. $მ^3$-მდე მერყეობს. რუსეთის კასპიის ნაწილში ნავთობის მარაგი 1,5 მლრდ. $მ^3$-ია, ყაზახეთი ფლობს ნავთობის მარაგებს 6 მლრდ. $მ^3$-მდე. ამასთან თურქმენეთის ტერიტორიაზე გაზის დიდი მარაგებია, თითქმის 6,5 ტრილიონი $მ^3$.

აღნიშნული ნედლეულის ტრანსპორტირებისათვის ევროპასა და აშშ-ში რამდენიმე ალტერნატიული გზა არსებობს. ესენია: რუსეთის ტერიტორიის გავლით (ძირითადად მიეწოდება ნოვოროსისკის პორტის გამოყენებით); აზერბეიჯანისა და საქართველოს ტერიტორიის გავლით; აზერბეიჯანის, საქართველოს და თურქეთის ტერიტორიით და აზერბეიჯანის, ირანისა და პაკისტანის ტერიტორიით. ოთხივე ეს მიმართულება ერთმანეთის კონკურენტებია და ტრანზიტის სახელმწიფოები უდიდეს დაინტერესებას იჩენენ აღნიშნული საკითხისადმი, რამდენადაც მას უდიდესი ეკონომიკური ეფექტის მოტანა შეუძლია ყოველი ქვეყნისთვის. საქართველოზე გამავალი გზა ჩამოთვლილთაგან ყველაზე მეტად მიმზიდველია.

მოსალოდნელია, რომ მომავალში კასპიის ზღვის რეგიონის სახელმწიფოები უზრუნველყოფენ ნავთობის მანამდე არნახული მოცულობის ამოღებას, რომლის ტრანსპორტირების საჭიროებაც გაზრდის ტანკერებით მისი გადაზიდვის მოთხოვნილებას. ამ მიზნით თურქეთის სახელმწიფო აპირებს ბოსფორის სრუტის გამტარუნარიანობის გადიდებას. თურქეთი ბოსფორის ყურეს ახალი არხით განტვირთავს. [თურქეთი...2011] სავარაუდოდ, პროექტი 2023 წელს დასრულდება. თურქეთი გემებით გადატვირთული ბოსფორის ყურის განტვირთვას მისი დუბლიორი-არხის აშენებით აპირებს. ახალი არხი, რომელსაც "სტამბულის არხი" დაერქმევა, სუეცისა და პანამის არხზე დიდი იქნება. არხი შავ ზღვას მარმარილოს ზღვას დაუკავშირებს, მისი სიგრძე 140-150მ, სიღრმე კი 25 მეტრი იქნება და დღეში 160 გემისა

და ნავთობის ტანკერების გაშვებას შეძლებს. პროექტის დასრულება თურქეთის რესპუბლიკის 100 წლის იუბილესთვის, ანუ, 2023 წლისთვისაა დაგეგმილი. ახალმა არხმა შესაძლოა ნავთობსადენების მშენებლობების ზრდაც დააჩქაროს, რადგან უახლოეს წლებში კასპიის უდიდესი საბადოები მაქსიმალურ მოპოვებაზე გავლენ, რაც შესაბამისად, თურქეთის არხებზე მოთხოვნას უფრო გაზრდის. ამ მოვლენების გათვალისწინებით, ჩვენთვის საინტერესოა, აგრეთვე, კასპიის ზღვის რეგიონში ნავთობის მოპოვების ზრდის საპროგნოზო მაჩვენებლები.

ცხრილი #11

ნავათობის მოპოვების საპროგნოზო მაჩვენებლები (მილიონი ბარელი დღეში)

ქვეყანა/წლები	2015	2020	2025	2030
აზერბაიჯანი	1.0	1.0	1.1	1.1
ყაზახეთი	2.7	3.1	3.4	3.7
თურქმენეთი	0.3	0.3	0.3	0.3
უზბეკეთი	0.3	0.3	0.5	0.6
სულ	4.3	4.8	5.3	5.7

წყარო: International Energy Outlook, Energy Information Administration (EIA)

ცხრილის მონაცემები გვიჩვენებს, რომ ნავთობის მოპოვების პროგნოზი კასპიის ზღვის რეგიონში შთამბეჭდავია. იგი მნიშვნელოვანად იზრდება და 2030 წლისათვის ჯამში 5,7 მილიონ ბარელს მიაღწევს დღეში. ასეთი რაოდენობის ნავთობის გატარება შეუძლებელია დღეს არსებული ნავთობსადენებით და მოსალოდნელია მათი ნაწილის, რკინიგზის გავლით, საქართველოს საზღვაო პორტებიდან გატანა. თუ საქართველოს საზღვაო ინფრასტრუქტურა აღნიშნული პროცესებისათვის მზად არ აღმოჩნდება, ტვირთები სხვა ალტერნატიულ მიმართულებებზე გადანაწილდება.

ამდენად, საზღვაო ლოგისტიკური კლასტერების ფორმირება წარმოადგენს ტრანსპორტის დარგის პოტენციალის რეალიზებას, იმ პროცესების განვითარების საფუძველზე, რომლებიც უზრუნველყოფენ დამატებულ ღირებულების შექმნას ლოგისტიკის სფეროში.

საქართველოს საზღვაო პორტების მიერ ლოგისტიკური ცენტრის ფუნქციის შესრულება გამართლებულია რიგი ძირითადი გარემოებებით:

- მე-XX საუკუნის ბოლოსათვის მსოფლიოს წამყვანი პორტები გარდაიქმნენ ლოგისტიკურ ცენტრებად, ასეთი ცენტრების არსებობის გამართლება დაამტკიცა პრაქტიკამ, რამდენადაც მათ მოიპოვეს მნიშვნელოვანი უპირატესობები კონკურენტებთან მიმართებაში;
- იმ შემთხვევაში, როდესაც პორტები არ წარმოადგენენ ლოჯისტიკურ ცენტრებს, აღნიშნული ფუნქციის შესრულებას კისრულობს მცირე მასშტაბის ლოჯისტიკური კომპანიები, რომლებსაც არ გააჩნიათ საკუთარი ნავმისადგომები, საკონტეინერო და ნავთობტერმინალები. ამიტომ ისინი გვევლინებიან მხოლოდ შუამავლების როლში. ამ შემთხვევაში ლოჯისტიკური ჯაჭვის შემადგენლობა ერთი რგოლით მაინც იზრდება, რაც, თავის მხრივ, აძვირებს ტვირთბრუნვის ღირებულებას;
- ტვირთმფლობელებისათვის გაცილებით იოლია იქონიონ საქმე საზღვაო პორტთან, როგორც ლოჯისტიკურ პარტნიორთან, რამდენადაც ისინი წარმოადგენენ ლოჯისტიკური ჯაჭვის ძირითად შემადგენელ რგოლს;
- საქართველოს მთავრობის სტრატეგიით, საზღვაო პორტებში იქმნება თავისუფალი ეკონომიკური ზონები, რაც გამოიწვევს წერტილოვან ზონებში არა მარტო ვაჭრობის, არამედ წარმოების (მრეწველობის) უპირატეს განვითარებას. ასეთი საწარმოთა ლოჯისტიკური მომსახურების ორგანიზაცია მიზანშეწონილია განახორციელოს საზღვაო პორტმა. მითუმეტეს, რომ ფირმებს, რომელთაც გადაცემული აქვთ პორტების ტერმინალები სამართავად, უმაგრდებათ ტერიტორიები თავისუფალი ეკონომიკური ზონის მოსაწყობად.

საქართველოს პორტების მიერ სატრანზიტო ფუნქციის გაძლიერება და მათი ლოგისტიკურ ცენტრებად გარდაქმნა ერთ-ერთი ფაქტორია ნავსადგურების კონკურენტუნარიანობის ამაღლებასათვის, როგორც სატრანზიტო ტვირთების მომსახურების მხრივ, ასევე საქართველოს ეკონომიკის განვითარების თვალსაზრისით პერსპექტივაში.

სატრანსპორტო და ლოგისტიკური კლასტერების ექსპლუატაციის მსოფლიო გამოცდილება გვიჩვენებს, რომ მათი საქმიანობა უაღრესად ეფექტურია იმ რეგიონებში, სადაც არსებობს მაღალი სატრანზიტო პოტენციალი.

საქართველოში საზღვაო ლოგისტიკური კლასტერის შექმნისა და ფუნქციონირების ძირითადი წინაპირობებია:

- საქართველოში საზღვაო, ტვირთების შენახვისა და დასაწყობების, აგრეთვე საჰაერო გადაზიდვების ლოგისტიკაში მნიშვნელოვანი გამოუყენებელი პოტენციალის არსებობა;
- საქართველო-თურქეთის რკინიგზის მშენებლობის დასრულება, რაც განაპირობებს ტრანსპორტირების ახალი და უფრო ეფექტური შესაძლებლობების გამოყენებას
- პორტებისა და სარკინიგზო ლოჯისტიკის განვითარება სტიმულს მისცემს საავტომობილო გადაზიდვებს და ინოვაციური ლოგისტიკური ცენტრების განვითარებას
- სატრანსპორტო სისტემის განვითარება განაპირობებს ქართული პროდუქციის საფასო კონკურენკურენტუნარიანობის მნიშვნელოვან ზრდას.

საქართველოს ადგილმდებარეობა და ამიერკავკასიაზე გამავალი სატრანზიტო გზების სიგრძე ბუნებრივი უპირატესობებია შუა აზიის სატრანსპორტო დერეფნისათვის, რასაც მნიშვნელოვნად ტრანსპორტის სხვა სახეობებთან კომპლექსში, საზღვაო პორტების განვითარება განაპირობებს. ამასთან დასავლეთი და ზოგადად მცოფლიოს ეკონომიკა, დაინტერესებულია სატრანზიტო გზების დივერსიფიკაციით, ანუ რამდენიმე ალტერნატიული სატრანზიტო გზის არსებობით, იმ მიზნით, რომ პოლიტიკური კლიმატის ცვლილებამ მნიშვნელოვნად ვერ იმოქმედოს ეკონომიკის ფუნქციონირებაზე.

ჩქაროსნული ავტომაგისტრალისა და ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზის მშენებლობის დასრულება, ახალი ტერმინალის აშენება, ქუთაისის აეროპორტის ასაფრენი ბილიკის გაფართოება, აგრეთვე ანაკლიის ღრმაწყლოვანი ახალი პორტის

მშენებლობა, ასევე მეტყველებს საქართველოს სატრანზიტო ფუნქციის პრიორიტეტულობაზე.

დასკვნის სახით გვინდა აღვნიშნოთ, რომ საზღვაო ლოგისტიკური კლასტერების განვითარება წარმოადგენს ტრანსპორტის დარგის პოტენციალის რეალიზებას, იმ პროცესების განვითარების საფუძველზე, რომლებიც უზრუნველყოფენ დამატებულ ღირებულების შექმნას ლოგისტიკის სფეროში.

საქართველოს საზღვაო პორტებში თავს იყრის სატრანსპორტო ნაკადები. ამ მხრივ ისინი წარმოადგენენ მიწოდების სატრანსპორტო-ლოგისტიკური ჯაჭვის შემადგენელ რგოლს, რაც უნდა განვიხილოთ, როგორც ლოგისტიკური კლასტერის საფუძველი. საზღვაო კლასტერის ჩამოყალიბება ბათუმისა და ფოთის პორტების საფუძველზე, განაპირობებს მათი და, ასევე, კლასტში შემავალი სხვა კომპანიების კონკურენტუნარიანობის ამაღლებას. კლასტერის შექმნა უზრუნველყოფს სინერგიის ეფექტს და ახალ შესაძლებლობებს ტექნოლოგიური ოპერაციების ინოვაციურ დამუშავებას საპორტო ლოგისტიკაში.

საქართველოს საზღვაო პორტების საფუძველზე, საზღვაო ლოგისტიკური კლასტერის ბიზნეს-მოდელის რეალიზაციამ უნდა შეუწყოს ხელი სამრეწველო, სატრანსპორტო და ლოგისტიკური კომპანიების ჩართულობას საპორტო ლოგისტიკური კლასტერის ზემოქმედების ზონაში.

საზღვაო ლოგისტიკური კლასტერების შექმნის და ფუნქციონირების შედეგი უნდა იყოს არა მხოლოდ ბათუმისა და ფოთის პორტების პოზიციების გაძლიერება, არამედ კავკასიის რეგიონისაც. იგი უნდა იყოს მიმართული არა მარტო საქონლისა და ნედლეულის სატრანზიტო მომსახურებაზე, არამედ რეგიონის მოსახლეობისა და ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე.

საქართველოს კონკურენტუნარიანობის გაუმჯობესება და შიდა სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარება, უსაფრთხოების განმტკიცების ხელშეწყობა, საქართველოზე გამავალი სატრანსპორტო დერეფნის ეფექტიანად გამოყენება, სატრანზიტო პროექტების სრულყოფილი რეალიზაცია სატრანსპორტო ტვირთების

მოცულობის გაზრდას და ამ მიმართულების სრულყოფას გამოიწვევს, რაც, თავის მხრივ, დააჩქარებს საქართველოს ინტეგრაციას გლობალურ ეკონომიკურ სტრუქტურებში და რეგიონის მდგრად განვითარებას შეუწყობს ხელს.

ქვეყნის ტერიტორიაზე გამავალი სატრანსპორტო კომუნიკაციები, განსაკუთრებით „საუკუნის პროექტები“ ხელს უწყობენ საქართველოს აქტიურად ჩართვას მსოფლიო ინტეგრაციულ პროცესებში.

ნავთობსადენისა და გაზსადენის პროექტების განხორციელებით მატერიალურ ფასეულობათა და ფულადი სახსრების ნაკადები დადებითად მოქმედებენ საქართველოს საგადამხდელო ბალანსზე, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს ფინანსურ სტაბილურობას და, შესაბამისად, ხელს უწყობს ქვეყნის სავალუტო რეზერვების ზრდას. ვთვლით, რომ სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება აუცილებლად გამოიწვევს სინერგიულ ეფექტს პრიორიტეტული დარგების განვითარების საქმეში.

საქართველოს სატრანზიტო ფუნქციის სამომავლო გაძლიერება დამოკიდებული იქნება საქართველოს ტერიტორიაზე არსებული მიწოდების ჯაჭვის ყველა შემაერთებელი რგოლის სარკინიგზო, საპორტო და საავტომობილო ინფრასტრუქტურისა და ლოჯისტიკური ცენტრების განვითარება/ადაპტირებაზე, საქართველოს სარკინიგზო საზღვრებზე სატრანსპორტო კოორდინაციის გაუმჯობესებაზე, საბაჟო პროცედურების დახვეწა და სხვა ვაჭრობის ხელშემწყობი ღონისძიებების გატარებაზე, მეზობელი და შუა აზიის ქვეყნების ეკონომიკური განვითარებაზე, საერთაშორისო კონკურენტული სატრანზიტო დერეფნების განვითარების ტემპებზე და ახალი აბრეშუმის გზის მონაწილე ყველა ქვეყნის სავაჭრო ურთიერთობების გაუმჯობესებაზე.

3.2. ტურიზმის განვითარების ტენდენციები და პერსპექტივები საქართველოში

გლობალიზაციის პროცესი მნიშვნელოვანწილად განაპირობებს ტურიზმის დარგის განვითარებას საქართველოში. ტურისტული კომპანიების ეკონომიკური საქმიანობის ანალიზი ცხადყოფს, რომ აღნიშნული სფეროს შესწავლა აუცილებელია ტურისტული მომსახურებების მსოფლიო და ნაციონალური ბაზრების განვითარების თანამედროვე ტენდენციებისა და პერსპექტივების გათვალისწინებით.

მომსახურებების სფეროს როლის ზრდა განაპირობა ეკონომიკის განვითარების ინდუსტრიულიდან პოსტინდუსტრიულ სტადიაზე გადასვლამ, რაც, თავის მხრივ, გამოწვეული იყო გლობალური სტრუქტურული გარდაქმნებით, რომელიც გავრცელდა მსოფლიო ეკონომიკურ სივრცეზე. დღეისათვის ტურიზმი წარმოადგენს მომსახურებებით საერთაშორისო ვაჭრობის ყველაზე დინამიურად განვითარებად და მომგებიან დარგს ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლების მიხედვით.

მომსახურებებით საერთაშორისო ვაჭრობა მნიშვნელოვნად გაიზარდა XXს. ბოლო მესამედში. თუ 1980 წელს მომსახურებების მსოფლიო ექსპორტი შეადგენდა 367 მლრდ. დოლარს, 1981 წ - 803 მლრდ., 2001 წელს ეს მაჩვენებელი 1350 მლრდ. დოლარი იყო. ე.ი. XX საუკუნის ბოლო მესამედში მომსახურებების მსოფლიო ექსპორტი ყოველ 10 წელიწადში თითქმის ორჯერ იზრდებოდა.

ტურიზმი წარმოადგენს შემოსავლების მიღების წყაროს, ტურისტული პროდუქტის გამყიდველისთვის და სულიერი თუ ფიზიკური მოთხოვნილებების დაკმაყოფილების შესაძლებლობას მყიდველისათვის. იგი ასევე წარმოადგენს დამაკავშირებელ რგოლს სხვადასხვა ქვეყნებსა და რეგიონებს შორის და, ამავდროულად, საგარეო ბაზარზე მათ შესახებ ინფორმაციის გავრცელების წყაროსაც.

ტურიზმის ბიზნესში, ისევე, როგორც ეკონომიკის სხვა დარგებში, ნათლად ჩანს გლობალიზაციის ტენდენციები, რაც გამოიხატება სახელმწიფოების, ორგანიზაციების თანამშრომლობაში პოლიტიკურ, ეკონომიკურ, კულტურულ და სხვა სფეროებში. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის განვითარებამ, უპირველეს ყოვლისა

საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დანერგვამ და გამოყენებამ (მაგალითად ელექტრონული ვაჭრობა), მნიშვნელოვნად შეამცირა ტრანზაქციური დანახარჯები საგარეო ეკონომიკურ ოპერაციებზე და გაამარტივა ტურისტული კომპანიების მსოფლიო ბაზარშე შეღწევა. გლობალიზაციის პროცესი ტურიზმის დარგში მომუშავე კომპანიებს აძლევს შესაძლებლობას მოქმედების არეალის გაფართოებისათვის, შემოსავლების ზრდისა და ტურისტულ ბაზარზე ადგილის დამკვიდრებისათვის. გლობალური კომუნიკაციური ქსელის წყალობით გახდა შესაძლებელი ტურისტული მომსახურებების კოორდინირებული წარმოება მსოფლიო ბაზრის სხვადასხვა რეგიონებში.

დღეისათვის ტურისტულ მომსახურებებს მსოფლიოს მრავალი ქვეყანა გვთავაზობს. ტურიზმის ბიზნესის ინტერნაციონალიზაცია თვით ტურისტული პროდუქტის თავისებურებით აიხსნება. თითოეულ მათგანს გააჩნია განსაკუთრებული მახასიათებელი და შეუძლია დადებითად იმოქმედოს ტურისტთა ცვალებად მოთხოვნასა და მოგზაურობის მოტივაციაზე. [არღუთაშვილი...2008]

ტურიზმის განვითარებას დიდწილად განაპირობებს შიდა სტაბილურობა, უსაფრთხო გარემო, ეკონომიკური განვითარების მისაღები დონე. ტურიზმის ინდუსტრიას შეუძლია ხელი შეუწყოს სამუშაო ადგილების შექმნას, შემოსავლების ზრდას, ეკონომიკის დივერსიფიკაციას. [ტურიზმი...]

ქვეყანაში ტურიზმის განვითარებისთვის საჭიროა საზოგადოების, მთავრობისა და უცხოელი და ადგილობრივი ინვესტორების კოორდინირებული მოქმედება. საზოგადოებამ უნდა გააცნობიეროს თუ რას ეფუძნება მისი კონკურენტული უპირატესობა სხვა ქვეყნებთან შედარებით და გაუმჯობესოს მომსახურება. ტურიზმის სფეროში საერთაშორისო სტანდარტების დანერგვაში დიდ როლს ასრულებს სახელმწიფო შესაბამისი რეგულაციებითა და ინფრასტრუქტურის მოწყობით. უმნიშვნელოვანესი ფუნქცია ეკისრება ინვესტიციებს, რომელიც წარმოადგენს მამოძრავებელ ძალას ტურიზმის განვითარებისთვის. [ტურიზმი-ა...]

მოგზაურებისა და ტურიზმის მსოფლიო საბჭოს (WTTC) მონაცემებით 2015 წელს ამ დარგში პირდაპირი კონტრიბუციით მთლიან მშპ-ში 2,2 ტრილიონი აშშ დოლარი შეადგინა (3%) და ხელი შეუწყო 108 მილიონი სამუშაო ადგილის შექმნას, მისი პირდაპირი და გვერდითი ეფექტების მხედველობაში მიღების შემდეგ, აღნიშნული სექტორის წვლილი მსოფლიო ეკონომიკის განვითარებაში შემდეგია: მსოფლიოს მშპ-ს 9.8%, ერთი ადგილი ყოველი 11 სამუშაო ადგილიდან, 4.3% მთლიანი განხორციელებულ ინვესტიციებსა და 6.1% მსოფლიოს მთლიან ექსპორტში. [Economic Impact of Travel and Tourism 2016, Annual Update, WTTC].

მსოფლიო დონეზე ტურიზმის სფეროს გლობალიზაცია ვლინდება ქვეყნებისა და რეგიონების ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულების გაზრდაში, მათი ტურისტულ-სამეურნეო სისტემების გადახლართვაში.

ეროვნულ დონეზე ტურიზმის სფეროს გლობალიზაცია ვლინდება ნაციონალური ტურისტული ბაზრების ღიაობაში, ტურისტული მომსახურებების საერთო მოცულობაში საგარეო სავაჭრო ბრუნვის წილის ზრდაში, ტურიზმის დარგში უცხოური ინვესტიციების მოცულობის გადიდებაში, საერთაშორისო გადახდების მოცულობის გაზრდაში და ა.შ. შეიძლება ითქვას, რომ გლობალიზაციის პროცესმა მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ტურიზმზე მოთხოვნის გადიდებას საქართველოშიც. ტურიზმის დარგის კარგად განვითარების შემთხვევაში სახელმწიფოს შეუძლია კიდევ უფრო მეტი შემოსავლების მიღება.

ჩვენთვის საინტერესოა საქართველოში საერთაშორისო შემოსვლების დინამიკის გაანალიზება. როგორც დიაგრამიდან ჩანს 2016 წელს აღნიშნულმა მაჩვენებელმა რეკორდულ ნიშნულს 6,350 825 მიაღწია (ზრდა +7,8%), ხოლო ყველაზე მაღალი ზრდის ტემპი კი 2012 წელს დაფიქსირდა (+57%).

2015 წელს საერთაშორისო შემოსვლების უმეტესი წილი, 87,8% (5,180,010) მეზობელი ქვეყნებიდან განხორციელდა, მხოლოდ 12,2% (721,084) შემოვიდა სხვა ქვეყნებიდან. წლის ლიდერი, როგორც ვიზიტების რაოდენობით 1,468 888 (+10,8%), ასევე რაოდენობრივი ზრდით (+143,253) იყო სომხეთი.

დიაგრამა # 12



წყარო: შემუშავებულია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით

ვიზიტების რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდა შემდეგი ქვეყნებიდან: რუსეთი (+114,523), აზერბაიჯანი (+110,043) და ისრაელი (+17,102). ევროკავშირის ქვეყნებიდან ვიზიტების რაოდენობამ 2015 წელს 242,172 შეადგინა, ევროპელი მოგზაურების წილი მლიან რაოდენობაში 4,1%-ია, ხოლო ზრდა წინა წელთან შედარებით +11% -ს შეადგენს.

2016 წელს საერთაშორისო მოგზაურების რაოდენობამ 6,350,825 შეადგინა, ზრდა წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით +7.6%-ია. მთლიანი რაოდენობიდან 24 საათი და მეტი დროით 2,714,773 (+19%) ტურისტული ვიზიტი განხორციელდა. ყველაზე მეტი ვიზიტორი აზერბაიჯანიდან (+9.3%), სომხეთიდან (+1.9%), თურქეთიდან (-9.9%), რუსეთიდან (+12%) და უკრაინიდან (+21.8%) შემოვიდა.

პოზიტიური ტენდენცია ნარჩუნდება ევროკავშირის ქვეყნების მიმართულებიდან, საიდანაც საქართველოში ჩამოსვლების რაოდენობის ზრდის კუთხით, 2016 წელს გამოირჩნენ: ლატვია +24%, ლიტვა +16%, ჩეხეთი +15%, ბულგარეთი +12% და გერმანია +11%. განსაკუთრებული ზრდა კი შემდეგი ქვეყნებიდან

ფიქსირდება: ირანი +485%, ინდოეთი +199%, საუდის არაბეთი +116%, ომანი +75% და ჩინეთი +46%. [საქართველოს -ო...2016]

ტურიზმის უხილავ ექსპორტს დიდი მნიშვნელობა აქვს ქვეყნისთვის. პოზიტიურად ფასდება სიტუაცია, როდესაც ტურისტების მიერ ქვეყანაში ვალუტის შემოდინება აღემატება ქვეყნიდან ნაღდი ვალუტის გადინებას.[ტურიზმის-ბ] უცხოელი ვიზიტორების დანახარჯები ქვეყანაში დადებითად აისახება საქართველოს საგადამხდელო ბალანსზე. დაახლოებით 61,4% საქართველოს სერვისის ექსპორტის შემოსავლებიდან ტურიზმზე მოდის. 2015 წელს შემოსავალი უცხოური ტურიზმიდან შეადგენდა 1.94 მლრდ აშშ დოლარს (ზრდა +8,3%). ხოლო საქართველოს მოქალაქეების დანახარჯებმა უცხოურ ტურიზმზე 0,33 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა (ზრდა+10,2%). ამდენად, უცხოური ტურიზმის ბალანსი საქართველოში შეადგენდა 2015 წელს 1,61 მლრდ დოლარს (ზრდა +8%), ხოლო 2016 წელს აღნიშნული მაჩვენებელი 1.695 მლრდ (I-III კვარტალის მონაცემებით) აშშ დოლარია. 48 სლ

2015 წელს ტურიზმიდან ასოცირებული სამუშაო ადგილების რაოდენობამ 158,515 ათასი შეადგინა. ყველაზე დიდი წილი დასაქმებული იყო ტრანსპორტის სექტორში 56,2% და სასტუმროებსა და რესტორნებში 15.8%; მთლიანმა დამატებულმა ღირებულებამ 2015 წელს 1,84 მლრდ ლარს მიაღწია, გაზრდილი მოთხოვნის გამო (ზრდა +16.2%). შედეგად, ტურიზმის წმინდა დამატებული ღირებულება, როგორც მშპ-ში წილი 6,3% დან 6,7%-მდე გაიზარდა. აღნიშნული მაჩვენებლის მიღწევა კი ტურიზმის სფეროში შექმნილი დამატებული ღირებულების +16,2% ზრდის შედეგად გახდა შესაძლებელი. 2015 წელს ტურიზმის სექტორში დამატებული ღირებულება ძირითადად შეიქმნა განთავსების საშუალებებში (ზრდა +27.8%) და ტრანსპორტში (საჰაერო ტრანსპორტი ზრდა + 27,8%, სხვა ტრანსპორტი კლება -1,5%).

ტურიზმის წვლილის შეფასება მშპ-ში წლების მიხედვით წარმოვადგინეთ ქვემოთ მოყვანილი ცხრილის სახით.

ცხრილი #12. ტურიზმის დინამიკა ღირებულებითი ფორმით და პროცენტულად 2005-2015 წლებში (ლარი)

წლები	მშპ მიმდინარე ფასებში (2015)	ცვლი-ლება, %	მშპ მუდმივ ფასებში (2015)	ცვლი-ლება,%	ტურიზმის პირდაპირი წვლილი მშპ-ში , % 2015	ცვლი-ლება,%	ტურიზმის პირდაპირი წვლილი დასაქმებაში% 2015	ცვლი-ლება,%	კაპიტალ დაბანდე ბები, % 2015	ცვლი-ლება,%
2015	31 991 650 000	8,72 %	10 718 332 400	2,77%	7,1	19,83%	5,8	21,09%	3,4	3,34%
2014	29 150 481 300	8,58%	10 428 936 900	4,62%	5,9	0,28%	4,8	0,66%	3,3	-5,19%
2013	26 847 354 300	2,60%	9 968 079 500	3,39%	5,9	12,30%	4,8	4,52%	3,5	3,49%
2012	26 167 283 500	7,49%	9 641 517 100	6,35%	5,2	19,42%	4,6	19,83%	3,3	0,99%
2011	24 343 986 600	17,36%	9 065 795 400	7,22%	4,4	10,82%	3,8	11,21%	3,3	3,93%
2010	20 743 364 300	15,33%	8 455 201 100	6,25%	4,0	9,45%	3,4	9,76%	3,2	1,0%
2009	17 985 954 600	-5,71%	7 957 609 500	-3,78%	3,6	16,87%	3,1	16,74%	3,2	2,03%
2008	19 074 852 300	12,25%	8 269 860 800	2,31%	3,1	-10,80%	2,7	-10,67%	3,1	-4,81%
2007	16 993 778 800	23,23%	8 082 820 500	12,34%	3,5	-19,78%	3,0	19,40%	3,3	-5,36%
2006	132 789 921 200	18,66%	7 194 706 000	9,38%	4,3	13,61%	3,7	13,99%	3,4	-8,34%
2005	11 620 952 500	18,29%	6 577 519 200	9,60%	3,8	-21,88%	3,3	-21,64%	3,7	-4,50%

ცხრილი შედგენილია ავტორის მიერ World Data Atlas , 2015 წყაროზე დაყრდნობით

ცხრილში მოცემულია ტურიზმის პირდაპირი წვლილი მთლიან შიდა პროდუქტში. ცხრილიდან ნათლად ჩანს, რომ 2005 წელს ტურიზმის პირდაპირი წვლილი მშპ-ში შეადგენდა 3,8. შემდგომ წლებში ეს მაჩვენებელი ძირითადად იზრდება, თუმცა არის ცალკეული პერიოდები, როცა ფიქსირდება შემცირება. მაგალითად, 2007 წელს 2006 წელთან შედარებით, იგი შემცირდა 4,3 %დან 3,8 %-მდე. 2007 და 2008 წლებშიც ფიქსირდება ტურიზმის პირდაპირი წვლილის დაცემა, შესაბამისად, 3,5%-დან და 3,1%-მდე რაც განაპირობა მათმა შემცირებამ შესაბამის წლებში -19,78% და -10,80%-ით. შემდგომ წლებში ფიქსირდება ტურიზმის უწყვეტი ზრდა. ზრდის ყველაზე მაღალი ტემპი დაფიქსირდა 2015 წელს 2014 წელთან შედარებით, როცა ტურიზმის პირდაპირი წვლილი მშპ-ში გაიზარდა 19,83%-ით და შეადგინა 7,1%. ეს ნათლად მეტყველებს იმაზე, რომ ბოლო წლებში ტურიზმის ზრდა უფრო სტაბილურად მიმდინარეობს. ქვეყნის ტურისტული პოტენციალის ეფექტურად გამოყენებით კი შესაძლებლელია უფრო მეტი შედეგის მიღება პერსპექტივაში.

ცხრილში ასევე წარმოდგენილია ტურიზმის სფეროში დასაქმებულთა დინამიკა. ირკვევა, რომ 2011 წლიდან ტურიზმში დასაქმებული იყო ეკონომიკაში დასაქმებულთა 3,8%. ზრდა მიმდინარეობდა უწყვეტად და 2015 წელს 5,8% შეადგინა, რაც გულისხმობს აღნიშნულ პერიოდში დასაქმებულთა რაოდენობის 65 %-იან ზრდას.

კვლევისათვის საინტერესოა, აგრეთვე, ტურიზმში კაპიტალდაბანდედების ხვედრითი წილი მშპ-თან მიმართებაში. შეიძლება ითქვას, რომ საკვლევ პერიოდში აღნიშნული მაჩვენებელი შედარებით თანაბარზომიერად იცვლება და ის მერყეობს 3,1% -დან 3,7 %- მდე.

ტურიზმის პირდაპირი ხვედრითი წილი მშპ-ში 2005-2010 წლებში გაიზარდა 0,5 %-ით. ასეთი მცირე ზრდა მოცემულ პერიოდში განპირობებული იყო ზემოთ აღწერილი მიზეზებით. 2010-2015 წლებში კი ტურიზმის პირდაპირი ხვედრითი წილი მშპ-ში 77 %-ით გაიზარდა. ეს განპირობებული იყო იმით, რომ აღნიშნულ წლებში უცხოური ტურიზმისათვის შეიქმნა საუკეთესო პირობები. ამას დაემატა მეზობელ ქვეყანაში

„თურქეთში“ პოლიტიკური სიტუაციის გამწვავება, რის გამოც იქ მიმავალმა ტურისტებმა, ნაწილობრივ, ჩვენს ქვეყანაზე აიღეს ორიენტაცია.

ქვეყანაში მშპ-ს ზრდის ტემპების შემცირებაზე გავლენას ახდენს ინვესტიციების შემცირება, იმპორტჩამნაცვლებელი პროდუქციის წარმოების უმნიშვნელო ტემპები. მაღალი იმპორტის გამო ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის შემოსავლებით უცხო ქვეყნის მოქალაქეების დასაქმება ხდება. ტურიზმის სფეროში ზრდის მნიშვნელოვანი რესურსია ჩვენი ქვეყნის ტურისტული რესურსების პოპულარიზაცია.

გლობალიზაციის პროცესი მნიშვნელოვნად აფართოვებს ქვეყნის სხვადასხვა ტურისტული რესურსის გამოყენების და მათი ოპტიმალური კომბინირების შესაძლებლობას, შრომის საერთაშორისო დანაწილების სისტემაში მათ მრავალმხრივ მონაწილეობას. ტურიზმის დარგის განვითარების გლობალური წყაროების გამოყენება იძლევა დანახარჯების შემცირების შესაძლებლობას, ტურისტული პროდუქტის შემადგენლობაში არაეფექტური ელემენტების შეცვლით.

მიუხედავად იმისა, რომ 2016 წელს საერთაშორისო შემოსვლების რაოდენობამ რეკორდულ ნიშნულს 6,350,825 მიაღწია (ზრდა 7,6 %), უნდა აღინიშნოს ისიც, რომ 2005 წლიდან 2013 წლამდე საქართველოში საერთაშორისო ვიზიტორთა რაოდენობა ორნიშნა ზრდის ტემპით ხასიათდებოდა, ყველაზე მაღალი მაჩვენებელი კი 2012 წელს დაფიქსირდა (+57%). ეს ციფრები მეტყველებს იმაზე, რომ გლობალური კრიზისები უარყოფით გავლენას ახდენენ ტურიზმის სფეროს განვითარებაზე. უცხოელი ვიზიტორების დანახარჯები ყოველთვი დადებითად აისახება ნებისმიერი ქვეყნის საგადამხდელო ბალანსზე, შესაბამისად, გლობალური საფინანსო კრიზისები თავს იჩენენ იმ დანაკარგებში, რაც უკავშირდება საერთაშორისო ვიზიტორთა რაოდენობის შემცირებას ქვეყანაში.

ტურიზმის სექტორს სჭირდება აეროპორტები, რკინიგზა, საავტომობილო გზები, საბაგირო გზები, საკრუიზო გზები, ყოველივე ეს საკმაოდ დიდ ინვესტიციას მოითხოვს, თუმცა მათი უმეტესობა ემსახურება არა მარტო ტურიზმის სექტორს, არამედ ეროვნული ეკონომიკის სხვა სფეროებსაც.

სახელმწიფო თანაბრადორიენტირებული უნდა იყოს როგორც შიდა, ისე საერთაშორისო ტურიზმზე. სამწუხაროდ, საქართველოს, და არა მარტო საქართველოს, ზოგადად, ტურიზმის სექტორს, ახასიათებს უარყოფითი მაჩვენებელი, რაც განპირობებულია შემდეგი პარადოქსით: თუ რეზიდენტის შემოსავალი იზრდება პირობითად 1%-ით, მაშინ მისი მოთხოვნა გაყვანის ტურიზმზე იზრდება 1,5%-ით, რაც საკმაოდ უარყოფითი მაჩვენებელია. რეზიდენტების მიერ ხდება ეროვნული ვალუტის ქვეყნიდან გადინება, რაც უარყოფითად აისახება მთლიანად ეკონომიკასა და ქვეყნის კეთილდღეობაზე. აქედან გამომდინარე, სახელმწიფო უნდა ცდილობდეს შიდა ტურიზმის განვითარებას, რათა რეზიდენტებისთვის თავიანთი სამშობლო მიმზიდველი ტურისტული ადგილი გახდეს და დისკრეციული შემოსავლები ადგილობრივ მომსახურებაში გადაიხადოს. [საქართველოს-პ]

გლობალიზაციია ტურიზმში გამოიხატება როგორც ტურიზტული ნაკადების, მომსახურებების ნაკადების, კაპიტალის შემოდინების ზრდის, საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარების პროცესი. დარგის განვითარებისთვის აუცილებელია ქვეყნის ტურისტული პოტენციალის გონივრულად გამოყენება. არსებული შესაძლებლობების ძლიერ მხარეებად გადაქცევისათვის კი საჭიროა რეგულაციების შესაბამისობაში მოყვანა დარგის პრიორიტეტებთან. ქვეყანაში შემომსვლელი ტურისტებისათვის საზღვრის გადმოკვეთა ზედმეტ ბარიერებთან და შეზღუდვებთან არ უნდა იყოს დაკავშირებული. ქვეყნის რეკლამირება უნდა ხდებოდეს წინასწარ შემუშავებული გრძელვადიანი სტრატეგიის ფარგლებში. ხელისუფლება ორიენტირებული უნდა იყოს ტურისტების რაოდენობის გაზრდაზე, ბუნებრივი რესურსების გონივრულად გამოყენებაზე და დარგის კომპლექსურად განვითარების ხელშეწყობაზე, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს ქვეყნის სწრაფ ეკონომიკურ განვითარებას და მოსახლეობის ცხოვრების დონის მნიშვნელოვნად ამაღლებას.

დასკვნის სახით შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ საერთაშორისო ინტეგრაციისა და გლობალიზაციის გავლენით ტურიზმის დარგის განვითარების ძირითადი შედეგები ქვეყნისათვის შეიძლება იყოს შემდეგი:

- ტურისტული პროდუქტების მაღალი ხარისხის მიღწევა;
- ქვეყანაში ტურისტების რიცხვის ზრდა, მათ შორის უცხო ქვეყნის მოქალაქეების;
- მომსახურებებისა და ფინანსური შემოსულობების მოცულობის ზრდა სახელმწიფო და ადგილობრივ ბიუჯეტში;
- ახალი სამუშაო ადგილების შექმნა და დასაქმებულთა რაოდენობის ზრდა;
- ადგილობრივი მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლება;
- ტურიზმის ინფრასტრუქტურის განვითარება;
- ქვეყნის რესურსული პოტენციალის კომპლექსური გამოყენება;
- კულტურისა და ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნება;
- ეკოლოგიური სიტუაციის და რეკრეაციული გარემოს ხარისხის გაუმჯობესება;
- ინვესტორთა დაინტერესება და ტურიზმის სფეროში ინვესტიციების მოცულობის გადიდება;
- მსოფლიო ტურისტულ სივრცეში ქვეყნის დადებითი იმიჯის შექმნა და სხვ.

ქვეყანაში ტურიზმის დარგის განვითარებას ხელს შეუწყობს ტურისტულ ბაზარზე ახალი სეგმენტების წარმოქმნა (სათავგადასავლო, კულტურული, სამედიცინო, გასტრონომიული, MICE ტურიზმი). ინოვაციური პროცესების და ახალი ტექნოლოგიების გამოყენების შედეგად იცვლება მოგზაურობის ორგანიზაციის ფორმებიც. ამიტომაც ამ მიმართულებით ღონისძიებების გატარება მიზანშეწონილია.

საჭიროა გატარდეს კომპლექსური ღონისძიებები ტურიზმის განვითარების შემაფერხებელი ფაქტორების (განუვითარებელი ინფრასტრუქტურა, მომსახურების დაბალი ხარისხი და მაღალი ფასები, კვალიფიციური კადრების ნაკლებობა და ა.შ) აღმოსაფხვრელად. საქართველოს ტურისტული პოტენციალის სრულად ათვისების შემთხვევაში შესაძლებელი იქნება წელიწადში 56 მილიონი ტურისტის მიღება. მაგრამ ამ შედეგზე გასვლა შეუძლებელია სახელმწიფოს ხელშეწყობის გარეშე.

3.3. აგრარული ბიზნესის განვითარების შესაძლებლობები თანამედროვე ეტაპზე

სოფლის მეურნეობის დარგი მრავალმხრივი თავისებურებებითა და ნიშან-თვისებებით ხასიათდება, რაც განპირობებულია მრავალფეროვანი რეგიონების მიხედვით მკვეთრად განსხვავებული ნიადაგურ-კლიმატური და ეკონომიკური პირობებით.

სოფლის მეურნეობა საქართველოში უძველესი დროიდან ვითარდებოდა, თუმცა ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში აგრარული სექტორის განვითარების ტემპი საგრძნობლად ჩამორჩებოდა ეკონომიკის სხვა სექტორების განვითარების ტემპებს, მიუხედავად იმისა, რომ მთავრობას იგი გამოცხადებული ჰქონდა სტრატეგიულ დარგად. წლების განმავლობაში მიმდინარეობდა სოფლის მეურნეობის პროდუქციის უწყვეტი შემცირება, რაც გამოიხატებოდა ნათესი მიწების ფართობების შემცირებაში და სოფლის მეურნეობის ძირითადი პროდუქტების წარმოების მკვეთრ დაცემაში.

1990-იან წლებში აგროსამრეწველო საწარმოების უმრავლესობამ ფუნქციონირება შეწყვიტა. მათი დანადგარ-მოწყობილობები ჯართად გაიყიდა, შენობა-ნაგებობები დაიშალა, კვალიფიციური მუშები და სპეციალისტები გაიფანტნენ არასწორი აგრარული პოლიტიკის გამო, განადგურდა აგრარული მეცნიერება, დეგრადაცია განიცადეს უმაღლესმა და საშუალო სპეციალურმა სასწავლებლებმა, განადგურდა სასწავლო-საცდელი მეურნეობები, ლაბორატორიები, თემატური მუზეუმები.

ურთულეს პოლიტიკურ ვითარებაში (1992წ.) განხორციელებულმა მიწის რეფორმამ გამოიწვია მეურნეობების დანაწევრება და წარმოების ნატურალიზაცია. 2004 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერის მიხედვით, 0.1 - დან - 1 ჰექტრამდე მიწას ფლობდა მიწათმოსარგებლეთა 66.9%, 1-დან 5 ჰექტრამდე ფართობს - 23.3%, ხოლო 50-დან - 500 - ჰექტრამდე - მხოლოდ 0,15%. პრობლემას ამწვავებს ისიც, რომ მეურნეობების კუთვნილი 1 ჰექტარი მიწა საშუალოდ წარმოდგენილია 2-3 ნაკვეთად. ცხადია, ასეთ პირობებში

ინტენსიური სასოფლო-სამეურნეო წარმოების ორგანიზება მიწების კონსოლიდაციის გარეშე შეუძლებელი იყო. [საქართველოს-ჟ...2015]

მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესები, კლიმატის გლობალურ ცვლილებებთან ერთად, დამატებით გამოწვევებს ქმნის მოსახლეობის ადეკვატური რაოდენობისა და ხარისხიანი სურსათით უზრუნველყოფის თვალსაზრისით. ეს პრობლემები ამჟამად მიმდინარე გლობალური საფინანსო და ეკონომიკური კრიზისის ფონზე მწვავდება.

ცხადია, საქართველო, როგორც გლობალური ეკონომიკის ნაწილი, არსებული პროცესების მიღმა ვერ დარჩება. ჩვენს ქვეყანაში ჯერ კიდევ მწვავედ დგას სიღარიბის, მათ შორის, მოსახელობის სურსათით უზრუნველყოფის პრობლემა. აქედან გამომდინარე, უახლოესი წლების უმნიშვნელოვანესი ამოცანაა ქვეყნის აგროსასურსათო სექტორის განვითარების იმგვარი მოდელის შემუშავება, რომელიც მოსახლეობას ხელმისაწვდომი და ხარისხიანი სურსათით დააკმაყოფილებს. ასევე, ხელს შეუწყობს კონკურენტული უპირატესობის მქონე პროდუქტების საექსპორტო პოტენციალის მაქსიმალურად გამოყენებას.

საქართველოს მთლიანი ტერიტორიის დაახლოებით 43.4% (ანუ 3 მილიონ ჰექტარზე ოდნავ მეტი) ითვლება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებად, ქვეყანაში ეკოლოგიური და კლიმატური ზონების დიდი ნაირსახეობაა, რაც ზომიერი და სუბტროპიკული ზონებისთვის დამახასიათებელი სასოფლო-სამეურნეო კულტურების უმეტესობის მოყვანის შესაძლებლობას იძლევა.

ქვეყნის ეკონომიკის წინაშე მდგარ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საკითხს წარმოადგენს საექსპორტო დანიშნულების პროდუქციის წარმოება და როგორც ძველ ტრადიციულ ბაზარზე პოზიციების აღდგენა, ასევე გასაღების ახალი ბაზრების მოძებნა.

სოფლის მეურნეობა, როგორც ერთ-ერთი ყველაზე უფრო მგრძნობიარე დარგი, ერთნაირად მოითხოვს მომხმარებლის, მწარმოებლის, ფერმერის, მეცნიერის, მკვლევარისა თუ სახელმწიფოს ერთობლივ ძალისხმევასა და მხარდაჭერას. ცალსახაა, რომ ამ მხრივ განსაკუთრებული მნიშვნელობა მაინც სახელმწიფოს ენიჭება. იმის

გათვალისწინებით, რომ საქართველოს მცირე ბაზარი გააჩნია, უმნიშვნელოვანესია ქვეყანაში არსებობდეს მაქსიმალურად გააზრებული მიდგომა სოფლის მეურნეობის განვითარებასთან დაკავშირებით.

საქართველოს მოსახლეობის დაახლოებით ნახევარი სოფლად ცხოვრობს, თუმცა ამ სექტორში წარმოებული პროდუქციის წილი, ქვეყნის მშპ-ში მცირეა და შიდა მოთხოვნა მხოლოდ მეხუთედით არის დაკმაყოფილებული.

დიაგრამა # 13



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით

როგორც დიაგრამიდან ჩანს ქვეყნის მშპ-ში სოფლის მეურნეობის წილი საკმაოდ მაღალი იყო 1990-1995 წლებში თუმცა 2000 წლიდან აღნიშნული მაჩვენებელი სულ უფრო და უფრო მცირდებოდა, რაც ჩვენი ტრადიციების და პოტენციალის მქონე სოფლის მეურნეობისთვის შეუსაბამო მონაცემებია. ამავე მონაცემების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ მცირეოდენი ზრდა დაფიქსირდა მხოლოდ 2013 წელს.

2012 წელს არჩევნების გზით მოსულმა ახალმა ხელისუფლებამ რადიკალურად შეცვალა დამოკიდებულება სოფლის მეურნეობის განვითარებისადმი. იგი გამოცხადდა

პრიორიტეტულ დარგად. ყურადღება გამახვილდა სამელიორაციო სამუშაოებზე, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შეძენასა და მის გამოყენებაზე, მცირემიწიანი ფერმერების დახმარების პროგრამის განხორციელებაზე, პირუტყვის დაავადებებთან ბრძოლის პრევენციული ღონისძიებების ჩატარებაზე, გამოიყო თანხები ისეთი ლაბორატორიების შესაძენად, რომელთა ტექნიკური აღჭურვილობაც საერთაშორისო აკრედიტაციის გავლის საშუალებას იძლევა.

2013-2014 წლების განმავლობაში მთავრობის ძალისხმევისა და კერძო სექტორის, ასევე, დონორი ორგანიზაციების აქტიური თანამშრომლობის შედეგად, შეინიშნება გარკვეული პოზიტიური ტენდენციები წარმოების ზრდის, საექსპორტო ბაზრების გაფართოებისა და სოფლის მეურნეობის სექტორში ინვესტიციების მოზიდვის თვალსაზრისით. გარდა ამისა, მიმდინარეობს მთელი რიგი ინსტიტუციური რეფორმები, რომლებიც გრძელვადიან პერიოდში, პოზიტიურ გავლენას მოახდენენ სექტორის მდგრად განვითარებაზე.

2013-2014 წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა მიწის დამუშავებული ფართობები, რაც შესაბამისი მიზნობრივი ღონისძიებების განხორციელებით იყო განპირობებული, მაგრამ, თუ ასეთ სახელმწიფო მიზნობრივ პროგრამებს ხანგრძლივ პერიოდში კერძო სექტორის ინიციატივა არ ჩაანაცვლებს, მიღწეული შედეგების შენარჩუნება გართულდება.

2013 წლიდან ამოქმედდა „ევროპის სამეზობლო პროგრამა სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის“ - ეს არის პროგრამა (2013-2020 წწ), რომელიც მიზნად ისახავს საქართველოს სოფლის მეურენობის სექტორის გამოცოცხლებას. მისი საერთო ბიუჯეტი 182 მილიონი ევროა.

ევროპის სამეზობლო პოლიტიკა სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის (ENPARD) სპეციალურ კომპონენტს ითვალისწინებს, რომლის საშუალებითაც ადგილობრივი თემების წარმომადგენლები შეიმუშავებენ და ახორციელებენ სოფლის საჭიროებებზე მორგებულ განვითარების სტრატეგიებს.

მდგრადი განვითარებისთვის და სოფლად მცხოვრები მოსახლეობის შემოსავლის წყაროს შექმნისთვის მრავალდარგობრივი ეკონომიკაა საჭირო, რომელიც განსაკუთრებულ ყურადღებას გაამახვილებს ღირებულებათა ჯაჭვზე, სოფლის ტურიზმსა და ბუნებრივი რესურსების მდგრად მართვაზე.

ევროკავშირის მხარდაჭერით, გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია (FAO), ადგილობრივ და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად ეხმარება საქართველოს მთავრობას სოფლის განვითარების სტრატეგიის (RDS) შემუშავებაში. სტრატეგია სამ ძირითად მიმართულებას ეფუძნება: სოფლის მეურნეობის კონკურენტუნარიანობას, ბუნებრივი რესურსების მდგრად მართვას და ადგილობრივი ეკონომიკის დივერსიფიკაციას. [სოფლის...2016]

თანამედროვე ეტაპზე ხორციელდება მნიშვნელოვანი აგროპროექტები რომლებიც გათვლილია გრძელვადიან განვითარებაზე და ორიენტირებულნი არიან დარგში კონკურენტუნარიანობის ამაღლებაზე, მაღალხარისხიანი პროდუქციის წარმოების სტაბილურ ზრდაზე, სურსათის უვნებლობის და სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე. კერძოდ:

1. პროექტი „დანერგე მომავალი“. ემსახურება მრავალწლოვანი ბაღებისა და სანერგე მეურნეობების დაფინანსებას. ქვემოთ მოყვანილ ცხრილში წარმოდგენილია საქართველოს რეგიონებში „დანერგე მომავალი“ პროექტის ფარგლებში განხორციელებული აქტივობები 2015-2016 წელი. [დანერგე...]

ცხრილი #13

„დანერგე მომავალი“ პროექტის ფარგლებში განხორციელებული აქტივობები

2015-2016 წელი

რეგიონი	გაშენებული ბაღების რ-ბა	ბენეფიციარების რ-ბა	გაშენებული ბაღების ფართობი (ჰა)	სააგენტოს თანადაფინანსება
აჭარა	2	2	9	119,307
გურია	14	12	78	273,506
იმერეთი	15	15	103	522,443
კახეთი	58	56	487	1,840,514
მცხეთა-მთიანეთი	7	7	35	238,188
რაჭა-ლეჩხუმი	1	1	7	29,389
სამეგრელო	25	25	249	637,339
სამცხე-ჯავახეთი	2	2	7	38,275
ქვემო ქართლი	52	50	340	1,503,538
შიდა ქართლი	132	124	729	4,565,144
ჯამი	**308**	**293**	**2,044**	**9,767,644**

წყარო: დათვლილია წყარო: http://www.moa.gov.ge/ 2016 წლის 1 ნოემბრის მდგომარეობით

2. „ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციის პროგრამის“ მიზნებია: საქართველოში არსებული ჩაის პლანტაციების პოტენციალის ეფექტურად გამოყენება, ადგილობრივი ჩაის (მათ შორის ბიო ჩაის) წარმოების ზრდის ხელშეწყობა, შედეგად, თვითუზრუნველყოფის დონის ამაღლება და საექსპორტო პოტენციალის გაზრდა; [ჩაის...]
3. „აგროწარმოების ხელშეწყობის პროგრამის მიზნებია “:პირველადი წარმოების პროდუქტის ხარისხისა და მოსავლიანობის ზრდის, არსებული ბაღების პოტენციალის მაქსიმალური გამოყენების, მოქმედი გადამამუშავებელი და შემნახველი აგროსაწარმოების გაფართოებისა და მოდერნიზაციის ხელშეწყობა;[აგროწაროების...]

4. „შეღავათიანი აგროკრედიტის“ პროექტის მიზანია ფერმერების და სოფლის მეურნეობაში ჩართული მეწარმეების იაფი, გრძელვადიანი და ხელმისაწვდომი ფულადი სახსრებით უზრუნველყოფის გზით, სოფლის მეურნეობის პირველადი წარმოების, გადამამუშავებელი და შენახვა-რეალიზაციის საწარმოო პროცესების გაუმჯობესება. ქვემოთ მოყვანილ ცხრილში წარმოდგენილია შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის ფარგლებში გაცემული სესხების მოცულობები 2013-2016 წლებში. [აგროკრედიტი...]

ცხრილი #14

შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის ფარგლებში გაცემული სესხების მოცულობები 2013-2016 წლებში

რეგიონი	სესხების რ-ბა	გაცემა (ლარი)	სესხების რ-ბა	გაცემა (აშშ დოლარი)
აჭარა	73	5,460,549	35	7,713,228
გურია	106	2,025,750	34	7,286,894
თბილისი	181	17,004,292	79	16,534,400
იმერეთი	1,281	25,810,566	177	10,953,626
კახეთი	11,405	432,926,135	935	91,803,644
მცხეთა-მთიანეთი	335	9,597,471	41	3,778,319
რაჭა-ლეჩხუმი	25	5,338,080	16	1,755,020
სამეგრელო	715	14,063,493	147	27,158,247
სამცხე-ჯავახეთი	1,628	29,094,300	78	5,005,940
ქვემო ქართლი	5,751	96,634,197	226	28,480,376
შიდა ქართლი	3,387	82,394,751	334	21,958,437
ჯამი	**24,887**	**720,349,583**	**2,102**	**222,428,131**

წყარო: დათვლილია წყარო: http://www.moa.gov.ge/ 2016 წლის 1 ნოემბრის მდგომარეობით

5. „აგროდაზღვევა“. ეს პროექტი მიზნად ისახავს აგროსექტორში სადაზღვევო ბაზრის განვითარებას, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის ხელშეწყობას, და სოფლის მეურნეობაში დასაქმებული პირებისთვის შემოსავლის შენარჩუნებას და რისკების შემცირებას. ქვემოთ მოყვანილ ცხრილში ასახულია აგროდაზღვევის პროექტით განხორციელებული აქტივობები 2014-2015 წლებში. [აგროდაზღვევა...]

ცხრილი # 15

აგროდაზღვევის პროექტით განხორციელებული აქტივობები 2014-2015 წლებში

რეგიონი	გაცემული პოლისი	სააგენტოს მიერ გადახდილი პრემია	დაზღვეული ლიმიტი	ჯამური დაზღვეული ფართობი (ჰა)
აჭარა	12,633	1,975,778	28,237,989	3,742
გურია	7,141	1,365,148	19,499,622	2,386
თბილისი	1	416	6,930	0.2
იმერეთი	95	5,948	115,101	40
კახეთი	5,439	7,620,671	101,528,421	11,360
მცხეთა-მთიანეთი	45	77,739	1,024,759	160
რაჭა-ლეჩხუმი	1	10,104	126,300	21
სამეგრელო	1,773	530,459	9,891,421	1,571
სამცხე-ჯავახეთი	535	431,483	8,499,532	688
ქვემო-ქართლი	313	548,458	7,810,053	1,995
შიდა-ქართლი	714	1,180,893	16,602,920	1,703
ჯამი	**28,690**	**13,747,097**	**193,343,048**	**23,667**

წყარო: დათვლილია წყარო: http://www.moa.gov.ge/ 2016 წლის 1 ნოემბრის მდგომარეობით

ცხრილი # 16

გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსება

რეგიონი/დარგი	საწარმოთა რაოდენობა	პროექტების ჯამური მოცულობა (აშშ დოლარი)	თანადაფინანსების მოცულობა
აჭარა	1	1,000,000	400,000
გურია	3	2,400,481	960,192
იმერეთი	3	1,552,482	620,993
კახეთი	2	1,463,809	388,320
მცხეთა მთიანეთი	5	3,564,168	990,670
რაჭა	1	350,000	140,000
სამეგრელო - ზემო სვანეთი	9	6,364,181	2,444,240
სამცხე ჯავახეთი	1	326,500	130,600
ქვემო ქართლი	2	812,790	325,116
შიდა ქართლი	3	1,491,796	596,718
ჯამი	**30**	**19,326,207**	**6,996,849**

წყარო: დათვლილია წყარო: http://www.moa.gov.ge/ 2016 წლის 1 ნოემბრის მდგომარეობით

7. „აწარმოე საქართველოში“ პროექტის მიზნებია: წარმოებაზე ორიენტირებული ინდუსტრიების განვითარების, ახალი საწარმოების შექმნის და არსებულის გაფართოების ხელშეწყობა;

,,აწარმოე საქართველოში" სახელმწიფო პროგრამის განხორციელებით მიღწეული შედეგები პროგრამის დაწყებიდან დღემდე, მხოლოდ ინდუსტრიული კომპონენტის ფარგლებში, დაფინანსდა 170-მდე პროექტი, რომელთა ჯამური ინვესტიცია 400 მილიონ ლარამდეა; პროგრამის ფარგლებში, სოფლის მეურნეობის მიმართულებით 100 მილიონ ლარზე მეტი ინვესტიცია განხორციელდა; 20-ზე მეტი პროექტი დაფინანსდა სასტუმრო ინდუსტრიის სფეროში და ინვესტიციების ჯამური ოდენობა 34 მილიონ ლარს

შეადგენს; კინოინდუსტრიის კომპონენტის ფარგლებში განხორციელდა 7 მილიონზე მეტი ლარის ინვესტიცია; მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის კომპონენტის ფარგლებში გადამზადებულია 9000-მდე ბენეფიციარი,თანადაფინანსება მიიღო 5000-მდე ბენეფიციარმა და შეიქმნა 5 000-ზე მეტი სამუშაო ადგილი სოფლად.

ზემოთ ჩამოთვლილი პროექტების წარმატებით განხორციელება გრძელვადიან პერსპექტივაში ხელს შეუწყობს სოფლის მეურნეობის განვითრებას, საკუთარი მოსახლეობის საკვებით უზრუნველყოფას, ქვეყნის სუვერენიტეტის დაცვას და ეროვნულ უსაფრთხოებას; გარდა ამისა, გამოიწვევს ტექნოლოგიურად დაკავშირებული სექტორების განვითარებას, წაახალისებს გლეხებს იმპორტჩანაცვლებადი სასოფლო - სამეურნეო პროდუქციის საწარმოებლად, რაც დადებითად აისახება მათ შემოსავლებზე და შეამცირებს ქვეყნიდან უცხოური ვალუტის გადინებას.

3.4. დარგობრივი ეკონომიკის განვითარების საპროგნოზო მოდელის შემუშავება

გლობალიზაციის პროცესი გავლენას ახდენს ეროვნული ეკონომიკის ყველა სფეროსა და ყველა დარგის განვითარებაზე. ქვეყნის ცალკეულ დარგებში მოქმედი კომპანიები, საქონლისა და მომსახურების წარმოების და განაწილების ეფექტიანობის დონით, განსაზღვრავენ ეროვნული ეკონომიკის კონკურენტულ უპირატესობებს.

მიგვაჩნია, რომ ეკონომიკის განვითარება მხოლოდ რომელიმე ერთი კონკრეტული დარგის განვითარების ხელშეწყობით ვერ მიიღწევა. საჭიროა ამ საკითხისადმი კომპლექსური მიდგომა და ეკონომიკის განვითარების დარგთაშორისი სტრატეგიის შემუშავების საფუძველზე სინერგიულობის ეფექტის მიღება, რაც უზრუნველყოფს რესურსების გამოყენებას და ამგვარად მაღალი დამატებული ღირებულების საქონლისა და მომსახურების წარმოებას.

აღნიშნულ ქვეთავში ჩვენი მიზანია გამოვავლინოთ საქართველოს ეკონომიკის ცალკეულ დარგებსა და მშპ-ს მაჩვენებლებს შორის ურთიერთდამოკიდებულება და, ექსპონენციალური რეგრესიული მოდელის საფუძველზე, შევიმუშავოთ დარგობივი ეკონომიკის განვითარების საპროგნოზო მოდელი. ამ მიზნის მისაღწევად, დინამიკაში განვიხილეთ ცალკეულ დარგებში შექმნილი დამატებული ღირებულებების მაჩვენებლებისა და მშპ-ის მოცულობების ცვლილება.

სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე და Excel-ის სერვისის დახმარებით. შეგვიძლია გამოვიყენოთ რეგრესიის განტოლების აგების და პროგნოზირების სხვადასხვა მეთოდები: დიალოგური ფანჯარა **Solver Parameters,** გვაძლევს საშუალებას გამოვიკვლიოთ ნებისმიერი სახის რეგრესიის განტოლება; სამუშაო ფურცლის ფუნქციების **Slope** და **Intercept,** რომელთა საშუალებით უშუალოდ გამოითვლებიან წრფივი რეგრესიის განტოლების მახასიათებლები, **Forecast** ფუნქციის დახმარებით შეიძლება გამოვთვალოთ თეორიული მნიშვნელობა ფიქსირებულ წერტილში წრფივი მოდელის კოეფიციენტების განსაზღვრის გარეშე, **Growth** ფუნქციის დახმარებით შეიძლება ვიწინასწარმეტყველოთ ექსპონენციალური ტრენდის მნიშვნელობა, დიალოგური ფანჯარა **Format Trendline**-ის ექსპონენციალური, წრფივი, ლოგარითმული, პოლინომიალური და ხარისხოვანი რეგრესიის ტიპები და სხვა.

Excel-ის სამუშაო ფურცლის A1:J13 უჯრედთა დიაპაზონში (ცხრილი 17) მოცემულია მოდელის საწყისი მონაცემები: მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ) საბაზისო ფასებში და ეკონომიკის ცალკეული დარგების მიერ (სოფლის მეურნეობა, ტრანსპორტი, ვაჭრობა, ტურიზმი) შექმნილი მთლიანი დამატებული ღირებულებები 2006 - 2016 წლებში.

ცხრილი 17.

	A	B	C	D	E	F	G	H	I	J
1			ეკონომიკის ცალკეული დარგებში შექმნილი მთლიანი დამატებული ღირებულება და წილი მშპ-ში							
2	წლები	მშპ საბაზისო ფასებში (მლნ ლარი)	სოფლის მეურნეობა, ნადირობა და სატყეო მეურნეობა; თევზჭერა, მეთევზეობა (მლნ ლარი)	წილი მშპ-ში (%)	ვაჭრობა; ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი (მლნ ლარი)	წილი მშპ-ში (%)	ტრანსპორტი (მლნ ლარი)	წილი მშპ-ში (%)	ტურიზმი (მლნ ლარი)	წილი მშპ-ში (%)
3	2016*	29 217,1	2 703,2	9,3	4 770,4	16,3	2 233,20	7,60	2 059,80	7,1
4	2015	27 468,4	2 507,6	9,1	4 588,7	16,7	2 181,7	7,9	1 842,1	6,7
5	2014	25 095,7	2 328,1	9,2	4 385,5	17,5	1 928,9	7,7	1 586,7	6,3
6	2013	23 335,0	2 195,0	9,4	4 026,8	17,3	1 789,2	7,7	1 374,4	5,9
7	2012	22 505,3	1 933,3	8,6	3 769,5	16,7	1 703,9	7,6	1 369,0	6,08
8	2011	20 975,4	1 854,9	8,8	3 552,7	16,9	1 573,4	7,5	1 263,7	6,02
9	2010	18 014,4	1 509,9	8,4	3 024,9	16,8	1 415,1	7,9	1 095,9	6,08
10	2009	15 546,3	1 457,1	9,4	2 344,1	15,1	1 138,0	7,3	906,7	5,83
11	2008	16 521,8	1 551,1	9,4	2 680,9	16,2	1 162,5	7,0	1 031,5	6,24
12	2007	14 611,1	1 562,7	10,7	2 167,2	14,8	1 231,2	8,4	1 001,1	6,85
13	2006	12 046,9	1 544,3	12,8	1 878,6	15,6	1 102,8	9,2	872,3	7,24

ცხრილი : შედგენილია ავტორის მიერ საქსტატის მონაცემებზე დაყრდნობით

ეროვნული ეკონომიკის განვითარება მნიშვნელოვნწილადაა დამოკიდებული ეკონომიკის ცალკეული დარგების მიერ შექმნილი დამატებული ღირებულების გაზრდაზე. რომელიმე ერთ დარგში ცვლილებამ, შესაბამისად, უნდა გამოიწვიოს შედეგობრივი მაჩვენებლის - მთლიანი შიდა პროდუქტის ცვლილება. ამ თეორიის შესამოწმებლად კორელაციურ-რეგრესული ანალიზის გამოყენებით გავაანალიზეთ ეკონომიკის ცალკეულ დარგებში მთლიანი დამატებული ღირებულებების ზრდის/ შემცირების გავლენა მშპ-ზე.

წრფივი ტრენდის ხაზის საშუალებით გამოვიკვლიეთ თითოეული დარგის გავლენა მშპ-ზე. წრფივი რეგრესიის განტოლების ასაგებად გამოვიყენეთ გრაფიკული ხერხი და დიალოგური ფანჯარა **Format Trendline.**



დიაგრამა: წერტილოვანი დიაგრამები

B3:C13, E3:E13, G3:G13 და I3:I13 დიაპაზონებისათვის ავაგეთ წერტილოვანი დიაგრამები (**Scatter**) ცალკეული დარგებისთვის.

რომელიმე დარგის წერტილოვანი დიაგრამის ერთ-ერთი წერტილის კონტექსტური მენიუს გამოძახებით მასში ვირჩეთ ბრძანებას **Add Trendline**.

მიღებულ დიალოგურ ფანჯარაში **Format Trendline** ჩანართში **Trendline Options**, ჯგუფში Trend/Regresion Type (ტრენდის ხაზის აგება) მოცემულია რეგრესიის განტოლების აგების სხვადასხვა მოდელი: ექსპონენციალური (Exponential), წრფივი (linear), ლოგარითმული (Logarithmic), პოლინომიალური (Polynomial), ხარისხოვანი (Power) და მცოცავი (Moving Average), რომლებიც ასახავენ კორელაციურ დამოკიდებულებას ცვლადებს შორის. ავირჩიეთ მოდელი წრფივი (linear), დავაყენეთ ალმები სტრიქონებში Display Equation on chart (აჩვენოს განტოლება დიაგრამაზე) და

Display R-squaerd value on chart (მოათავსოს დიაგრამაზე აპროქსიმაციის საიმედობის სიდიდე R^2).

თუ ზემოთაღნიშნულ მოქმედებებს გავიმეორებთ დანარჩენი დარგის წერტილოვანი დიაგრამებისთვისაც, მაშინ **Trendline** ბრძანების შედეგად მივიღებთ შემდეგ გრაფიკს. (დიაგრამა 15).

დიაგრამა 15.



დიაგრამა : ტრენდის ხაზის გრაფიკები - წრფივი მოდელი

დავადგინეთ თითოეული დარგისთვის წრფივი რეგრესიის განტოლების სახე და გამოყენებული მოდელის საიმედობის კოეფიციენტი R^2.

კორელაციის კოეფიციენტის (R^2) სიდიდის მიხედვით შეიძლება ვიმსჯელოთ, თუ რამდენად წრფივად არის დამოკიდებული ეკონომიკის დარგების (სოფლის მეურნეობა, ვაჭრობა, ტრანსპორტი, ტურიზმი) დამატებული ღირებულებების მაჩვენებლები საშედეგო მაჩვენებელთან მშპ-თან.

როგორც დიაგრამა 15-დან ჩანს, ვაჭრობის დარგში შექმნილი დამატებული ღირეულება უფრო წრფივად არის დამოკიდებული მშპ-თან (R^2=0,9861), შემდეგ მოდის

ტრანსპორტი (R^2=0,9653), შემდეგ ტურიზმი (R^2=0,9391) და ბოლოს სოფლის მეურნეობა (R^2=0,9024). უნდა აღინიშნოს, რომ კორელაციის კოეფიციენტი, რაც უფრო ახლოს არის 1-თან, მით უფრო მეტად მიუთითებს ეს სტატისტიკურად მიღებული ორი სიდიდის წრფივ დამოკიდებულებაზე.

მოდელი გვიჩვენებს, რომ, ვაჭრობაში დამატებული ღირებულების ზრდა 98,61%-ით, ტრანსპორტში 96,53%-ით, ტურიზმში 93,91 %-ით, ხოლო სოფლის მეურნეობაში 90,24% ალბათობით გამოიწვევს საპროგნოზო პერიოდებში მშპ-ის ზრდას ან პირიქით.

პროგნოზი

ეკონომიკაში მოსალოდნელი შედეგების პროგნოზირებისათვის ხშირად გამოიყენება ექსპონენციალური რეგრესიული მოდელი, რომელიც აღიწერება შემდეგი განტოლებით

$$\boldsymbol{y = be^{mx}},$$

სადაც y და x ცნობილი სიდიდეებია, x არის წელი, ხოლო y - დარგის მიერ შექმნილი დამატებული ღირებულება ამ წელში, საჭიროა ისე შევარჩიოთ m და b კოეფიციენტების მნიშვნელობები, რომ ექსპონენციალურმა რეგრესიულმა განტოლებამ საუკეთესოდ აღწეროს სტატისტიკური მონაცემების ანალიზის შედეგად მიღებული მნიშვნელობები. ჩვენს მიერ გამოყენებულ გრაფიკული ხერხი და დიალოგური ფანჯარა **Format Trendline**-ით მიღებული ექსპონენციალური რეგრესიული განტოლება და კორელაციის კოეფიციენტის სიდიდე R^2 საშუალებას გვაძლევს დავადგინოთ შედეგების პროგნოზირების საიმედოობა. როდესაც R^2 მოთავსებულია დიაპაზონში 0,9-სა და 1-ს შორის, მაშინ მოცემული დამოკიდებულება შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს შედეგების პროგნოზირებისათვის.

ექსპონენციალური ტრენდის მნიშვნელობა შეიძლება ვიწინასწარმეტყველოთ **GROWTH** ფუნქციის დახმარებით. გავაკეთოთ მოსალოდნელი შედეგების პრონოზირება სოფლის მეურნეობაში, ვაჭრობაში, ტრანსპორტსა და ტურიზმში 2017, 2018 და 2019 წლებისთვის. **GROWTH** ფუნქციის გამოყენებით მიღებული შედეგები მოცემულია ცხრილში 18.

B13:B15, C13:C15, D13:D15 და E13:E15 დიაპაზონებში შესაბამისად გამოყენებულია ფორმულები:

[=GROWTH(B2:B12;A2:A12;A13:A15)]

[=GROWTH(C2:C12;A2:A12;A13:A15)]

[=GROWTH(D2:D12;A2:A12;A13:A15)]

[=GROWTH(E2:E12;A2:A12;A13:A15)]

ცხრილი 18

	A	B	C	D	E
1	**წლები**	**სოფლის მეურნეობა** (მლნ. ლარი)	**ვაჭრობა** (მლნ. ლარი)	**ტრანსპორტი** (მლნ. ლარი)	**ტურიზმი** (მლნ. ლარი)
2	2006	1 544,3	1 878,6	1 102,8	872,3
3	2007	1 562,7	2 167,2	1 231,2	1001,1
4	2008	1 551,1	2 680,9	1 162,5	1031,5
5	2009	1 457,1	2 344,1	1 138,0	906,7
6	2010	1 509,9	3 024,9	1 415,1	1 095,9
7	2011	1 854,9	3 552,7	1 573,4	1 263,7
8	2012	1 933,3	3 769,5	1 703,9	1 369,0
9	2013	2 195,0	4 026,8	1 789,2	1 374,4
10	2014	2 328,1	4 385,5	1 928,9	1 586,7
11	2015	2 507,6	4 588,7	2 181,7	1 842,1
12	2016	2 703,2	4 770,4	2 233,2	2 059,8
13	2017	2 747,1	5 709,9	2 436,7	2 069,4
14	2018	2 927,0	6 278,3	2 630,7	2 247,5
15	2019	3 118,6	6 903,2	2 840,1	2 440,9

ცხრილი : პროგნოზირების შედეგები **GROWTH** ფუნქციის გამოყენებით

პროგნოზირების შედეგების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, კორელაციის კოეფიციენტის სიდიდე R^2 ოთხივე დარგის მიხედვით მოთავსებულია დიაპაზონში 0,9-სა და 1-ს შორის. ხოლო, რაც უფრო ახლოს არის კორელაციის კოეფიციენტის სიდიდე ერთთან, მით უფრო დასაბუთებულია გამოყენებული მოდელის საიმედოობა.

წარმოდგენილი პროგნოზის საფუძველზე გავაანალიზეთ ცალკეულ დარგებში დამატებული ღირებულებების მატების ტემპი და განვსაზღვრეთ, თუ რომელი დარგი ხასიათება უფრო მეტად მზარდი ტენდენციით აღნიშნული მაჩვენებლის მიხედვით. ასეთი დარგები მომავალში უნდა განიხილებოდეს როგორც ეკონომიკის განვითარების სტრატეგიული დრაივერი. ანალიზის შედეგად დამატებული ღირებულებების მატების დინამიკა განაწილდა შემდეგნაირად:

დიაგრამა 16



დიაგრამა : ეკონომიკის დარგების დამატებული ღირებულებების მატების ტემპი

ამდენად, 2014-2016 წლებში დამატებული ღირებულების მატების ტემპის მაღალი მაჩვენებლით გამოირჩეოდა ტურიზმის დარგი, თუმცა 2016 წლიდან შეინიშნება მატების ტემპი შემცირება. ამავე პერიოდში დამატებული ღირებულებების მატების ტემპის მდგრადი მაჩვენებელი დაფიქსირდა სოფლის მეურნეობაში. ხოლო, საპირისპირო ტენდენციით ხასიათდებოდა ვაჭრობა.

ტრანსპორტის დარგი არ გამოირჩეოდა მატების ტემპის მდგრადი ტენდენციით, პირიქით, აქ შეინიშნებოდა აღნიშნული მაჩვენებლის მკვეთრი რყევები.

საპროგნოზო პერიოდში (2017, 2018, 2019) შემუშავებული მოდელის მიხედვით, დამატებული ღირებულებების მატების ტემპის თვალსაზრისით, ლიდერობს ვაჭრობის დარგი. ტრანსპორტის დარგში ფიქსირდება მატების ტემპის მზარდი დინამიკა. ტურიზმისა და სოფლის მეურნეობის მატების ტემპის საპროგნოზო მაჩვენებელი უფრო დაბალია ვიდრე წინა წლებში, თუმცა აღნიშნული დარგები ხასიათდებიან განვითარების პოზიტიური დინამიკით.

ამგვარად, დამატებული ღირებულების მატების ტემპის მიხედვით დარგების რეიტინგი გამოიყურება შემდეგნაირად: ვაჭრობა, ტურიზმი, ტრანსპორტი, სოფლის მეურნეობა. რაც მეტყველებს აღნიშნული დარგების სინერგიულად განვითარების ლოგიკურ ურთიერთკავშირზე, კერძოდ: ვაჭრობისა და ტურიზმში დამატებული ღირებულების მატება გავლენას ახდენს სატრანსპორტო მომსახურების მოთხოვნის ზრდაზე, აგრეთვე ასტიმულირებს სოფლის მეურნეობის დარგის განვითარებას, რამდენადაც ზრდის სამომხმარებლო მოთხოვნას აღნიშნულ დარგში.

სინერგიულობის ეფექტის მიღების შესაძლებლობა ეკონომიკის განვითარების დარგთაშორისი სტრატეგიის შემუშავებითა და შედარებითი უპირატესობების მქონე დარგების როლის გაძლიერებით უზრუნველყოფს ადგილობრივი რესურსების ეფექტურ გამოყენებას და მაღალი დამატებული ღირებულების საქონლისა და მომსახურების წარმოებას, დასაქმების დონის ამაღლებას, რაც დადებითად აისახება ეროვნული ეკონომიკის განვითარებაზე. აღნიშნული მიზნის მისაღწევად აუცილებელია მეცნიერებისა და ინოვაციების, განათლებისა და კვალიფიკაციის დონის ამაღლება და თანამედროვე განვითარებული ინფრასტრუქტურის უზრუნველყოფა. კაპიტალის ყველაზე ეფექტური დაბანდება და ეკონომიკის განვითარების საფუძველი - ეს არის მაღალკვალიფიციური კადრების მომზადება და ტექნოლოგიური განვითარება. მხედველობაში გვაქვს არა მხოლოდ ცალკეულ დარგებში, არამედ საერთოდ ყველა სფეროში. ამ მიმართულებით გაწეული ეკონომია საგრძნობლად აქვეითებს

საზოგადოების ეფექტიანობას და ართულებს მსოფლიო ეკონომიკაში ინტეგრაციას. ინოვაციური განვითარების, მენციერების ინტეგრირების, წარმოებისა და მომსახურების ხარისხის მხრივ, ჩვენ საკმაოდ ჩამოვრჩებით განვითარებულ ქვეყნებს, ასევე ჩამოვრჩებით, თანამედროვე ტექნოლოგიების, მენეჯმენტის ხარისხის და თანამშრომელთა მოტივირებულობის დონით.

დასკვნის სახთ, გვინდა აღვნიშნოთ, რომ საქართველოს ეკონომიკის კონკურენტული უპირატესობების ფორმირებისათვის მნიშვნელოვანია უახლესი ტექნოლოგიბის გამოყენებაზე გადასვლა, ძლიერი მატერიალური და მორალური მოტივაციის შექმნა, ყველა დარგში კონკურენტუნარიანობის ამაღლებისათვის გამოცდილების დაგროვება. ამ მიზნების მიღწევის სირთულე ხშირად გამოწვეულია მათი გადაწყვეტისათვის ჩვენეული მენეჯმენტის არასაკმარისი დონით, წარმოების მეცნიერებასთან სუსტი კავშირით, არაოპტიმალური ინვესტიციებით ადამიანურ რესურსებში, განსაკუთრებით - კომპეტენციების ამაღლებაში, უახლეს ტექნოლოგიების დანერგვაში, ინფრასტრუქტურის განვითარებაში.

დასკვნები

ჩატარებული კვლევა იძლევა საშუალებას თეზისების სახით ჩამოვაყალიბოთ დასკვნ და წარმოვადგინოთ შემდეგი წინადადებები:

1. გლობალიზაცია შეიძლება განვსაზღვროთ როგორც საქონლისა და მომსახურებათა ნაკადების, კაპიტალის, ინფორმაციის და ტექნოლოგიების მკვეთრი გაძლიერების პროცესი, რომელიც ჩვეულებრივ არ ექცევა ნაციონალური სამთავრობო რეგულირების საზღვრებში. მისი წამყვანი ძალა, უპირველეს ყოვლისა, არის ინფორმაციულ კომუნიკაციური ტექნოლოგიების სფეროში რევოლუციური ცვლილებები, ბაზრების ლიბერალიზაცია და საერთაშორისო კონკურენციის გამწვავება.
2. ყველა ქვეყნის წინაშე დგას ერთი პრობლემა - თუ როგორ გამოიყენოს მაქსიმალურად გლობალიზაციის უპირატესობები და, ამავდროულად, მინიმუმამდე დაიყვანოს დანაკარგები და რისკები.
3. გლობალიზაციის მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს ეროვნული ეკონომიკის სტაბილური ზრდის, სოციალური განვითარებისა და ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესების აუცილებლობა, უმუშევრობისა და მასთან დაკავშირებული სიღარიბის და სოციალური უთანასწორობის პრობლემა; სახელმწიფომ დასაქმებაზე ორიენტირებული პროექტები უნდა განახორციელოს, ხოლო სამუშაო ადგილების შექმნისთვის უდიდესი როლი უნდა მიენიჭოს მთავრობის მხრიდან ბიზნესის განვითარების წახალისებას, რაც თავის მხრივ გულისხმობს სხვადასხვა დარგების და ინფრასტრუქტურის განვითარებას.
4. საქართველოსთვის მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება ასევე სოფლის მეურნეობის განვითარება. სოფლის მეურნეობაში დასაქმებულია ქვეყნის შრომისუნარიანი მოსახლეობის ნახევარზე მეტი. თუმცა, ამ დარგში შექმნილი დამატებული ღირებულება, დარგის პროდუქტიულობა და მომგებიანობის დონე დაბალია, რაც ხელს უშლის დარგის კონკურენტუნარიანობის ზრდას, როგორც ადგილობრივ,

ასევე საერთაშორისო ბაზრებზე. აღნიშნულ გამოწვევაზე საპასუხოდ საქართველოს მთავრობამ დაიწყო შემდეგი მნიშვნელოვანი პროექტების განხორციელება სოფლის მეურნეობაში: „დანერგე მომავალი“, „ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციის პროგრამა“, „აგროწარმოების ხელშეწყობის პროგრამა“, „შეღავათიანი აგროკრედიტი“, „აგროდაზღვევა“, „გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების პროექტი“, „აწარმოე საქართველოში“. მიგვაჩნია, აღნიშნული პროექტების წარმატებით განხორციელება ხელს შეუწყობს ქვეყნის აგროსასურსათო სექტორის განვითარებას;

5. გლობალიზაციის მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს ლოგისტიკური ინფრაქტრუქტურის განვითარება, რაც უმთავრესი პირობაა საქართველოსთვის პერსპექტიული დარგების - სოფლის მეურნეობის, მრეწველობის, ვაჭრობის განვითარებას. საქართველო, ხელსაყრელი გეოგრაფიული ადგილმდებარეობით წარმოადგენს კავკასიისა და ცენტრალური აზიის ბუნებრივ ლოგისტიკურ ჰაბს, თუმცა განუვითარებელი ინფრასტრუქტურა და სატრანსპორტო სისტემის დაბალი კონკურენტუნარიანობა მას არ აძლევს საშუალებას გამოიყენოს აღნიშნული პოტენციალი სრულყოფილად.
6. გლობალიზაციის პირობებში ქვეყნის ეკონომიკისა და ბიზნესის განვითარებისათვის, ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობისათვის საჭიროა ისეთი მოქმედებების განხორციელება, როგორებიცაა: ქვეყნის გეოპოლიტიკური, გეოგრაფიული, ბუნებრივ-კლიმატური და რესურსული პოტენციალის ეფექტურად გამოყენება, რამდენადაც ისინი წამოადგენენ ეროვნული ეკონომიკის შემდგომი განვითაების საყრდენს; პრიორიტეტული დარგების განვითარება, რაც შესაძლებლობას მისცემს ქვეყანას მოიპოვოს კონკურენტუნარიანი უპირატესობა შრომის საერთაშორსო ბაზარზე; ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში ინოვაციურობის მდგენელის გაძლიერება;
7. ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ამაღლების საკითხი ჩვენს მიერ განიხილება იმ შედარებითი უპირატესობების მქონე დარგების როლის გაძლიერებაში, რომლებსაც

აქვთ უცხოური ინვესტიციების მოზიდვის, ექსპორტში მზა პროდუქციის წილის ზრდის, ადგილობრივი, ლოკალური რესურსული პოტენციალის ეფექტურად გამოყენების და დასაქმების დონის ამაღლების პოტენციალი, რითაც შეუძლიათ დადებითი ზეგავლენა ქვეყნის ეკონომიკაზე გლობალურ გარემოში. მნიშვნელოვან ასპექტს ამ დროს წარმოადგენს სინერგიულობის ეფექტის მიღების შესაძლებლობა ეკონომიკის განვითარების დარგთაშორისი სტრატეგიის შემუშავებით, რომელიც უზრუნველყოფს რესურსების კომპლემენტარულ გამოყენებას და ამგვარად მაღალი დამატებული ღირებულების საქონლისა და მომსახურების წარმოებას;

8. მიგვაჩნია, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ჩვენი ქვეყნის ეკონომიკაში უპირველესად მიმართული უნდა იყოს ეკონომიკური ზრდის უზრუნველსაყოფად. ამ ამოცანის განსახორციელებლად სასურველია პუი-ბის მიმართვა ექსპორტზე ორიენტირებულ საწარმოებში, ინოვაციების დანერგვაში და ინფრასტრუქტურის განვითარებაში. ინვესტიციების მოზიდვისა და ხელშეწყობისათვის სასურველია წინა წლებში შემოსული ინვესტორებისათვის რეინვესტიციის განსახორციელებლად შესაბამისი გარემოებების შექმნა და ხელის შეწყობა;
9. საქართველოს წლების განმავლობაში ჰქონდა უარყოფითი სავაჭრო სალდო, რაც ქვეყნის იმპორტზე მაღალი დამოკიდებულების მიზეზით არის გამოწვეული. ამ თვალსაზრისით, აუცილებელია სტრატეგიული ნაბიჯების გადადგმა მაღალპროდუქტიული და დამატებითი ღირებულების მქონე დარგებისკენ. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების და კაპიტალური ინვესტიციების მოზიდვა საექსპორტო დარგებში დაეხმარება საქართველოს, ღირებულებათა ჯაჭვის მეტ კომპონენტში მონაწილეობის მისაღებად. ამან შესაძლოა მეტი დინამიკა შესძინოს ექსპორტის სფეროს და დადებითი გავლენა იქონიოს დასაქმებასა და ხელფასებზე;
10. საქართველოს ხელსაყრელი სატრანსპორტო გეოგრაფიული მდებარეობა მას სტრატეგიულ სატრანზიტო ფუნქციას ანიჭებს. საქართველოს სატრანზიტო ფუნქციის სამომავლო გაძლიერება დამოკიდებული იქნება საქართველოს ტერიტორიაზე არსებული მიწოდების ჯაჭვის ყველა შემაერთებელი რგოლის

სარკინიგზო, საპორტო და საავტომობილო ინფრასტრუქტურისა და ლოჯისტიკური ცენტრების განვითარება/ადაპტირებაზე;

11. სატრანზიტო ფუნქციის განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება სარკინიგზო გადაზიდვებს. შუა აზიაში წიაღისეული სიმდიდრეების ათვისება და რეგიონში ეკონომიკური ინტეგრაციის ზრდის პროცესი კიდევ უფრო გაზრდის შუა აზიისა და ამიერკავკასიის ქვეყნებში ტვირთბრუნვის მთლიან მოცულობას, შესაბამისად, გაიზრდება საქართველოს გავლით გადასაზიდი ტვირთების რაოდენობა. დამატებითი მოცულობის ტვირთების მოზიდვისთვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს, წარმოადგენს მოქნილი სატარიფო პოლიტიკა. სასურველია, რომ საქართველომ შეთავაზოს ზემოაღნიშნულ ქვეყნებს ტვირთების გადაზიდვისთვის კონკურენტუნარიანი ტარიფები, გაზრდილი სიჩქარე, საიმედოობის მაღალი დონე და სატრანსპორტო მომსახურების სიმარტივე, რაც უნდა უზრუნველყოს საქართველოს სარკინიგზო, საავტომობილო და საზღვაო ტრანსპორტმა კომპლექსურად.

12. საქართველოს სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა წარმოუდგენელია საზღვაო პორტების განვითარების გარეშე. ბათუმისა და ფოთის საზღვაო პორტებს, მნიშვნელოვანი როლი ენიჭებათ საზღვაო ტვირთების დამუშავებაში. საზღვაო პორტი, როგორც ტვირთნაკადების გენერატორი, აკავშირებს მიწოდების სატრანსპორტო-ლოგისტიკური ჯაჭვის შემადგენელ რგოლებს ერთმანეთთან. ამით იგი წარმოადგენს კლასტერს, რომლის ბირთვი - თვით პორტია. საპორტო კლასტერის შექმნის მიზანია სატრანსპორტო კვანძის კონკურენტუნარიანობის ამაღლება. მას გააჩნია მასშტაბის ეფექტი და იგი იძლევა ჩატვირთვა-გადმოტვირთვის ტექნოლოგიური ოპერაციების ინოვაციებისათვის უფრო მეტ საშუალებას.

13. საერთაშორისო ინტეგრაციისა და გლობალიზაციის გავლენით ტურიზმის დარგის განვითარების ძირითადი შედეგები ქვეყნისათვის შეიძლება იყოს: ქვეყანაში ტურისტების რიცხვის ზრდა, მომსახურებებისა და ფინანსური შემოსულობების

მოცულობის ზრდა სახელმწიფო და ადგილობრივ ბიუჯეტში; ახალი სამუშაო ადგილების შექმნა და დასაქმებულთა რაოდენობის ზრდა; ადგილობრივი მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლება; ტურიზმის ინფრასტრუქტურის განვითარება; ქვეყნის რესურსული პოტენციალის კომპლექსური გამოყენება; კულტურისა და ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნება;

14. ეკონომიკის ეფექტიანობა მნიშვნელოვნადაა დამოკიდებულია კაპიტალის ეფექტურ დაბანდებასთან მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებაში. ამ მიმართულებით გაწეული ეკონომია გულისხმობს საზოგადოების ეფექტიანობის საგრძნობლად დაქვეითებას და მსოფლიო ეკონომიკაში ინტეგრაციის გართულებას. ინოვაციური განვითარების, მენციერების ინტეგრირების, წარმოებისა და მომსახურების ხარისხის მხრივ, ჩვენ საკმაოდ ჩამოვრჩებით განვითარებულ ქვეყნებს თანამედროვე ტექნოლოგიების, მენეჯმენტის ხარისხის და თანამშრომელთა მოტივირებულობის დონით. საქართველოს ეკონომიკის კონკურენტული უპირატესობების ფორმირებისათვის მნიშვნელოვანია უახლესი ტექნოლოგიბის გამოყენებაზე გადასვლა, ძლიერი მატერიალური და მორალური მოტივაციის შექმნა, ყველა დარგში კონკურენტუნარიანობის ამაღლებისათვის გამოცდილების დაგროვება. ამ მიზნების მიღწევის სირთულე ხშირად გამოწვეულია მათი გადაწყვეტისათვის ჩვენეული მენეჯმენტის არასაკმარისი დონით, წარმოების მეცნიერებასთან სუსტი კავშირით, არაოპტიმალური ინვესტიციებით ადამიანურ რესურსებში, განსაკუთრებით - კომპეტენციების ამაღლებაში, უახლეს ტექნოლოგიების დანერგვაში, ინფრასტრუქტურის განვითარებაში.

სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი დებულებები ასახულია ჩვენს მიერ გამოქვეყნევულ ნაშრომებში:

გამოყენებული ლიტერატურა

1. **ასათიანი 2002**: ასათიანი რ., „საქართველოს ეკონომიკა: „ წარსული, აწმყო, პერსპექტივა“, თბილისი;
2. **ასათიანი 2010**: ასათიანი. რ., „გლობალიზაცია ეკონომიკური თეორია და საქართველო“, თბილისი;
3. **ასათიანი 2012**: ასათიანი რ., „საქართ ველოს ეკონომიკა“, თბილისი;
4. **არჩვაძე 2007**: არჩვაძე ი. საშუალო ფენა საქართველოში: სოციალურ-ეკონომიკური როლი და მნიშვნელობა. ჟურნალი საქართველოს ეკონომიკა, თბილისი;
5. **არჩვაძე 2010: არჩვაძე ი**. საქართველოს მოსახლეობის თანამედროვე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ზოგიერთი ასპექტი. თბილისი;
6. **ბარათაშვილი... 2012**: ბარათაშვილი ე., გეჩბაია ბ., ღლონტი ვ., ,,საქართველოს ეკონომიკის კონკურენტუნარიანობა: თანამედროვე გამოწვევები“, თბილისი;
7. **ბასილია... 2003**: ბასილია ა., სილაგაძე თ., ჩიკვაიძე „პოსტსოციალისტური ტრანსფორმაცია:საქართველოს ეკონომიკა XXI საუკუნის მიჯნაზე“, თბილისი;
8. **ბურდული 2015:** ბურდული თ., „ ეკონომიკური გარდაქმნები საქართველოში: გზა შოკური თერაპიიდან ღრმა და ყოვლისმომცველ თავისუფალ სავაჭრო ზონამდე“ თბილისი;
9. **ბერუჩაშვილი**: ნ.ბერუჩაშვილი „კავკასიის გეოპოლიტიკური ატლასი“.
10. **ბაქრაძე 2014 :** გიორგი ბაქრაძე 2007-2008 წლის გლობალური ფინანსური კრიზისი: მიზეზები და ინტერპრეტაციები , თბილისი;
11. **გეგეშიძე** 1999: გეგეშიძე ა „გეოპოლიტიკა“, თბილისი;

12. **გელაშვილი 2011**: გელაშვილი კ., „საქართველოს ადგილი მსოფლიო კონკურენტუნარიანობის რეიტინგებში“

13. **დავითაშვილი 2003**: დავითაშვილი ზ „ნაციონალიზმი და გლობალიზაცია “მეცნიერება“ თბილისი.

14. **ეთერია 2003**: ეთერია.ე., „გლობალიზაციის არსის განსაზღვრისათვის „. ჟურნალი ახალი აზრი №2(8), თბილისი;

15. **თვალჭრელიძე...2011**: თვალჭრელიძე ა., სილაგაძე ა., ქეშელაშვილი გ., გეგია დ., „საქართველოს სოციალურ–ეკონომიკური განვითარების პროგრამა“, თბილისი

16. **კაკულია 2001:** კაკულია. მ., „სავალუტო სისტემის განვითარების პრობლემები საქართველოში“, თბილისი

17. **კუპრავა 2008:** კუპრავა თ **„ბიზნესი ადამიანები, მეთოდები, სტრატეგიები“** თბილისი;

18. **კუპრავა 2008**: კუპრავა თ., „გლობალიზაცია: პირდაპირი უცხოური ინვესტიციები“, თბილისი;

19.

20. **კანდელაკი 2008:** კანდელაკი თ, „ტყის რესურსები– რა სიმდიდრეს ფლობს საქართველო., USAID „აგროინფო“

21. **მელიქიძე 2006**: ვ. მელიქიძე, მსოფლიო პოლიტიკის გლობალიზაცია, თბილისი;

22. **მექვაბიშვილი...2008** : ე. მექვაბიშვილი, მ. მექვაბიშვილ, ეკონომიკური გლობალიზაციის მოდელი. ჯ საქართველოს ეკონომიკა. თბილისი;

23. **მესხია...2010**: მესხია.ი გველესიანი. გ., „რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკა“, თბილისი

24. **მესხია 2010**: მესხია ი, „ფინანსური დავალიანების ზრდა – ეროვნული უსაფრთხოების მუქარა, „შრომები“, თბილისი

25. **მეხსია...1996**: მესხია ი, მურჯიკნელი მ. „ეკონომიკური რეფორმები საქართველოში“, თბილისი

26. **მეტრეველი 2001**: მეტრეველი მ., „ტურიზმის თანამედროვე მდგომარეობა და მისი განვითარების პერსპექტივები საქართველოში“, თბილისი;

27. **ნიკოლაიშვილი 2004**: ნიკოლაიშვილი ნ., „გლობალიზაცია და კულტურა“ , თბილისი;

28. **პაპავა 2000:** პაპავა ვ., „ საერთაშორისო სავალუტო ფონდი საქართველოში: მიღწევები და შეცდომები“, თბილისი

29. **პავლიაშვილი 2009:** პავლიაშვილი ს., „პრივატიზაციის ფენომენი და პრობლემები საქართველოში“, თბილისი

30. **პაპავა 2000**: პაპავა ვ., „საგადასახადო ფედერალიზმი: თანხმობა თუ სეპარატიზმი“, თბილისი

31. **სამადაშვილი 2010**: უშანგი სამადაშვილი., „კონკურენტუნარიანობა, როგორც გლობალიზაციის პროცესებში აქტიური მონაწილეობა“, თბილისი;

32. **ფუტკარაძე 2012:** რ. ფუტკარაძე. “გლობალიზაცია და საერთაშორისო ვაჭრობის განვითარების ტენდენციები”.თსუ-ს კონფერენციის მასალები გამომცემლობა თბილისი

33. **შენგელია 2015**: შენგელია.რ ჯურნალი “ეკონომიკა“ №3-4, თბილისი;

34. **ქისტაური 2009**: ქისტაური შ., „ეროვნული ეკონომიკა და გლობალიზაცია“., სამეცნიერო ანალიტიკურ-პრაქტიკული ჟურნალი. ბიზნესი და კანონმდებლობა, თბილისი;

35. **ქარქაშაძე 1993**: ქარქაშაძე ნ., მსოფლიო სოფლის მეურნეობა, სახელმძღვანელო,

36. ქეშელაშვილი...2010: ქეშელაშვილი ო, მეჭურჭლიშვილი მ, ძაგანია ე., ნატროშვილი ნ., „სოფლის მეურნეობის განვითარების პოზიციური სურათი: მარკეტინგული მოდელის პრიორიტეტები და პროგნოზული ვარიანტული პარმეტრები“, თბილისი

37. **ფონდი,: „ღია საზოგადოება საქართველო“.,** 2014 თბილისი

38. **ჩანტლაძე 1995**: ჩანტლაძე ვ., „ფინანსური მეცნიერების საფუძვლები“, თბილისი

39. **ჩომახიძე 2003:** ჩომახიძე დ., „საქართველოს ენერგეტიკული უსაფრთხოება“, თბილისი ჯიბუტი 2000: ჯიბუტი მ, „ლარის ისტორიის ნაკლებად ცნობილი ფურცლები“, „ბანკი“

40. **ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი, 2014**: ევროკავშირის შეთანხმება ღრმა და ყოვლისმომცევლი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ და საქართველო. DCFTA)
41. **სატატისტიკური კრებული, 2005**: საქართველოს სოფლის მეურნეობა 2004, თბილისი;
42. **მსოფლიო ბანკი, 1994:** -საქართველოს სოფლის მეურნეობის და კვების მრეწველობის სექტორების შესწავლის მემორანდუმი, თბილისი;
43. **ბეკი 2001:** Бек. у, Что такое глобализация?: ошибки глобализма – ответы на глобализацию, перевод с немецкого А. Григорьева и В. Седельника,

44. **კასტელსი. 2000:** Кастельс М. Информационная эпоха: экономика, общество и культура;

45. **მაკდიმოვა 2004:** Максимова М. Проблемы стабильности мировой экономики.

46. **ჟუკოვა 2010**: Жукова М.А. Менеджмент в туристическом бизнесе: учебное пособие.- М.: КНОРУС

47. **ფრიდმანი1989**: FriedmanJ.OligopolyTheory/ J.Friedman.– Cambridze;

48. **სტიგლიცი 2013**: სტიგლიცი ჯ., გლობალიზაცია და მისი თანმდევი უკმაყოფილება;

49. **კაზლოვსკი... 2005**: В.В. Козловский, Э.А. Лутохина; Мировая экономика: социально ориентированный подход: учеб.пособие для студентов экон.специальностей;
50. **პროხორენკოვი 2009**. Прохоренков В.С., Многофакторная модель глобализации мировой экономики

51. **ოვსიანუკი 2012**: М. Овсенюк. Воздействие прямых иностранных инвестиций на экономический рост и социально-экономическое развитие
52. **ჟუკოვა 2010**: Жукова М.А. Менеджмент в туристическом бизнесе: учебное пособие.- М.: КНОРУС
53. **შერბანინი 2011**:. Щербанин Ю. А «Транспорт и экономический рост: взаимосвязь и влияние
54. **შოლტე 2000**: Scholte J. A. Globalization. A critical introduction / J. A. Scholte. –London:
55. **დანინგი 1980**: Dunning, J. H., Theories and Paradigms of international Business Activity;
56. **ჩიკოლინი 2004** : Cigolini, R., Cozzi, M.; Perona, M. A new framework for supply chain management: Conceptual model and empirical test. International Journal of Operations and Production Management;
57. **გერმანი... 2008**: Germain R., Claycomb C., Dröge,C, Supply chain variability, organizational structure, and performance. Journal of Operations Management;
58. **პატი 2006 :** Patti, A.L. "Economic Clusters and the Supply Chain: A Case Study", Supply Chain Management: An International Journal,
59. **სორენსენი 2008**: Sorensen S.Y. EMCC case studies. Transport&Logistics sector: Padborg cluster, Denmark / S.Y. Sovensen at al. – Kopenhagen: Danish Technological Institute;
60. **ჩეფი 2012**: Sheffi, Y. Logistics clusters. Delivering value and driving growth.
61. Ernst & Young, Oxford Economics.Trading Places:The Emergence of New Patterns of International Trade / Ernst & Young, Oxford Economics – Ernst & Young, 2011, p. 4

ელექტრონული რესურსი

1.არღუთაშვილი...2008 არღუთაშვილი.ვ., „ტურიზმის პოლიტიკა“. https://www.tsu.ge/data/file_db/economist_faculty/vako.pdf

2.აგროკრედიტი... „შეღავათიანი აგროკრედიტი“., http://apma.ge/projects/read/agro_credit/5:parent

3.აწარმოე... „აწარმოე საქართველოში“., http://qartuli.ge/geo/news-info/sapartnioro-fondi-eqsportis-xelshemtsyobi-saagentos-formirebaze-metsarmeobis-gavaჭრობა... nvitarebis-saagentostan-ertad-imushaobs-103/

4.ბაიაშვილი... ბაიაშვილი.თამარ.,„ოპტიმალური სავალუტო პოლიტიკა საქართველოსეკონომიკისათვის”. https://www.nbg.gov.ge/uploads/journal/2015/2015_3/3.pdf

5.ბლიაძე.. ბლიაძე.მ., „გლობალური ინდექსები - გლობალური სამყაროს საზომები“. http://mastsavlebeli.ge/uploads/Indeqsebi.pdf

6.ბიზნესის 2016... “ბიზნესის კეთების სიადვილე 2016”. http://businesscontract.ge/ka/article/saqartvelo-pozicia-saertashoriso-reitingebshi/683

7.გეგეშიძე... გეგეშიძე.ა., „საქართველოს სატრანზიტო როლის განვითარების ხელშეწყობა რეგიონალური ინტეგრაციის გათვალისწინებით“., http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-00000-00---off-0civil2--00-1----0-10-0---0---0prompt-10---4-------0-1l--10-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-01-1-0utfZz-8-10&cl=CL2.7&d=HASHc562e01b3cc5fe4d163605.8.3&gt=1

8.გლობალიზაცია-ა... „გლობალიზაცია“. ,http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=5&t=3300

9.გლობალიზაცია-ბ.... „გლობალიზაცია“. ,http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=5&t=3300

10.გარელი 2008 გ... “NEW WAVES IN GLOBALIZATION AND COMPETITIVENESS” . https://www.imd.org/research/challenges/upload/TC057_08_new_waves_in_globalization_and_competitiveness.pdf

11.გარელი 2008 ბ... “NEW WAVES IN GLOBALIZATION AND COMPETITIVENESS” . http://www.imd.org/research/challenges/TC057-08.cfm

12.გარელი 2008 ა ... “NEW WAVES IN GLOBALIZATION AND COMPETITIVENESS”. .,http://www.imd.org/research/challenges/TC057-08.cfm

13.გლობალური.... “გლობალური პრობლემების გეოგრაფია”. https://geocodna.wordpress.com/2013/11/25/%E1%83%92%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%96%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90-2/

14.გლობალური...ა „The Global Competitiveness Report 2015–2016“., http://www3.weforum.org/docs/gcr/2015-2016/Global_Competitiveness_Report_2015-2016.pdf

15.გლობალური - ბ...2016 „2016 წლის გლობალური ინოვაციური ინდექსის რეიტინგში საქართველო 9 პოზიციით დაწინაურდა“. http://www.ipress.ge/new/41546-2016-tslis-globaluri-inovaciuri-indeqsis-reitingshi-saqartvelo-64e-adgils-ikavebs

16.დობორჯგინიძე... დობორჯგინიძე. გ., „ლოგისტიკის როლი ქართული ეკონომიკისგანვითარებაში“. .,http://www.interpressnews.ge/ge/sazogadoeba/274690-logistikis-roli-qarthuli-ekonomikis-ganvitharebashi.html?ar

17.დუშუაშვილი 2017... დუშუაშვილი.თ „გლობალური ინოვაციების ინდექსი და საქართველო“. http://forbes.ge/blog/221/globaluri-inovaciis-indeqsi-da-saqarTvelo

18.დაზღვევა... “დაზღვევა ფინანსური რისკებისგან“. http://bpi.ge/index.php/dazghveva-finansuri-riskebisgan-sapartnioro-fondi-eqsportis-sakredito-saagentos-qmnis/

19.დანერგე... „დანერგე მომავალი“., http://apma.ge/projects/read/plant_future/2:parent

20.ეკონომიკა...2015 „ეკონომიკა და საბანკო საქმე“. https://www.nbg.gov.ge/uploads/journal/2015/2015_3/n3.pdf

21.ევროკავშირთან... „ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება(DCFTA)“., http://www.economy.ge/?page=economy&s=7

22.ინვესტიციების...ბ “ინვესტიციების ეკონომიკური შინაარსი”. http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0ekonomik--00-1--0-10-0--0-0---0prompt-10--.%2e-4----4---0-1l--11-en-10---10-help-50--00-3-1-00-0-00-11-1-1utfZz-8-00-0-11-1-0utfZz-8-00&a=d&c=ekonomik&cl=CL4.1&d=HASH014a344347d12d1526bbe3a0.1

23.იაკობიძე...ა 2013 იაკობიძე.დ., “ საქართველოს საფინანსო–ეკონომიკური მდგომარეობა”,

http://www.tetrebi.org/?p=12481

24.იაკობიძე..ბ. იაკობიძე.დ., "საქართველოს ეკონომიკა საერთაშორისო შეფასებათა თვალსაზრისით და განვითარების შესაძლებლობები", http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0ekonomik--00-1----0-10-0---0---0prompt-10---4-------0-1l--11-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-11-1-0utfZz-8-00&a=d&cl=CL4.2&d=HASHfdfa9fd570df09c458b7b5.1

25.ლეკაშვილი.... ლეკაშვილი. ე., „გლობალიზაციის პირობებში კონკურენციისშესწავლისათვის". http://www.gdi.economics.tsu.ge/pdf/2.konkurentunarianoba.pdf

26.მეტი 2012... „Mehr Studierte in China und Indien.". http://www.tagesspiegel.de/wissen/oecd-bericht-mehr-studierte-in-china-und-indien/6884790.html.

27.მსოფლიო 2015... "World Population Prospects The 2015".,Revision" https://esa.un.org/unpd/wpp/publications/files/key_findings_wpp_2015.pdf

28.მსოფლიოს.... „მსოფლიო ბანკი: საქართველოს ეკონომიკური ზრდა 2018 წლისთვის 5 %-ს მიაღწევს" https://www.radiotavisupleba.ge/a/sakartvelos-ekonomikuri-zrda/27474134.html

29.ნამჩავაძე...2014 ნამჩავაძე.ბ., „საქართველოს ეკონომიკის კონკურენტუნარიანობა", http://forbes.ge/news/453/saqarTvelos-ekonomikis-konkurentunarianoba

30.პოტენციალი... „Потенциал и опасности глобализации”. http://www.imf.org/external/np/exr/ib/2000/rus/041200r.htm

34.თურქეთი 2011... „თურქეთი ბოსფორის ყურეს ახალი არხით განტვირთავს“. ,ttps://geograpia.wordpress.com/2011/10/28/%E1%83%97%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%A5%E1%83%94%E1%83%97%E1%83%98-%E1%83%91%E1%83%9D%E1%83%A1%E1%83%A4%E1%83%9D%E1/*%83%A0%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%A7%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%A1-%E1%83%90/

35.ლეკაშვილი... ლეკაშვილი.ე., „გლობალიზაციის პირობებში ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის აქტუალური პრობლემების შესწავლისათვის“., https://www.google.ge/#q=kof+%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%93%E1%83%94%E1%83%A5%E1%83%A1%E1%83%98+2008+%E1%83%AC%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%98

36.ნამჩავაძე 2015... ნამჩავაძე.ბ., „საქართველოს ეკონომიკური გლობალიზაცია: შანსი საფრთხის ქვეშ“., http://forbes.ge/news/692/saqarTvelos-ekonomikuri-globalizacia

37.პრეფერენციათა... „პრეფერენციათა განზოგადებული სისტემა“. http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0ekonomik--00-1--0-10-0--0-0---0prompt-10--.%2E-4----4---0-1l--11-en-10---10-about-50--00-3-1-00-0-00-11-1-1utfZz-8-00-0-11-1-0utfZz-8-

00&a=d&cl=CL4.1&d=HASH06714895eb79201aa1d4df.8

39.საქართველო 2012... „საქართველო და ტურიზმის განვითარება“ http://georgiantourizm.blogspot.com/2012/06/blog-post_4344.html

40.საივესტიციო-ა... „საინვესტიციო საქმიანობის ფინანსირების უცხოური წყაროები და მათი სტრუქტურა“. http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0ekonomik--00-1----0-10-0---0---0prompt-10---4-------0-1l--11-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-11-1-0utfZz-800&cl=CL4.1&d=HASH014a344347d12d1526bbe3a0.4&gt=1

41.საერთაშორისო... „საერთაშორისო ვაჭრობა“., http://bbi.ge/uploads/training_25.pdf

42.საქართველოს... ა „სოციალური-ეკონომიკური პოლიტიკა“. http://progressive.ge/article.php?ID=97&lng=ge

43.საქართველოს 2013 ბ... “საქართველოს ეკონომიკური ტრანსფორმაცია: დამოუკიდებლობის ოცი წელი”. http://www.eilat.ge/images/stories/The_Economic_Transformation_of_Georgia_-_20_Years_of_Independence_Interim_Report_geo.pdf

44.საქართველოს 2013 ბ... “საქართველოს ეკონომიკური ტრანსფორმაცია: დამოუკიდებლობის ოცი წელი”. http://www.eilat.ge/images/stories/The_Economic_Transformation_of_Georgia_-_20_Years_of_Independence_Interim_Report_geo.pdf

45.საქართველოს– დ...2013 “საქართველოს ეკონომიკური ტრანსფორმაცია: დამოუკიდებლობის ოცი წელი”., http://www.eilat.ge/images/stories/The_Economic_Transformation_of_Georgia_-

20_Years_of_Independence_Interim_Report_geo.pdf

46.საქართველოს 2013 ე "საქართველოს ეკონომიკური ტრანსფორმაცია: დამოუკიდებლობის ოცი წელი"., http://www.eilat.ge/images/stories/The_Economic_Transformation_of_Georgia_-20_Years_of_Independence_Interim_Report_geo.pdf

47.საქართველოს 2013 ვ... "საქართველოს ეკონომიკური ტრანსფორმაცია: დამოუკიდებლობის ოცი წელი"., http://www.eilat.ge/images/stories/The_Economic_Transformation_of_Georgia_-20_Years_of_Independence_Interim_Report_geo.pdf

48საქართველოს 2013 ზ... "საქართველოს ეკონომიკური ტრანსფორმაცია: დამოუკიდებლობის ოცი წელი"., http://www.eilat.ge/images/stories/The_Economic_Transformation_of_Georgia_-20_Years_of_Independence_Interim_Report_geo.pdf

49.საქართველოს თ 2013... „საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია"., ., https://napr.gov.ge/source/%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%92%E1%83%98%E1%83%90/ViewFile.pdf

50.საქართველოს - ი…2013 "საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია"., https://napr.gov.ge/source/%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%92%E1%83%98%E1%83%90/ViewFile.pdf

51.საქართველოს -კ …2016	საქართველოს ძირითადი ექსპორტი სტრუქტურულ ჭრილში საქართველოს საგარეო ვაჭრობა 2016 წელი იანვარ-მარტი“ ., http://www.economy.ge/uploads/files/sagareo_vachroba/Trade_turnover_2016_3_month_final_05.pdf
52.საქართველოს -ნ…	„საქართველოს რკინიგზა პრობლემები და პერსპექტივები“.,http://www.osgf.ge/files/news/news2008/RAILWAY_Final_Report_GEO_Zf7Q8OInfm.pdf
53.საქართველოს-ო…2017	საქართველოს საზღვარზე გადაადგილებლ ვიზიტორთა სტატისტიკური მონაცემები 2016 წელი, დელემდერი“., http://police.ge/ge/saqartvelos-sazghvarze-gadaadgilebul-vizitorta-statistikuri-monatsemebi-2016-tseli-dekemberi/10302?print=1
54.საქართველოს-პ…	„საქართველოს ტურიზმის განვითარების პოტენციალი (III ნაწილი)“., http://travelingeorgia.ge/news/320/
55.საქართველოს-ჟ… 2015	„საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია2015-2020წწ“., www.moa.gov.ge/Download/Files/226
56.საქართველო …2015	„საქართველო პოზიცია საერთაშორისო რეიტინგებში“., http://bm.ge/ka/article/saqartvelo-pozicia-saertashoriso-reitingebshi/683
57.ტურიზმი…ა	„ტურიზმი განვითარებად ქვეყნებში“. http://education.ge/index.php?do=definition/view&id=944
58.ტურიზმი-ბ…	„ტურიზმი-გაანხილვა“., http://ninochanchaleishvili.blogspot.com/
59.შებაკოვა…2012	Щербакова .Е. „ Город и деревня в современном мире по данным ООН“ http://demoscope.ru/weekly/2012/0507/barom01.php

60.ჩაის... „ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციის პროგრამა“., http://apma.ge/projects/read/project_scope/12:parent

61.ვაჭრობა... “Trade with Georgia”., http://tradewithgeorgia.com./

62.ქვეყნის... „ქვეყნის ეკონომიკური მემორანდუმი“. http://documents.worldbank.org/curated/en/306471468251761064/text/896080GEORGIAN0411B0CEM0GEO0for0WEB.txt

63.უპირატესი... „უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმები“. http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=7086

64.ხადური... ხადური.ნ., „ეკონომიკური სისტემა საქართველოში“., http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0ekonomik--00-1----0-10-0---0---0prompt-10---4-------0-1l--11-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-11-1-0utfZz-800&a=d&cl=CL4.2&d=HASH01102d428fe5f220a31b5580.4.fc

დანართი 1

1. **როგორ გესმით ტერმინი „გლობალიზაციის“ მნიშვნელობა?**

ა) ეს არის ბაზრების, ერების, სახელმწიფოების ინტეგრაცია, რაც ინდივიდუუმებს, კორპორაციებს, სახელმწიფოებს აძლევს მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში წვდომის საშუალებას უფრო იაფად, ვიდრე წარსულში;

ბ) საქონლისა და მომსახურებათა ნაკადების, კაპიტალის, ინფორმაციის და ტექნოლოგიების გაძლიერების პროცესი, რომელიც ჩვეულებრივ არ ექცევა ნაციონალური სამთავრობო რეგულირების საზღვრებში;

გ) ეს არის პროცესი, რომელიც მსოფლიო ერებს ერთ მსოფლიო, გლობალურ საზოგადოებად გადააქცევს.

დ) რამდენიმე ქვეყნის მიერ მსოფლიოზე ძალაუფლების ხელში ჩაგდება.



2. **თქვენთვის პირველ რიგში რასთან ასოცირდება „გლობალიზაცია“?**

ა) საზღვრების გახსნილობასთან;

ბ) კანონების უნიფიცირებასთან;

გ) იდენტურობის დაკარგვასთან

დ)დამოუკიდებლობის დაკარგვასთან;

ე) ინტერნეტის საშუალებით ინფორმაციის ხელმისაწვდომობასთან,

ვ) არის საშუალება დაიმკვიდრო თავი საზღვარგარეთ;



3. როგორია თქვენი დამოკიდებულება გლობალიზაციის პროცესისადმი?

ა) დადებითი

ბ) უარყოფითი

გ)მიჭირს პასუხის გაცემა



4. როგორ ფიქრობთ, საქართველო ჩართულია თუ არა გლობალიზაციის პროცესში? და თუ ჩართულია, მნიშვნელოვანწილად არის ჩართული თუ უმნიშვნელოდ?



5. როგორ ფიქრობთ, გლობალიზაციას საქართველოსთვის უფრო მეტად სარგებლის მოტანა შეუძლია თუ ზიანის?



6. **თქვენი აზრით, რა ზიანის მოტანა შეუძლია გლობალიზაციას საქართველოსთვის?**

ა) საქართველოს ეკონომიკის მდგომარეობის გაუარესება;

ბ) მცირე და საშუალო ბიზნესის მდგომარეობის გაუარესება;

გ) ადგილობრივი ფერმერების მდგომარეობის გაუარესება;

დ) სამუშაო ადგილების დაკარგვა, რადგანაც უმეტესად ვყიდულობთ იმპორტირებულ საქონელს;

ე) ეროვნული თვითმყოფადობის და კულტურის დაკარგვა, დასავლური ღირებულებების დანერგვა;

ზ) ჩვეულებრივი ადამიანების ცხოვრების დონის გაუარესება;

გ) ეკოლოგიური პრობლემები;

დ) სხვა ქვეყნებთან ურთიერთობების გამწვავება;

ე) არავითარ ზიანს არ მოუტნას

ვ) მიჭირს პასუხი.



7. **ზოგიერთი ადამიანი ფიქრობს, რომ გლობალიზაცია არის ბუნებრივი პროცესი, რომელიც ვითარდება ადამიანთა ნება-სურვილისგან დამოუკიდებლად. სხვები**

ფიქრობენ, რომ გლობალიზაციის პროცესი მიმდინარეობს გარკვეული ძალების გავლენით, რომლებიც დაინტერესებულნი არიან სხვადასხვა უპირატესობის მოპოვებაში. რომელი მოსაზრებაა თქვენთვის უფრო მისაღები: პირველი თუ მეორე?

ა) პირველი

ბ) მეორე

გ) მიჭირს პასუხის გაცემა



8.როგორ მიგაჩნიათ, გლობალიზაციის პირობებში საქართველოს რომელი დარგის განვითარება იქნება პრიორიტეტული?

ა) სოფლის მეურნეობა;

ბ) მრეწველობა

გ) ტურიზმი

დ) ტრანსპორტი

ე) მშენებლობა

ვ) ენერგეტიკა

ზ) არ ვიცი



9. როგორ ფიქრობთ, რამდენად მნიშვნელოვანია საქართველოს გაწევრიანება საერთაშორისო ორგანიზაციებში?



10. ფიქრობთ თუ არა, რომ დღევანდელ მსოფლიოში ქვეყანას გაუჭირდება განვითარება სხვა ქვეყნებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გარეშე?



11. როგორც ვიცით საქართველო მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრია. რა სარგებელი ნახა საქართველომ მასში გაწევრიანებით?

ა) მსოფლიო ეკონომიკაში ინტეგრაცია

ბ)ახალ ბაზრებზე გასვლის საშუალება

გ) ცხოვრების დონის გაუმჯობესება ქვეყანაში

დ) საკუთარი პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლება

ე) ახალი ტექნოლოგიების შემოდინება



12.თქვენი აზრით, როგორ აისახება საქართველოსა და ვროკავშირს შორის ასოცირების ხელშეკრულების გაფორმება ქვეყანაზე?




ქვეყნის
კონკურენტუნარიანობა
დარგობრივი ასპექტი –
მაღალი დამატებული ღირებულების
დარგების განვითარება
რესურსული ასპექტი –ქვეყნის ეკონომიკის
ფუნქციონირების ეფექტიანობის ამაღლება
მოთხოვნა გლობალურ ბაზარზე არის
დიფერენცირებული
რესურსები არაერთგვაროვანია და
ქვეყნებს შორის არათანაბრადაა
განაწილებული
კონკურენტული უპირატესობის
სახეები
ქვეყნის კონკურენტუნარიანობის
დონეები
კონკურენტუნარიანობის გამოვლენის
ფორმები
მდგრადი კონკურენტული
უპირატესობა
სტრატეგიული
ინოვაციური პროდუქტების (მომსახურების)
წარმოება და ინტელექტუალური კაპიტალის
განვითარება
დინამიური კონკურენტული
უპირატესობა
ტაქტიკური
მაღალი დამატებული ღირებულების
პროდუქციის წარმოება
დროებითი კონკურენტული
უპირატესობა
მიმდინარე
პროდუქციის წარმოება დანახარჯების
შემცირების ხარჯზე